


თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის დასავლურ ენათა
და კულტურათა სახელმწიფო ინსტიტუტი

გურამ ლებანიძე

ანთროპოცენტრიზმი
და
კომუნიკაციური ლინგვისტიკა
(თეორიული სინთეზი)



თბილისი
გამომცემლობა „ენა და კულტურა“
1998

რეცენზენტები:

ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი მ.ქურდიანი;

ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი მ.მაჭავარიანი.

თავი I

ანთროპოცენტრიზმი და კომუნიკაციური პარადიგმის ლინგვისტიკაში დამკვიდრების ძირითადი ეტაპები

§ 1. ენობრივი ნიშნის სამგანზომილებიანი მოდელი და XX
საუკუნის ლინგვისტური აზროვნების დინამიკის
თეორიული რეკონსტრუქცია

ჩვენ უნდა გამოვეყოთ XX საუკუნის თეორიული
ლინგვისტიკის ორი ასპექტი:

პირველია - ემპირიული ასპექტი, რომელიც
მდგომარეობს იმაში, თუ რომელი ლინგვისტური შრომები
იკავებდნენ თეორიული მიმართულების მიმცემი შრომების
პოზიციას. ეს იყო ჭრელი, წინააღმდეგობით აღსავსე და
შინაგანად მეტად მრავალფეროვანი სურათი. იყო სოსიური,
პარალელურად ამერიკელი სტრუქტურალისტები
(ბლუმფილდი), მათი ურთიერთ გადაკვეთა. იყო სხვადასხვა
მიმართულება - გლოსემატიკა, პრადის სკოლა და ა.შ.
მაგრამ, რაკი ჩვენ ვიმყოფებით XX საუკუნის ბოლოს,
საუკუნეთა მიჯნაზე, როცა დინამიკამ მიაღწია თავის
გარკვეულ ლოგიკურ შედეგს, ჩვენ შეგვიძლია და
აუცილებელიცაა დავინახოთ XX საუკუნის ლინგვისტური
აზროვნების მეორე ასპექტიც - ამ მოძრაობის
შინაგანი ლოგიკა, ანუ მოგახდინოთ XX საუკუნის
ლინგვისტური აზროვნების თეორიული რეკონ-
სტრუქცია (ამ აზროვნების ხსენებული დინამიკის
გათვალისწინებით). ყოველი რეკონსტრუქცია გულისხმობს
გარკვეულ რეტროსპექციას. ეს რეტროსპექტიული მზერა უნდა
შეიცავდეს ლინგვისტური აზრის დინამიკის „ინტენსიურ“
ხედვას. სწორედ შინაგანი ლოგიკის რეკონსტრუქციის
შედეგად შევძლებთ დავინახოთ, თუ რატომ უნდა

იწოდებოდეს, პირობითად მაინც, თანამედროვე, ან, უკეთესად რომ ვთქვათ, დღევანდელი ლინგვისტიკა კომუნიკაციურ ლინგვისტიკად და, რაც მთავარია, შევძლებთ დაფინანსოთ ამ კომუნიკაციური ლინგვისტიკის ჭეშმარიტი არსი. რეკონსტრუქცია სწორედ დღევანდელი ლინგვისტიკის არსის გასაგებად გეჭირდება. ეს თეორიული რეკონსტრუქცია გამოიყურება შემდეგნაირად: თანამედროვე ლინგვისტიკის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს **ნიშნის ცნება** ე.ი. **XX** საუკუნის ლინგვისტიკა - ეს არის სემიოტიკური ლინგვისტიკა. ნიშნის ცნება კი, თუ ჩვენ სწორედ თეორიული რეკონსტრუქციის გზას დავადგებით, გულისხმობს ნიშნის სტრუქტურის ორმაგ აღნაგობას - მის მოცულობას პორიზონტალურ და ვერტიკალურ ჭრილებში. **ჰორიზონტალურ ჭრილში** ყოველი ნიშანი, იერარქიის რომელ დონეზეც არ უნდა იმყოფებოდეს იგი (ეს იქნება სიტყვა, თუ წინადადება, თუ თვით ტექსტი), ხასიათდება იმ სამი განზომილებით, რომლებსაც სემიოტიკის როგორც ერთიანი მოძღვრების მიხედვით ეწოდება სინტაქტიკა, სემანტიკა და პრაგმატიკა. როცა ვამბობთ, რომ თანამედროვე ლინგვისტიკას საფუძვლად უდევს ნიშნის ცნება, ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ფ, სოსიურმა შეიმუშავა ეს სამი განზომილება - ისინი პირველად ამერიკელმა ფოლოსოფოსმა **პირსმა** წამოაყენა. თავდაპირველად ეს სამი განზომილება ლინგვისტიკის ფარგლებს გარეთ ჩამოყალიბდა. ამდენად თეორიული რეკონსტრუქცია გულისხმობს, რომ ის, რაც შემდგომ გამოვლინდა, მოცემული იყო უკვე თეორიული განვითარების სათავეებში. ამით განსხვავდება რეკონსტრუქცია წმინდა ისტორიული თვალსაზრისისაგან.

თუ ჩვენ მთელ ამ დინამიკას „შეგკუმშავთ“ და მოვათავსებთ ნიშნის სამგანზომილებიან მოდელში, მაშინ ეს იქნება მოძრაობა **სინტაქტიკიდან პრაგმატიკი-საკენ**. პირველი ეტაპი-ეს იყო სინტაქტიკური აზროვნება, მას მოჰყვა სემანტიკური, ხოლო შემდგომ

პრაგმატული ეტაპები. აქ ჩვენ ვიმყოფებით ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანი ფაქტის წინაშე: ამოიწურა ეს სამი განზომილება, განხორციელდა კვლევათა ის იდეა, რომელსაც შეიცავდა ეს მოდელი. თანამედროვე კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში პირველ პლანზეა **პრაგმატული** კვლევა. ამ მოდელის ფარგლებში ჭეშმარიტი თეორიული „წინვლა“ უკვე შეუძლებელია. რაც შეეხება ემპირულ-პრაგმატულ კვლევას, იგი რა თქმა უნდა გრძელდება და დიდხანს შეიძლება გაგრძელდეს. მაგრამ, როგორც ეს საერთოდ ხდება, მეცნიერების განვითარების რომელიღაც მომენტში დინამიკა შეიძლება ნიშნავდეს დასასრულს.

ეს იყო ნიშნის მოდელით რეპრეზენტირებული ლინგვისტური აზრის მოძრაობის პორიზონტალური განზომილება.

მეორეა **ვერტიკალური** განზომილება. ვერტიკალურ ჭრილში ჩვენ გვაქვს უკვე ნიშანთა იერარქიული ტიპოლოგია. ამ ტიპოლოგიას წარმოშობს სრულ და არასრულ ნიშანთა ურთიერთდაპირისპირება და ურთიერთკავშირი. სწორედ ეს დაპირისპირება და ურთიერთკავშირია ის, რაც ქმნის ენის დონეებრივ ორგანიზაციას, ენის დონეებრივ სტრუქტურას. ამრიგად თანამედროვე ლინგვისტიკის მიხედვით ენას საფუძვლად ორი ძირითადი მომენტი უდევს: 1) ენა არის ნიშანთა სისტემა და 2) მას აქვს დონეებრივი სტრუქტურა.

თეორიული რეკონსტრუქცია აძლევს თავს უფლებას, რომ ის, რაც გამოვლინდა, მიიჩნიოს არა მარტო შედეგად, არამედ საფუძვლადაც. ჩვენ თავიდანვე უნდა გავუსვათ ხაზი სრული და არასრული ნიშნების ცნებათა ფარდობით ხასიათს: ენის რომელი დონის ძირითადი ერთეული ჩაითვლება სრულ და რომელი - არასრულ ნიშნად, ეს მუდამ დამოკიდებულია ლინგვისტური აზროვნების განვითარების გარკვეულ ეტაპზე. იყო დრო, როცა ნიშნად ითვლებოდა მხოლოდ სიტყვა (მაგალითად სოსიურთან). შემდეგ მოხდა ნიშნის ცნების „ექსპანსია“ და ნიშნად მიჩნეულ იქნა წინადადება. აქ მოხდა დაპირისპირება: **სიტყვა** იქნა მიჩნეული **არასრულ**, ხოლო **წინადადება** **სრულ** ნიშნად. ამასთან

ყოველი არასრული ნიშანი აღიარებულ იქნა სრული ნიშნის ინტეგრანტად. შემდეგ სრული ნიშანი აღმოჩნდა **ტექსტი**, მაგრამ დარჩა ნიშანთა იერარქიული ურთიერთმიმართების იდეა. სემიოტიკური ლინგვისტიკა მიიღტვოდა და დღესაც მიიღტვის იმისკენ, რომ თავისი განხილვისა და კვლევის უმთავრეს ობიექტად აქციოს ჭეშმარიტად სრული ნიშანი. ლაპარაკი იყო სინტაქსის ცენტრალურობაზე (ე. ი. წინადადების ცენტრალურობაზე), დღეს კი ასეთად ითვლება ტექსტი. ე. ი. როგორც ჰორიზონტალურ ჭრილში ანტინომიების წარმოშობა საბოლოო ეტაპად გვევლინება **პრაგმატიკა**, ისე ვერტიკალურში გვევლინება **ტექსტი**. ფრანგი ენათმეცნიერი ე. ბენვენისტი ამბობდა, რომ წინადადება არ არის ნიშანი, მაგრამ შედგება ნიშნებისაგან. წინადადება - ეს არის თვით „სიცოცხლე ენისა“. რაკი დღეს ჭეშმარიტად სრული ნიშნის სტატუსის პრეტენზია აქვს ტექსტს, შეგვიძლია წინადადების ეს ბენვენისტისეული ხედვა გადავიტანოთ ტექსტზე. მაგრამ შემდგომი თეორიული ნაბიჯი უკვე შეუძლებელია. თუ კომუნიკაციური ლინგვისტიკის განსაზღვრას საფუძვლად დავუდებთ ამ სქემას, უნდა ვთქვათ, რომ კომუნიკაციური ლინგვისტიკა ეს არის ნიშნის სემიოტიკური მოდელის საფუძველზე და მის ფარგლებში მომხდარი კონცეპტუალური დინამიკის შედეგი, კომუნიკაციური ლინგვისტიკა ჩნდება უკვე ხსენებული პორიზონტალური და ვერტიკალური დინამიკის ურთიერთადაკვეთის წერტილში, ამიტომ უნდა ვთქვათ, რომ კომუნიკაციური ლინგვისტიკის კონცეპტუალურ ბირთვს წარმოადგენს ლინგვისტური პრაგმატიკისა და ტექსტის ლინგვისტური თეორიის შინაგანი ურთიერთდაკავშირება. ე. ი. ეს კონცეპტუალური ბირთვი ისეა აგებული, რომ ერთ მხარეს წარმოადგენს ლინგვისტური პრაგმატიკა, ხოლო მეორეს - ტექსტის თეორია. ამიტომ, თუკი ჩვენ მოვიხილოთ, რომ კომუნიკაციური სამყაროს იდეას საფუძვლად დაედოს როგორც მისი პირველი საფუძველი-თანამედროვე ლინგვისტიკა იმ სახითა და შინაარსით, რომლითაც იგი არსებობს, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ მის ამ პირველ საფუძველს წარმოადგენს თანამედროვე კომუნიკაციური ლინგვისტიკა. მაგრამ ჩვენ დავინახეთ თანამედროვე

კომუნიკაციური ლინგვისტიკის არა მარტო კონცეპტუალური (ცნებითი) სტრუქტურა, არამედ მისი ანტიანომიური სტრუქტურაც-დავინახეთ იგი როგორც პრაგმატიკის, ისე ტექსტის შემთხვევაში. ეს ფუნდამენტური ანტიანომია ახასიათებს მეცნიერული აზრის განვითარების ყველა საკვანძო მომენტს. ამიტომ კომუნიკაციური სამყაროს იდეა უნდა გულისხმობდეს კომუნიკაციური ლინგვისტიკის და საერთოდ, თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების ისეთ ტრანსფორმაციას, ისეთ გარდაქმნას, რომელიც შეინარჩუნებს მთელ მის კონცეპტუალურ მონაპოვარს და ამავე დროს გადალახავს იმ წინააღმდეგობებს, იმ ანტიანომიებს, რომლებზეც ჩვენ უკვე გვექონდა ლაპარაკი. ე. ი. ტერმინი „კომუნიკაციური სამყარო“ მიუთითებს სიმბოლურად იმაზე, რომ ხდება არა მარტო შენარჩუნება, არამედ პრინციპული გადალახვაც, ლაპარაკია ისეთ გადალახვაზე, ისეთ გადასვლაზე, რომელსაც თვით XX საუკუნის აზროვნება გულისხმობს: ასეთი შენარჩუნება-გადალახვითა და ამის შედეგად კომუნიკაციური სამყაროს აგების აუცილებლობა თვით ამ აზროვნების დინამიკის წიაღში გვაქვს.

§ 2. თანამედროვე თეორიული ლინგვისტიკის ძირითადი ანტიანომიები და ანთროპოცენტრიზმი როგორც მათი გადალახვის თეორიულ-მეთოდოლოგიური საშუალება

პირველ პარაგრაფში ჩვენ შევეცადეთ მოგვეხდინა XX საუკუნის ლინგვისტიკის დინამიკის თეორიული რეკონსტრუქცია. ამ დინამიკის საფუძველს წარმოადგენდა ენის სემიოტიკური გაგება (ენა არის ნიშანთა სისტემა), ნიშნის ცნება და მოდელი. ეს დინამიკა ორი მიმართულებით იშლებოდა: ერთი მხრივ, ეს იყო მოძრაობა სინტაქტიკიდან პრაგმატიკისაკენ, ხოლო მეორეს მხრივ-ნიშნის არასრული ტიპიდან ისეთი სრული ტიპისაკენ, როგორიცაა-ჰიპოთეტურად-ტექსტი. ამ ორი მიმართულების გადაკვეთის წერტილში შეიქმნა და ვითარდება ის, რასაც „კომუნიკაციური ლინგვისტიკა“ ვუწოდეთ. იგი ეყრდნობა

ნიშნის სამგანზომილებიან მოდელს. ჩვენ ვნახეთ აგრეთვე, თუ რაში მდგომარეობს თანამედროვე კომუნიკაციური ლინგვისტიკის ანტიანომიური სტრუქტურა. ეს სტრუქტურა წარმოჩინდა ორმიმართულებიანი დინამიკის ორივე საბოლოო წერტილში-როგორც პრაგმატიკაში, ისე ტექსტში. ერთი მხრივ პრაგმატიკა-ჰორიზონტალურ ჭრილში ლინგვისტური აზროვნების მოძრაობის ეს ბოლო წერტილი-ამავე დროს ენობრივი ნიშნის მოდელით ნაკარნახევი მოძრაობის თეორიული ჩიხია. მეორე მხრივ, თუ ენა სემიოტიკური არსისაა ამ სემიოტიკურობას ეწინააღმდეგება ის, რომ მისი უმაღლესი ერთეული, როგორც ბენვენისტი თვლის - უკვე არ უნდა იყოს ნიშნობრივი ბუნების მატარებელი. აი ის ორი ძირითადი ანტიანომია, რომელიც იკვეთება ჩვენი გაგებით თანამედროვე თეორიულ ლინგვისტიკაში. თეორიულ ანტიანომიათა ბუნებიდან კი გამომდინარეობს ის, რომ ისინი მუდამ მოასწავებენ მეცნიერული აზრის ფუნდამენტური წინსვლის და გაღრმავების წინაპირობას. ანტიანომიათა გადალახვა უნდა იქცეს არსებული მეცნიერული აზროვნების უპირველეს თეორიულ იმპერატივად. თუ, როგორც ჩვენ ვთქვით, კომუნიკაციური ლინგვისტიკა იქმნება და ვითარდება ლინგვისტური აზრის ჰორიზონტალური და ვერტიკალური მოძრაობის ურთიერთგადაკვეთის წერტილში, მაშინ ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ კომუნიკაციური ლინგვისტიკა არის (ან უნდა იყოს) ამ ორი ანტიანომიის ურთიერთგადაკვეთის წყარო და შედეგი. ყოველივე ამის შემდეგ, ჩვენ უნდა წამოვყენოთ თეზისი, რომლის ჭეშმარიტების ცხადყოფას უნდა მიეძღვნას ჩვენი შემდგომი მსჯელობა. ეს თეზისი მდგომარეობს შემდეგში: კომუნიკაციური სამყაროს აგება უნდა წარმოადგენდეს ხსენებულ ანტიანომიათა ერთ-ერთი გადაკვეთის და გადალახვის შედეგს. როგორი უნდა იყოს ეს გადალახვა, რომელ მეთოდოლოგიურ გზას უნდა დავადგეთ?

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ გამოთქმა „კომუნიკაციური სამყარო“ შეიცავს ორ ურთიერთდაპირისპირებულ მომენტს: იმდენად, რამდენადც ხაზგასმულია ამ სამყაროს კომუნიკაციურობა, ჩვენი მიზანი უნდა იყოს კომუნიკაციური ლინგვისტიკის ისეთი გადალახვა, რომელიც უნდა ნიშნავდეს

ამავე დროს მთელი მისი კონცეპტუალური მონაბოგარის შენარჩუნებას. მაგრამ ასეთ შემთხვევაში კომუნიკაციური ლინგვისტიკის წიაღში უნდა გვექონდეს ის აზრობრივი ცენტრი (ბირთვი), რომლის გარშემოც „ტრიალებს“ დღევანდელი კომუნიკაციური ლინგვისტიკა, რომელმაც უნდა შეძლოს ერთდროულად გვიჩვენოს როგორც კომუნიკაციური ლინგვისტიკის კონცეპტუალურ-მეთოდოლოგიური მონაბოგარის შენარჩუნების, ისე მისი რადიკალური გადალახვის გზა. ამ ბირთვს წარმოადგენს ის, რასაც შეიძლება ვუწოდოთ თანამედროვე კომუნიკაციური ლინგვისტიკის ანთროპოცენტრიზმი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ თეორიული და მეთოდოლოგიური რეფლექსია დაკავშირებულია თანამედროვე ლინგვისტიკის ანთროპოცენტრიზმთან და დასმა კითხვისა, თუ რას ნიშნავს ანთროპოცენტრიზმი, თეორიული თვალსაზრისით განახლებული ლინგვისტური აზროვნების დაბადების შესაძლო წყაროდ შეიძლება იქცეს. ანთროპოცენტრიზმი უკვე გამოიკვეთა როგორც მთელი თანამედროვე ჰუმანიტარული აზროვნების ბირთვი, მაგრამ ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გაიაზრებს ადამიანი საკუთარ თავს. ე. ი. მოექცევა თუ არა იგი ლინგვისტური და საერთოდ მთელი ჰუმანიტარული აზროვნების ცენტრში (ამას გულისხმობს „ანთროპოცენტრიზმი“). მაგრამ რას ნიშნავს თვით „ადამიანი“? ამ კითხვის შინაგანი მასშტაბურობა გამომდინარეობს არა მარტო იმ მოსაზრებიდან, რომ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა თავისთავად ნიშნავს პასუხის გაცემას კითხვაზე, თუ როგორი უნდა იყოს ლინგვისტიკა და არა მარტო იგი. ეს ერთი მხარეა. მეორე მხარე მდგომარეობს იმაში, რომ არ არსებობს არაფითარი ადამიანის გარეშე ინსტანცია (მეცნიერული თუ არამეცნიერული), რომელსაც ძალუძს, არსებულ ლოგიკაზე დაყრდნობით, ერთნიშნად და ცალსახად უთხრას ადამიანს, თუ რა არის იგი. ე. ი. მთელი ჰუმანიტარული აზროვნების შინაგანი არსი დამოკიდებულია სწორედ იმაზე, თუ რა პასუხი გაეცემა ამ კითხვას: რა თქმა უნდა, როდესაც ჩვენ „არსს“ ვამბობთ შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ ჩვენ გარკვეულ რისკზე მივდივართ,

რომ ვახდენთ ლინგვისტური აზროვნების გაუმართლებელ „ფილოსოფიზაციას“. რამდენადაც საკითხი უაღრესად მნიშვნელოვანია, მას ვუბასუსებთ შექმდეგი სამი არგუმენტი: **პირველი** არგუმენტი იქნება ალბუღი თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების ისტორიიდან და ამით ჩვენ კიდევ ერთ ნაბიჯს გადავდგამთ ამ აზროვნების თეორიული რეკონსტრუქციის გზით; **მეორე** არგუმენტი იქნება ალბუღი თანამედროვე ჰუმანისტური აზროვნებიდან, კერძოდ ფსიქოლოგიიდან, ხოლო **მესამე** არგუმენტი - თეორიული ლინგვისტური აზრის ისტორიიდან, ამ ისტორიის სათავეებიდან.

პირველი არგუმენტის არსი მდგომარეობს შექმდეგი ჩვენი მოსაზრება იმის შესახებ, რომ ლინგვისტური ანთროპოცენტრიზმისა და საბოლოო ანგარიში - ლინგვისტური აზროვნების შინაგანი შინაარსი - დამოკიდებულია კითხვაზე, თუ რა არის ადამიანი, არ არის ლინგვისტური აზროვნების გაუმართლებელი „ფილოსოფიზაცია“ იმიტომ, რომ ეს აზრი (XX საუკუნის ლინგვისტური აზრი) თავიდანვე იყო ფილოსოფიზირებული. იგი წარმოადგენდა გარკვეული ფილოსოფიური პოზიციის ექსპლიციურებას და ამ ფილოსოფიური პოზიციის გარეშე იგი ვერ იარსებებდა, ვერ იქნებოდა ის, რაც იყო. თეორიული რეკონსტრუქციის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ის, რაც გვესახება ჩვენ დღეს ძირითადად და განმსაზღვრელად, სრულიადაც არ იყო ცხადი თავიდანვე, წარმოჩინდა შემდგომ, განვითარების შედეგად. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში თავი იჩინა იმან, რაც გარდუვალია ყოველი სისტემატიზირებული მეცნიერების აგებისას - შეუძლებელია მეცნიერულ აზროვნებას როგორც სისტემას საფუძვლად არ ედოს ფილოსოფიურობა. ის ფილოსოფიური პოზიცია, რომელიც წარმოადგენს თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების სიღრმისეულ საფუძველს, რომელიც წარმოშობს ამ აზროვნებას, ბადებს მას თავისი წიაღიდან, ეს არის **ლუდვიგ ვიტგენშტაინის** ფილოსოფია. ეს ფილოსოფია საინტერესოა არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ბადებს თავის წიაღიდან თანამედროვე ლინგვისტურ აზროვნებას, არამედ იმიტომაც, რომ იგი წარმოადგენს

თანამედროვე პოზიტივისტური ფილოსოფიის კვინტესენციას. ამიტომ ბუნებრივია, რომ თუ კომუნიკაციური სამყაროს აგება უნდა წარმოადგენდეს ლინგვისტური თეორიის აგების რადიკალურ განახლებას, ეს რადიკალური განახლება უნდა ნიშნავდეს ლინგვისტური აზროვნების ფილოსოფიური საფუძვლის განახლებას. ეს განახლება კი შეუძლებელია იმის გარეშე, რომ თანამედროვე ანტინომიური სიტუაციიდან გამომდინარე, არ დაისვას კითხვა: რა არის ადამიანი?

§ 3. პარადიგმული სიტუაცია თანამედროვე ლინგვისტიკაში და ანთროპოცენტრიზმის როგორც პრინციპის გადააზრების აუცილებლობა

ჩვენი მიზანი აუცილებლად უნდა იყოს თანამედროვე კომუნიკაციური ლინგვისტიკის ანტინომიათა გადალახვა, მაგრამ გარკვეული მეცნიერების თუ მეცნიერული სფეროს ანტინომიათა გადალახვა უნდა ხდებოდეს ამ მეცნიერების ცენტრალური პრინციპის საფუძველზე, მისი გადააზრების, მასზე რეფლექსიის შედეგად. თანამედროვე ლინგვისტიკაში ანტინომიური სიტუაცია შინაგანად ემთხვევა პარადიგმულ სიტუაციას, იგი გამომდინარეობს იმ მნიშვნელობისგან, რომელსაც მეცნიერული აზრის თანამედროვე თეორია ანიჭებს მეცნიერული პარადიგმის ცნებას. როცა აზროვნებაში ხდება რევოლუციური ძვრა, როცა აზროვნების ერთი მიმართულება ან ერთი სტილი იცვლება მეორეთი, მაშინ უნდა ვილაპარაკოთ მეცნიერული აზროვნების პარადიგმათა მონაცვლეობაზე. დღევანდელი კომუნიკაციური ლინგვისტიკის ფარგლებში ხაზგასმულია, რომ ლინგვისტური კვლევის საგნად დღეს უნდა ჩაითვალოს არა „ენა როგორც სისტემა“, არამედ „ენა როგორც სისტემა მოქმედებაში“, ენობრივი ნიშნის ცენტრალურ განზომილებად კი მიჩნეულია მისი პრაგმატული განზომილება, ენობრივი სუბიექტის ან პიროვნების წინა პლანზე გამოყვანა. წიგნში "Язык и картина мира" (35: 9) ლაპარაკია ანთროპოლოგიურ

ლინგვისტიკაზე. ანთროპოლოგური ლინგვისტიკის ცნება აქ უკავშირდება სამყაროს ენობრივ სურათს და იმ მოაზროვნეს, რომელმაც ბირველმა შემოიტანა ეს ცნება საერთოდ მეცნიერულ აზროვნებაში - ჰუმბოლდტს.

თანამედროვე ლინგვისტიკაში უკვე ხაზგასმითაა დაბარაკი ბარადოგმულ სიტუაციაზე. ეს ბარადოგმული სიტუაცია უნდა გავიგოთ როგორც ლინგვისტური აზროვნების გადასვლა სემანტიკიდან პრაგმატიკაში. რაკი პრაგმატიკა განისაზღვრება როგორც ენობრივი ნიშნის მიმართება იმ სუბიექტებთან, რომლებიც იყენებენ ამ ნიშანს, ეს უკვე ნიშნავს, რომ ყურადღების ცენტრში ექცევა ადამიანი.

დავუბრუნდეთ ბარადოგმულ სიტუაციას თანამედროვე ლინგვისტიკაში. თუმცა ეს ტერმინი იხმარება, მაგრამ იგი არ უკავშირდება ანტინომიურ სიტუაციას. როცა ვლაპარაკობდით ანტინომიურ სიტუაციაზე, ვგულისხმობდით, რომ ენობრივი ნიშნის ცნება და მოდელი სამი განზომილებით ამოიწურება. ჩვენი გაგებით, სინტაქტიკიდან სემანტიკაზე, ხოლო სემანტიკიდან პრაგმატიკაზე გადასვლა არ უნდა ჩაითვალოს ფუნდამენტურ ძვრად ლინგვისტიკის ისტორიაში, ვინაიდან ჩვენ მაინც ვიმყოფებით ერთსა და იმავე კონცეპტუალურ სივრცეში - სამგანზომილებიანი ნიშნის ფარგლებში, მართალია იცვლება აქცენტები, მაგრამ იგივე რჩება ლინგვისტური თეორიის კონცეპტუალური საყრდენი. ხოლო ბარადოგმათა ცვლაზე შეიძლება ვილაპარაკოთ მაშინ, როცა იცვლება ამა თუ იმ მეცნიერების ფუნდამენტური, ძირეული პოსტულატები. თანამედროვე ლინგვისტური აზროვნება ეყრდნობა ნიშნის ცნებას: ლინგვისტური აზროვნების განვითარების წინა ეტაპზე განმსაზღვრელი იყო ნიშნის მნიშვნელობა (სემანტიკური ასპექტი), დღეს კი წინა პლანზეა გამოყენებითი ასპექტი. თეორიული ლინგვისტიკის ფუძემდებელი ვ. ჰუმბოლდტი ამბობდა: „ენა არის არა მკვდარი პროდუქტი, არამედ შემოქმედებითი პროცესი“. ჰუმბოლდტის ამ გამონათქვამში ჩანს, რომ მისთვის არაარსებითი იყო ის, რაც ასე მნიშვნელოვანია თანამედროვე ლინგვისტიკისათვის. როდის უნდა ვილაპარაკოთ

პარადიგმათა ცვლილებაზე - როცა გადავდივართ ერთი ასპექტიდან მეორეზე, თუ მაშინ, როცა შევეცდებით დავუბრუნდეთ ჰუმბოლდტის ფუნდამენტურ თეზისს და გავიაზრებთ ენას როგორც შემოქმედებით პროცესს? ჰუმბოლდტის მიხედვით, ენა არ უნდა გავიგოთ როგორც ნიშანთა სისტემა, როგორც კომუნიკაციის საშუალება. რას ნიშნავს ასეთ შემთხვევაში თანამედროვე კომუნიკაციური ლინგვისტიკის ანტინომიების გადალახვა? - ეს ნიშნავს იმას, რომ დავუბრუნდეთ ენის ჰუმბოლდტისეულ იდეას და მის საფუძველზე ავაგოთ ლინგვისტური აზროვნების ჭეშმარიტად ანთროპოლოგიური პარადიგმა და ავაგოთ იგი ისე, რომ მის ფარგლებში ერთდროულად შენარჩუნებული და გადალახული იყოს თანამედროვე ლინგვისტიკის და პირველ რიგში კომუნიკაციური ლინგვისტიკის მთელი კონცეპტუალური მონაბოფარი. რაკი ჩვენ ამ მიზნით მივმართეთ ანთროპოცენტრიზმს როგორც ლინგვისტურ პრინციპს, მაშინ ჩვენი მიზანი უნდა იყოს ამ პრინციპზე რეფლექსია, იმის გაგება, თუ რა იგულისხმება ამ პრინციპით თანამედროვე კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში და რა უნდა იგულისხმებოდეს ამ პრინციპით ჭეშმარიტად ანთროპოლოგიურ-შეიძლება ითქვას - ჰუმბოლდტისეულ-ლინგვისტიკაში.

უკვე აღვნიშნეთ, რომ პრობლემის ასე დასმა გულისხმობს ღიად, ექსპლიციტურად დაისვას კითხვა, რომელიც იმპლიციტურად ჩართულია ანთროპოცენტრიზმის ტერმინსა და ცნებაში: როგორ უნდა გვესმოდეს ადამიანი, თუ ან როცა იგი ექცევა ლინგვისტური აზროვნების ცენტრში? ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ეს არ უნდა გავიგოთ როგორც ლინგვისტური აზროვნების ასე ვთქვათ ძალდატანებითი „ფილოსოფიზაცია“, როგორც მხოლოდ ჩვენი სუბიექტური აზროვნების მიდრეკილებების გამოსატყვა, ეს რომ არის არა სუბიექტური ფილოსოფიზაცია, არამედ თეორიული ლინგვისტიკის შინაგანი მოთხოვნა, - ამის დასასაბუთებლად საკმარისია მივუთითოთ ლინგვისტური და საერთოდ ჰუმანიტარული აზროვნების განვითარების შემდგომ სამ ფაქტზე: თვით თანამედროვე ლინგვისტიკის

არსი და დინამიკა-ის ფაქტი, რომ თანამედროვე ლინგვისტიკა - რა თქმა უნდა, თუ ჩვენ მას თეორიული რეკონსტრუქციის პრიზმით დავინახავთ - არის გარკვეული მსოფლმხედველური პოზიციის დაკონკრეტება და რეალიზაცია. ე.ი. თუ ჩვენ გავაგრძელებთ თანამედროვე ლინგვისტური თეორიის რეკონსტრუქციას, იგი უნდა მდგომარეობდეს მის მსოფლმხედველურ რეკონსტრუქციაში: მხოლოდ მსოფლმხედველურ რეკონსტრუქციას შეუძლია რამდენადმე მაინც დაასრულოს თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების ადეკვატურად ინტერპრეტაციის პროცესი. თანამედროვე ლინგვისტური აზრი ეყრდნობა ნიშნის სამგანზომილებიან მოდელს. არ არის საკმარისი ითქვას, რომ ეს დინამიკა ვითარდება ამ ნიშნის ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ჭრილებში. აღსანიშნავია ისიც, რომ თანამედროვე ლინგვისტიკა არის გარკვეული მსოფლმხედველური კონცეფციის ლინგვისტური წარმოდგენა, ხოლო კავშირი თეორიულ ლინგვისტიკასა და ნაგულისხმევ მსოფლმხედველობით კონცეფციას შორის არის არანაკლებ ორგანული და არანაკლებ ლოგიკურად აუცილებელი, ვიდრე ვთქვათ, კავშირი ნიშნის თანამედროვე კონცეფციასა და თვით თეორიულ ლინგვისტიკას შორის. ანთროპოცენტრიზმის, როგორც ფუძემდებელი პრინციპის გააზრება უშუალოდ უკავშირდება თანამედროვე ლინგვისტიკის ამ მსოფლმხედველური საფუძვლის გარკვევას ანუ თანამედროვე ლინგვისტიკის მსოფლმხედველური რეკონსტრუქციის ამოცანას. ანთროპოცენტრიზმის კონცეპტუალური ვარიანტი, რომელსაც ეყრდნობა თანამედროვე კომუნიკაციური ლინგვისტიკა, მთლიანად არის დაკავშირებული თანამედროვე ლინგვისტიკის მსოფლმხედველურ საფუძველთან და თუ ჩვენ გვსურს, კომუნიკაციური ლინგვისტიკის ანტინომიათა გადალახვა და თუ ჩვენ გვსურს ჭეშმარიტად ჰუმბოლდტისეული ანთროპოლოგიური ლინგვისტიკის აგება, მაშინ ჩვენ უნდა მოვახდინოთ სწორედ ანთროპოცენტრიზმის როგორც პრინციპის ფუნდამენტური გადააზრება. მხოლოდ ამ შემთხვევაში აღვიქვამთ და გავიგებთ ენას არა როგორც „მკვდარ პროდუქტს“, არამედ როგორც, შემოქმედებით

პროცესს. ხოლო ენის როგორც შემოქმედებითი პროცესის წიაღში, მის ფარგლებში და საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია ავაგოთ ის, რაც არის ჩვენი საბოლოო მიზანი - კომუნიკაციური სამყარო, რომლის საფუძველზე ჩვენ უკვე შევძლებთ ენათა სიმრავლის ახლებურ, ჭკუმაართად ანთროპოცენტრისტულ ინტერპრენტაციას.

§ 4. ნომინოცენტრიზმი, ვერბოცენტრიზმი და ანთროპოცენტრიზმი თანამედროვე ლინგვისტიკაში

რას წარმოადგენს თანამედროვე ლინგვისტური ანთროპოცენტრიზმი და რას უნდა წარმოადგენდეს იგი, თუ ჩვენ მიზნად გვაქვს იმ ფუნდამენტური ანტინომიების გადალახვა, რომლებიც ახასიათებს თანამედროვე ლინგვისტურ აზროვნებას? ამ ანტინომიათა გადალახვის შედეგს უნდა წარმოადგენდეს ის განახლებული ლინგვისტური აზროვნება, რომელსაც ექნება არა მარტო განყენებული თეორიული და არა მარტო წმინდა ინსტრუმენტული (გამოყენებითი) მნიშვნელობა, არამედ ექნება დღევანდელი ადამიანისათვის არსებითი-ეგზისტენციალური-მნიშვნელობა. შეიძლება ჩვენ ავაგოთ ის, რასაც ჯერჯერობით პირობითად ვუწოდებთ კომუნიკაციურ სამყაროს, იმ სამყაროს, რომელიც წარმოშობს ენას, როგორც ადამიანურ ფენომენს და ენათა სიმრავლეს, როგორც დიალოგურ სამყაროს. ჩვენი ეს რეფლექსია თანამედროვე ლინგვისტურ ანთროპოცენტრიზმზე შეუძლებელი იქნება, თუ ჩვენ არ დავსვამთ კითხვას იმ ცნების შესახებ, რომელიც მთავარია ამ შემთხვევაში: ესაა ცნება ადამიანის შესახებ. როგორც უკვე ითქვა, პრობლემის ასეთი დასმა არ ნიშნავს ლინგვისტური აზროვნების ძალდატანებით ფილოსოფიზაციას, რადგან ლინგვისტური აზროვნება ექსპლიციტურად თუ არა, იმპლიციტურად მაინც უკვე ფილოსოფიზირებულია. თავისი არსებობის საუკუნენახევრის მანძილზე იგი მუდამ იყო და არის გარკვეული ფილოსოფიური პოზიციის არა უბრალო შედეგი (პროდუქცია), არამედ კონკრეტიზირება. თუ ჩვენ გამოვიყენებთ სიღრმისა და წყნების რეკონსტრუქციას უკვე

ცნობილ ცნებებს, შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ლინგვისტიკა თავისი დინამიკით წარმოადგენს გარკვეული მსოფლმხედველობითი პოზიციის ზედაპირს, ხოლო თვით ეს მსოფლმხედველობითი პოზიცია წარმოადგენს ამ ლინგვისტური აზროვნების და მთელი ამ მისი დინამიკის სიღრმეს. ჩვენი მიზანია ამ სიღრმის ექსპლიკაცია, ანუ მისი დანახვა ბოლომდე, რაც ნიშნავს იმას, რომ ჩვენ უნდა მივიყვანოთ ლოგიკურ ბოლომდე თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების ის თეორიული რეკონსტრუქცია, რომელზეც წინა პარაგრაფებში ვიმსჯელებთ.

თუ ჩვენ დავსვამთ კითხვებს:

- რას ნიშნავს, რომ ლინგვისტური აზროვნება მისწრაფოდა სიტყვიდან (წინადადების „გაფლით“) ტექსტისკენ?

- რას ნიშნავს, რომ სხვადასხვა დროს წამყვან სტატუსს იღებდა სინტაქტიკა, სემანტიკა და ამჟამად პრაგმატიკა? - და შევეცდებით ამ საკმაოდ რთულ კითხვებს გავცეთ ლაკონური პასუხი, მაშინ ეს პასუხი უნდა იყოს შემდეგი: ლინგვისტური აზროვნების ეს დინამიკა იყო და არის თანამედროვე მსოფლმხედვის იმ დინამიკის უშუალო ასახვა, რომლის მიხედვითაც სამყარო აღიქმებოდა უპირველესად ჯერ როგორც საგანთა ანუ სუბსტანციათა ერთობლიობა, შემდეგ როგორც ხდომილებათა ერთობლიობა, ხოლო შემდეგ, ამ მსოფლმხედველობის განვითარების უკვე მესამე ეტაპზე, ეს მსოფლმხედვა შეიცვალა, თუ შეიძლება ასე ითქვას, მხოლოდ ადამიანის ხედვით: მსოფლმხედველობით აზროვნების ყურადღების ცენტრში მოექცა არა საგნობრივად თუ ხდომილებრივად დანახული სამყარო, არამედ მხოლოდ და თვით **ადამიანი**. ეს ლაკონური პასუხი შეიძლება გაიშალოს და კომენტირებულ იქნას შემდეგნაირად: როცა ჩვენ ვლაპარაკობთ თანამედროვე მსოფლმხედვაზე და ამ მსოფლმხედვის დინამიკაზე, ვგულისხმობთ არა თანამედროვე მსოფლმხედვას მის მთლიანობაში, არამედ მხოლოდ იმ ასპექტს, იმ განზომილებას, რომელიც საფუძვლად ედო თანამედროვე ლინგვისტურ აზროვნებას და რომელსაც ეს აზროვნება უშუალოდ ასახავდა. თუ საქმის ვითარებას

რამდენადმე გავამარტივებთ, მაშინ უნდა ითქვას, რომ მხედველობაში გვაქვს პოზიტივისტური მსოფლხედვა, ე.ი. ის მსოფლხედვა, რომელიც არა სვამს საკითხს სამყაროსა და ადამიანის მეტაფიზიკური არსის შესახებ და რომელიც ცდილობს დაეყრდნოს მეცნიერებისა და გამოცდილების უშუალო მონაცემებს. ასეთმა მსოფლხედვამ ყველაზე უფრო თანმიმდევრული გამოხატულება პპოვა ლუდვიგ ვიტგენშტაინის ფილოსოფიაში. როგორ წარმოადგენს თანამედროვე ლინგვისტური აზროვნება ამ მსოფლხედვას?

პირველი ძვრა, რომელიც მოხდა თანამედროვე ლინგვისტურ აზროვნებაში - ეს იყო ჰორნიზონტალურ განზომილებაში სიტყვებიდან წინადადებაზე გადასვლა. ეს იყო ის ძვრა, რომლის შედეგადაც ლინგვისტიკაში დამკვიდრდა სინტაქსოცენტრიზმი, ე. ი. სინტაქსის ცენტრალური სტატუსი, როცა ენის ძირითად ერთეულად მიჩნეული იქნა არა სიტყვა, არამედ წინადადება, როცა წინადადება მიჩნეულ იქნა სრულ ნიშნად, ხოლო სიტყვა-არასრულ ნიშნად, როცა სიტყვასთან დაკავშირებული ყველა სტრუქტურული თუ სემანტიკური პრობლემა იხსნებოდა წინადადების საფუძველზე, წინადადების სტრუქტურიდან ამოსვლით, როცა სინტაქსოცენტრიზმი განვითარდა როგორც ვერბოცენტრიზმი, ანუ წინადადების სტრუქტურულ ცენტრად მიჩნეულ იქნა ზმნა. და ბოლოს, როცა სინტაქსურ აზროვნებაში წამყვანი გახდა სინტაქსური სემანტიკა. მთელი ეს კომპლექსი-სინტაქსოცენტრიზმი, ვერბოცენტრიზმი და სინტაქსური სემანტიკის წინა პლანზე გამოსვლა-იყო უშუალო გამოხატულება იმისა, რომ ჩვენს მიერ აღნიშნული პირველი ეტაპი შეცვალა მეორემ, ანუ სამყარო დანახულ იქნა არა როგორც საგანთა ანუ სუბსტანციათა ერთობლიობა, არამედ ხდომილებათა ერთობლიობა.

რას ნიშნავს სინტაქსოცენტრიზმი? დაახლოებით 20 წლის წინ ყოველი ლინგვისტური პოზიცია ფუძნდებოდა სინტაქსოცენტრიზმზე დაყრდნობით. მთავარია წინადადება, წინადადება სრული ნიშანია და სიტყვა მისი ელემენტი, არასრული ნიშანია. ყველაფერი, რაც სიტყვას ახასიათებს, გამომდინარეობს წინადადების სტრუქტურიდან. სინტაქსოცენტრიზმი იყო მხოლოდ პირველი ნაბიჯი,

მიმართული იმისაკენ, რომ დამკვიდრებულყო ის, რასაც ეწოდება სინტაქსური სემანტიკა. თუ ლინგვისტური აზროვნების ამ ეტაპს განვიხილავთ კონცენტრირებულად, მაშინ გვეჩვენება ასეთი ნაბიჯები: სინტაქსოცენტრიზმი, ვერბოცენტრიზმი და შემდგომ წინადადების სემანტიკური ხედვა. თუ წინადადება აღიქმება როგორც ნიშანი, მას უნდა ჰქონდეს სიგნიფიკატი და დენოტატი, ე. ი. თუ წინადადება ნიშანია და მას აქვს სიგნიფიკატი, მაშინ მას უნდა ჰქონდეს ტიპები და არსებობდეს ამ სიგნიფიკატთა ტიპოლოგია. ეს ტიპოლოგია, რომელიც შემოიტანა სინტაქსურმა სემანტიკამ, განსხვავდება ადრინდელისაგან (მარტივი და რთული წინადადება და ა. შ.). ამ სამი ნაბიჯით ხდებოდა რაღაც ერთი ძეგრა, რაში მდგომარეობდა იგი? ეს რამდენადმე ჩანს უკვე იქიდან, რომ სამყარო დანახულ იქნა როგორც ხდომილებათა ერთობლიობა: სამყაროს სტატიკური ხედვა შეიცვალა დინამიკური ხედვით (ხდომილებათა ფაქტთა) ხედვით. რატომ მოხდა, რომ ლინგვისტურ, ან უფრო სწორად, სინტაქსურ აზროვნებაში, მოხდა შემდეგი ცვლილება: რეფორმატსკის სახელმძღვანელოში, როცა ლაპარაკია წინადადებაზე, ძირითად ცნებად აღებულია სინტაგმის ცნება: წინადადება აღქმულია როგორც სინტაგმათა (პრედიკატულ და ატრიბუტულ, სადაც გვაქვს საზღვრული და მსაზღვრელი) კომბინაცია. ერთადერთი წევრი, რომელიც არის მხოლოდ საზღვრული, რომელიც თვითონ არ განსაზღვრავს - არის ქვემდებარე (რეფორმატსკის სიტყვებით, აბსოლუტური საზღვრული). ყველა დანარჩენი წევრი არსებობს იმისთვის, რომ განსაზღვროს ქვემდებარე - ამიტომ იგი მთავარი წევრია. ესაა ნომინოცენტრული ხედვა. რატომ შეიცვალა იგი ვერბოცენტრულით? სწორედ იმიტომ, რომ შეიცვალა თვით მსოფლხედვა, რომლის უშუალო გამოხატულებას მუდამ წარმოადგენდა და წარმოადგენს ლინგვისტური აზროვნება. როცა სამყარო არის სუბსტანციათა ერთობლიობა, მაშინ ყოველი წინადადება საბოლოო ანგარიშში უნდა იყოს რომელიღაც სუბსტანციის წარმოდგენა. პრედიკაციის ფუნქციონირება არის რომელიმე სუბსტანციის ისეთი განსაზღვრა, რომელიც ატარებს დასრულებულ აზრს. ე. ი. ყოველი

წინადადება ამიტომაც აღიქმებოდა როგორც ლოგიკური მსჯელობის ანარეკლი. ნომინოცენტრული ხედვა იყო ანარეკლი ისეთი მსოფლხედვისა, როცა სამყარო წარმოგვიდგება როგორც სუბსტანციათა ერთობლიობა.

თავი II

ლ. ვიტგენშტაინის ფილოსოფია და ლინგვისტური ტრანსცენდენტალიზმი

§ 1. ლ. ვიტგენშტაინის ფილოსოფია როგორც თანამედროვე ლინგვისტიკის მსოფლმხედველური საფუძველი და ანთროპოცენტრიზმი

როგორც უკვე აღინიშნა, თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების დინამიკა წარმოადგენს იმ მსოფლმხედველური დინამიკის მიზნისმიერ მოვლენას, რომელიც არსებითად დამახასიათებელია XX საუკუნისათვის. თუ ჩვენ გამოვიყენებთ თანამედროვე ლინგვისტიკის ცნებით აპარატს და გადავიტანთ მას ხსენებულ კონტექსტში, მაშინ შეიძლება ვთქვათ, რომ ლინგვისტური აზრის დინამიკასა და ხსენებულ მსოფლმხედველურ დინამიკას შორის გვაქვს სიღრმისა და ზედაპირის ურთიერთმიმართება, ანუ თანამედროვე ლინგვისტიკა დინამიკაში ესაა თანამედროვე მსოფლმხედველობის დინამიკა, წარმოდგენილი ლინგვისტიკის როგორც მეცნიერების სახით. როცა ამ ორი დინამიკის სიღრმისეულ ურთიერთმიმართებას ასე განვსაზღვრავთ, ხაზი უნდა გავუსვავთ შემდეგ ფაქტსაც: ლაპარაკია არა XX საუკუნის მსოფლმხედველობით კომპლექსზე მის მთლიანობაში, არამედ პოზიტივისტური და ტრანსცენდენტალისტური მსოფლმხედველობის იმ განშტოებაზე, რომელიც ყველაზე უფრო რელიეფურად ლუდვიგ ვიტგენშტაინის შემოქმედებაში იყო წარმოდგენილი, სახელდობრ მის ორ ძირითად ნაშრომში: „ლოგიკური ფილოსოფიური ტრაქტატი“ და „ფილოსოფიური გამოკვლევები.“ თამამად შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების ის დინამიკა, რომლის კონცეპტუალურ მოდელურ საფუძველს წარმოადგენს ნიშნის ცნობილი სამგანზომილებიანი მოდელი, არის სწორედ ამ ფილოსოფიის ლინგვისტური რეპრეზენტაცია. როდესაც ვამბობთ რეპრეზენტაცია,

ვგულისხმობთ სიღრმისა და ზედაპირის მიმართებას, რომლის გასაგებადაც აუცილებელია ტრანსფორმაციის ცნება. შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ თანამედროვე ლინგვისტიკა არის ლ.ვიტგენშტაინის ფილოსოფიის კონცეპტუალური ტრანსფორმაციის შედეგად მიღებული სისტემა. თანამედროვე ლინგვისტიკის ის თეორიული რეკონსტრუქცია, რომელიც ჩვენ წამოვიწყეთ, ვერ იქნება სრული, იგი მოკლებული იქნება თავის ჭეშმარიტ საფუძველს, თუ ჩვენ ვერ გავერკვევით ხსენებულ მიმართებაში. მაგრამ არ უნდა დაგვაფიწყდეს ისიც, რომ XX საუკუნის მსოფლმხედველური კომპლექსი შეიცავს არა მარტო იმ პოზიტივისტურ ნაკადს, რომელიც საფუძვლად დაედო თანამედროვე ლინგვისტიკას, არამედ ისეთ მსოფლმხედველურ ნაკადებსაც, როგორიცაა პირველ რიგში თანამედროვე ეგზისტენციალიზმი (ტერმინი პირობითია) - ვგულისხმობთ იმ ფილოსოფიური აზროვნების ნაკადს, რომელშიც „ეგზისტენცია“ ასრულებს ცენტრალურ როლს, ხოლო შემდეგ - თეოლოგიურ-კოსმოლოგიური ნაკადი. რატომღაც საჭირო თანამედროვე მსოფლმხედველური კომპლექსის სტრუქტურის ამგვარი, რამდენადმე სრული მოხაზვა? თუ თანამედროვე ლინგვისტიკა არის გარკვეული მსოფლმხედველური ფილოსოფიური პოზიციის წარმოდგენა-რეპრეზენტაცია და თუ აქედან გამომდინარე, ჩვენ ჩავთვლით, თუნდაც ზოგადი პოსტულატის სახით, რომ ლინგვისტური აზროვნება გარდუვალად უნდა იყოს გარკვეული მსოფლმხედველური პოზიციის რეპრეზენტაცია, მაშინ ასევე გარდუვალად უნდა დაისვას კითხვა: ხომ არ გულისხმობს ჭეშმარიტად ანთროპოლოგიური ლინგვისტიკის აგება (ხოლო ამგვარი ლინგვისტიკის აგების შესაძლებლობა და აუცილებლობაც მინიშნებულია თანამედროვე ლინგვისტიკის ანთროპოცენტრიზმით) პირველ რიგში შესაბამისი მსოფლმხედველურ-ფილოსოფიური საფუძვლისა თუ პოზიციის მოზიდვას? და თუ ეს გამართლებულია, მაშინ რა მიმართებაში უნდა იყოს ანთროპოლოგიური ანუ ანთროპოცენტრისტული ლინგვისტიკა ისეთ მსოფლმხედველურ - ფილოსოფიურ პოზიციებთან, რომლებსაც პირობითად ვუწოდებთ ეგზისტენციალური თუ თეოლოგიურ-კოსმოლოგიური? ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტსაც, რომ

ხსენებული ფილოსოფიურ - მსოფლმხედველური პოზიციების ფარგლებშიც ენის ფენომენი მიჩნეულია ადამიანურობის როგორც ფენომენის განმსაზღვრელ ფაქტორად. თუ კითხვა „რა არის ენა და როგორია მისი სტრუქტურა?“ უშუალოდ არის დაკავშირებული კითხვასთან „რა არის ადამიანი და როგორია მისი სტრუქტურა?“ (სწორედ ამას გულისხმობს ანთროპოცენტრიზმი), მაშინ ჩვენ თავიდანვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ უკანასკნელ კითხვაზე სხვადასხვა მსოფლმხედველურ პოზიციათა ფარგლებში განსხვავებულ პასუხს ვიღებთ.

დავუბრუნდეთ საკითხს, თუ როგორ ხდებოდა ვიტგენშტაინისეული ფილოსოფიური პოზიციის ტრანსფორმაცია თანამედროვე ლინგვისტიკაში. ჩვენ ვნახეთ, თუ როგორ მოხდა XX საუკუნის ლინგვისტიკაში ნომინოცენტრიზმიდან ვერბოცენტრიზმზე გადასვლა და როგორ შეიცვალა სახელის ცენტრალური სტატუსი ზმნის ცენტრალური სტატუსით როგორც წინადადების, ისე მთელი ენობრივი სისტემის ფარგლებში. ეს ძვრა ლინგვისტურ აზროვნებაში იყო გარკვეული მსოფლმხედველური ძვრის უშუალო ანარეკლი. ხოლო თვით ეს მსოფლმხედველური ძვრა მდგომარეობდა იმაში, რომ თუ დაახლოებით XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე სამყარო აღიქმებოდა როგორც საგანთა თუ სუბსტანციათა ერთობლიობა, ხოლო ლინგვისტური ნომინოცენტრიზმი იყო ამ აღქმის უშუალო გამომხატველობა, შემდგომ სამყარო აღქმულ იქნა უკვე როგორც ხდომილებათა თუ აქტთა ერთობლიობა. ლ. ვიტგენშტაინის „ლოგიკურ-ფილოსოფიური ტრაქტატი“ პირველივე სტრიქონები გვამცნობენ ამ ძვრას თანამედროვე ადამიანის მიერ სამყაროს აღქმაში. ეს შრომა იწყება შემდეგი სტრიქონებით: „სამყარო არის ის ყველაფერი, რაც ხდება“ („Die Welt ist alles, was der Fall“) (69; 11), ხოლო შემდეგ ნათქვამია უფრო მკაფიოდ, რომ „სამყარო არის ხდომილებათა და ფაქტთა, და არა საგანთა ერთობლიობა. სამყარო იშლება არა საგნებად, არამედ აქტებად“ ეს გამონათქვამი შეიცავს როგორც უარყოფას, ისე მტკიცებას - უარყოფილია სამყაროს საგნობრივი ხედვა და ხდება

სამყაროს ხდომილებრივი ხედვა. ამ პოზიციის მიხედვით სამყარო არის ხდომილებათა, ანუ უსასრულო ხდომილებათა ერთობლიობა. ყოველი ხდომილება შეიძლება იყოს მარტივი (არ იშლებოდეს სხვა ხდომილებებად), ატომარული და მოლეკულარული. რა უნდა ჩაითვალოს ყოველი ხდომილების ძირითად განმსაზღვრელ ნიშნებად? პირველ რიგში (რაკი საქმე გვაქვს არა სუბსტანციასთან, არამედ ფაქტთან, ხდომილებასთან) ხდომილებისთვის აუცილებელი უნდა იყოს დროითი (ტემპორალური) განზომილებანი. სწორედ ამას ნიშნავს სტატიკური ხედვიდან დინამიურზე გადასვლა. მაგრამ ყოველი ფაქტი, ყოველი ხდომილება არის ამავე დროს საგანთა, სუბსტანციათა ერთობლიობა. მაშინ ყოველი ხდომილება, დროული განზომილების გარდა, გულისხმობს ამ ხდომილების მონაწილეებს, რომელთა გარეშეც ხდომილება შეუძლებელია. როდესაც ლინგვისტური აზროვნება ნომინოცენტრიზმიდან ვერბოცენტრიზმზე გადავიდა, ამით მან შეუცნობლად თუ გაცნობიერებულად, თანამედროვე ლოგიკასთან ერთად თავის საფუძვლად მიიღო ჩვენს მიერ უკვე ხსენებული სამყაროს დინამიური ხედვა. სინტაქსური სემანტიკა სხვა არაფერია, თუ არა ამ მსოფლხედვის ლინგვისტური გამოხატვა. როდესაც ლუსიენ ტენიერმა თქვა, რომ „წინადადება - ესაა პატარა დრამა, რომლის მონაწილენი არიან ზმნის გარშემო შემოკრებილი აქტანტები“, მან ამით გამოხატა სწორედ ვიტგენშტაინისეული მსოფლხედვა.

§ 2. თანამედროვე ლინგვისტიკის „ვეოცენტრისტული“ ორიენტაცია და ანთროპოცენტრიზმი

ანთროპოცენტრიზმი - აზროვნების ისეთი ორიენტაცია, როდესაც ყურადღების ცენტრში ადამიანია. ანთროპოცენტრისტული შეიძლება იყოს ყველა ჰუმანიტარული მეცნიერება. ანთროპოცენტრიზმი შეიძლება გავიზაროთ

როგორც მეცნიერული პრინციპი.
ანთროპოცენტრისტული ხდება
თვით ფიზიკური კოსმოლოგია.

ფსიქოლოგიზმი როგორც ჰუმანიტარული აზროვნების შესაძლო მიმართულება აღიარებულია დღეს როგორც აზროვნების დაქვეითების უტყუარი მაჩვენებელი. ასეთი ანტიფსიქოლოგისტური პოზიცია გამოვლენილ იქნა ლოგიკის თეორიულ გააზრებაში. საკითხი ასე იდგა: რას წარმოადგენს აზროვნების ლოგიკური ფორმები? წარმოადგენს ისინი მხოლოდ ადამიანის ფსიქიკის მონაცემებს, აქვთ მათ წმინდა სუბიექტივისტური ფორმულირება თუ ლოგიკურ კანონებს აქვთ სინამდვილისეული ანუ ონტოლოგიური ღირებულება? თავისი არსით ლოგიკის მიერ შესწავლილი აზროვნების ფორმები და კანონები ონტოლოგიური, ობიექტური სტრუქტურის მატარებელი არიან, თუმცა ეს კანონები ჩვენს აზროვნებაში ფსიქოლოგიურ ფორმას იძენენ.

როცა ვლაპარაკობთ ანთროპოცენტრიზმზე, როგორ გვესმის „ეგოცენტრიზმი“ (ბენვენისტი) - ფსიქოლოგიურად თუ არაფსიქოლოგიურად? არსებობის ცნება „ეგო“-ს ისეთი გაგება, რომ იგი არის განზოგადებული „მე“-ები. იგი ფსიქოლოგიური სუბიექტის მატარებელია. ი.კანტის „ეგო“ - ტრანსცენდენტალურია. „ეგო“-ს გააზრების ეს დონე უკვე სცილდება თვით ადამიანის როგორც კონკრეტული არსების დონეს.

როდესაც ვლაპარაკობთ ეგოცენტრიზმზე როგორც ანთროპოცენტრიზმის ვარიანტზე - ეს არ არის ერთგვარი შესაძლო არგუმენტი იმის წინააღმდეგ, რომ ორი ცნება გაფაიფივოთ. თავდაპირველად „ეგოცენტრიზმი“ ფსიქოლოგიურად გააზრებულ ეგო-ს გულისხმობდა. „ეგოცენტრიზმის“ შემოტანით ებენვენისტმა დასვა საკითხი ნაცვალსაზღვლის თაობაზე. „მე“ უჩვენებს, რომ სამეტყველო აქტის დროს ენა „მიითვისა მოლაპარაკემ“, „შენ“ - ვისაც ვლაპარაკებთან. (ფსიქოლოგიურობა - ადამიანის ერთ-ერთი განზომილებება).

აღამიანი შეიძლება განვიხილოთ რეგიონალურად - ფსიქოლოგიურად, სოციალურად (ე. ი. სხვადასხვა ასპექტით), იურიდიულად, ანატომიურად. აგრეთვე შეიძლება ვილაპარაკოთ სუპრარეგიონალურ დონეზე - როდესაც აღამიანს განვიხილავთ მისი მთლიანობის თვალსაზრისით.

როგორი შინაარსი უნდა ჰქონდეს ლინგვისტურ ანთროპოცენრიზმს - რეგიონალური თუ სუპრარეგიონალური? თუ რეგიონალური - მაშინ ეს შინაარსი უნდა იყოს ფსიქოლოგიური, ლოგიკური, სოციალური და ა.შ. ენობრივი ნიშნის კვლევის საშუალებანი - სინტაქსური → სემანტიკური → პრაგმატული იყო ჰორიზანტული მიმართულება. მეორე - ენობრივი დონეების მიხედვით - ვერტიკალური მიმართულებაა. დღევანდელი ეტაპი - ტექსტოცენტრიზმის ეტაპია.

ეს ორი მოძრაობა ერთმანეთს შეხვდა და ამ შეხვედრის წერტილში გადაიკვეთა ტექსტი და პრაგმატიკა.

ანთროპოცენტრიზმი იქცა ცენტრალურ პრინციპად, როცა ეს ორი საპირისპირო მოძრაობა ერთმანეთს შეხვდა და ექსტენსიონალურად ერთმანეთს დაეშთხვა.

ლინგვისტურ აზროვნებაში მოხდა ის, რომ ენა დაუბრუნდა თავის ონტოლოგიურ წყაროს - აღამიანს. ენა პოტენციურად ეკუთვნის ეგო-ს.

მაგრამ როგორ აღიქმება ეს „ეგო“? - რეგიონალურად თუ სუპრარეგიონალურად?

§ 3. თანამედროვე ლინგვისტური აზროვნება როგორც ლინგვისტური ტრანსცენდენტალიზმი

ჩვენ განვიხილეთ ორმხრივი მოძრაობა ლინგვისტური აზროვნებისა: სიტყვიდან ტექსტისაკენ - სემიოტიკიდან - პრაგმატიკამდე. აგრეთვე - თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების საფუძველი - ანთროპოცენტრიზმი.

ლინგვისტური აზროვნების თეორიული რეკონსტრუქცია მიმართულია მისი სიღრმისაკენ. ესაა გარკვეული ფილოსოფიური აზროვნების რეპრეზენტაცია. თუ გამოვიყენებთ „ზედაპირისა“ და სიღრმის ტერმინებს და მოვასხდნეთ მათ ტრანსპოზიციას მეთოდოლოგიურ სივრცეში, მაშინ თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების მსოფლმხედველურ საფუძველს შეიძლება გუწოდოთ თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების სიღრმე, ამ შემთხვევაში სრული ანალოგია გვაქვს ცნებების „ზედაპირის“ - „სიღრმის“ გამოყენებაში. ტრანსფორმაციული გრამატიკის მიხედვით მეტყველებაში რეალიზებული წინადადება არის ზედაპირული სტრუქტურა, და როგორც ასეთი, იგი წარმოადგენს რომელიღაც სიღრმისეული სტრუქტურის ტრანსფორმს და ამ თვალსაზრისით რეალურ მეტყველებაში მოცემული ყოველი წინადადება შეიძლება მეტ-ნაკლებად დაშორებული იყოს შესაბამისი სიღრმისეული სტრუქტურისაგან. რეპრეზენტაცია ერთ შემთხვევაში ლოგიკური ენითაა ნათქვამი, მეორეში - ლინგვისტურით. რაში მდგომარეობს ასეთი თანხვედრის არსი? ვიტგენშტაინის ნაშრომებში („ლოგიკურ - ფილოსოფიური ტრაქტატი“, „ფილოსოფიური ნარკვევები“) მოცემულია კომუნიკაციური ლინგვისტიკის სათავეები. კავშირი ვიტგენშტაინის მსოფლმხედველობასა და ლინგვისტურ აზროვნებას შორის არ უნდა გავიგოთ ტრიფიალურად. ეს არ არის განპირობების უბრალო მიმართება. ამ ორ აზრობრივ ნაკადს შორის მიმართება ბევრად უფრო ორგანულია, „ინტიმურია“, რაც არ

უნდა გავიგოთ როგორც ერთი და იმავე აზრის ორგვარი რეპრეზენტაცია. ასეთ არატრივიალურ გაგებას თავისი ახსნა აქვს როგორც მსოფლმხედველობაში ისე ლინგვისტურ აზროვნებაში.

კითხვაზე: როგორი შინაარსით უნდა შევავსოთ ანთროპოცენტრიზმი? რეგიონალურად თუ სუპრარეგიონალურად? ამ კითხვაზე პასუხის გაცემის შესაძლებლობა აუცილებლად გულისხმობს იმას, რომ პირველ რიგში ჩვენ უნდა გავერკვეთ ვიტგენშტაინისეული მსოფლმხედველური აზროვნებისა და თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების ნომინაციურ - კომუნიკაციური მიმართების არატრივიალურობაში.

ტრადიციულად (და ეს ტრადიცია აისახა ლინგვისტურ ნომინოცენტრიზმშიც) სამყაროს სტრუქტურა განისაზღვრებოდა იმის მიხედვით, თუ როგორ აისახებოდა ეს სტრუქტურა აზროვნებაში და სახელდობრ, ისეთ სააზროვნო სტრუქტურაში, როგორიც იყო ცნება, მსჯელობა და დასკვნა. იმისდა მიხედვით, თუ როგორი იყო ძირითადი ამოსავალი მსოფლმხედველური პოზიცია, ეს სააზროვნო სტრუქტურები აღიქმებოდნენ ან როგორც სამყაროს ობიექტურად არსებული სტრუქტურების სუბიექტური ასახვა ან როგორც თვით სამყაროზე ადამიანისათვის სპეციფიკური სააზროვნო სტრუქტურების პროეცირება (ფილოსოფიური ტრანსცენდენტალიზმი): არსებობს სამყარო როგორც „ნივთი თავისთავად“ და მასზე ხდება ადამიანის სტრუქტურების პროეცირება. ყველა შემეცნებელი სუბიექტისათვის ეს სააზროვნო სტრუქტურები იდენტურია (მაგ, დროისა და სივრცის ფორმები).

რა მოხდა XX საუკუნეში და რამ განსაზღვრა სწორედ ის, რასაც გუწოდებთ ვიტგენშტაინის მსოფლმხედველურ აზროვნებას და მის არატრივიალურ მიმართებას ლინგვისტურ აზროვნებასთან? ერთი ეტაპი შეიცვალა მეორით: თუ წინა ეტაპზე სამყაროზე (უფრო ზუსტად, ობიექტურად არსებულზე) ხდებოდა იმ

აზროვნებითი სტრუქტურების პროექცირება, რომელთა ბუნება ლოგიკურია და რომლებსაც ლოგიკა (ძალიან ფართო გაგებით - ტრანსცენდენტალური ლოგიკა) შეისწავლის, ვიტგენშტაინისეულ ეტაპზე იმავე ობიექტურად არსებულ სამყაროზე ხდება უკვე ენობრივი სტრუქტურების პროექცირება, რაკი გვაქვს პროექცირება, რაკი სამყაროზე შეგვიძლია ლაპარაკი მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი მოცემულია ადამიანისათვის, ჩვენი ეგო-სთვის მხოლოდ ადამიანურ სტრუქტურებში, ამდენად გვაქვს ტრანსცენდენტალიზმი. მაგრამ თუ პირველ, კანტისეულ ეტაპზე, ეს იყო ლოგიკური სტრუქტურები და მათი პროექცირება ხდებოდა სამყაროზე, ამჯერად ამ ლოგიკური სტრუქტურების ადგილი დაიკავა ენობრივმა სტრუქტურებმა. ე.ი. ეს არის ტრანსცენდენტალიზმის ენობრივი ეტაპი. სამყარო ჩვენთვის არის ისეთი, როგორც იგი მოცემულია ენაში. სხვა სამყარო ჩვენ არ ვიცით. ამიტომ, ერთის მხრივ, ის, რასაც ჩვენ გვეუბნება ლინგვისტიკა, შეუძლებელია არ სცილდებოდეს ლინგვისტიკის ფარგლებს. ყველაფერი ის, რაც ითქმის ენის სტრუქტურაზე (ეს ლინგვისტიკის ამოცანაა), ითქმის ამავე დროს სამყაროს სტრუქტურაზე, არ შეიძლება არ იყოს უნივერსალურ - მეცნიერული მნიშვნელობისა.

ე. ი. თანამედროვე ლინგვისტიკა ისეთია, როგორიც არის შესაბამისი მსოფლმხედველური აზროვნება, და ამავე დროს თავად ლინგვისტიკა წარმოადგენს ამ მსოფლმხედველური აზროვნების რეპრეზენტაცია - „გაგრძელებას“. ე. ი. მედლის ამ ორ მხარეს შორის ზღვარი მხოლოდ პირობითია.

§4. ლინგვისტური ტრანსცენდენტალიზმი და პროპოზიციის ცნება თანამედროვე ლინგვისტიკაში

ჩვენ შევჩერდით იმ მიმართებაზე, რომელიც არსებობდა და არსებობს XX საუკუნის ლინგვისტიკასა და იმ მსოფლმხედველურ ნაკადს შორის, რომელიც ამ ლინგვისტიკას უდევს საფუძვლად.

როგორი რეგიონალური შინაარსით უნდა შეიფასოს ლინგვისტური ანთროპოცენტრიზმი, თუ ჩვენ მას როგორც პრინციპს მივიღებთ და ჩავთვლით თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების ცენტრალურ პრინციპად? ჩვენ გვექონდა ღაპარაკი თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების იმ ანტინომიებზე, რომლებიც დაკავშირებულია ლინგვისტური აზროვნების მოძრაობასთან სამკანზომილებიანი ნიშნის სიურცეში. ჩვენ შეგვიძლია მოვახდინოთ რიგით მესამე, მაგრამ მნიშვნელობით პირველი, ძირითადი ანტინომიის ფორმულირება, რომელიც ახასიათებს თანამედროვე ლინგვისტურ აზროვნებას და იმანენტურია ამ აზროვნებისათვის. ჩვენ ვიღაპარაკებთ ისეთ ანტინომიაზე, რომელიც მოიცავს მთელ ლინგვისტურ აზროვნებას და მისი მნიშვნელობა იმდენად მთლიანური და გლობალურია, რომ მასში ერთიანდება ამ აზროვნების ყველა მიმართულება და ბუნებრივია, რომ ასეთი იყოს, რადგან იგი დაკავშირებულია ანთროპოცენტრიზმთან. რაში მდგომარეობს ეს ანტინომია? - ე. ი. ლინგვისტური აზროვნების ის იმანენტური წინააღმდეგობა, რომელიც მეტყველებს, ერთი მხრივ, ლინგვისტური აზროვნების გარკვეული ეპოქის, ვთქვათ სემიოტიკური ეპოქის ლოგიკურ დასასრულამდე მისვლაზე, ხოლო მეორეს მხრივ, ლინგვისტური აზროვნების რადიკალურ განახლებაზე. ამ შემთხვევაში, ჩვენ ვახდენთ მოცემული მეცნიერებისათვის დამახასიათებელ იმ ძირითადი ანტინომიის განმარტებას, რომელიც შეიძლება დამახასიათებელი იყოს ყველა მეცნიერებისათვის. რაში მდგომარეობს ეს ანტინომია?

ერთი მხრივ ლინგვისტური აზროვნება მივიდა ენის, ენობრივი სისტემის ონტოლოგიურ წყაროსთან. თითქოს ცხადია, რომ ენა არ არსებობს ადამიანის გარეშე, მაგრამ ამ უბრალო კონსტატაციის მეცნიერულ დონედ ქცევას ლინგვისტიკამ მოანდომა მთელი საუკუნე. საბოლოო ანგარიშში სწორედ ეს ფაქტი - ადამიანთან როგორც სუბიექტთან მისვლა - არის პორიზონტალურ და ვერტიკალურ ჭრილში მოძრაობის საბოლოო შედეგი: სულერთია, ვილაპარაკებთ სიტყვიდან წინადადებამდე მისვლაზე თუ წინადადებიდან ტექსტამდე - საბოლოო ჯამში ეს არის სწორედ ანთროპოცენტრიზმი, ენობრივი სისტემის მის ონტოლოგიურ წყაროსთან დაკავშირება. მაგრამ, მეორეს მხრივ, ეს ანთროპოცენტრიზმი იმ სახით, რომლითაც იგი არსებობს თანამედროვე - პირველ რიგში კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში, სულ უფრო და უფრო ავლენს თავის ფსიქოლოგისტურ შინაარსს. ის „ანთროპოსი“, ის სუბიექტი, რომელსაც როგორც ონტოლოგიურ წყაროს უბრუნდება ენობრივი სისტემა, გამოიყურება როგორც ფსიქოლოგიურად, ისე სოციოფსიქოლოგიურად გააზრებული „ego“. ჩვენ ვთქვით, რომ ვახდენთ თანამედროვე ჰუმანიტარული აზროვნების ერთ-ერთი ძირითადი გამოცდილების რეზუმირებას. ფსიქოლოგიაში ანუ ადამიანისათვის დამახასიათებელი ძირითადი ატრიბუტებისა და სტრუქტურების დაყვანა ფსიქიკურ და მხოლოდ ფსიქიკურ შინაარსამდე, მუდამ აღიქმებოდა როგორც ამ აზროვნების, იმ ჰუმანიტარული აზროვნების (სულ ერთია, იქნებოდა ლაპარაკი ლოგიკაზე, ესთეტიკაზე თუ სოციოლოგიაზე) დაქვეითების ნიშნამდე, ვინაიდან ყველა შემთხვევაში ხდება ადამიანის, მისი აზროვნების დაშორება, მოწყვეტა უნივერსალურ - სამყაროსეული სინამდვილისაგან. ენა არის ადამიანის უნივერსალური, მისთვის გლობალური მნიშვნელობის მქონე ატრიბუტი - უნივერსალური როგორც დროში, ისე სივრცეში. და თუ ჩვენ მას დავუდებთ საფუძვლად ფსიქოლოგისტურად გაგებულ ანთროპოცენტრიზმს, მაშინ ის

ერთი შეხედვით უაღრესად პოზიტიური ფაქტი, რომ ლინგვისტური აზროვნება დაუბრუნდა ენობრივი სისტემის ონტოლოგიურ წყაროს, მიიღებს უკვე არა პოზიტიურ, არამედ ნეგატიურ შინაარსს. შეიძლება ითქვას, რომ ამ შემთხვევაში მოხდება ძველი ნეოგრამატიკული ფსიქოლოგიზმის აღდგენა ახალ დონეზე და ახალ ნიადაგზე. და აი ეს ფსიქოლოგისტური ანუ ნეოფსიქოლოგისტური ანთროპო-ცენტრიზმი არის ამ აზრობრივი განვითარების შედეგი, პროდუქტი. თუ ჩვენ ამ აზრობრივ დინამიკას არ დავუკავშირებთ ლინგვისტიკის ვიტგენშტაინისეულ თეორიას, თუ არ მოვახდენთ მის სიღრმისეულ რეკონსტრუქციას, მაშინ შეუძლებელი იქნება ანთროპოცენტრიზმის როგორც პრინციპის განახლებული შინაარსით შევსება. ამიტომ დაეუბრუნდეთ ლინგვისტური აზროვნების დინამიკის იმ მომენტს, როცა ნომინოცენტრიზმი შეცვალა ვერბოცენტრიზმმა, ეს იყო ის მომენტი, როდესაც, შეიძლება ითქვას, სცენაზე გამოვიდა ტრანსცენდენტალიზმის ენობრივი, ლინგვისტური ვარიანტი. ის აზრობრივი სტრუქტურები, რომელთა პროექცირებაც ხდება სამყაროზე, წარმოადგენენ ენობრივ სტრუქტურებს. სამყარო ისეთია, როგორადაც იგი აქტიურად ასახულია ენაში. სამყარო არის ხდომილებათა ერთობლიობა, ანუ როგორც ვიტგენშტაინი ამბობს, სამყარო იშლება ხდომილებებად. სამყაროს ასეთი ლინგვისტურ - ტრანსცენდენტალისტური ხედვა არის ის, რაც საფუძლად უდევს ნომინაციურ ლინგვისტიკას. ამიტომაც არის აუცილებელი, რომ ჩვენ მივყვეთ ბოლომდე ნომინაციური ლინგვისტიკის საყრდენ მომენტებს. პირველი, რაც უნდა ითქვას და რასაც არასოდეს არ ამბობს ლინგვისტური თეორია, მაგრამ რაც იმანენტურია, შინაგანად ორგანულად დამახასიათებელია იმ მსოფლმხედველობისათვის, რომელიც მას საფუძვლად უდევს, არის თვით სამყაროს ატომისტურ - ანალიზური ხედვა. ე. ი. სამყარო არის ხდომილებათა ერთობლიობა. ყოველი ხდომილება შეიძლება იყოს მარტივი, (ატომარული), რომელიც არ იშლება, და მოლექულარული, შედარებით

რთული. ავიღოთ ორი წინადადება: „ბავშვი თამაშობს“ და „ბავშვი თამაშობს ოთახში“. ორი ასეთი წინადადება გვეუბნება სწორედ იმას, რომ (გარდა იმისა, რომ წინადადება არის, სიტყვისაგან განსხვავებით, სრული ნიშანი და რომ ლექსიკური ნომინაციის გარდა არსებობს სინტაქსური ნომინაცია) სინტაქსური ნომინაცია ლექსიკური ნომინაციისაგან განსხვავდება იმით, რომ სიტყვა - ლექსემა ასახელებს სინამდვილის რომელიღაც ცალკეულ სეგმენტს, წინადადება კი ასახელებს მთლიანად სიტუაციას - ხდომილებას. ეს მტკიცებანი უინაგანად აფორმებს ნომინაციურ ლინგვისტიკას, რომელიც შეუძლებელი იქნებოდა, თუ არ გვექნებოდა ნიშნის ცნების გადატანა სიტყვიდან წინადადებაზე, ე. ი. არ გვექნებოდა ენობრივი ნიშნის ექსპანსია. თუ ამ პრიზმით შევხედავთ ზემოთ მოყვანილ ორ წინადადებას, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ ორივე წინადადება როგორც ნიშნები ასახელებენ სიტუაცია - ხდომილებებს, მაგრამ პირველ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს მარტივი, ხოლო მეორე შემთხვევაში რთული პროპოზიცია. „ბავშვი თამაშობს“ მარტივი პროპოზიციაა, რადგანაც იგი ასახელებს მარტივ ატომარულ ხდომილებას. მისი მეტად დაშლა შეუძლებელია. „ბავშვი თამაშობს ოთახში“ კი რთული პროპოზიციაა - იგულისხმება რომ იგი შედგება ორი მარტივი პროპოზიციისაგან - „ბავშვი თამაშობს“ და „ბავშვი ოთახშია“.

§ 5. თანამედროვე ლინგვისტური აზროვნება და სამყაროს სინთეზურ-ხდომილებრივი ხედვის ამოცანა

ამ ეტაპზე ჩვენი მიზანი იყო გაგვეჩვენა, თუ როგორ აისახება ენაში როგორც ტრანსცენდენტულ სტრუქტურაში სამყარო ისე, როგორც ეს ასახვა მოცემულია ნომინაციურ ლინგვისტიკაში. ხოლო რაც შეეხება ნომინაციურ ლინგვისტიკას, ჩვენ მას უნდა მივუჩინოთ ადგილი თანამედროვე ლინგვისტიკის ეტაპობრივ სტრუქტურაში შემდეგი ორი კოორდინატის მიხედვით.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ლინგვისტური აზროვნების განვითარების ეტაპობრივი სტრუქტურა შეესაბამება ენობრივი ნიშნის სამგანზომილებიან სტრუქტურას. ამიტომ ლინგვისტიკის განვითარების თეორიული რეკონსტრუქციისას და მისი დინამიკური ხაზის დადგენისას უნდა გამოვყოთ შესაბამისად სამი ეტაპი: სინტაქტიკას (ნიშანთა ურთიერთმიმართებას) შეესაბამება სტრუქტურალიზმის ეტაპი, სემანტიკას - პოსტსტრუქტურალისტური, ფუნქციური ლინგვისტიკის ეტაპი, რომელიც შინაგანად გადაიზარდა ნომინაციურ ეტაპში, პრაგმატიკას-კომუნიკაციური ლინგვისტიკის ეტაპი. ამ სემიოტიკურ კოორდინატების მიხედვით ნომინაციური ლინგვისტიკა შეესაბამება სემანტიკას როგორც ნიშნის განზომილებას. მაგრამ არსებობს მეორე - მსოფლმხედველობითი-კოორდინატიც, რომელიც სიღრმი-სეულად მეტი მნიშვნელობისაა. ამ მეორე კოორდინატის მიხედვით ნომინაციური ლინგვისტიკა თავისი პრინციპებითა და მეთოდებით შეესაბამება იმ მსოფლმხედველობით ნაკადს, რომლის მიხედვითაც სამყარო წარმოადგენს ხდომილებათა ერთობლიობას. მას შეესაბამებოდა სამნაბიჯიანი შინაგანი დინამიკა: ნომინოცენტრიზმი შეიცვალა ვერბოცენტრიზმით, **მეორე ნაბიჯი:** ვერბოცენტრიზმა მოგვცა სინტაქსოცენტრიზმი, **მესამე ნაბიჯი:** დამკვიდრდა სინტაქსური სემანტიკა. სინტაქსური სემანტიკა თანამედროვე ლინგვისტიკის ის დარგია, რომელიც ყველაზე უფრო სრულად წარმოადგენს ნომინაციურ ლინგვისტიკას.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ ნომინაციური ლინგვისტიკის მსოფლმხედველურ საფუძველს წარმოადგენს სამყაროს როგორც ხდომილებათა ერთობლიობის ხედვა. მაგრამ ეს არის იმანენტისტური დანახვა. თუ ჩვენ შევეცდებით, ცხადია, პირობითად, იგი გარედან დავინახოთ, ანუ თუ მივუყვებით მას უფრო ფართო მსოფლმხედველურ კრიტიერიუმს (ხოლო ეს კრიტიერიუმი გვეუბნება, რომ სამყაროს ხედვა მუდამ ხდება ან ანალიზურ-ატომისტურად, ან სინთეზურ - მთლიანურად), მაშინ ჩვენ შევძლებთ ეს მსოფლმხედველური ნაკადი, რომელიც წარმოადგენს ნომინაციური ლინგვისტიკის სიღრმისეულ გენეტურ შრეს, შევაფასოთ უფრო ფართო

კრიტიკიუმზე დაყრდნობით. მაშინ უნდა ვთქვათ ის, რასაც არ ამბობს და ვერც იტყვის ვერც ეს მსოფლმხედველური ნაკადი და ვერც ნომინაციური ლინგვისტიკა. ამ მსოფლმხედველობის მიხედვით სამყარო იშლება ხდომილებებად, იგი შედგება ხდომილებებისაგან. მაგრამ ქმნიან თუ არა ეს ხდომილებები რაღაც მთლიანს, აერთიანებს მათ რაიმე, გარდა იმისა, რომ ისინი ერთმანეთს გვანან თავიანთი სტრუქტურებით - ამის შესახებ ჩვენ ეს ხედვა არაფერს გვეუბნება და ზუსტად იგივე სურათი გვაქვს ჩვენ ამ მსოფლმხედველური ნაკადის შესახებ ლინგვისტურ აზროვნებაში (თვით ეს სამყაროს სურათიც ხომ სამყაროს ხედვაზე ენის სტრუქტურების პროექციებითაა მიღებული). რა თქმა უნდა, ჩვენი მიზანია, რომ საბოლოო ანგარიშში ენის არსისა და სტრუქტურის ხედვას საფუძვლად დაედოს არა ანალიზურ-ატომისტური, არამედ **სინთეზური** ხედვა, რომ სამყარო გავიგოთ არა როგორც ხდომილებათა ერთობლიობა, არამედ როგორც **ერთიანი, მთლიანური ხდომილება** და შესაბამისად თვით ენა როგორც ამ ხდომილების ამსახველი სტრუქტურა და უფრო სწორად, არა მხოლოდ ამსახველი, არამედ, ასე ვთქვათ, მაპროექცირებული. მაგრამ ეს გზა რომ გავიაროთ და ამგვარ სინთეზამდე მივიდეთ, აუცილებელია იმ ანალიზური ეტაპის ბოლომდე გარკვევა, რომელიც ამჟამად ჩვენი ყურადღების ცენტრშია.

ნომინაციურ ლინგვისტიკის კონცეპტუალურ შედეგს წარმოადგენს პროპოზიციის ცნება, რომელიც სინტაქსური სემანტიკის ცენტრალური ცნებაა. როდესაც ჩვენ ნომინაციური ლინგვისტიკიდან კომუნიკაციურზე გადავალთ, დავინახავთ, რომ გამონათქვამის ბინარულ სტრუქტურაში პროპოზიციას უკავია აუცილებელი, მაგრამ დაქვემდებარებული ადგილი: ის ცნება, რომელიც ცენტრალური იყო ნომინაციური ლინგვისტიკისთვის, კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში დაქვემდებარებულ სტატუსს იღებს.

რას წარმოადგენს პროპოზიცია როგორც მსოფლმხედველობრივი თუ ლინგვისტიკური დინამიკის შედეგი, რომელზეც ჩვენ გვქონდა ლაპარაკი? პროპოზიცია

უნდა განისაზღვროს ერთდროულად როგორც სამყაროსთან მიმართების საფუძველზე (ანუ დიფერენციალურ საფუძველზე), ისე საკუთრივ ლინგვისტიკის კონტექსტში. პირველი კრიტერიუმის მიხედვით პროპოზიცია არის ატომარული ან მოლეკულარული ხდომილების იკონისტური ასახვა (ამ ხდომილების ხატი) თუ ჩვენ პროპოზიციას დავინახავთ ექსტრალინგვისტური (სამყაროსეული) პოზიციიდან და დავინახავთ მას ენის ტრანსდეცენტალური კონცეფციის თვალსაზრისით, მაშინ პროპოზიცია იქნება ის ტრანსცენდენტალური სტრუქტურა, რომლის პროექცირებაც ხდება ჩვენთვის სხვაგვარად შეცნობილ სამყაროზე. მაგრამ თუ პროპოზიციას განვიხილავთ წმინდა ლინგვისტურ კონტექსტში, მაშინ იგი უნდა გავიგოთ როგორც სემანტიკური კონსტანტა, რომელიც დამოუკიდებელია წინადადების მოდალურ, შეფასებით, ემოციურ ასპექტებისგან და დამოუკიდებელია აგრეთვე წინადადების თვით ისეთი ტრანსფორმაციული გარდაქმნისაგან, როგორსაც წარმოადგენს ნომინალიზაცია. თუ ავიღებთ წინადადებას „ბიჭი ოთახში თამაშობს“ (რთული პროპოზიცია) დავინახავთ, რომ ყოველგვარი ტემპორარული, ტრანსფორმაციული და სხვა სახის ცვლილება („ბიჭს უთამაშია“, „რა კარგია, რომ ბიჭი თამაშობს“, „ბიჭმა ითამაშა“ და ა. შ.) უცვლელად ტოვებს სწორედ იმას, რაც ნომინაციური ლინგვისტიკისთვის პროპოზიციას წარმოადგენს. პროპოზიცია იმდენად, რამდენადაც იგი ტრანსცენდენტალურად ქმნის სამყაროსეულ ხდომილებას ან ასახავს მას, წარმოადგენს ვერბოცენტრისტულ სტრუქტურას, რომელიც, თავის მხრივ, ზმნის ვალენტობიდან გამომდინარე, გულისხმობს პროპოზიციის აქტანტურ სტრუქტურას და აქტანტურ კონფიგურაციას, იმისდა მიხედვით თუ როგორ ხდება ხდომილების იკონიკური ასახვა-პროექცირება: სიღრმისეულად თუ ზედაპირულად ანუ ირიბი თუ პირდაპირი ნომინაციის გზით.

§ 6. ანთროპოცენტრიზმი და კომუნიკაციური
ლინგვისტიკის არაფსიქოლოგისტური
გააზრების ამოცანა

ჩვენ ვნახეთ, რომ თანამედროვე ლინგვისტური აზროვნება მოძრაობდა და მოძრაობას განაგრძობს იმ კონცეპტუალურ სივრცეში, რომელიც ექმნება ნიშნის სამგანზომილებიანი მოდელით. ეს მოძრაობა ერთმხრივად მიმართულია: პორიზონტალურ და ვერტიკალურ სემიოტიკურ ჭრილებში. პორიზონტალურ ჭრილში ლინგვისტური აზროვნება მიემართებოდა სინტაქსიდან სემანტიკის გავლით პრაგმატიკისაკენ (დღეისათვის მან სამივე განზომილება გაიარა). ვერტიკალურ ჭრილში კი სიტყვიდან ტექსტისაკენ. ჩვენ ვნახეთ აგრეთვე, რომ ამ მოძრაობის ბოლო ეტაპზე შეიქმნა ის, რასაც თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების ანტინომიური სტრუქტურა ვუწოდებთ. შემდეგ ჩვენ ხაზი გავესვით კომუნიკაციური ლინგვისტიკის ცენტრალურ პრინციპს - ანთროპოცენტრიზმის პრინციპს და ვნახეთ, რომ ორივე ფუნდამენტური ანტინომია, რომელიც წარმოიშვა ამ ორმხრივი მოძრაობის შედეგად, თავს იყრის თანამედროვე ლინგვისტიკის ანთროპოცენტრიზმის დონეზე. ერთის მხრივ, ანთროპოცენტრიზმით ლინგვისტური აზროვნება უბრუნდება ენობრივი სინამდვილის ონტოლოგიურ წყაროს - ადამიანს, სუბიექტს, მეორეს მხრივ, ხდება ამ ონტოლოგიური წყაროს შემეცნებითი გაუფასურება, რადგან ეს წყარო (სუბიექტი) კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში აღქმულია არა უბრალოდ ფსიქოლოგიურად, არამედ ფსიქოლოგისტურად, ხოლო ფსიქოლოგიზმი - ესაა თანამედროვე გნოსეოლოგიური პრინციპი, რომელიც მუდამ გულისხმობს დაქვეითებას. თეორიულ - მეთოდოლოგიური თვალსაზრისით ფსიქოლოგიზმის მიხედვით, ადამიანის აზრს საფუძვლად უდევს მხოლოდ სუბიექტის ფსიქოლოგია, ფსიქოლოგიური სტრუქტურები, რომელთა გარეშე სუბიექტი შეუძლებელია; ე. ი. აზრს, გაგებულს ფართოდ, ლოგიკურად თუ ენობრივად საფუძვლად უდევს არა ობიექტური ენობრივი სტრუქტურა, არამედ სუბიექტის წმინდა ფსიქოლოგიური სტრუქტურა.

შემდეგ ჩვენ ვილაპარაკეთ რეკონსტრუქციაზე და ვნახეთ, რომ თანამედროვე ლინგვისტური აზროვნება იმ დინამიკაში, რომელშიც ჩვენ იგი განვიხილეთ, არის თანამედროვე მსოფლმხედველური აზროვნების ფორმაში უცვლელი წარმოდგენა (რეპრეზენტაცია, გამოვლენა): თანამედროვე ლინგვისტიკა და ის მსოფლმხედველური ნაკადი, რომლის რეპრეტენზიასაც იგი წარმოადგენს, არის ერთი და იმავე აზრობრივი დინამიკის ორი მხარე. ჩვენ დაფასახელეთ ის მსოფლმხედველური ნაკადი, რომელიც საფუძვლად უდევს ამ ლინგვისტურ აზროვნებას. როგორ მოხდა სამყაროს საგნობრივი კონსტრუქციის შეცვლა სამყაროს ხდომილებრივი კონსტრუქციით? როგორ იქნა წარმოდგენილი ეს მსოფლმხედველური ძვრა ლინგვისტურ აზროვნებაში? როგორ შეიცვალა ნომინოცენტრისტული კონსტრუქცია ვერბოცენტრისტულით? - პირველი ნაბიჯი იყო სინტაქსოცენტრიზმის აღიარება, მეორე - ვერბოცენტრიზმისა, მესამე - სინტაქსური სემანტიკის წარმოშობა და განვითარება. მთელი ეს ძვრა მოხდა ლინგვისტური აზროვნების დინამიკის იმ ეტაპზე, როდესაც ლინგვისტიკაში გაბატონებული იყო სემანტიკა. მაგრამ შემდეგ ჩვენ გადავდგით კიდევ ერთი ნაბიჯი ლინგვისტური აზროვნების რეკონსტრუქციის მიმართულებით და ვთქვით, რომ ამ აზროვნებისთვის ფუძემდებელი ნაკადი იყო და არის ტრანსცენდენტალიზმის ენობრივი ეტაპი. ყოველივე ამან ჩვენ შეგვამზადა იმისთვის, რომ აღვიქვათ ლინგვისტური აზროვნების დინამიკის ეს ბოლო ეტაპი, რომელიც წარმოდგენილია ტექსტის თეორიითა და პრაგმატიკით, უკვე არა მარტო ლინგვისტურად, არამედ მსოფლმხედველურადაც. ჩვენ ვილაპარაკეთ აგრეთვე იმაზე, რომ სინტაქსური სემანტიკის ძირითად ცნებას წარმოადგენს პროპოზიციის ცნება და გავიხსენეთ, თუ რა იყო ძირითადი პროპოზიციაში. „პროპოზიცია“ სალექსიკონო მნიშვნელობით ნიშნავს „წინადადებას“, მაგრამ ის, რასაც გულისხმობს ტერმინი „პროპოზიცია“ სტრუქტურული თვალსაზრისით, რადიკალურად განსხვავდება იმისგან, რასაც გულისხმობდა ტერმინი „წინადადება“ იგულისხმებოდა, რომ მის სტრუქტურულ ცენტრს წარმოადგენდა ქვემდებარე.

პროპოზიციაში კი ასეთ სტრუქტურულ ცენტრს წარმოადგენს ზმნით ან მისი შემცვლელი ელემენტით გამოხატული პრედიკატი. „წინადადება“ ტრადიციულად გულისხმობდა, რომ მასში გამოხატულია მსჯელობა ამ სიტყვის ტრადიციულ-ლოგიკური გაგებით. ე.ი. „წინადადება“ გამოხატავდა მსჯელობით აზრს. ტრადიციულ სახელმძღვანელოებში წინადადების ამ ფუნქციას ეწოდებოდა „ექსპრესიული ფუნქცია“. პროპოზიცია კი (სწორედ აქ ვლინდება სინტაქსური სემანტიკის ტრანსცენდენტალისტური არსი) წარმოადგენს არა მსჯელობას, არა აზრს, არამედ სამყაროსეული ხდომილების უშუალო ასახვას. მსჯელობის გენეზისი და მისი ფუნქციონირება ენასთან არ იყო უშუალოდ დაკავშირებული. ე.ი. ლოგიკა არ საჭიროებდა ენას არსებითად იმისათვის, რომ მსჯელობა ეკვლია. ტერმინი „პროპოზიცია“ როგორც სინტაქსური სემანტიკის ტერმინი ამ სამსაფეხურიან მოდელს რადიკალურად არღვევს იმიტომ, რომ პროპოზიცია აღარ წარმოადგენს მისგან დამოკიდებული მსჯელობის გაფორმებას, იგი არის სამყაროს ხდომილებათა ასახვა. ტრანსცენდენტალიზმის არსიდან გამომდინარე, ეს არის არა უშუალოდ ენაში ასახვა მისგან დამოუკიდებლად მოცემული სინამდვილისა, არამედ ენობრივი პროცესის პროეცირება სინამდვილეზე. სამყაროს ძირითად ელემენტს წარმოადგენს ხდომილება და როგორც არის ეს ხდომილება, ისეთი იქნება სამყარო ჩვენთვის. ხდომილების იმ სტრუქტურას, რომელსაც პროპოზიცია გულისხმობს, და ხდომილებას შორის აღარავითარი ინსტანცია არ არის. ასახვისა და პროეცირების ერთმანეთისაგან განსხვავება შეუძლებელია. ე. ი. პროპოზიცია გულისხმობს, რომ ენობრივი სტრუქტურა არა მარტო ასახავს ხდომილებრივ სტრუქტურას, არამედ წარმოადგენს ჩვენეული ცოდნის ერთგვარ წყაროს და ქმნის სტრუქტურას. უკვე ამ ეტაპზე, ე. ი. სინტაქსური სემანტიკის ეტაპზე, ვლინდება თანამედროვე ლინგვისტიკის ტრანსცენდენტალისტური არსი. თუკი ტრანსცენდენტალიზმი განაგრძობს არსებობას, ეს ხდება იმდენად, რამდენადაც ჩვენ საქმე გვაქვს ენობრივ ეტაპთან. „წინადადებისათვის“ ძირითად ნიშნად მუდამ ითვლებოდა პრედიკაცია. ამ თვალსაზრისით „პროპოზიციის“

ცნება თავისი შინაარსიდან განდევნის პრედიკაციას. ხდომილება - ეს არის ფაქტი მისი მონაწილეებით, მაგრამ ისე, რომ მისი შინაარსით მისი სტრუქტურულიდან განდევნილია დრო და ადგილი. ე. ი. პროპოზიცია გამონათქვამის ნომინაციური ასპექტია. იგი გვიჩვენებს, რა სახის (ტიპის) ხდომილებასთან გვაქვს საქმე და რა ტიპის აქტიანტები მონაწილეობენ ხდომილებაში. მაგრამ თვით ამ ხდომილების ქრონოტომი (სად და როდის ხდება მოქმედება) არ ეკუთვნის პროპოზიციას. ერთი და იგივე პროპოზიცია შეიძლება გაფორმდეს განსხვავებული კომუნიკაციური ასპექტით (ბავშვი თამაშობს, თამაშობდა, ითამაშებს, ფიქრობ ითამაშებს, მოთამაშე ბავშვი და ა. შ.).

თავი III

ლინგვისტიკის კომუნიკაციური პარადიგმა და საკომუნიკაციო აქტის სტრუქტურა

§1. კომუნიკაციური პარადიგმა და კომუნიკაციის ცნების განახლების აუცილებლობა

თანამედროვე ენათმეცნიერების ყველაზე აქტუალური პრობლემატიკა დაკავშირებულია კომუნიკაციური ლინგვისტიკის განვითარებასა და დამკვიდრებასთან.

ჩვენი ნაშრომის შინაარსს ძირითადად სამი მომენტი განსაზღვრავს. ესენია:

1) კომუნიკაციური ლინგვისტიკის არსი (არსის პრობლემას უშუალოდ უკავშირდება ის ამოცანები, რომლებსაც კომუნიკაციური ლინგვისტიკა ისახავს);

2) კომუნიკაციური ლინგვისტიკის გენეზისი (მისი წარმოშობა, ფორმირება, მისი სათავეები, ლინგვისტური ტენდენციები, რომლებმაც განაპირობეს კომუნიკაციური ლინგვისტიკის წარმოშობა და დამკვიდრება);

3) კომუნიკაციური ლინგვისტიკის სტრუქტურა (მისი ძირითადი სფეროები (დარგები): თანამედროვე პრაგმატიკა, ტექსტის ლინგვისტიკა, კომუნიკაციური სინტაქსი, კომუნიკაციური მორფოლოგია, კომუნიკაციური ლექსიკოლოგია).

ყოველივე ამას უნდა დაემატოს კიდევ ერთი მომენტი: ესაა მეთოდის პრობლემა - როგორი უნდა იყოს კომუნიკაციური ლინგვისტიკის არა მარტო ცნებითი, არამედ მეთოდური აპარატიც და როგორ უნდა დაკონკრეტდეს იგი კომუნიკაციური ლინგვისტიკის დარგების მიხედვით.

აქვე უნდა დავუმატოთ ისიც, რომ ლინგვისტური პრაგმატიკა წარმოადგენს კომუნიკაციური ლინგვისტიკის იმ ბირთვს, რომელიც განსაზღვრავს კომუნიკაციურ-

ლინგვისტურ თვალსაზრისს დანარჩენ დარგებში. ტერმინები „კომუნიკაციური ლინგვისტიკა“ და „ლინგვისტური პრაგმატიკა“ რამდენადმე კიდევ ფარავენ ერთმანეთს, თუმცა არავითარ შემთხვევაში არ არიან იდენტურები: ლინგვისტური პრაგმატიკა კომუნიკაციური ლინგვისტიკის შესავალია, მისი პრობლემეტიკა. პრაგმატიკის ათვისება ნიშნავს კომუნიკაციური ლინგვისტიკის ათვისებას.

ლაპარაკი კომუნიკაციური ლინგვისტიკის არსზე მისი გენეზისისა და სტრუქტურის გაუთვალისწინებლად შეუძლებელია: არსი მუდამ ასახავს გენეზისს და კონკრეტდება სტრუქტურით. ამიტომ არსის პრობლემების გამოყოფაც პირობითია. იმისათვის, რომ კომუნიკაციური ლინგვისტიკის არსზე საუბარი თავიდანვე მოექცეს ადეკვატურ მეთოდოლოგიურ ასპექტში, საჭიროა შემოვიტანოთ ისეთი მეთოდოლოგიური ცნება, როგორცაა მეცნიერული **პარადიგმის** ცნება (პარადიგმა ეტიმოლოგიურად ნიშნავს „ნიმუშს“). მეცნიერული პარადიგმა ნიშნავს იმ წარმოდგენათა ერთობლიობას, რომელიც ჩვენ გვაქვს საკვლევ ობიექტზე. წარმოდგენათა ამ ერთობლიობას საფუძვლად უდევს მუდამ რომელიმე წამყვანი იდეა და სწორედ ხსენებული ერთობლიობაა ამ იდეის გაშლა, დაკონკრეტება. ლინგვისტიკის ისტორია (XIX-XX სს.) იცნობს ისეთ პარადიგმებს, როგორცაა ისტორიული (მან წარმოშვა ისტორიული ენათმეცნიერება, შედარებითი ენათმეცნიერება), ფსიქოლოგიური (ფსიქოლოგიური ენათმეცნიერება). სისტემური და სოციალური პარადიგმები (ორივეს წარმოშობის სათავეში დგას სოსიური). ამასთან მე-20 საუკუნის ფარგლებში როგორც სისტემურ, ისე სოციალურ პარადიგმას საფუძვლად ედო სემიოტიკური პარადიგმა. სისტემური პარადიგმა ემყარება იდეას, რომ ენა წარმოადგენს სისტემას, რომ ენაში ყველაფერი ერთმანეთთან დაკავშირებულია. სოციალური პარადიგმა გულსხმობს, რომ ენის ბუნება სოციალურია და სწორედ ამის საფუძველზე სოსიურმა კვლევის სფეროდან გამორიცხა მეტყველება.

აქედან ჩანს, თუ რა მნიშვნელობა აქვს იმ იდეას, რომელიც განსაზღვრავს პარადიგმას. სემიოტიკური პარადიგმა გულისხმობს, რომ ენა არის ნიშანთა სისტემა და ენობრივი სისტემა უნდა შევისწავლოთ როგორც ნიშანთა ერთობლიობა.

დღეს ლინგვისტური აზროვნება სულ უფრო მეტად ექვემდებარება იმას, რასაც შეიძლება ვუწოდოთ **კომუნიკაციური პარადიგმა**.

ლინგვისტური აზროვნების ყოველი შემდგომი ეტაპი არ არის წინა პარადიგმის უბრალო უარყოფა, იგი ჩვეულებრივ გულისხმობს მას როგორც თავის წინამძღვარს. თუ ჩვენ ასეთი თვალსაზრისით შევხედავთ კომუნიკაციურ პარადიგმას, შეიძლება თამამად ითქვას, რომ კომუნიკაციური პარადიგმა ცდილობს მოახდინოს ყველა წინამავალი პარადიგმების სინთეზი. ამ სინთეზის საფუძველს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ კომუნიკაციური პარადიგმა და კომუნიკაციური ლინგვისტიკა საერთოდ, ყველა სხვა ლინგვისტური მიმდინარეობებისაგან განსხვავებით, ყურადღების კონცენტრაციას ახდენს **ადამიანზე** როგორც სუბიექტზე, უფრო მეტიც - როგორც ენობრივ პიროვნებაზე, ამრიგად ადამიანი ანუ სუბიექტი, **დანახულია ენობრივი თვალსაზრისით**.

ამრიგად, აქამდე ყველა კითხვა (რა არის ენა როგორც სისტემა? რა არის ენა როგორც ნიშანთა სისტემა? რა არის ენა როგორც ფსიქიკური წარმონაქმნი? რა არის ენა როგორც ისტორიული რეალობა?) ისე იყო დასმული, რომ ადამიანი, სუბიექტი, პიროვნება, ე.ი. ის, ვინც წარმოადგენს ენის შემოქმედს, მატარებელს, ასე ვთქვათ „ჩასმული იყო ფრჩხილებში“, არ წარმოადგენდა კვლევის უშუალო საგანს. თუ კომუნიკაციური ლინგვისტიკა ახდენს ლინგვისტიკის განვითარების წინმავალი ეტაპების სინთეზს, იგი ახდენს ამ სინთეზს სწორედ იმიტომ, რომ კონცენტრირებულია ადამიანზე, სუბიექტზე, პიროვნებაზე. ი.კარაულოვი (Караулов Ю. Н. Русский язык и языковая личность. М., 1987) თვლის, რომ **ენობრივი პიროვნების** ცნება ის

ცნებაა, რომლის საფუძველზე შეიძლება მოხდეს განსხვავებულ ლინგვისტურ პარადიგმათა სინთეზი(21; 21), მაგრამ, თუცა კომუნიკაციური ლინგვისტიკის შინაგან ტენდენციას მართლაც წარმოადგენს სწორედ ადამიანზე ისეთი კონცენტრირება, როცა ჩვენთვის მთავარი ხდება არა საკუთრივ ენა, არამედ ენობრივი ოფალსაზრისით დანახული ადამიანი, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ენობრივი პიროვნების ცნებას შეუძლია დაფაროს კომუნიკაციური ლინგვისტიკის ცნება. კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში მთავარი და განმსაზღვრელია თვით **კომუნიკაციის** ცნება და თუ კომუნიკაციური ლინგვისტიკის ფარგლებში ფოკუსში ენობრივი პიროვნება ექცევა, ეს ხდება იმიტომ, რომ ამას მოითხოვს თვით კომუნიკაციის ცნების, მისი შინაარსის, მისი სტატუსის სრულიად ახალი გაგება და გააზრება. ამრიგად, კომუნიკაციურ ლინგვისტიკას მიეყავართ ენობრივი პიროვნებისა კენ როგორც კვლევის საგნისაკენ, მაგრამ ეს არის თვით კომუნიკაციის ცნებისა და სტატუსის ახალი გააზრების შედეგი. რას ნიშნავს კომუნიკაციის ცნებისა და კომუნიკაციური აქტის ახალი გააზრება?

გავიხსენოთ, თუ როგორი იყო კომუნიკაციის ცნების გაგება და მისი სტატუსი ლინგვისტურ კვლევაში. დავიწყოთ იმით, რომ სემიოტიკური ლინგვისტიკის ფარგლებში ენის როგორც ნიშანთა სისტემის ფუნქცია განისაზღვრებოდა როგორც კომუნიკაციური ფუნქცია. მაგრამ როგორ ესმოდა სემიოტიკურ ლინგვისტიკას კომუნიკაცია და როგორი იყო კომუნიკაციის სტატუსი ლინგვისტური კვლევის დროს? ამ ორი მომენტის განსაზღვრა გვიჩვენებს, რომ კომუნიკაციური ფუნქციის ენის ძირითად ფუნქციად აღიარება სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ საქმე გვაქვს კომუნიკაციურ პარადიგმასთან. როგორ იყო გაგებული კომუნიკაცია? კომუნიკაცია გაიგებოდა როგორც რაღაც ისეთის რეალიზაცია, რაც უკვე არსებობდა კომუნიკაციამდე და, რა თქმა უნდა, გულისხმობდა თავის არსებობაში ამგვარ რეალიზაციას. ლაპარაკი იყო ან ენობრივი კოდის

რეალიზაციაზე (აქტუალიზაციაზე), ან ადამიანის ენობრივი უნარის (კომპეტენციის) რეალიზაციაზე. ამრიგად, კომუნიკაციის ცნების შინაარსი მთლიანად იყო დამოკიდებული იმ რეალობაზე, რომლის რეალიზაციაც ხდებოდა კომუნიკაციის დროს.

როგორი იყო კომუნიკაციის სტატუსი ლინგვისტური კვლევის დროს? მართალია, კომუნიკაციური ფუნქცია როგორც ენობრივი ერთეულის შესაძლო ფუნქცია (ნომინაციური ფუნქციისაგან განსხვავებით) არსებობდა ლინგვისტიკაში, მაგრამ არსებობდა ისე, რომ იგი არ წარმოადგენდა როგორც მთლიანად ენობრივი სისტემის, ისე რომელიმე ენობრივი ერთეულის კვლევის შინაარსს. ავიღოთ ისეთი ენობრივი ერთეული როგორცაა „სიტყვა“. სიტყვის როგორც ლექსიკური კვლევის რომელი მეთოდიც არ უნდა განვიხილოთ / სინონიმურ და ანტონიმურ მიმართებათა კვლევა, ლექსიკურ-სემანტიკური ველები, კომპონენტური ანალიზი და ა.შ./, არსად კომუნიკაცია არ თამაშობს რაიმე როლს. ამრიგად სიტყვის კვლევა ხდებოდა ისე, რომ იგი არ იყო მოქცეული კომუნიკაციური პარადიგმის ფარგლებში. სიტყვის შემთხვევაში კომუნიკაციურ-ლინგვისტური თვალსაზრისი ნიშნავს, რომ სიტყვა უნდა გავიგოთ როგორც ისეთი შინაარსობრივი სტრუქტურა, რომელიც თავის თავში უკვე შეიცავს კომუნიკაციის იდეას რომელიც გარკვეულ როლს ასრულებს კომუნიკაციის აქტში და ამდენად განაპირობებს ჩვენს მიდგომას სიტყვისადმი როგორც კომუნიკაციური ერთეულისადმი. ამდენად სისტემური, სტრუქტურული ან სხვა სახის ლექსიკოლოგია არ იყო კომუნიკაციური ლექსიკოლოგია. კომუნიკაციის პროცესში სიტყვის მონაწილეობა იყო დაშვება, რომელიც არ ასრულებდა არავითარ როლს სიტყვის კვლევისას. არა მარტო სიტყვის, არამედ წინადადების შემთხვევაშიც ეს იყო მხოლოდ დაშვება და არა წამყვანი იდეა: რომელი სინტაქსური თეორიაც არ უნდა ავიღოთ, არც ერთი ცნება არ გულისხმობდა კომუნიკაციას. განმსაზღვრელი იყო

წინადადების შინაგანი სტრუქტურა და თუ როგორ ასახავდა იგი გარე სინამდვილეს, და არა წინადადებების კომუნიკაციური შინაარსი.

ამრიგად, მართალია კომუნიკაციური ლინგვისტიკის დამკვიდრებამდე არსებობდა კომუნიკაციის ცნება, მაგრამ 1) კომუნიკაცია გაგებული იყო როგორც აქტუალიზაცია ისეთი რეალობისა, რომელიც კომუნიკაციამდე არსებობდა (ენობრივი კოდი, ენობრივი სისტემა, ადამიანის ენობრივი უნარი) და 2) კომუნიკაციის ფუნქცია მოქმედებდა მხოლოდ უბრალო დაშვების დონეზე, იგი არ წარმოადგენდა წამყვან იდეას ლინგვისტური კვლევის დროს.

§2. აქტუალიზაციის ტრადიციული ცნება და მისი მიმართება კომუნიკაციის განახლებულ კონცეფციასთან

კომუნიკაციური პარადიგმა ახდენს ყურადღების კონცენტრაციას თვით ადამიანზე, რომელსაც იყენებს ენობრივ სისტემას და ცდილობს დაინახოს ადამიანი (სუბიექტი) ენის თვალსაზრისით: აქცენტი გადადის ადამიანზე, დანახულზე ენის თვალსაზრისით. კომუნიკაციური ლინგვისტიკის ცნება გულისხმობს, რომ ადამიანი (სუბიექტი, პიროვნება) უნდა დაგინახოს როგორც კომუნიკაციური აქტის მონაწილე - მთავარი კი თვით კომუნიკაციის ცნებაა, მისი განახლებული გაგება. კომუნიკაციის ცნებას კომუნიკაციური ლინგვისტიკის ფორმულირებამდე ორი მომენტი განსაზღვრავდა:

1) თუმცა კომუნიკაციის ფუნქცია განისაზღვრებოდა როგორც ენის ძირითადი ფუნქცია, კომუნიკაციის აქტი არ იგულისხმებოდა შინაარსობრივად ენობრივ ერთეულთა კვლევის პროცესში;

2) თვით კომუნიკაცია გაგებული იყო როგორც კომუნიკაციამდე თავისთავად მოცემული რეალობის რეალიზაცია. თვით ეს რეალობა კი, რომლის რეალიზაციაც

ხდებოდა კომუნიკაციის დროს, ერთ შემთხვევაში მიჩნეული იყო ენობრივ სისტემად, მეორეში - ენობრივ კოდად, მესამეში - ადამიანის ენობრივ უნარად. კომუნიკაცია გაგებულ იყო როგორც სისტემის, კოდის ან უნარის აქტუალიზაცია. აქტუალიზაცია იყო ის ცნება, რომელიც ნიშნავდა ენობრივი სისტემის ან ენობრივ ერთეულთა კომუნიკაციური ფუნქციის დაკონკრეტებას.

შეიძლება ითქვას, რომ პირველი მომენტი წმინდა ნეგატიურია, ხოლო მეორე - პოზიტიური.

ამ ორი მომენტიდან უშუალოდ გამომდინარეობს მესამე მომენტი. როცა ლინგვისტური კვლევის დროს ლაპარაკი იყო ენობრივი ერთეულის კომუნიკაციურ ბუნებაზე, (კომუნიკაციურ ფუნქციაზე), ეს ნიშნავდა, რომ მოცემული ერთეული უკვე მზა სახით გვექონდა ენობრივ სისტემაში, ხოლო კომუნიკაციის პროცესში ხდებოდა მზა სახით არსებული ენობრივი ერთეულის გამოყენება. ამრიგად აქტუალიზაციის ცნება გულისხმობდა - და ეს ძალიან მნიშვნელოვანი მომენტი - მოცემული ენობრივი ერთეულის ზოგადი ფუნქციის, ზოგადი სემანტიკის მხოლოდ კონტექსტუალურ-სიტუაციურ დაკონკრეტებას, მაგრამ არ გულისხმობდა თვით მის ფორმირებას კომუნიკაციის პროცესში. ე. ი. კომუნიკაციური აქტის აქტიური როლი გლინდებოდა მხოლოდ ამგვარი აქტუალიზაციის სახით.

ჩვენ წინასწარ შეგვიძლია ვთქვათ, რომ კომუნიკაციური პარადიგმის ანუ კომუნიკაციური ლინგვისტიკის თეორიულ-მეთოდოლოგიური ორიენტაციის დამკვიდრება გულისხმობს ხსენებული სამი მომენტის რადიკალურ გადააზრებას.

სწორედ ეს გადააზრება განსაზღვრავს შინაგანად კომუნიკაციური ლინგვისტიკის პარადიგმას, ისე, რომ ყველა დანარჩენი მომენტი განისაზღვრება უკვე ამ სამი მომენტის გადააზრების ფაქტითა და შინაარსით.

პოზიტიური სახით გადააზრების ეს სამი მომენტი შემდეგნაირად უნდა იყოს ფორმულირებული:

1. რაც შეეხება თვით კომუნიკაციის ცნებას.

კომუნიკაციური ლინგვისტიკის უმთავრეს თეორიულ წინამძღვარს წარმოადგენს კომუნიკაციის როგორც აქტის, როგორც პროცესის ისეთი გაგება, როდესაც ეს აქტი (პროცესი) განისაზღვრება ადამიანისათვის როგორც სუბიექტისათვის დამახასიათებელ უფრო ფართო, შეიძლება ითქვას - ყოვლისმომცველ ქმედებათა ნაირსახეობა ან კომპონენტი. თუ არსებობს ადამიანი როგორც სოციალურ-ბიოლოგიური არსება, მისთვის დამახასიათებელი ერთ-ერთი ნიშანია აქტიური ქმედება, მიმართული ერთის მხრივ სამყაროს მიმართ, ხოლო მეორეს მხრივ - სხვა ადამიანის მიმართ. როდესაც ლაპარაკობენ ქმედებაზე როგორც ადამიანის მაკონსტიტუირებელ ნიშანზე, იგი გაიგება როგორც ადამიანის აქტივობა სამყაროს მიმართ და ადამიანის აქტივობა მეორე ადამიანის მიმართ (ურთიერთობა). ადამიანის (სუბიექტის) თანამედროვე გაგებისათვის ფუძემდებელია ამ ორი მომენტის - ქმედებისა და ურთიერთობის - არა უბრალოდ ურთიერთკავშირი, არამედ იდენტურობის მტკიცება: აქტივობა, მიმართული სამყაროს მიმართ, არის ამავე დროს ურთიერთობა: ავლენს რა აქტივობას სამყაროს მიმართ, ადამიანი შედის სხვა ადამიანთან ურთიერთობაში და პირუკუ. ერთი მხრივ, სწორედ კომუნიკაციის პროცესი წარმოადგენს ამ ქმედება-ურთიერთობის ერთ-ერთ სახეობას - ამიტომ ის, რაც დამახასიათებელია ქმედება-ურთიერთობის ერთიანი აქტისათვის (მისი შინაარსი, მისი სტრუქტურა, მისი როგორც პროცესის ფაზები), დამახასიათებელია აგრეთვე კომუნიკაციის აქტისათვის ხოლო მეორე მხრივ კომუნიკაციის აქტი არასოდეს არ არის ჭეშმარიტად და ბოლომდე ავტონომიური აქტი, იგი მუდამ არის უფრო ტევადი, უფრო მეტის მომცველი ადამიანური ქმედების კომპონენტი. ამდენად თავის შინაარსეულ სტრუქტურას იგი იღებს „გარედან“ - თუ შეიძლება ასე ითქვას - უფრო ფართო ადამიანური კონტექსტიდან. კომუნიკაციური აქტის (პროცესის) ასეთი გაგება რადიკალურად განსხვავდება კომუნიკაციის იმ

გაგებისაგან, რომელიც კომუნიკაციური ლინგვისტიკის ჩამოყალიბებამდე არსებობდა. თუ კომუნიკაციას გავიგებთ როგორც სისტემის, კოდის, ადამიანის ენობრივი უნარის რეალიზაციას (აქტუალიზაციას), მაშინ მისი შინაარსიც განისაზღვრება იმ რეალობით, რომლის აქტუალიზაციაც ხდება. ეს იქნება კომუნიკაციის წმინდა ინდუქციური გაგება: ასეთია კოდი, სისტემა თუ უნარი, ასეთია მათი შინაარსი - და კომუნიკაციის შინაარსიც შეესაბამება კოდს, სისტემასა და უნარს: კომუნიკაციის აქტამდე გვექონდა ეს სისტემები ვირტუალურ მდგომარეობაში, შემდეგ მოხდა მათი აქტუალიზაცია. მაგრამ თუ ვიტყვით, რომ ენობრივი კომუნიკაცია არის სახეობა უფრო ფართოდ გაგებული ადამიანური ქმედებისა ან შედის უფრო ფართო და ყოვლისმომცველ ქმედებაში, მაშინ თვით კომუნიკაციის შინაარსი და სტრუქტურა მთლიანად შეიცვლება და არც კოდი, არც სისტემა და არც ენობრივი უნარი არ იქნება საკმარისი იმისათვის, რომ განისაზღვროს კომუნიკაციის ცნება, საკომუნიკაციო აქტის შინაარსი და სტრუქტურა. მაგრამ ნიშნავს ეს რომ მთლიანად იკარგება კომუნიკაციის ადრე არსებული გაგება? ცხადია, არა. კომუნიკაციის ახლებური ცნება, შეიძლება ითქვას, არის ორი ცნების: კომუნიკაციის იმ გაფართოებული და გაღრმავებული გაგებისა, რომლის კონტურებიც მოგხაზეთ და იმ უკვე არსებული ცნებისა, რომლის ცენტრალურ მომენტს აქტუალიზაცია წარმოადგენს, ისეთი სინთეზი, რომლის ფარგლებშიც გადამწყვეტი როლი (პრინციპი) კომუნიკაციის ცნების გაფართოებულ, გაღრმავებულ გაგებას ეკუთვნის. ეს ნიშნავს, რომ კომუნიკაციური ლინგვისტიკა უნდა გავიგოთ როგორც ლინგვისტური აზროვნების იმ პერიოდის დასრულება, რომელსაც საფუძვლად ედო იმანენტიზმის პრინციპი: „ენა უნდა გავიგოთ თავისთვის და თავის თავში“ (სოსიური). ამ პრინციპის თანახმად, არ უნდა გავიდეთ ენის ფარგლებს გარეთ. კომუნიკაციის ის გაგებაც, რომელიც მთლიანად ეყრდნობოდა აქტუალიზაციის ცნებას, მოქცეული იყო

იმანენტიზმის პრინციპის ფარგლებში და არ გულისხმობდა ენის სისტემის „გარეთ“ გასვლას.

2. კომუნიკაციური ლინგვისტიკის ფარგლებში კომუნიკაციის ცნება წარმოადგენს არა იმ პასიურ მომენტს, რომელიც არსებობდა მხოლოდ უბრალო თეორიული დაშვების სახით და არ შედიოდა ენობრივ ერთეულთა კვლევის პროცესში, არამედ პირიქით – კომუნიკაციური პარადიგმა გულისხმობს ყოველი ენობრივი ერთეულის როგორც პირველ რიგში კომუნიკაციური ერთეულის კვლევას. დღეისათვის არ არის საკმარისი უბრალოდ ვიგულისხმით, რომ ენობრივი ერთეული გამოიყენება კომუნიკაციის დროს. დღევანდელი ლინგვისტური კვლევა გულისხმობს, გავიგოთ ყოველი ენობრივი ერთეული როგორც პირველ რიგში კომუნიკაციური ერთეული, ხოლო ყველა დანარჩენი მისი ასპექტი გავიგოთ როგორც დაქვემდებარებული კომუნიკაციური ასპექტის მიმართ.

როდესაც წინათ ხდებოდა ისეთი ერთეულის კვლევა, როგორცაა წინადადება, იგი განისაზღვრებოდა როგორც კომუნიკაციური ფუნქციის მატარებელი ერთეული, მაგრამ, როგორც ვთქვით, წინადადების შინაარსობრივი თუ ფორმალური სტრუქტურის კვლევა ხდებოდა ამ მომენტის გათვალისწინების გარეშე. დღეს წინადადების კვლევისას განსმსაზღვრელად, წინადადების სტრუქტურის წარმომქმნელად უნდა ჩაითვალოს ის, თუ რომელ კომუნიკაციურ-პრაგმატულ ტიპს ეკუთვნის იგი. წინადადება ნიმუშად მოვიყვანეთ იმიტომ, რომ კომუნიკაციური ლინგვისტიკის წარმოშობამდე ეს იყო ერთადერთი ერთეული, რომლის განსაზღვრისასაც საერთოდ მიმართავდნენ კომუნიკაციის ცნებას. დღეისათვის არ არის საკმარისი, წინადადების განსაზღვრისას ვახსენოთ კომუნიკაციის ცნება, საჭიროა კომუნიკაციის ასპექტი იქცეს წინადადების კვლევის განმსაზღვრელ ასპექტად. მაგრამ მთავარი ის არის, რომ, თუკი მოქმედებს კომუნიკაციური პარადიგმა, კომუნიკაციური ასპექტი (კომუნიკაციური ფუნქცია) განმსაზღვრელი უნდა

გახდეს უკლებლივ ყველა ენობრივი ერთეულის სტრუქტურული, შინაარსობრივი და ფუნქციური კვლევისას. თუკი ნიშნის თეორიას მივმართავთ და მოცემულ სიტუაციას განვსაზღვრავთ ნიშნის ცნებაზე დაყრდნობით, უნდა ითქვას, რომ ნიშნის სამი ასპექტიდან (სინტაქსური, სემანტიკური, პრაგმატული) განმსაზღვრელი ხდება პრაგმატული, თუმიცა კომუნიკაციის ახლებური გაგება იმდენად გარდაქმნის თვით პრაგმატიკის ცნებას, რომ არასაკმარისს ხდის მას - ამიტომ უმჯობესია ვილაპარაკოთ კომუნიკაციურ-პრაგმატულ მიდგომაზე.

3. კომუნიკაციური პარადოგმა გულისხმობს, რომ ენობრივ ერთეულებს მათი კომუნიკაციურ-პრაგმატული ანალიზისას ჩვენ ველარ განვიხილავთ მხოლოდ მათი აქტულიზაციის თვალსაზრისით. ანუ ველარ განვიხილავთ ისე, რომ კომუნიკაციის აქტამდე სიტყვა, წინადადება... არსებობდა მზა სახით და კომუნიკაციის პროცესში ხდებოდა მათი აქტუალიზაცია. კომუნიკაციურ-ლინგვისტური თვალსაზრისი გულისხმობს, რომ კომუნიკაციის პროცესში ხდება ყოველი ენობრივი ერთეულის ფორმირება ან ხელახლა ფორმირება. ანუ, თუ კომუნიკაცია არის პროცესი თავისი სტრუქტურითა და თავისი ეტაპებით, ეს სტრუქტურა და ეტაპები კი გულისხმობს დროში მოცემული ფორმირების პროცესს, ყოველი ენობრივი ერთეული არის ამ სტრუქტურისა და ეტაპების შემაღგენელი ნაწილი - ხდება ყოველი ენობრივი ერთეულის ახლად დაბადება და არა მზა სახით მოცემულის გამოყენება. ყოველი ენობრივი ერთეულის კომუნიკაციურ-პრაგმატული ანალიზი - ეს ანალიზი კი დღევანდელი კვლევის წამყვანი მომენტი - მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს სრულად, როდესაც ამ ანალიზისას მთლიანად აისახება თვით ახლებურად გაგებული კომუნიკაციური აქტი მთელი თავისი დინამიკით.

§3. სიტყვის პრობლემა და კომუნიკაციური ლინგვისტიკა

რაკი კომუნიკაციური ლინგვისტიკა თავისი განსაზღვრის თანახმად ემყარება ორ ცნებას: 1) **საკომუნიკაციო აქტს** და 2) **ტექსტის ცნებას**, ისმის კითხვა იმის შესახებ თუ რა მიმართებაშია კომუნიკაციურ ლინგვისტიკასთან ენის ის ერთეული, რომელიც არ წარმოადგენს კომუნიკაციური ლინგვისტიკის უშუალო საყრდენს. სახელდობრ რა მიმართებაშია კომუნიკაციურ ლინგვისტიკასთან სიტყვა. იმის გასარკვევად თუ რა მიმართებაშია კომუნიკაციურ ლინგვისტიკასთან სიტყვა, ჩვენ გამოვიყენებთ შემდეგ მეთოდს. ასე ვთქვათ **I მეთოდი** იქნება ჩვენთვის **ლოგიკურ-თეორიული მეთოდი**. ამოვალთ კომუნიკაციური ლინგვისტიკის არსიდან ერთის მხრივ და მეორეს მხრივ სიტყვის ფორმალურ-შინაარსობრივი სტრუქტურიდან და ვნახავთ, როგორი უნდა იყოს ამ სტრუქტურის გადააზრება კომუნიკაციური ლინგვისტიკის პოზიციებიდან. სიტყვის პრაგმატიკა (და როგორც ჩვენ ვნახავთ, სიტყვის პრაგმატიკა გულისხმობს სიტყვის კომუნიკაციურ ფუნქციას როგორც პოტენციაში, ასევე რეალიზაციაში, როგორც ენაში, ასევე მეტყველებაში) ჩვენ ძირითადად დაგვაინტერესებს გრამატიკული თვალსაზრისით, ე. ი. ჩვენი მიზანი იქნება განვიხილოთ სიტყვა **გრამატიკისა** და **პრაგმატიკის** ურთიერთგადაკვეთის წერტილში. გავიხსენოთ რას ნიშნავს ენობრივი ერთეულის გრამატიკულ ასპექტში განხილვა, იგი ნიშნავს ენობრივი ერთეულის განხილვას იმ მომენტების გათვალისწინებით, რომლებიც აუცილებელი და რეგულარული არიან ერთეულის მეტყველებაში ფუნქციონირების დროს. ე.ი. იმ მომენტებს, რომელთა რეალური შინაარსით შევსება დამოკიდებულია მეტყველ სუბიექტზე, მაგრამ რომელთა ფორმალური არსებობა მასზე (მეტყველ სუბიექტზე) დამოკიდებული არ არის. თუკი

ავიღებთ წინადადებას - მის რეგულარულ და აუცილებელ ნიშანს წარმოადგენს ორწევრიანი სტრუქტურა, ე. ი. სუბიექტურ-პრედიკატული სტრუქტურა, როგორი იქნება შევსება სუბიექტურ-პრედიკატული სტრუქტურისა, ეს დამოკიდებულია მეტყველ სუბიექტზე, მაგრამ წინადადების ორწევრიანობა მასზე დამოკიდებული არ არის. ამიტომ თვით ეს ორწევრიანობა უნდა ჩაითვალოს გრამატიკულ მომენტად. ეს წინადადების დონეზე იქნება, სიტყვის დონეზე თუ ვილაპარაკებთ, დაფუშვით არსებით სახელზე, დაფუშვით ისეთ ენაში როგორც არის გერმანული ენა, ასევე ფრანგული ან ინგლისური, არსებითი სახელის ფუნქციონირება ენაში შეუძლებელია თუ იგი არ იქნება - ტრადიციულად თუ ვიტყვით - განუსაზღვრელი და განსაზღვრული არტიკლით, ან იგი თუ არ იქნება ან მხოლოდითში ან მრავლობითში, ე. ი. ამ ელემენტარული ფაქტების გახსენება ჩვენ ამ შემთხვევაში დაგვჭირდა იმისათვის, რომ თავიდანვე ნათლად წარმოვიდგინოთ სიტყვის პრაგმატიკის ის ასპექტები, რომლებიც გახდება ჩვენი მსჯელობის საგანი. ე. ი. ჩვენი მსჯელობის საგანი იქნება სიტყვის ფორმალურ-შინაარსობრივი სტრუქტურის ისეთი ასპექტები, რომლებსაც ერთის მხრივ აქვთ სიტყვის ფუნქციონირების თვალსაზრისით აუცილებელი და რეგულარული ხასიათი, სწორედ ამაში მდგომარეობს ამ ასპექტთა გრამატიკულობა, ხოლო მეორეს მხრივ ატარებენ პრაგმატულ ხასიათს, ანუ გამოხატავენ სიტყვის კომუნიკაციურ ფუნქციას. რატომ არის საჭირო ხაზგასმა იმისა, რომ ჩვენ გვინტერესებს სწორედ პრაგმატიკის აუცილებელი და რეგულარული ნიშნები. პირველ რიგში ამის ხაზგასმა აუცილებელია იმიტომ, რომ პრაგმატიკის შინაარსი სცილდება გრამატიკას და სიტყვის პრაგმატიკას აქვს ლექსიკური ასპექტები ისევე როგორც გრამატიკული. ეს შეიძლება ჩაითვალოს ჩვენი ხაზგასმის ლოგიკურ-თეორიულ საფუძვლად. ამ ხაზგასმის ლოგიკურ-თეორიული საფუძვლის გარდა ჩვენ გვაქვს საფუძველი უფრო

პრაქტიკული ხასიათისა ც. ჩვენ ვგულისხმობთ იმ ტენდენციას, რომელიც ძალიან ხშირად თან ახლავს როგორც ტერმინ „პრაგმატიკის“, ასევე მისგან ნაწარმოებ სხვა ტერმინთა ხმარებას. ჩვენ ვგულისხმობთ ისეთ ტერმინს, როგორცაა „პრაგმატული მნიშვნელობა“ (პრაგმატა), როგორც წესი, ტერმინი „პრაგმატიკა“ და მასთან დაკავშირებული სხვა ტერმინები იხმარება ღიქსიკასთან დაკავშირებით და ყველაზე უფრო ხშირად მაშინ, როცა ლაპარაკია სიტყვის ექსპრესიულ-ემოციურ შეუასებით მომენტებზე, ე. ი. ამ შემთხვევაში პრაგმატიკის ცნება ფარავს კონოტაციის ცნებას და მისი ხმარება იძლევა მხოლოდ ტერმინოლოგიურ და არაკონცეპტუალურ პრინციპულ სიახლეს. მაგრამ ტერმინ „პრაგმატიკის“ ჭეშმარიტი მნიშვნელობა მდგომარეობს სწორედ იმაში, რომ იგი კომუნიკაციის ცნებაზე დაყრდნობით მიუთითებს ენობრივი ერთეულის იმ მთლიანურ ინტეგრალურ განზომილებაზე, რომლის ცალკეულ, მაგრამ ურთიერთდაკავშირებულ განზომილებებს წარმოადგენს ღიქსიკა და გრამატიკა. თუ ეს ასეა, და თუ პრაგმატიკა იძლევა ენობრივ ერთეულთა და კერძოდ სიტყვის მთლიანური გლობალური გადააზრების საშუალებას, მაშინ აუცილებელია პირველ რიგში, რა თქმა უნდა, განვსაზღვროთ ტერმინ პრაგმატიკის მნიშვნელობა. ამ განსაზღვრის შემდეგ, რა თქმა უნდა, დაკონკრეტდება ის, თუ რას გულისხმობს გამოთქმა „სიტყვის პრაგმატიკა“ და რას გულისხმობს გამოთქმა „პრაგმატიკის გრამატიკული ასპექტი“. ტერმინ პრაგმატიკის იმ შინაარსის გაგება, რომელიც მას აქვს დღევანდელ კომუნიკაციურად ორიენტირებულ ლინგვისტიკაში შეიძლება ორ ძირითად თეორიულ წყაროზე დაყრდნობით. პირველი წყარო ეს არის თანამედროვე სემიოტიკა. ჩვენ როდესაც ვხმარობთ სიტყვას „თანამედროვე“, ვგულისხმობთ არა მარტო დღევანდელ დღეს, არამედ უფრო მეტს, მე-19 საუკუნის დასასრულს და მე-20 საუკუნეს. ე. ი. მთელ იმ პერიოდს, როცა ენის ფუნქციურ-სტრუქტურულ

გაგებას, ენის თეორიას საფუძვლად ედო ნიშნის ცნება, რაზეც უძვევე გვექონდა ლაპარაკი.

§4. პრაგმატიკა და კომუნიკაციური ლინგვისტიკა. ინტერსუბიექტურობის კონცეფცია როგორც ლინგვისტური პრაგმატიკის ერთ-ერთი თეორიული წყარო

რა უნდა ჩაითვალოს თანამედროვე ლინგვისტიკის წყაროდ? ამ კითხვას არა აქვს მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა - მას აქვს თეორიული (სისტემატური) მნიშვნელობაც, თუნდაც იმიტომ, რომ მიუხედავად მთელი თავისი მნიშვნელობისა თანამედროვე ლინგვისტური კვლევისათვის ლინგვისტური პრაგმატიკის როგორც დისციპლინის შინაარსი და საზღვრები არ შეიძლება ჩაითვალოს განსაზღვრულად.

ერთადერთი, რაც შეიძლება ითქვას გარკვევით, ეს არის პრაგმატიკის კავშირი კომუნიკაციურ ლინგვისტიკასთან. ეს კავშირიც ორაზროვანია: ერთის მხრივ, თუკი ჩვენ ამ წყაროების დასახელებისა და განხილვის შემდეგ, რომლებზეც გვექონდა ლაპარაკი, პრაგმატიკას ავიღებთ მთელი იმ შინაარსით, რომელსაც გულისხმობს ყველა წყარო ერთად აღებული, შეიძლება აღმოჩნდეს; რომ პრაგმატიკა უდრის კომუნიკაციურ ლინგვისტიკას, რომ პრაგმატიკა და თანამედროვე ლინგვისტიკა დაემთხვენ ერთმანეთს. მაგრამ, მეორეს მხრივ, ამ ორი ცნების ერთდროული ხმარება საშუალებას იძლევა კომუნიკაციური ლინგვისტიკის წიაღში გამოვყოთ უბანი ანუ უბნები, რომლებიც შეიძლება მოიცვას სწორედ პრაგმატიკამ როგორც ტერმინმა. ჩვენ ვნახავთ, რომ სწორედ ასე მოვიქცევით, როცა გვექნება ლაპარაკი მეტყველების ნაწილთა პრაგმატიკაზე. ჩვენ გავიგებთ, რომ სიტყვის და შესაბამისად, მეტყველების ნაწილთა პრაგმატიკა

ეს არის მისი პოტენციური კომუნიკაციურობა; ეს არის სიტყვის, და შესაბამისად მეტყველების ნაწილთა იმ კატეგორიათა ერთობლიობა, რომელნიც მას საშუალებას აძლევენ ჩაერთონ ტექსტში, როგორც კომუნიკაციურ ენობრივ წარმონაქმნში. ე. ი. ლინგვისტურ პრაგმატიკის წყაროთა განხილვა ნიშნავს იმ ცნებათა და კატეგორიათა გათვალისწინებას, რომლებიც შეიძლება და აუცილებელიცაა გამოყენებულ იქნან ენობრივ ერთეულთა კომუნიკაციური პრაგმატიკის თვალსაზრისით კვლევის პროცესში. შეიძლება დავასახელოთ ლინგვისტური პრაგმატიკის შემდეგი წყაროები:

1. თანამედროვე სემიოტიკა, კერძოდ ნიშნის ის ცნება, რომელიც მასთანაა დაკავშირებული.

2. გამონათქვამის ის კონცეფცია, რომელიც ემპირიულ დონეზე, ე. ი. კვლევის დონეზე - ფაქტობრივი მასალის კვლევის დონეზე შეიმუშავა თანამედროვე ლინგვისტიკამ და რომელმაც გამოხატულება ჰპოვა შ. ბალისეულ კონცეფციაში (მოდუს-დიქტუმის კონცეფცია);

3. მეტყველების და ენის ის კონცეფცია, რომელიც განავითარა ბენვენისტმა (ბენვენისტის კონცეფცია - რომელიც გადმოცემულია მის წიგნში, ნაწილში „ადამიანი ენაში“).

4. სამეტყველო აქტთა თეორია, რომელიც ვითარდებოდა და ვითარდება ე. წ. ენის ფილოსოფიაში. მას ავითარებენ ძირითადად ინგლისელი ავტორები და იგი, თავის მხრივ, ეყრდნობა ლ. ვიტგენშტაინის მოღვაწეობის გვიანდელ პერიოდს.

5. ადამიანური ქმედების ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური თეორია. იგი ვითარდებოდა და ვითარდება საბჭოთა კავშირში - სათავე - გიგოდსკისთან, მერე - ლეონტიევი - და თუკი ჩვენ გავითვალისწინებთ კომუნიკაციური ლინგვისტიკის განვითარებას ბოლო წლებში, ადამიანური ქმედების ეს თეორია სულ უფრო ერწყმის ხსენებულ პრაგმატულ კონცეფციებს და პერსპექტივაში შეიძლება გახდეს მათი სინთეზის საფუძველიც.

სემიოტიკიდან ლინგვისტური პრაგმატიკა იღებს თავის სახელწოდებას - უნდა გავიხსენოთ, რომ ტერმინი „პრაგმატიკა“ მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან „პრაგმა“ - საქმე (იგივე ძირი „პრაქტიკაში“). ნიშნის ამ კონცეფციის მიხედვით ნიშანს აქვს სამი განზომილება - სინტაქტიკა, სემანტიკა, პრაგმატიკა. რაც შეეხება პრაგმატიკას, იგი სემიოტიკის ფარგლებში განისაზღვრება როგორც სუბიექტის მიმართება მის მიერ ნახმარ ნიშანთან. აქვე უნდა ითქვას, რომ შემოგვრჩა მხოლოდ სუბიექტი და მიმართება - ორი ტერმინი. დღევანდელ პრაგმატიკაში მეორე მსმენელი (სუბიექტი) არანაკლები მნიშვნელობისაა. უფრო მეტიც, კომუნიკაციური ლინგვისტიკისათვის უპირველეს კვლევის საგანს წარმოადგენს არა იმდენად მიმართება, რომელიც არსებობს კომუნიკაციაში მონაწილე ობიექტებსა და მათ მიერ ხსენებულ ნიშანს შორის, არამედ თვით ამ სუბიექტთა შორის მიმართება. იმდენად, რამდენადაც ეს მიმართება ასახულია მათ შორის მოქცეულ ნიშნის ანუ ცნების სტრუქტურაში.

რაც შეეხება იმ ცნებებსა და კატეგორიებს, რომლებსაც თანამედროვე პრაგმატიკა იძენს შ. ბალის კონცეფციიდან, როგორც ცნობილია, ამ კონცეფციის მიხედვით ყოველი გამონათქვამი შედგება ორი ნაწილისაგან (სეგმენტისაგან) - **დიქტუმი** და **მოდუსი**. დიქტუმი შეიცავს იმას, რასაც შეისწავლის თანამედროვე სინტაქსი - (როგორც ფორმალური, ისე სემანტიკური), ე. ი. შეიცავს პროპოზიციას, რომელიც თავის მხრივ ასახავს გარკვეულ ექსტრალინგვისტურ სიტუაციას თუ ხდომილებას. ხოლო მოდუსი გამოხატავს სუბიექტის დამოკიდებულებას დიქტუმში ასახული სიტუაციისა თუ ხდომილების მიმართ. აქ ძალიან მნიშვნელოვანია როგორც პრაგმატიკის ისტორიის, ისე თეორიის თვალსაზრისითაც განვასხვავოთ ის, რაც შემოდის პრაგმატიკაში შ.ბალისა და ბენვენისტის ნააზრევიდან. მოდუსის ბალისეული ცნება შეიცავს ისეთ მომენტებს, რომლებიც ტრადიციულად ასახული იყო ტრადიციულ მოძღვრებაში წინადადებათა კომუნიკაციური ტიპებს შესახებ

(თხრობითი, მტკიცებითი, კითხვითი და მისთ.). მაგრამ შ. ბაღის კონცეფციაში ამ მოძღვრებამ პპოვა პრინციპული გაფართოება და იქცა პრაქტიკულად გამონათქვამის სუბიექტურობის შესახებ პირველ მოძღვრებად. თანამედროვე კომუნიკაციურ-პრაგმატული ლინგვისტიკის დებულება მეტყველების ეგოცენტრისტული ბუნების შესახებ, რომლის მიხედვით მეტყველი სუბიექტის „მე“ უნდა ჩაითვალოს გამონათქვამის წარმოშობ აზრობრივ და სტრუქტურულ ცენტრად, შეიძლება ითქვას ისახება ბაღის ამ მოძღვრებაში იმდენად, რამდენადაც დიქტუმი მასთან დამოკიდებულია მოდუსზე. მეტყველი სუბიექტის ასეთი სტატუსი, ე. ი. სტრუქტურისა და მნიშვნელობის განმსაზღვრელი სტატუსი, არის ის მომენტი, რომელიც საერთოა ბაღისა და ბენვენისტისათვის. მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამავე დროს ბენვენისტის მოძღვრება შეიცავდა სრულიად ახალ მომენტებს. ძირითადი ამ მოძღვრებაში იყო და არის ის, რომ მეტყველი სუბიექტი თავისი ცენტრალური სტატუსით ბენვენისტთან უკვე იქცევა ენის გრამატიკული სტრუქტურის განმსაზღვრელ ფაქტორად. ლოკაციის (ლოკალიზაციის) თანამედროვე პრაგმატული კატეგორია მთლიანად იღებს სათავეს ბენვენისტთან, და შეიძლება ითქვას, რომ იმდენად, რამდენადაც ჩვენ მოვინდომებთ ამ კატეგორიის გაშლას, მთელი მისი პოტენციის გაშლას, ჩვენ გვექნება საშუალება მეტყველების ნაწილთა პრაგმატიკის როგორც სისტემის აგებისა. ბენვენისტის მოძღვრება ხასიათდება სწორედ ამ გრამატიკულობით, ხოლო ეს გრამატიკულობა კი მთლიანად (გლობალურად) მოიცავს, ყოველ შემთხვევაში - ჩანასახობრივად, როგორც მორფოლოგიას, ისე სინტაქსს. როცა ვამბობთ, რომ იგი მოიცავს მორფოლოგიას, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ მორფოლოგია აქ უნდა ავიღოთ მის მთლიანობაში - როგორც მოძღვრება თვით მეტყველების ნაწილებზე, ასევე მათ კატეგორიალურ სისტემებზე. ბენვენისტმა პირველად განაფითარა აზრი იმის შესახებ, რომ ისეთი სიტყვები როგორიცაა „მე“ და „შენ“ - არ წარმოადგენენ

ნაცვალსახელებს. თითქოსდა ეს მტკიცება შეეხება მხოლოდ ამ სიტყვებს, მაგრამ ფაქტურად ეს ნიშნავდა მეტყველების სახელთა სისტემის სრულიად ახლებურად გაგებას, რომელიც ეძღვნება სწორედ სამეტყველო სუბიექტის ცნებას. ზუსტად ასევე გადააზრება ჰპოვა მეტყველების ნაწილთა მთელმა კატეგორიალურმა სისტემამ და ამ სისტემას მიეცა სუბიექტური ანუ ეგოცენტრისტული შინაგანი სტატუსი. ამიტომ ბენვენისტის კონცეფცია უნდა წარმოადგენდეს საფუძველს თანამედროვე გრამატიკის და, პირველ რიგში, მორფოლოგიის კვლევისათვის კომუნიკაციურ-პრაგმატული თვალსაზრისით. მაგრამ მიუხედავად მეტყველი სუბიექტის ასეთი სტატუსისა ბენვენისტთან (გრამატიკის განმსაზღვრელი სტატუსი) ეს მოძღვრება, თუკი ჩვენ მას შევხედავთ ლინგვისტური პრაგმატიკის არა ისტორიის, არამედ აქტუალური პრობლემატიკის და პერსპექტივის თვალსაზრისით, შემოფარგლულია მხოლოდ ერთი, მხოლოდ მეტყველი სუბიექტით(8, 292-300). სწორედ ამიტომ არის იგი ეგოცენტრისტული. ის, რაც, ჩვენის აზრით, წარმოადგენს თანამედროვე გრამატიკული პრაგმატიკის უმნიშვნელოვანეს ამოცანას (შე ვგულისხმობ გრამატიკას არა უბრალოდ სუბიექტურ, არამედ ინტერსუბიექტურ გაგებას), რა თქმა უნდა ჯერ კიდევ არ არის ასახული ბენვენისტის მოძღვრებაში. ლოკაციის კატეგორია (ბენვენისტთან ეს ტერმინი არა გვაქვს, გვაქვს ცნება), რომელიც ასახავს ფაქტების მიმართ დამოკიდებულებას სამწევრიანი ღერძის თვალსაზრისით (შე - აქ - ახლა) ეყრდნობა მხოლოდ მეტყველ სუბიექტს - იგი არ ითვალისწინებს კომუნიკაციის მეორე მონაწილეს - ადრესატს . მაგრამ, რა თქმა უნდა, თავისი პრინციპული მიდგომით იძლევა სუბიექტურობიდან ინტერსუბიექტურობაზე გადასვლის საშუალებას.

§5. ექსტრალინგვისტური სიტუაცია და მისი სტრუქტურა

თუ ამ ეტაპამდე ლინგვისტური აზროვნების საგანს წარმოადგენდა ენას როგორც ნიშანთა სისტემა, რომელსაც ადამიანი იყენებს როგორც კომუნიკაციის საშუალებას, კომუნიკაციური პარადიგმის განვითარება და დამკვიდრება ნიშნავს, რომ ამ ეტაპზე ლინგვისტიკის ძირითად საგანს წარმოადგენს ადამიანი (სუბიექტი), დანახული ენობრივი თვალსაზრისით. ამრიგად აქცენტი გადატანილია სისტემიდან, რომელსაც იყენებს ადამიანი, თვით ადამიანზე. ესაა ტენდენცია, რომელსაც ზოგადად შეიძლება ანოროპოლოგიზაციის ტენდენცია ვუწოდოთ. ანთროპოლოგიზაციის ეს ტენდენცია თვითონ არის შედეგი სხვა უფრო ფუძემდებელი ტენდენციისა, სახელდობრ იმისა, რომ იცვლება თვით კომუნიკაციის ცნების შინაარსი. რა თქმა უნდა, კომუნიკაციის ცნების ეს განახლებული შინაარსი არის შედეგი გარკვეული განვითარებისა როგორც თვით ლინგვისტიკის ფარგლებში (ე.ა. თვით ლინგვისტური მეცნიერების განვითარების იმანენტური ტენდენციებისა), აგრეთვე იმ განვითარების შედეგი, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სფეროში საერთოდ. ეს ორი ტენდენცია ერთმანეთს შეხვდა და მათი გადაკვეთის წერტილში იქმნება ის, რასაც კომუნიკაციური პარადიგმა ვუწოდებთ, ხოლო ამ პარადიგმის საფუძველზე იქმნება კომუნიკაციური ლინგვისტიკა. ჩვენ უნდა დავასახელოთ ეს ტენდენციები, - როგორც ლინგვისტიკის ფარგლებში, ისე მის გარეთ რადგან გენეზისი თავის თავში უკვე შეიცავს (იმპლიციტურად მაინც) თავის შედეგს (ანუ კომუნიკაციურ პარადიგმას, კომუნიკაციურ ლინგვისტიკას). თუ გამოვიყენებდით წმინდა ისტორიულ, გენეტიკურ მეთოდს, უნდა გაგვეანალიზებინა ეს ტენდენციები. მაგრამ, ჩვენ მოვიქცევით პირიქით: ჯერ შევეცდებით მოვხაზოთ კომუნიკაციის ის განახლებული შინაარსი,

რომელიც საფუძვლად უდევს კომუნიკაციურ ღინგვისტიკას, მოვხაზოთ კომუნიკაციური აქტის ის მოდელი, რომელსაც ეს განახლებული შინაარსი გულისხმობს - შემდეგ კი ვილაპარაკოთ იმ ტენდენციებზე, რომელთა შედეგადაც მივიღეთ ეს განახლებული შინაარსი, განახლებული მოდელი. ამასთან არ უნდა დაგვაფიწყდეს, რომ საქმე გვაქვს ქმნადობაში მყოფ შინაარსთან და მოდელთან. კომუნიკაციის შინაარსის შემდგომ დაკონკრეტებას, ამ მოდელის სტრუქტურის შემდგომ დაზუსტებას.

ჩვენი მიზანია კონცეპტუალური ანუ ცნებითი სახე მივცეთ კომუნიკაციის ცნების იმ შინაარსს და კომუნიკაციური აქტის იმ მოდელს, რომელიც საფუძვლად ედება ღინგვისტური აზროვნების ახალ პარადიგმას. ამ გზით, ერთი მხრივ, დავაკონკრეტებთ იმას, რაც უკვე ითქვა, ხოლო მეორე მხრივ - შევიქმნით შემდგომი მსჯელობის საფუძველს. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რა უნდა იყოს ჩვენი შემდგომი მსჯელობის საგანი: კომუნიკაციური ღინგვისტიკის გენეზისი (მისი ორი მხარე: საკუთრივ ღინგვისტური და ზოგადმეცნიერული), ღინგვისტური პრაგმატიკა, კომუნიკაციური ღინგვისტიკის დარგები: კომუნიკაციური ლექსიკოლოგია, კომუნიკაციური მორფოლოგია, კომუნიკაციური სინტაქსი. ყველა ამ დარგმა და თვით პრაგმატიკამ საბოლოო ანგარიშში, ერთი მხრივ, დაფუძნება უნდა პპოვონ კომუნიკაციის იმ მოდელში, რომლის განხილვასაც ვიწყებთ, ხოლო მეორე მხრივ - თვითონ უნდა გამოვიდნენ ამ მოდელის ექსპლიკაციის კონცეპტუალური საშუალების როლში.

როგორია კომუნიკაციის განახლებული შინაარსი და მოდელი რომელსაც ჩვენ ვგულისხმობთ? ამ შინაარსისა და მოდელის მოხაზვისას ჩვენ ვიღებთ მხედველობაში ფართო მეცნიერულ კონტექსტს (როგორც ღინგვისტურს, ისე ზოგადმეცნიერულს) მაგრამ ძირითადად დავეყრდნობით იმ ზოგად კონტურებს, რომლებიც მოცემულია კ. დოლინინის წიგნში „ტექსტის ინტერპრეტაცია“. ჩვენ დავინახავთ, რომ კომუნიკაციის ეს მოდელი მართლაც იქმნება

ზოგადპუმიანიტარული და საკუთრივ ლინგვისტური ტენდენციების გადაკვეთის წერტიელში. კომუნიკაციის ამ მოდელს საფუძვლად ედება სიტუაციის ცნება. თავიდანვე გაიმიჯნება სიტუაციის ორი სახე ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური. ლინგვისტური სიტუაცია - ეს არის თვით გამონათქვამი მისი უშუალო ენობრივი მოცემულობით. მაგრამ გამონათქვამის მნიშვნელობა - ის, რისთვისაც გამონათქვამი არსებობს და ფუნქციონირებს - ვერ იქნება განსაზღვრული მხოლოდ ლინგვისტური სიტუაციით. იმისათვის, რომ გამონათქვამის მნიშვნელობა ზუსტად გავიაზროთ, საჭიროა გავცდეთ წმინდა ენობრივ მონაცემებს, ე. ი. გავცდეთ საკუთრივ ლინგვისტურ სიტუაციას, რაც გულისხმობს, რომ ექსტრალინგვისტური, ე. ი. არაენობრივი, მაგრამ ენობრივთან მჭიდროდ დაკავშირებული სიტუაცია უფრო მნიშვნელოვანია კია გამონათქვამის მნიშვნელობის განსაზღვრისათვის, ვიდრე თვით ენობრივი. ავტორს მოჰყავს ასეთი გამონათქვამი: წვიმს, ერთი კი მეორეს ეუბნება: „რა მშვენიერი ამინდია!“. საკუთრივ ლინგვისტური პოზიციებიდან გამომდინარე აქ გვაქვს გარკვეული ექსპლიციტური შინაარსი. მაგრამ, რაკი სინამდვილეში ამინდი მშვენიერი არ არის გამონათქვამის მნიშვნელობა (ლაპარაკია გამონათქვამის მნიშვნელობის სრულ და ჭეშმარიტ გაგებაზე) არ შეიძლება განისაზღვროს წმინდა ენობრივი მნიშვნელობით. ე. ი. გამონათქვამს, ექსპლიციტური შინაარსის გარდა, აქვს აგრეთვე ქვეტექსტური (იმპლიციტური) მნიშვნელობა. მაგრამ იმისათვის რომ ეს იმპლიციტური მნიშვნელობა დაკინაზოთ, საჭიროა გავცდეთ ექსპლიციტურ მნიშვნელობას (ლინგვისტურ სიტუაციას) და მხედველობაში მივიღოთ ის სინამდვილე, რომელთანაც გამონათქვამია დაკავშირებული. მოყვანილი მაგალითის შემთხვევაში იმპლიციტური მნიშვნელობა უფრო მნიშვნელოვანია - ექსპლიციტური მნიშვნელობა ემსახურება იმპლიციტურის გამოხატვას. თუ ცუდი ამინდისას ამბობ „რა კარგი ამინდია!“, ამას აკეთებ გარკვეული მ ი ზ ნ ი თ - გამოდის, რომ იმპლიციტური

შინაარსიც არსებობს სხვა უფრო მნიშვნელოვანი შინაარსის გამოსახატავად. თუ იმპლიციტური მნიშვნელობა გამოიხატება ექსპლიციტური მნიშვნელობისა და ობიექტური სინამდვილის შედარების გზით, იმისათვის, რომ გავიგოთ და გავიაზროთ მნიშვნელობის ეს მესამე შრე, არ არის საკმარისი არც ექსპლიციტური, არც იმპლიციტური მნიშვნელობა. აქ უკვე საქმე გვაქვს მეტყველი სუბიექტის განზრახვასთან. ფუნქციური თვალსაზრისით ეს მესამე შრე უფრო მნიშვნელოვანია - მის გარეშე არც გამონათქვამი იქნებოდა. ამ შრეს ავტორი **აქტუალურ** მნიშვნელობას უწოდებს.

მნიშვნელობის ამ სამი შრიდან ყველაზე მნიშვნელოვანია აქტუალური მნიშვნელობა: პირველი ორი შრე მთლიანად მას ემსახურება. იგი კი სუბიექტური წარმოსობისაა და სუბიექტურ სფეროს ეკუთვნის. თუ ჩვენ ამ გამონათქვამის შინაარსს დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ იგი თავის თავში შეიცავს - როგორც წვეთი ზღვას - თუ შეიძლება ასე ითქვას, მთელ კომუნიკაციურ პარადიგმას. შეიცავს იმას, რაც მთავარია კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში: წმინდა ენობრივი სიტუაციიდან პრინციპულ გასვლას, რომელიც გულისხმობს ექსტრალინგვისტური სიტუაციის აუცილებელ გათვალისწინებას, მასზე დაყრდნობას. იგი გვიჩვენებს, რომ ექსტრალინგვისტური სიტუაცია ორი სახისაა: იგი, ერთის მხრივ, ეკუთვნის იმ გარე სინამდვილეს, რომელიც იქცევა კომუნიკაციის საგნად, რომელიც გამონათქვამის უშუალო შინაარსს წარმოადგენს, ხოლო მეორეს მხრივ, - ეს სიტუაცია ეკუთვნის სუბიექტს - გამონათქვამის ავტორს. რაკი საბოლოო ანგარიშში გამონათქვამის მნიშვნელობის სამი სახიდან განმსაზღვრელია აქტუალური მნიშვნელობა, ამდენად ლინგვისტური კვლევისათვის განმსაზღვრელი უნდა იყოს ენობრივი სუბიექტის (ენობრივი პიროვნების) კვლევა.

ამრიგად, ჩვენ გვაქვს **ექსტრალინგვისტური სიტუაციის** (18; 8) ორი სახე (სეგმენტი):

1. **რეფერენტული სიტუაცია** - ანუ სინამდვილის ის სეგმენტი, ის მონაკვეთი, რომელიც უშუალოდ ასახულია გამონათქვამში, - გამონათქვამის რეფერენტი. ვინაიდან იმას, რაც ასახულია გამონათქვამში, მუდამ სიტუაციის სახე აქვს, ამიტომ გამონათქვამის რეფერენტს წარმოადგენს სიტუაცია. ჩვენს მიერ მოყვანილ მაგალითში რეფერენტულ სიტუაციას წარმოადგენს თვით ამინდი. ტექსტის შემთხვევაში შეიძლება ვილაპარაკოთ რეფერენტულ სივრცეზე: **რეფერენტული სივრცე** შედგება რეფერენტული სიტუაციებისგან. იმისათვის, რომ ექსპლიციტური მნიშვნელობიდან იმპლიციტურზე გადავიდეთ, უნდა დავეყრდნოთ რეფერენტულ სიტუაციას. მაგრამ თუ გვსურს გავითვალისწინოთ უფრო ღრმა მნიშვნელობა, უნდა დავეყრდნოთ რეფერენტულ სივრცეს.

2. **კომუნიკაციური სიტუაცია** - ეს ის სიტუაციაა, რომლის გარეშეც შეუძლებელია გავიგოთ და გავიაზროთ გამონათქვამის აქტუალური მნიშვნელობა. იგი განისაზღვრება პირველ რიგში კომუნიკაციის აქტის მონაწილეებით (კომუნიკატენტებით). როგორც მინიმუმი, კომუნიკაციური სიტუაცია (კომუნიკაციური აქტი) შეიცავს ორ კომუნიკანტს: ადრესანტსა და ადრესატს. ყოველი კომუნიკანტი ხასიათდება გარკვეული ნიშნებით, ეს ნიშნებია:

1) სოციალური სტატუსი; 2) სოციალური როლი; 3) თეზაურუსი; 4) ის რასაც შეიძლება ვუწოდოთ პარტნიორის ხატი: ადრესანტისათვის ადრესატის ხატი და პირუკუ.

აქტუალურ მნიშვნელობას ქმნის მოლაპარაკე სუბიექტის ინტენცია; მაგრამ ეს ინტენცია არის მთელი კომუნიკაციური სიტუაციის ანარეკლი. კომუნიკაციის მონაწილენი არ ამოწურავენ კომუნიკაციურ სიტუაციას.

განვმარტავთ ჩამოთვლილ ნიშნებს.

სოციალური სტატუსი - ეს არის ის ადგილი, რომელიც ადამიანს უკავია საზოგადოებაში (უპირველესად პროფესიული ადგილი);

სოციალური როლი - უნდა გავიგოთ ან სოციალურად, ან ფსიქოლოგიურად.

სოციალურია, მაგალითად, მამა-შვილი. ფსიქოლოგიური როლი კი გულისხმობს კომუნიკანტთა ფსიქოლოგიურ ურთიერთგანწყობას. შეიძლება სოციალური როლები უცვლელი დარჩეს, ფსიქოლოგიური კი შეიცვალოს.

თეზაურუსი - (ბერძნ. „განძი“) ესაა სამყაროზე საერთოდ თუ მოცემულ რეფერენტულ სიტუაციაზე წარმოდგენათა თუ ცოდნათა ერთობლიობა, რომელიც აქვს კომუნიკანტებს. შეიძლება ვილაპარაკოთ ადრესანტისა და ადრესატის თეზაურუსებზე, მათი თეზაურუსების შესაბამისობა შეუსაბამობაზე.

ლინგვისტიკაში თეზაურუსის გვერდით ხმარობენ აგრეთვე ტერმინს **ფონური ცოდნა**. ამ ორის სინონიმურია აგრეთვე ტერმინი, რომელიც ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური წარმოშობისაა - **სამყაროს ხატი**. თუ პირველი ორი ტერმინი აქცენტს აკეთებს ცოდნაზე, მესამე აქცენტს აკეთებს წარმოდგენაზე.


კომუნიკაციის ყოველი აქტი გულისხმობს, რომ კომუნიკანტებს აქვთ წარმოდგენა ერთმანეთის თეზაურუსებზე, ფონურ ცოდნასა თუ სამყაროს ხატზე. ესაა სწორედ ის, რასაც **სამყაროს ხატს** უწოდებენ.

მაგრამ კომუნიკაციური სიტუაცია თავის სტრუქტურაში გულისხმობს არა მარტო კომუნიკანტებს მათი ძირითადი ნიშნებით, არამედ დროულ და სივრცულ მომენტებს: **სად და როდის** ხდება კომუნიკაცია.

ვერც რეფერენტული, ვერც კომუნიკაციური სიტუაცია ვერ არიან ავტონომიური, ასე ვთქვათ - თვითკმარი ცნებები. ყოველი რეფერენტული სიტუაცია არის სემანტი (ნაწილი) უფრო ფართო, უფრო მეტისმომცველი სიტუაციისა ანუ **საგნობრივ-ხდომილებრივი** სიტუაციისა (18; 11). „წვიმა მოდის“ - რეფერენტული სიტუაციაა. მაგრამ იგი ჩართულია უფრო ვრცელ სიტუაციაში (გუშინ როგორი ამინდი იყო და ა.შ.). რეფერენტული სიტუაცია - ესაა

მიკროსიტუაციის გამოყოფა მაკროსიტუაციიდან. სხვაგვარად თუ ვიტყვით, იგი არის საგნობრივ-ხდომილებრივი ფონის (მაკროსიტუაციის) სუბმენტი, გამოყოფილი კომუნიკაციის ამ მომენტში. ასევე კომუნიკაციური სიტუაცია უფრო ფართო, მეტისმომცველი ქმედითი სიტუაციის ფრაგმენტია. კომუნიკანტებისათვის კომუნიკაციის ის აქტი, რომლის მონაწილენიც ისინი ხდებიან, არის მათი ცხოვრებისეული ქმედების ნაწილი. ქმედით სიტუაციას, რომლის ნაწილსაც კომუნიკაციური სიტუაცია წარმოადგენს, აქვს სიუჟეტური ხასიათი - იგი მუდამ დროშია მოცემული - მუდამ გულისხმობს დროის მონაკვეთს, რომელიც მას უნდა მოსდევდეს.

ექსპლიციტურ, იმპლიციტურ და აქტუალურ მნიშვნელობათა გააზრებისათვის აუცილებელია სიტუაციათა მთელი ეს ერთობლიობა:



თავი IV

კომუნიკაცია როგორც ადამიანური ქმედების სახეობა და გამონათქვამის პრაგმატული სტრუქტურა

§1. საკომუნიკაციო აქტი და გამონათქვამის ნომინაციური და კომუნიკაციური ასპექტები. გამონათქვამი და ქვეტექსტი

კომუნიკაციის ცნებისა და მისი მოდელის განახლება გულისხმობს კომუნიკაციის შინაარსის ისეთ გაფართოებას, რომლის ფარგლებშიც კომუნიკაციის აქტი გვევლინება უფრო ფართო ადამიანური ქმედების კომპონენტად ან მის გაგრძელებად. ეს თეზისი, რომელიც კომუნიკაციური ლინგვისტიკის პირველსაფეხველს წარმოადგენს, ჩვენ ძირითადად დავაკონკრეტეთ ექსტრალინგვისტური ცნების საშუალებით. ითქვა ექსტრალინგვისტური სიტუაციის ორ სეგმენტზე - რეფერენტულ და კომუნიკაციურ სიტუაციაზე. ითქვა ისიც, რომ ორივე მათგანი გულისხმობს ჩართულობას უფრო ფართო სიტუაციაში: რეფერენტული სიტუაცია ჩართულია საგნობრივ-ხდომილებრივ ფონში, ხოლო კომუნიკაციური სიტუაცია - ქმედით სიტუაციაში. („ჩართვა“ აქ ნიშნავს, რომ იგი წარმოადგენს ამ უფრო ფართოდ აღებული სიტუაციების კომპონენტს).

გამოყოფილი ოთხი სეგმენტი: საგნობრივ-ხდომილებრივი ფონი - რეფერენტული სიტუაცია / ქმედითი სიტუაცია - კომუნიკაციური სიტუაცია იძლევა იმას, რასაც კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში მეტყველების კომუნიკაციურ ჩარჩოებს (18; 12) უწოდებენ.

არ უნდა დაგვაიწიფდეს, რომ თვით ტერმინი და ცნება „ექსტრალინგვისტური სიტუაცია“ გულისხმობს საკუთრივ ენობრივ - ინტრალინგვისტურ - სიტუაციას. ეს კი თვით

გამონათქვამია. ტერმინი „გამონათქვამი“ (высказывание) ლათ: dis cursus) თაყისი მნიშვნელობით უფრო ფართოა, ვიდრე ისეთი ტერმინები, როგორცაა „წინადადება“ და „ტექსტი“. იმისათვის, რომ ამ ფართო მნიშვნელობაში გარკვეულობა შეეიტანოთ, შეგვიძლია დავყვრდნოთ ჩვენთვის უკვე ცნობილ ტერმინებს „რეფერენტულ სიტუაციას“ და „რეფერენტულ სივრცეს“. იმისათვის, რომ გამონათქვამი უდრიდეს წინადადებას, საკმარისია გვეკონდეს რეფერენტული სიტუაცია - ამ შემთხვევაში გამონათქვამი ასახელებს რომელიმე რეფერენტულ სიტუაციას. მაგრამ თუ გვაქვს სიტუაციათა გარკვეული ერთობლიობა ანუ რეფერენტული სივრცე, მაშინ გამონათქვამი უნდა მივიჩნიოთ ტექსტად.

დღეს შევჩერდებით გამონათქვამის ნომინაციურ და კომუნიკაციურ ასპექტებზე. ეს ასპექტები ერთნაირადაა დამახასიათებელი როგორც წინადადებისათვის, ისე ტექსტისათვის, ვინაიდან ერთიც და მეორეც გამოდის გამონათქვამის როლში. მაგრამ, ცხადია, ამ ასპექტების განმარტება, მათი არსის შეცნობა სჯობს წინადადების საშუალებით დავიწყოთ.

ჩვენ ერთმანეთისაგან გავმიჯნეთ ექსტრალინგვისტური სიტუაციის ორი სახე: რეფერენტული და კომუნიკაციური სიტუაციები. გამონათქვამის ნომინაციური ასპექტი - ეს არის ასპექტი, რომელიც უშუალოდ ასახავს რეფერენტულ სიტუაციას, კომუნიკაციური ასპექტი კი ის ასპექტია, რომელიც უშუალოდ ასახავს კომუნიკაციურ სიტუაციას. აქვე უნდა ითქვას, რომ სიტყვა „ასახვა“ გულისხმობს ასახვის ორ მოდუსს: ასახვა შეიძლება იყოს ექსპლიციტური, ე. ი. გამონათქვამის ენობრივ სტრუქტურაში პირდაპირ განხორციელებული, და შეიძლება იყოს იმპლიციტური, ე. ი. მხოლოდ ნაგულისხმევი. იმპლიციტური ასახვის შემთხვევაში შეიძლება ვილაპარაკოთ გამონათქვამის ნომინაციურ ან კომუნიკაციურ ქვეტექსტზე ანუ იმპლიკაციაზე.

რეფერენტული სიტუაცია დახასიათდა ძალიან ზოგადად: ის, რაზედაც ლაპარაკია გამონათქვამში, რაც წარმოადგენს მის საგანს. დღეს უკვე შეიძლება დაზუსტდეს რეფერენტული სიტუაციის ზოგადი შინაარსი: რეფერენტული სიტუაცია მუდამ გულისხმობს სინამდვილიდან გარკვეული ელემენტების გამოყოფას და ამ ელემენტებს შორის გარკვეულ მიმართებათა დამყარებას. რაკი რეფერენტული სიტუაცია მუდამ წარმოადგენს გარკვეულ საგნობრივ-ხდომილებრივი ფონის კომპონენტს, ცხადია, რომ რეფერენტული სიტუაციის გამოყოფა და მისი გადაქცევა გამონათქვამის საგნად მუდამ არის მეტყველი სუბიექტის გარკვეული აქტივობის შედეგი. ე. ი. რეფერენტული სიტუაცია არასოდეს არ არის მოცემული მზა სახით. მაგალითად, იმის შესახებ, რაც აუდიტორიაში ხდება, შეიძლება აიგოს სხვადასხვა გამონათქვამი: „ტარდება ლექცია კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში“, „მერხებს უზის 20 მსმენელი“ და ა.შ. ამრიგად, არის გარკვეული საგნობრივ-ხდომილებრივი ფონი, მაგრამ გამონათქვამის ასაგებად საჭიროა გამოიყოს მისგან რეფერენტული სიტუაცია. ეს კი დამოკიდებულია, როგორც ვთქვით, მეტყველ სუბიექტზე: მის სამყაროსეულ ხატზე, ფონურ ცოდნაზე, თეზაურუსზე და ა. შ. თუმცა საგნობრივ-ხდომილებრივი სიტუაცია ერთია, მისგან შეიძლება გამოიყოს მრავალი რეფერენტული სიტუაცია, მაგრამ სახელდობრ რომელი გამოიყოფა, დამოკიდებულია უკვე სუბიექტის საკომუნიკაციო მიზანსა და თეზაურუსზე. იგივე ითქმის

კომუნიკაციურ ასპექტზეც. აქედან გამომდინარე ორი ძირითადი დასკვნა, უაღრესად მნიშვნელოვანი როგორც კომუნიკაციური ლინგვისტიკისათვის საერთოდ, ისე პრაქტიკული ანალიზისათვის:

1) ნომინაციურ და კომუნიკაციურ ასპექტთა გამიჯვნა და გამოყოფა ფარდობითი ხასიათისაა;

2) ის, რასაც ანალიზის მიზნებიდან გამომდინარე ვუწოდებთ ნომინაციურ ასპექტს, ისიც კომუნიკაციური

ასპექტი ყოფილა, რადგანაც ისიც დამოკიდებული ყოფილა საკომუნიკაციო მიზანსა და თეზაურუსზე.

ამრიგად, ნომინაციური ასპექტის გამოყოფა გამონათქვამის დონეზე გვევლინება ფარდობით აქტად, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ ითქმის კომუნიკაციურ ასპექტზე: ნომინაციური ასპექტი შეგვიძლია მივიჩნიოთ კომუნიკაციური ასპექტის ერთგვარ სახეობად, მაგრამ პირუკუ შეუძლებელია. ეს კი ნიშნავს მთელი ენობრივი სისტემის „კომუნიკაციზაციას“, ენობრივ ერთეულთა შინაარსის მთლიან დაქვემდებარებას კომუნიკაციის ცნებისადმი.

ამრიგად, ნომინაციური ასპექტი სახაყს რეფერენტულ სიტუაციას, იგი არ არის მოცემული მზა სახით, არამედ არის კომუნიკანტთა ქმედების შედეგი და განისაზღვრება ადრესანტის კომუნიკაციური მიზნითა და თეზაურუსით. მისი გამოყოფა ფარდობითია. ეს რაც შეეხება ამ ასპექტის არსებობას. ახლა რაც შეეხება მის სტრუქტურას.

რეფერენტული სიტუაცია მუდამ გულისხმობს საგნობრივ-ხდომილებრივი ფონიდან კომპონენტების გამოყოფას. რაც შეეხება სტრუქტურულ მხარეს, თანამედროვე ლინგვისტიკაში ყოველი რეფერენტული სიტუაცია აღიქმება როგორც ისეთი ხდომილება, რომელიც გულისხმობს ამ ხდომილების მონაწილეთა გარკვეულ რაოდენობას. ე. ი. იგულისხმება, რომ რაღაც ხდება და იმას, რაც ხდება, ჰყავს რეალური მონაწილენი (აქტანტები). ე. ი. საგნობრივ-ხდომილებრივი ფონი შეიცავს როგორც ხდომილებათა, ისე პოტენციურ აქტანტთა უსასრულო რაოდენობას. ეს კი ნიშნავს, რომ რეფერენტული სიტუაციის გამოყოფა გულისხმობს ამა თუ იმ ხდომილების გამოყოფას იმ საგნებთან ერთად, რომლებიც ამ ხდომილების მონაწილეთა როლში გამოდიან, მაგრამ რეფერენტული სიტუაციის გამოყოფა საგნობრივ-ხდომილებრივი ფონიდან, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს რეფერენტულ სიტუაციასა და აღნიშნულ ფონს შორის კავშირის გაწყვეტას; რადგანაც რეფერენტული სიტუაცია ასახულია გამონათქვამის ნომინაციურ ასპექტში,

უნდა ითქვას, რომ რეფერენტული სიტუაცია დაკავშირებულია საგნობრივ-ხდომილებრივ ფონთან, რომლის წიაღშიც იგი გამოიყო, ნომინაციური ქვეტექსტით.

ავიღოთ ისევ მაგალითი „რა მშვენიერი ამინდია!“. სიტყვა „ამინდის“ ექსპლიციტური ხმარება გულისხმობს, რომ არსებობს ისეთი რამ, რაც ამინდია - ის ბუნება, რომელიც ჩვენს გარშემოა, ატარებს გარკვეულ სახეს და ამ სახეს ვუწოდებთ „ამინდს“. ეს ე. წ. „ეგზისტენციალური პრესუპოზიცია“ - უნდა არსებობდეს, რომ მასზე ლაპარაკი შეეძლოს. გარდა ამისა, ამინდი შეიძლება იყოს კარგი ან ცუდი. (ესაა ამ ლექსების ძირითადი დისტრიბუცია). ეს, ასე ვთქვათ, ლექსიკური პრესუპოზიციაა - ის, რასაც გულისხმობს თვით სიტყვის სემანტიკა. ამ ორი პრესუპოზიციის გარდა, რეფერენტული სიტუაცია გულისხმობს აგრეთვე სხვა სახის პრესუპოზიციებსაც - არაეგზისტენციალურს, არალექსიკურს. მაგალითად, აქამდე ამინდი სხვანაირიც შეიძლება ყოფილიყო და სხვ. მას პირობითად შეიძლება სიტუაციური პრესუპოზიცია ვუწოდოთ.

ამრიგად: რეფერენტული სიტუაცია დაკავშირებულია საგნობრივ-ხდომილებრივ ფონთან, უფრო ფართოდ - სამყაროსეულ ფონთან - თავისი ნომინაციური ქვეტექსტით, ხოლო ეს უკანასკნელი გულისხმობს პრესუპოზიციათა და იმპლიკაციათა სისტემას. (ტერმინებს „პრესუპოზიცია“ და „იმპლიკაცია“ საერთო აქვთ ის, რომ არც ერთი მათგანი არ არის გამოხატული ექსპლიციტურად, ორივე იმპლიციტურია, ორივე ეკუთვნის ქვეტექსტს. განსხვავება კი მდგომარეობს იმაში, რომ პრესუპოზიცია - ესაა ქვეტექსტი, რომელიც წარსულსა და აწმყოს ეკუთვნის, იმპლიკაცია კი მომავალს).

როგორც პრესუპოზიცია, ისე იმპლიკაცია შეიძლება იყოს არა მარტო ნომინაციური, არამედ კომუნიკაციური ხასიათისაც - შეიძლება ვილაპარაკოთ არა მარტო ნომინაციურ, არამედ კომუნიკაციურ ქვეტექსტებზეც.

§2. გამონათქვამის პრაგმატული სტრუქტურა

შეეჩერდეთ ნომინაციური და კომუნიკაციური ქვეტექსტების საკითხზე.

ამ ქვეტექსტებზე ლაპარაკი ჩვენ გვექონდა გამონათქვამის დონეზე, ხოლო გამონათქვამის ცნება აღებულ იქნა გვექონდა განზოგადებული სახით, იმდენად, რამდენადაც გამონათქვამი მოცემულია კომუნიკაციური აქტის სტრუქტურაში, ე. ი. ჯერჯერობით ჩვენი ყურადღების გარეშე რჩება ის, თუ როგორია ამ ქვეტექსტების რეალიზაცია ენობრივი სისტემის სხვადასხვა დონეზე, რაც შეეხება **ნომინაციურ ქვეტექსტს**, ჩვენ ვთქვით, რომ ეს არის ძირითადად პრესუპოზიციათა სისტემა და ვილაპარაკეთ პრესუპოზიციათა ტიპებზე (ლექსიკური, ეგზისტენციალური, სოციალური წარმოშობის პრესუპოზიციები). პრესუპოზიციის ყოველი ეს ტიპი ვლინდება გამონათქვამში კომუნიკაციურ სიტუაციასთან მიმართებაში. გარდა პრესუპოზიციის ცნებისა, ქვეტექსტი გულისხმობს იმპლიკაციის ცნებას, და ჩვენ ვილაპარაკეთ პრესუპოზიციისა და იმპლიკაციის ურთიერთმიმართებაზე. იმისათვის, რომ განისაზღვროს **კომუნიკაციური ქვეტექსტი** (ე. ი. განისაზღვროს, თუ რა მომენტთა სისტემას წარმოადგენს იგი), ამისათვის საჭიროა მოვიშველიოთ ყველა ის ცნება, რომელიც დაკავშირებულია კომუნიკაციურ სიტუაციასთან: სიტუაცია იყოფა ლინგვისტურ და ექსტრალინგვისტურ სიტუაციად (ეს უკანასკნელი კი რეფერენტულ და კომუნიკაციურ სიტუაციად). კომუნიკაციურ სიტუაციაზე ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ, აღვნიშნეთ, რომ კომუნიკაციური სიტუაცია არის უფრო ფართო სიტუაციის ქმედობრივი სიტუაციის – კომონენტი და ვილაპარაკეთ კომუნიკაციური აქტის როლურ სტრუქტურაზე, აგრეთვე თეზაურუსის ანუ სამყაროს ხატის ცნებაზე და იმ ხატზეც, რომელიც აქვთ ერთიმეორის მიმართ კომუნიკანტებს. კომუნიკაციური სიტუაციის ყველა ამ

მომენტს აქვს მნიშვნელობა კომუნიკაციური ქვეტექსტის განსაზღვრისათვის. მაგრამ იმისათვის, რომ კომუნიკაციურ მომენტთა ერთობლიობა, რომლებიც ქმნიან კომუნიკაციურ ქვეტექსტს, სრული იყოს და ამ სისრულის მიღწევის შემდეგ შევძლოთ უფრო სრულად განვსაზღვროთ კომუნიკაციური ქვეტექსტი, აუცილებელია დაეახასიათოთ გამონათქვამი კომუნიკაციის აქტისათვის გლობალური მნიშვნელობის მქონე (გლობალურად რელევანტური) ნიშნების მიხედვით. რა ნიშნებით უნდა ხასიათდებოდეს გამონათქვამი, რომ მან მოახდინოს ეფექტური კომუნიკაცია?

პირველი და ყოველსმომცველი ნიშანი, რომელიც თავისთავად იგულისხმება, ეს არის თვით **კომუნიკაციურობის** ნიშანი, რაც გულისხმობს იმას, რომ გამონათქვამი არის არა უბრალოდ რომელიმე ენის აქტუალიზაციის შედეგად მიღებული ენობრივი სეგმენტი, არამედ ისეთი სეგმენტი, რომელიც მოქცეულია მინიმუმ ორ კომუნიკანტს შორის, ემსახურება გარკვეულ კომუნიკაციურ მიზანს, ასახავს გარკვეულ რეფერენტულ სიტუაციას, დაკავშირებულია გარკვეულ კომუნიკაციურ სიტუაციასთან და ა. შ. ე. ი. გამონათქვამის კომუნიკაციურობა შეიცავს თავის თავში ყველა იმ მომენტს, რომლებზედაც აქამდე გვქონდა ლაპარაკი. კომუნიკაციის ამ გლობალური ღირებულების ნიშნიდან გამომდინარეობს შემდეგი ნიშნები:

1. გამონათქვამის **გააზრებულობის** ნიშანი. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველ გამონათქვამს და გამონათქვამის ყოველ კომპონენტს უნდა ახასიათებდეს ის, რაც ახასიათებს ყოველ ენობრივ ნიშანს - როგორც სიგნიფიკატი, ისე დენოტატი, ე. ი. ყოველი ცალკეული გამონათქვამი უნდა იყოს რომელიღაც სინტაქსური თუ ტექსტობრივი მოდელის რეალიზაცია (თვით მოდელი იქნება ამ შემთხვევაში სიგნიფიკატი), ხოლო კონკრეტულ გამონათქვამს უნდა ჰქონდეს თავისი დენოტატი - სწორედ ის კონკრეტული რეფერენტული სიტუაცია, რომელზეც მიუთითებს გამონათქვამი როგორც სინტაქსური ან ტექსტური

(ტექსტობრივი) მოდელის რეალიზაციის შედეგი. გამონათვამის მნიშვნელობა განპირობებულია ამრიგად მისი ნიშნობრივი ბუნებით.

2. გამონათქვამის **გამიზნულობა**, რაც ნიშნავს იმას, რომ გამონათქვამის კომუნიკაციურობა საჭიროებს დაკონკრეტებას ისეთი ნიშნით, როგორიცაა **კომუნიკაციური ინტენცია**. არ არის საკმარისი ვთქვათ, რომ ყოველი გამონათქვამი ემსახურება კომუნიკაციას, არის კომუნიკაციის საშუალება, ყოველი გამონათქვამის სტრუქტურა და პირველ რიგში ის გეგმა, რომლის მიხედვითაც იგი არის აგებული (კომუნიკაციური გეგმა), ექვემდებარება კომუნიკაციურ ინტენციას. კომუნიკაციური ინტენციის გარკვეულობა წარმოადგენს კომუნიკაციის ეფექტურობის ერთ-ერთ ფაქტორს. კომუნიკაციური ინტენციის ცნება დაკავშირებულია კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში ისეთ ცნებასთან, როგორიცაა **ილოკუციური ძალა**, რომელიც, თავის მხრივ, უკავშირდება პერფორმატიულობის ცნებას.

3. მესამე ნიშანი გამონათქვამის **სიტუაციურობაა**. სიტუაციის ცნება ჩვენ უკვე საკმარისად განვმარტეთ. აუცილებელია ამ შემთხვევაში იმის აღნიშვნა, რომ ყოველი გამონათქვამის კონკრეტულობა გულისხმობს სიტუაციის (როგორც რეფერენტული, ისე კომუნიკაციური სიტუაციის კონკრეტულობას).

4. მეოთხე ნიშანი - ესაა გამონათქვამის შინაგანი შეკავშირებულობის, ანუ **კოჰერენტულობის** ნიშანი. მან განსაკუთრებული გაშლა ჰპოვა ტექსტის ლინგვისტიკაში. ეს ნიშანი, ურომლისოდაც შეუძლებელია ეფექტური კომუნიკაცია, მიუთითებს იმაზე, რომ ტექსტის ლინგვისტიკა არის კომუნიკაციური ლინგვისტიკის ორგანული კომპონენტი: განვიხილოთ გამონათქვამი როგორც კოჰერენტული მთლიანობა, ნიშნავს განვიხილოთ იგი როგორც ტექსტი. ამ თვალსაზრისით არა აქვს მნიშვნელობა, გამონათქვამი მოცემულია ცალკეული წინადადებისა თუ მათი

თანამიმდევრობის სახით. იმდენად, რამდენადაც გამონათქვამს აქვს კოჭერენტულობის ნიშანი, იგი არის ტექსტი.

კომუნიკაციური ლინგვისტიკის ჭეშმარიტ ენობრივ საგნად უნდა ჩაითვალოს ტექსტი, რადგან სწორედ ტექსტი წარმოადგენს იმ ენობრივ სინამდვილეს, რომლის არსში და რომლის სტრუქტურაში პოვებს რეალიზაციას კომუნიკაციის ის განახლებული იდეა, რომელსაც ეყრდნობა ლინგვისტიკის კომუნიკაციური პარადიგმა - და აქედან გამომდინარე - თვით კომუნიკაციური ლინგვისტიკა. მაგრამ თვით ტექსტის ლინგვისტური ცნება უინაგანად ორაზროვანია და ეს ორაზროვნება გამომდინარეობს ტექსტის ლინგვისტური განსაზღვრის ფუნქციური და სტრუქტურული კრიტერიუმების განსხვავებიდან. თუ ტექსტს წმინდა ფუნქციური თვალსაზრისით გავიგებთ, მაშინ ტექსტად შეიძლება მოგვევლინოს ერთი ცალკეული გამონათქვამიც - იმდენად, რამდენადაც მასში ასახულია კომუნიკაციური ლინგვისტიკისათვის რელევანტური კომუნიკაციის ცნება, ე. ი. თუ გამონათქვამში ასახულია როგორც საკუთრივ ლინგვისტური, ისე ექსტრალინგვისტური სიტუაცია (როგორც რეფერენტული, ისე კომუნიკაციური), მაშინ შეიძლება ჩაითვალოს, რომ სწორედ გამონათქვამი წარმოადგენს კომუნიკაციის პროდუქტს, ანუ იმ კომუნიკაციის პროდუქტს, რომელიც შეიძლება განისაზღვროს როგორც ტექსტის წარმომქმნელი ანუ ტექსტობრივი ქმედება, ე. ი. გვექნება ერთი ცალკეული გამონათქვამი თუ გამონათქვამთა თანამიმდევრობა, ანუ აისახება შესაბამისი რეფერენტული სიტუაცია ერთ გამონათქვამში თუ გამონათქვამთა თანამიმდევრობაში - ამას წმინდა ფუნქციური თვალსაზრისით მნიშვნელობა არა აქვს: ამრიგად ტექსტი შეიძლება დაემთხვეს გამონათქვამს და გამონათქვამი - ტექსტს, მაგრამ, რაც შეეხება სტრუქტურულ თვალსაზრისს, ეს თვალსაზრისი განსხვავდება ფუნქციური თვალსაზრისისაგან იმით, რომ ტექსტად იგი მიიჩნევა გამონათქვამთა ისეთ თანამიმდევრობას, რომელიც გაერთიანებულია

თემატური პრინციპით, ე. ი. როგორც ერთი სიტყვით წარმოდგენილი წინადადება წარმოდგენილია როგორც წინადადების ზღვრული, მაგრამ არატაბიური შემთხვევა, ისე ერთი გამონათქვამით წარმოდგენილი ტექსტი შეიძლება გაფიგოთ როგორც ზღვრული. აქ მთავარია ითქვას, რომ ის, რაც ითქმის გამონათქვამზე როგორც კომუნიკაციური ქმედების ამსახველ ენობრივ წარმონაქმნზე, პრინციპულად შეიძლება გადატანილი იქნას ტექსტზე, თუმცა, რა თქმა უნდა, არ შეიძლება ითქვას, რომ პირიქით მტკიცებაც ასევე მართებულია. ის, რაც ითქმის ტექსტზე, არ შეიძლება მუდამ გადატანილი იქნას გამონათქვამზე, ე. ი. ჩვენ შეგვიძლია კომუნიკაციის აქტი, კომუნიკაციური ქმედება დავახასიათოთ გამონათქვამის საფუძველზე, რაც არ ნიშნავს იმის უარყოფას, რომ ტექსტის წარმოქმნელი ქმედება - ეს არის ტექსტობრივი ქმედება, რასაც ვიტყვით შემდეგ ტექსტზე, ეს იქნება იმის ბუნებრივი გაშლა, რასაც დღეს ვამბობთ გამონათქვამზე, ხოლო გამონათქვამში კი ჩვენთვის ისევე, როგორც შემდგომშიც ტექსტი, ეს არის ის ენობრივი სინამდვილე, რომელიც ასახავს იმას, რაც მთავარია კომუნიკაციური ლინგვისტიკისათვის - თვით კომუნიკაციური ლინგვისტიკის არსს და სტრუქტურას.

ყველა ის პრინციპი, რომელთა მიხედვითაც გამონათქვამი და ტექსტი ფუნქციური თვალსაზრისით ერთმანეთს უდრიან, შეიძლება გავაფრცველოთ თვით ტექსტზე, არის აგრეთვე ტექსტის აგების, მისი სტრუქტურირების პრინციპები. მეორე მხრივ, რაც ითქმის გამონათქვამზე, ასახავს კომუნიკაციას როგორც აქტსა და პროცესს. ამ პრინციპების დასახელებისა და განსაზღვრის შემდეგ უნდა შევეხოთ ისეთ პრობლემას, როგორცაა გამონათქვამის კომუნიკაციური შინაარსი, იმდენად, რამდენადაც იგი განსხვავდება ნომინაციური შინაარსისაგან. ნომინაციური შინაარსი - ეს ის შინაარსია, რომელიც უშუალოდ ასახავს რეფერენტულ სიტუაციას, წარმოადგენს რეფერენტული სიტუაციის ინტერპრეტაციას (ასახვა მუდამ არის ინტერპრეტაცია,

რადგან ერთი და იგივე რეფერენტული სიტუაცია შეიძლება იყოს ასახული სხვადასხვანაირად), გამონათქვამის კომუნიკაციური შინაარსი კი ის შინაარსია, რომელიც ასახავს კომუნიკაციურ სიტუაციას. თუმცა გამონათქვამის ამ ორი შინაარსეული ასპექტის გამიჯნვისა და განსაზღვრის კრიტერიუმი ნათელია, მათი გამიჯნვა მაინც ძნელდება. რაში მდგომარეობს ძირითადი სიძნელე? ყოველი გამონათქვამი წარმოადგენს ერთ შინაარსობრივ მთლიანობას, სიძნელე მდგომარეობს სწორედ იმაში, რომ ამ მთლიანობის ფარგლებში გამოვყოთ საკუთრივ ნომინაციური და საკუთრივ კომუნიკაციური ასპექტები. რა ეკუთვნის თვით რეფერენტულ სიტუაციას - ძალიან ძნელია იმის თქმა, თუ რა არსებობს რეფერენტულ სიტუაციაში ობიექტურად, იმანენტურად ისეთი, რაც არ არის პროეცირებული მასში ჩვენგან. ამ გამიჯნვის სიძნელეზე, (შეიძლება შეუძლებლობაზეც) დამყარებულია „ენობრივი სურათის“ ცნება - სამყარო ჩვენთვის არსებობს იმდენად, რამდენადაც იგი მოცემულია ჩვენს (ეროვნულ) ენაში.

დავაკონკრეტოთ ეს სიძნელე. აქ სიძნელეთა მთელი რიგია. ჩვენ დაფასავთ ორს: როგორც ვიცით, არ არსებობს გამონათქვამი დროითი (ტემპორალური) მომენტის გარეშე, ხოლო ეს მომენტი ასახულია პირველ რიგში პრედიკატი - მას ასახავს ზმნის დრო. გამონათქვამი არ არსებობს პრედიკატის გარეშე, პრედიკატი კი არის ზმნა პირიან ფორმაში და ამდენად - განსაზღვრულ დროში. ეს ცხადია, მაგრამ სიცხადეს გაურკვევლობაც ახლავს. ეს ტემპორალური კოორდინატი ის კოორდინატია, რომელიც თან ახლავს რეფერენტული სიტუაციის ასახვას, „ბავშვი თამაშობს“ - აქ ზმნა ინდიკატივის აწმყო დროშია. ეს ინდიკატივის აწმყო დრო თვით რეფერენტულ სიტუაციას ეკუთვნის, მისთვის იმანენტურია, თუ იგი ჩვენგან არის პროეცირებული რეფერენტულ სიტუაციაში? როგორ გუბასუხოთ ამ კითხვას? სიძნელე იმაშია, რომ როგორც ერთი,

ისე მეორე თვალსაზრისის სასარგებლოდ არსებობს არგუმენტები.

ყოველი რეფერენტული სიტუაცია არის საგნობრივ - ხდომილებრივი ფონის კომპონენტი, რომელსაც სიუჟეტური ხასიათი აქვს. „ბავშვი თამაშობს“ - არის უფრო მეტის მომცველი ხდომილების კომპონენტი, ყოველი საგნობრივ-ხდომილებრივი ფონი, ისე როგორც სიუჟეტი თავის თავში გულისხმობს ტემპორალულობას. მაშინ ეს დროული განსაზღვრულობა არის მისი საკუთარი მახასიათებელი - მაშინ დრო ეკუთვნის გამონათქვამის ნომინაციურ ასპექტს. მაგრამ არსებობს აზრი, რომ გამონათქვამის ნომინაციურ ასპექტად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ ის, რაც წარმოადგენს რომელიმე სემანტიკური მოდელის დაკონკრეტებას: „ბავშვი თამაშობს“ - ეს არის დაკონკრეტება წინადადების ისეთი სემანტიკური მოდელისა, როგორიცაა პროცესუალობა. გვაქვს წინადადების უნივერსალური მოდელი (სინტაქსურ-სემანტიკური უნივერსალიები: ყოველი კონკრეტული გამონათქვამი არის უნივერსალური სინტაქსურ-სემანტიკური მოდელის რეალიზაცია). ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ გამონათქვამის ნომინაციური ასპექტი თავის თავში შეიცავს დროს და შეიძლება ვთქვათ, რომ გვაქვს აბსტრაქტული სემანტიკური მოდელის დაკონკრეტება: მეორე: აწმყო აქ მთლიანად გამომდინარეობს კომუნიკაციური სიტუაციიდან: ათვლის წერტილია ადრესანტის მეტყველება, დრო უნდა ჩაითვალოს კომუნიკაციური ასპექტის კომპონენტად. სხვანაირად თუ ვიტყვით, დრო პირველი თვალსაზრისით სემანტიკური კატეგორიაა, მეორე თვალსაზრისით - პრაგმატული. დრო უნდა შეისწავლოს ამრიგად სემანტიკამ და პრაგმატიკამ.

როგორც ცნობილია, ყოველი გამონათქვამი შეიძლება იყოს მტკიცებითი (რეფერენტული სიტუაციის არსებობის მტკიცება) ან უარყოფითი (რეფერენტული სიტუაციის არსებობის უარყოფა). აქაც დგება იგივე პრობლემა. გამონათქვამის რომელ ასპექტს უნდა მივაკუთვნოთ

მტკიცებითობა - უარყოფითობა? ე. ი. ეკუთვნის ეს რეფერენტულ სიტუაციას, თუ იგი არის რეფერენტულ სიტუაციაში კომუნიკაციური სიტუაციის პროცირების შედეგი? როგორც ითქვას, ეს არის ობიექტურად არსებული პრობლემა, გამონათქვამში ნომინაციურ-კომუნიკაციურ განზომილებათა რეალური გამიჯნვის პრობლემა. ეს სიძნელე განაპირობებს იმ ფაქტს, რომ გამონათქვამის კომუნიკაციური შინაარსი თანამედროვე ლინგვისტიკაში წარმოდგენილია ძირითადად ორი ვარიანტით:

პირველი ვარიანტი, პირობითად თუ ვიტყვით, გაფართოებული - ეს ის ვარიანტია, რომელიც თავის თავში შეიცავს ისეთ კატეგორიებსაც, როგორიცაა ღრო, პირი, მოდალობის გაფართოებული ცნება (რომელშიც შედის მტკიცებითობა (უარყოფითობა) და გამონათქვამის შინაარსის წარმოდგენის ის ვარიანტი, რომელიც ამ კატეგორიებს გამოირიცხავს;

მეორე ვარიანტი; რომლის მიხედვით გამონათქვამის კომუნიკაციური შინაარსი შეიცავს შემდეგ მომენტებს: მოდალობა ანუ მეტყველი პირის დამოკიდებულება გამონათქვამის ნომინაციურ ასპექტში ნახსენები შინაარსის მიმართ - იმ შინაარსის მიმართ, რომელიც ასახავს რეფერენტულ სიტუაციას (შეიძლება მოხდეს ფაქტის უბრალო დეკლარაცია, შეიძლება იგი ჩაითვალოს შესაძლოდ და ა. შ.) **ინტენციურობა** ანუ კომუნიკაციური განზრახვა, რემა-თემატური სტრუქტურა, **ემოციურობა** (თუ ემოციურობას გავიგებთ ფართოდ, მაშინ მისი ერთ-ერთი მომენტი შეფასება იქნება) და ბოლოს - კომუნიკაციის სოციალური ასპექტი ანუ როლური დამოკიდებულება კომუნიკანტებს შორის, ე. ი. თუ კი ჩვენ ავიღებთ კომუნიკაციურ შინაარსს ფართოდ - გვექნება 8 კატეგორია, თუ გამოვრიცხავთ პირველ სამს, გვექნება - 5, გაკს (ფრანგული ენის გრამატიკაში) 8 კატეგორია აქვს, დოლინის (ტექსტის ინტერპრეტაციაში) - 5.

წმ. გამონათქვამი როგორც კომუნიკაციური ქმედება. ილოკუციური ძალა და ზმნის პერფორმატიული გამოყენება

გამონათქვამის კომუნიკაციური შინაარსის თემის განვითარება აუცილებლად გულისხმობს ტექსტის ცნებაზე გადასვლას, ტექსტის კომუნიკაციურ შინაარსზე ლაპარაკს, რაც თავის მხრივ შეუძლებელია ლინგვისტური პრაგმატიკის გაღრმავებული განმარტების გარეშე.

განვიხილოთ კომუნიკაციური ლინგვისტიკის ორი ურთიერთდაკავშირებული ცნება, ესენია: 1. გამონათქვამის ილოკუციური ძალის ცნება და 2. პერფორმატიული ზმნის ან ზმნის პერფორმატიული ხმარების ცნება.

გამონათქვამის ილოკუციური ძალის ცნება არის უშუალო დაკონკრეტება კომუნიკაციის ინტენციის ცნებისა. ამ ცნებას გარკვეული საფუძველი აქონდა უკვე ტრადიციულ ლინგვისტიკაში, რომელიც ლაპარაკობდა წინადადების კომუნიკაციურ ფორმაზე. როცა ტრადიციული ლინგვისტიკა განასხვავებდა წინადადების სინტაქსურ და კომუნიკაციურ ფორმას, ხოლო კომუნიკაციური ფორმა ესმოდა როგორც წინადადების მტკიცებითი, კითხვითი თუ ბრძანებითი ფორმა - ამით იგი უკვე ლაპარაკობდა - თუმცა არაექსპლიციტურად - იმაზე, რასაც გულისხმობს ილოკუციური ძალის ცნება.

რას ნიშნავს ტერმინები „ილოკუცია“ და „ილოკუციური“. ლათ.: „მეტყველების გარეშე ძალა“. ეს ტერმინი და მისი ასეთი ხმარება, როგორც ჩანს, წინააღმდეგობრივია, მაგრამ ეს რამდენადმე მისი შინაარსით აიხსნება. რაში მდგომარეობს ეს შინაარსი? ყოველი გამონათქვამი ან უკვე მოცემულია ან შეიძლება წარმოფიდგინოთ ისეთი როული ქვეწყობილი წინადადების სახით, რომელშიც მთავარი წინადადება ასახავს მეტყველი სუბიექტის კომუნიკაციურ ინტენციას, (ე. ი. იმას, თუ რა

მიზნით ახდენს იგი გარკვეული რეფერენტული სიტუაციის ნომინირებას (ნომინაციას), ხოლო დამოკიდებული წინადადება შეიცავს თვით რეფერენტული სიტუაციის ნომინაციას.

მაგ. „წვიმს“ - გამონათქვამი შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც რთული ქვეწყობილი წინადადება: „ვამტკიცებ, რომ წვიმს“.

ასეთი მთავარი წინადადება, რომელიც შეიცავს (ასახავს) მეტყველი პირის კომუნიკაციურ ინტენციას, მუდამ გვაქვს გამონათქვამის სიღრმეში - მუდამ გვაქვს ფარული სახით და მუდამ შესაძლებელია მისი ექსპლიკაცია.

მთავარ წინადადებაში მოცემული ინტენციის თავისებურება იმაშია, რომ იგი, მართალია, მოცემულია ენობრივი ფორმით, მაგრამ მუდამ წარმოადგენს გარკვეულ ქმედებას.

შევადაროთ:

„წვიმს“ და „მე ვამტკიცებ, რომ წვიმს“. როდესაც ვამბობ, რომ „წვიმს“, ამით ვახდენ გარკვეული სიტუაციის ნომინაციას და ის, რასაც ვასახელებ, არ არის ჩემი ქმედება. მაგრამ, როდესაც ვამბობ, რომ „მე ვამტკიცებ“, ამ შემთხვევაში, რასაც ვამბობ, ემთხვევა იმას, რასაც მე მოვიმოქმედებ. ყველა ამისთანა შემთხვევაში ზმნა „მტკიცება“ ხმარებულია ისე, რომ იგი წარმოადგენს თავის თავის რეფერენტს. „მე ვამტკიცებ“ - მტკიცების ქმედებას ვახდენ და ეს ზმნა ამ ქმედებას ასახავს ისე, რომ ქმედება და ამ ქმედების დასახელება ერთმანეთს ემთხვევა. ყველა ენაში მოიძებნება ზმნები, რომლებიც ან შეიძლება ვიხმაროთ ასეთ როლში, ან მათი საშუალებით შეიძლება დავაზუსტოთ გამონათქვამის კომუნიკაციური ინტენცია: „ვამტკიცებ, რომ...“, „გაცხადებ, რომ...“ და ა.შ. გამონათქვამის იმ ნაწილს, რომელიც შეიძლება მოცემული იყოს ექსპლიციტურად, მაგრამ რომელიც შეიძლება მოცემული იყოს სიღრმეშიც (იმპლიციტურად) და რომელიც გვიჩვენებს მეტყველი სუბიექტის ქმედებალქვეულ ინტენციას, ეწოდება გამონათქვამის ილოკუციური ძალა. როგორც ჩანს,

ამ მომენტს იმიტომ ეწოდა „ილოკუციური“, რომ იგი შეიძლება არ იყოს მოცემული ექსპლიციტურად, მაგრამ სიღრმისეულად იგი მაინც გამონათქვამს ეკუთვნის, ხოლო ზმნას, რომელიც ილოკუციურ ძალას გამოხატავს, ეწოდება **პერფორმატივი**. ერთი და იგივე ზმნა შეიძლება გიხმართ პერფორმატიულადაც და არაპერფორმატიულადაც : „მე ვამტკიცებ, რომ, რასაც იგი ამტკიცებს, ტყუილია“ - პირველ შემთხვევაში „ვამტკიცებ“ ნახმარია პერფორმატიულად, მეორეში - არა.

თანამედროვე ლინგვისტურ თეორიაში პერფორმატიული ზმნები იწოდებიან აგრეთვე პრაგმატულ ზმნებადაც, ხოლო მათ მიერ გამოხატული ცნებები - პრაგმატულ უნივერსალიებად. ენები შეიძლება განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან პერფორმატიული ზმნური სისტემებით. ასეთი ზმნები შეიძლება მეტი გვექონდეს ერთ ენაში, შეიძლება ერთში განვითარებული იყოს მათი სინონიმი და ა. შ. მაგრამ, რაც შეეხება ინტენციურ ქმედებას, ეს ცნებები უნივერსალური ბუნებისაა და წარმოადგენენ პრაგმატულ უნივერსალიებს.

§4. კომუნიკაციური ქმედების ოპერაციული სტრუქტურა

კომუნიკაციის განახლებული ცნება გულისხმობს კომუნიკაციურ პარადიგმას. ამ განახლებული ცნების საფუძველზე განვიხილოთ კომუნიკაციის ის მოდელი, რომელიც საფუძველად უდევს კომუნიკაციურ ლინგვისტიკას, კომუნიკაციური მოდელი გულისხმობს როგორც ამ მოდელის კომპონენტებს, ისე ამ კომპონენტებს შორის მიმართებათა სისტემას - ანუ ამ მოდელს აქვს თავისი რეალური სტრუქტურა. ამ სტრუქტურის განხილვის შემდეგ უნდა განვიხილოთ ლინგვისტური პრაგმატიკა, როგორც კომუნიკაციური ლინგვისტიკის კონცეპტუალური ბირთვი, ამის

შემდეგ განვიხილავთ ტექსტის თანამედროვე ლინგვისტურ თეორიას, როგორც ლინგვისტური პრაგმატიკის უშუალო შედეგს, ხოლო შემდეგ მოვხაზავთ კომუნიკაციური ლინგვისტიკის ისეთი დარგების კონტურებს, როგორიცაა კომუნიკაციური ლექსიკოლოგია, კომუნიკაციური გრამატიკა (სინტაქსი, მორფოლოგია). ვლავარაკობთ კონტურებზე იმიტომ, რომ ჩამოყალიბებული სახით არ არსებობს არც ერთი ხსენებული დარგი. მაგრამ იმისათვის, რომ ჩვენ ნაყოფიერად გადავიდეთ კომუნიკაციური პრაგმატიკის განხილვაზე, უნდა შევჩერდეთ იმ მიმართულებაზე, რომელიც არსებობს უკვე განხილულ კომუნიკაციურ მოდელსა და ენობრივი ნიშნის თანამედროვე ცნებას შორის. რატომღაც საჭირო, რომ პრაგმატიკის განხილვას წავეუძღვართ ამ მიმართების განხილვა? იმიტომ, რომ თვით პრაგმატიკა როგორც კომუნიკაციური ლინგვისტიკის ბირთვი, არის ორმაგი წარმოშობის. მას წარმოშობს, ერთის მხრივ, კომუნიკაციის ის განახლებული ცნება, რომელიც ჩვენთვის ცნობილია და კომუნიკაციის ის მოდელი, რომელსაც საფუძვლად უდევს ეს ცნება, მაგრამ, მეორეს მხრივ, არ უნდა დაგვავიწყდეს ის, რომ პრაგმატიკა როგორც ცნება არსებობდა კომუნიკაციური ლინგვისტიკის წარმოშობასა და განვითარებაზე ბევრად უფრო ადრე, თუ კომუნიკაციური ლინგვისტიკა ბოლო წლებში ვითარდება, ლინგვისტური პრაგმატიკის ცნება არსებობდა უკვე კონცეპტუალურად გაფორმებული სახით 30-იან წლებში, ხოლო ფაქტობრივად (შინაარსობრივად) უკვე XIX საუკუნეში, ე. ი. თანამედროვე ლინგვისტური პრაგმატიკის გაგება აუცილებლად გულისხმობს ამ ორ წანამძღვარს: კომუნიკაციური ლინგვისტიკის თანამედროვე მოდელსა და ამავე დროს ნიშნის თეორიის ისტორიის ცოდნას.

რაკი ჩვენ კომუნიკაციური ლინგვისტიკის თანამედროვე მოდელზე უკვე ვისაუბრეთ, შევეხებით ჯერ კვლავ ამ მოდელს, მაგრამ როგორც პრაგმატიკის წყაროს. თუმცა ადვილად დავინახავთ, რომ ეს ორი წყარო იმდენად დაკავშირებულია ერთმანეთთან, რომ მათი განცალკევება შეუძლებელია.

რა კომპონენტებს შეიცავს მოდელი - აღარ გაფიქორებთ, გაფიქსენებთ მხოლოდ იმას, რომ კომუნიკაციის თანამედროვე მოდელი არის ენობრივი ქმედების მოდელი და ენობრივი ქმედება წარმოადგენს არა ავტონომიურ, თაყისთაფად არსებულ რეალობას, არამედ უფრო ფართოდ მოცემული ქმედების კომპონენტს. ამის გაჩვენება იმისათვის გეჭირდება, რომ ვთქვათ, რომ ადამიანურ ქმედებას აქვს ოპერაციული სტრუქტურა, სხვანაირად - „კომუნიკაციური აქტი“ - „ენობრივი ქმედება“ სინონიმებია. ეს აქტი შედგება ქვეაქტებისაგან, ანუ ენობრივი ოპერაციებისაგან. ამიტომაცაა, რომ კომუნიკაციური აქტის მონაწილეებს (ადრესატსა და ადრესანტს) უწოდებენ აგრეთვე, ენობრივი გაგებით, ოპერატორებს.

სწორედ იმიტომ, რომ ენობრივი ქმედება შედგება ოპერაციებისაგან. ძირითადად ენობრივი ქმედების ეს სტრუქტურა გულისხმობს ოთხ ასეთ ქვეაქტს ან ოთხ ძირითად ოპერაციას:

1. **ილოკუციური აქტი.** ესაა კომუნიკაციური ინტენციის (განზრახვის, მიზნის) ფორმირების აქტი. ყოველი ქმედება გულისხმობს მიზანს. ჩვენ ვილაპარაკეთ იმაზე, რომ ყოველი გამონათქვამი შეიცავს ილოკუციურ ძალას. არ არსებობს გამონათქვამი ილოკუციური ძალის გარეშე. ამიტომ ყოველი ენობრივი ქმედების ნაწილს შეადგენს ილოკუციური აქტი, რომელიც შეიძლება იყოს როგორც გამონათქვამის ზედაპირზე, ისე მის სიღრმეში.

2. **პროპოზიციონალური აქტი.** როგორც კომუნიკაციური ქმედება არ არსებობს ილოკუციური ძალის გარეშე, ისევე პროპოზიციონალური აქტის არის გამონათქვამის პრედიკატიული შინაარსი. ეს არის რომელიღაც რეფერენტული სიტუციის ინტერპრეტაცია. ის გვიჩვენებს, რას ვამბობთ.

3. **ფატური აქტი.**

ერთი და იგივე პროპოზიციონალური შინაარსი შეიძლება იქნას გამოთქმული სხვადასხვა ენობრივი

საშუალებებით. „ბიჭი წიგნს კითხულობს“, „წიგნი იკითხება ბიჭის მიერ“. ეს აქტი არის კომუნიკაციური აქტის საკუთრივ გრამატიკული აბექტი. თუ ილოკუციური აქტი პასუხობს კითხვაზე რისთვის? პროპოზიციონალური - რა?, ეს აქტი - როგორ?

4. პერლოკუციური აქტი.

იგი გვაბრუნებს ილოკუციურ აქტთან. თუ ილოკუციური აქტი გულისხმობდა განზრახვას, პერლოკუციური გულისხმობს შედეგს, ეფექტს. ასეთი აქტის გათვალისწინება გასაგები უნდა იყოს იმიტომ, რომ მსმენელი ისეთივე სწორუფლებიანი წევრია კომუნიკაციის პროცესისა, როგორც მთქმელი.

კომუნიკაციური ქმედების სტრუქტურაში შედის ეს ოთხივე აქტი.

პირველი და მეოთხე აქტები წარმოადგენენ კომუნიკაციური ღინგვისტიკის თავისებურებას. მაგრამ ჩვენ საქმე გვაქვს არა უბრალო დამატებასთან, არამედ სხვა მიდგომასთან. პროპოზიციული და ფატური ასპექტები მოქცეულია სულ სხვა კონტექსტში, ქმედებით-ობერაციულ კონტექსტში და ამიტომ უინაგანად გარდაიქმნებიან.

უკვე ითქვა, რომ ღინგვისტურ პრაგმატიკას ორი წყარო აქვს: კომუნიკაციური მოდელი და ნიშნის თეორია. პრაგმატიკა როგორც ცნება მომდინარეობს ნიშნის თანამედროვე თეორიიდან. სამგანზომილებიანი მოდელი გულისხმობს ენობრივი ნიშნის სამ ასპექტს: სინტაქტიკას, სემანტიკას, და პრაგმატიკას. პრაგმატიკა თავდაპირველად განისაზღვრებოდა როგორც მიმართება ნიშანსა და მის გამომყენებელ სუბიექტს შორის. თანამედროვე პრაგმატიკა სცილდება პირვანდელი განსაზღვრის ფარგლებს. მაგრამ ამ განსაზღვრის ბირთვი მაინც დარჩა. დარჩა როგორც სუბიექტის როლის ასახვა ენობრივ ქმედებაში. ბუნებრივია, რაკი ენობრივი სინამდვილე გვესმის როგორც ქმედება, ყველა ქმედება კი არ არის სუბიექტის ქმედება, ენობრივი ნიშნის

წამყვან განზომილებად იქცა სწორედ მისი პრაგმატული განზომილება.

ზემოთ ჩამოთვლილი ოთხი აქტიდან ილოკუცია არის ის , რაც შესაძლოდ ხდის პრობოზიციას და ამართლებს მას, ხოლო ილოკუცია კი მთლიანად სუბიექტურია. საკუთრივ ენობრივი - დექსიკურ-გრამატიკული სტრუქტურა მთლიანად მოქცეულია ამ სუბიექტურ კონტექსტში. ამგვარად, თანამედროვე პრაგმატიკა ბევრად უფრო მდიდარია კონცეპტუალური თვალსაზრისით. კომუნიკაციური ლინგვისტიკის ფარგლებში ის იქცა წამყვან განზომილებად, რომელსაც დანარჩენი განზომილებები ექვემდებარებიან.

თავი V

ლინგვისტური პრაგმატიკა და პრაგმატულ კატეგორიათა კლასიფიკაციის პრობლემა

§1. კომუნიკაციის ინტენსიუბიექტურობა და პრაგმატულ კატეგორიათა კლასიფიკაციის პრობლემა

თანამედროვე ლინგვისტური პარადიგმა თავისი გენეზისით დაკავშირებულია, ერთის მხრივ, კომუნიკაციურ პარადიგმასთან. იმ გაგებით, რომლითაც ჩვენ ეს პარადიგმა დავახასიათებთ, ვიცით, რომ კომუნიკაციური პარადიგმა პირველ რიგში ნიშნავს კომუნიკაციის ახალი მოდელის შექმნას, მეორე მხრივ კი, ისტორიულად (ვეგულისხმობთ XX ს. ლინგვისტიკის განვითარებას) იგი დაკავშირებულია ენობრივი ნიშნის თეორიასთან და ამ თეორიის განვითარებასთან.

კომუნიკაციის ცნება და მოდელი ჩვენ დავაზუსტებთ უკვე არა კომუნიკაციის აქტის კომპეტენტური, არამედ ოპერაციული სტრუქტურის თვალსაზრისით და გამოვყავით ოთხი აქტი ანუ ოთხი ოპერაცია, როგორც კომუნიკაციური ქმედების სტრუქტურა. ასე გამოიყურება თანამედროვე ლინგვისტური პარადიგმის ის წყარო, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ კომუნიკაციის აქტის თანამედროვე მოდელი. იმისათვის, რომ ჩვენ გადავდგათ შემდეგი ნაბიჯი ლინგვისტური პრაგმატიკის გასაგებად, უნდა გავიხსენოთ, რომ ყოველი მეცნიერება, ან მეცნიერების ცალკეული დარგი არსებობს იმდენად, რამდენადაც მას გააჩნია საკუთარი კატეგორიალური აპარატი. ის, რაც ითქმის საერთოდ, ზოგადად მეცნიერების ცალკეული დარგის შესახებ, სამართლიანი უნდა იყოს ლინგვისტურ პრაგმატიკასთან მიმართებაში. იმ კომუნიკაციური მოდელის შექმნასა და კონსტიტუირებაში, რომელზეც ჩვენ გვქონდა ლაპარაკი, კომუნიკაციური აქტის სხვა კომპონენტებთან ერთად

(ადრესატი, ადრესანტი, რეფერენტული სიტუაცია და ა. შ.), მონაწილეობს ენის სისტემა, ხოლო მთელი ენობრივი სისტემის განსახიერებად უნდა ჩაითვალოს ენობრივი ნიშანი, რომლის სამ განზომილებად თანამედროვე ლინგვისტიკას მიაჩნია სინტაქტიკური, სემანტიკური, და პრაგმატული განზომილებანი. ენობრივი სისტემის ყველა კატეგორია მიეკუთვნება ნიშნის რომელიმე ამ განზომილებას. მაგრამ ეს შეიძლებოდა გვეთქვა კომუნიკაციური ლინგვისტიკის ჩამოყალიბებამდეც. დღეს კი, როცა ენობრივი ნიშანი ფუნქციონირებს კომუნიკაციის აქტის განახლებულ მოდელში, ამ შეცვლილ პირობებში ყოველი ენობრივი კატეგორიის შესახებ - იქნება ეს სინტაქტიკის, სემანტიკისა თუ პრაგმატიკის კატეგორია - უნდა ითქვას შემდეგ: ყოველი კატეგორია თავისი შინაარსის თვალსაზრისით შინაგანად იქმნება, კონსტიტუირდება ორი რეალობის ურთიერთგადაკვეთის შედეგად: ეს ორი რეალობა, ერთი მხრივ, კომუნიკაციის აქტია, ხოლო მეორე მხრივ, ენობრივი ნიშნის სათანადო განზომილება. რომელი კატეგორიაც არ უნდა ავიღოთ, მისი დღევანდელი გაგება (კომუნიკაციურ-ლინგვისტური გაგება) აუცილებლად გულისხმობს ამ ორი რეალობის ურთიერთგადაკვეთას, მათ სინთეზს. მაგალითისათვის ავიღოთ ის კატეგორია, რომელზედაც ვილაპარაკეთ - პროპოზიციის ცნება (ყველა ცნება, რომელიც აღწევს განზოგადების შესაბამის დონეს, უნდა მივიჩნიოთ კატეგორიად). პროპოზიცია - ეს არის ერთდროულად სინტაქტიკის და სემანტიკის კატეგორია. პროპოზიცია არის წინადადება შინაარსის თვალსაზრისით ანუ წინადადება, გაგებულ სემანტიკურად და ამდენად, ოგი ეკუთვნის ენობრივი ნიშნის განზომილებას - სინტაქტიკას. მაგრამ ოგი ეკუთვნის აგრეთვე სემანტიკას, რადგან ეს ურთიერთდაკავშირება გაგებულ შინაარსეულად. ისმის კითხვა - რას ასახავს ეს მოვლენა?

ამის თქმა შეიძლებოდა კომუნიკაციური აქტის გათვალისწინების გარეშეც. მაგრამ ჩვენ დავინახეთ, რომ

პროპოზიციის დღევანდელი გაგება უკვე შეუძლებელია კომუნიკაციური აქტის, მისი მთლიანური მოდელის გათვალისწინების გარეშე. ჩვენ დავინახეთ, რომ პროპოზიცია - ეს არის მეტყველი სუბიექტის ოპერაციული აქტი, ხოლო მეტყველი სუბიექტი კი არის კომუნიკაციური აქტის ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტი. ის, რაც ითქვა პროპოზიციის შესახებ, შეიძლება განვასოგადოთ და ვთქვათ, რომ ყოველი ლინგვისტური კატეგორია-იქნება იგი სინტაქტიკური, სემანტიკური თუ პრაგმატული, ან გრამატიკული თუ ლექსიკოლოგიური უნდა გავიგოთ ასეთი ორმაგი სინთეზური გააზრების შედეგად ე.ი. უნდა ვთქვათ, თუ რომელ ენობრივი ნიშნის განზომილებას ეკუთვნის ის და რა შინაარსით ავსებს მას ამ კატეგორიის მონაწილეობა კომუნიკაციურ აქტში? რა თქმა უნდა, როცა უფრო კონკრეტულად შევეხებით ტექსტის თეორიას, ეს ზოგადი თეზისი კიდევ ერთხელ დადასტურდება. მაგრამ დღეს ჩვენ ამის თქმა იმისათვის გვჭირდება, რომ ვილაპარაკოთ ლინგვისტურ პრაგმატიკაზე კატეგორიალურ პლანში. თუკი გამოვყოფთ პრაგმატიკას, როგორც კომუნიკაციური ლინგვისტიკის ბირთვულ დარგს, უნდა გამოვყოთ მისი კატეგორიებიც.

როცა თავის დროზე შეიქმნა ნიშნის სამგანზომილებიანი მოდელი, პრაგმატიკა განისაზღვრა როგორც მიმართება ენობრივ ნიშანსა და იმ სუბიექტს შორის, რომელიც იყენებს ამ ენობრივ ნიშანს. მაგრამ არ უნდა დაგვაფიწყდეს შემდეგი: პრაგმატიკის ასეთი განსაზღვრა მოხდა მაშინ, როცა, რა თქმა უნდა, არ არსებობდა კომუნიკაციის აქტის ის გაგება, რომელიც არსებობს დღეს და რომელიც საფუძვლად უდევს კომუნიკაციურ ლინგვისტიკას. ჩვენ გვახსოვს, თუ როგორ გაიგებოდა თვით კომუნიკაციის ცნება კომუნიკაციური ლინგვისტიკის წარმოშობამდე. ეს იყო ენობრივი სისტემის აქტუალიზაცია. ამ გაგებით მეტყველ სუბიექტს აქვს გარკვეული კოდი, იგივე კოდი გააჩნია კოლექტივის სხვა წევრებს და ამ კოდს მეტყველი სუბიექტი იყენებს იმისათვის, რომ რაღაც აცნობოს მეორე სუბიექტს. ეს

იგივეა, რაც ენობრივი სისტემის აქტუალიზაცია. ამ დროს ჩნდება ნიშანთა გარკვეული თანამიმდევრობა, მათ შორის მყარდება გარკვეული ურთიერთკავშირი - სინტაქტიკა, შემდეგ - სემანტიკა, მაგრამ იყო კიდევ მიმართება სუბიექტსა და მის მიერ გამოყენებულ ნიშნებს შორის - პრაგმატიკა. იგი ნიშნავდა სწორედ ამ მიმართებას. თუ გვსურს დაგინახოთ პრაგმატიკის მიერ განვლილი გზა, უნდა შევუდაროთ ეს მომენტი კომუნიკაციური ლინგვისტიკის მთელ მოდელს.

განვიხილოთ და შევადაროთ ერთმანეთს პრაგმატიკის ცნების გენეზისი და მისი თანამედროვე მდგომარეობა. თუ დასაწყისში იყო კავშირი სუბიექტსა და ნიშნებს შორის, დღეს კი უკვე მინიმუმ ორი სუბიექტი, ე. ი. გვაქვს არა მარტო სუბიექტურობა, არამედ **ინტერსუბიექტურობა**. ეს უკვე თვისობრივი ცვლილებაა - ორი სუბიექტი. გარდა ამისა, ჩვენ გვაქვს არა მარტო მიმართება ორ სუბიექტს შორის, რომელიც აისახება გამონათქვამში. უფრო მეტიც, არის მიმართება - მეტყველ სუბიექტს და ასახულ სიტუაციას შორის, ასევე მსმენელ სუბიექტსა და ასახულ სიტუაციას შორის. თუ პრაგმატიკის ბირთვად მივიჩნევთ სუბიექტს, მაშინ სუბიექტისა და სუბიექტურობის შინაარსი ბევრად უფრო რთული ხდება და საქმე გვაქვს მთელ სტრუქტურასთან: ორმაგი მიმართება სუბიექტებს შორის, მეტყველ სუბიექტსა და ასახულ სიტუაციას შორის, მსმენელ სუბიექტსა და ასახულ სიტუაციას შორის.

რომ გავიგოთ პრაგმატიკა და მისი ცალკეული კატეგორიები, საჭიროა ორი პირობა: 1. გაეთვალისწინოთ, თუ ნიშნის რომელ განზომილებას ეკუთვნის ეს კატეგორია, 2. თუ როგორ უნდა გავიგოთ ენობრივი სუბიექტი და საერთოდ სუბიექტურობის ცნება თვით კომუნიკაციურობის ფარგლებში. მაგრამ როცა ლაპარაკია სუბიექტზე, კომუნიკაციის აქტის თანამედროვე მოდელის თვალსაზრისით, მაშინ მხედველობაშია მისაღები სუბიექტურობის სამი აუცილებელი მომენტი:

1. კომუნიკაციის ყოველი აქტი გულსხმობს მეტყველ სუბიექტს ანუ ადრესანტს. ეს იმას ნიშნავს, რომ პრაგმატიკის ფარგლებში უნდა გვექონდეს კატეგორიათა სისტემა, რომლებიც ასახავენ სწორედ მეტყველი სუბიექტის, ადრესანტის მთელ პოზიციას კომუნიკაციურ აქტში. გარდა ამისა, 2. უნდა გვექონდეს კატეგორიათა ისეთი სისტემა, რომელიც დაკავშირებული იქნება ადრესატთან, მსმენელ სუბიექტთან. 3. მაგრამ კომუნიკაციის ყოველ აქტში გვაქვს არა მარტო ორი სუბიექტი, არამედ გვაქვს ურთიერმიმართება მათ შორის, ანუ ინტერსუბიექტურობა. თუ ეს ასეა, მაშინ უნდა გვექონდეს გარდა ორი ხსენებული ქვესისტემისა, პრაგმატულ კატეგორიათა ისეთი სისტემა, რომელიც ასახავს ამ ურთიერთმიმართებას.

დღევანდელი ვაგებით სუბიექტის ფაქტორი გულსხმობს სუბიექტურობას მთელი იმ თვალსაზრისით რომელიც ეფუძნება კომუნიკაციის აქტის თანამედროვე მოდელს. მაგრამ რადგან სუბიექტურობის ფაქტორი კომუნიკაციის აქტში მოცემულია ამ სამი სახით, პრაგმატული კატეგორია უნდა შეიცავდეს ხსენებულ სამ სისტემას. ამის თქმა არ ნიშნავს იმას, რომ დღევანდელი ლინგვისტური პრაგმატიკის ფარგლებში ეს სამი ქვესისტემა ერთნაირადაა განვითარებული. თუკი ჩვენ შევეცდებით სქემატურად გავიაზროთ, როგორი გზა გაიარა ლინგვისტურმა აზროვნებამ სუბიექტურობის, როგორც ფაქტორის გააზრებაში, მაშინ ეს გზა უნდა წარმოვიდგინოთ ასე:

იგი დაიწყო ადრესანტის პოზიციის გააზრებით. ამიტომაც, თუ ჩვენ მივმართავთ ისეთი ლინგვისტის ნააზრევს, როგორიცაა ე. ბენვენისტი, მის ერთ-ერთ თეზისს წარმოადგენს სწორედ ის, რომ მეტყველება **ეგოცენტრისტულია**, ე. ი. მეტყველების აქტი მდგომარეობს იმაში, რომ მეტყველი სუბიექტი მოცემულ მომენტში (აქტუალიზაციის მომენტში) თითქოსდა ითვისებს მთელ ენობრივ სისტემას და იყენებს მას თავისი მეობის, თავისი **ეგოს** გამოსახატავად. ამდენად, სამეტყველო აქტი

არის ეგოცენტრისტული. მანვე პირველად შემოიტანა მეტყველების ინტერსუბიექტურობის ცნება, მაგრამ სამეტყველო აქტის ეგოცენტრისტული პოზიცია მეტყველებს იმაზე, რომ აქცენტი მაინც მეტყველ სუბიექტზეა. დღეისათვის პრაგმატულ კატეგორიათა ის სისტემა, რომელიც მეტყველ სუბიექტს უკავშირდება, ბევრად უფრო განვითარებულია, ვიდრე დანარჩენი ორი ქვესისტემის კატეგორია. ყველა, ვისაც დღეს სურს იმუშაოს პრაგმატიკაში, მუდამ დგება ასეთი სინამდვილის წინაშე. ერთი მხრივ, მას ხვდება უკვე დამუშავებული სახით მეტყველ სუბიექტთან დაკავშირებული ეგოცენტრისტული სისტემა და მან უნდა გამოიყენოს ეს სისტემა. მეორე მხრივ, მან უნდა იცოდეს, რომ კომუნიკაციური ლინგვისტიკის თვალსაზრისით არანაკლებ მნიშვნელოვანია სუბიექტურობის ორი დანარჩენი ფაქტორის გათვალისწინება.

§2. მეტყველო სუბიექტი (ადრესანტი) და მასთან დაკავშირებულ პრაგმატულ კატეგორიათა ქვესისტემა კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში. ლოკაცია როგორც ამ ქვესისტემის სტრუქტურული ცენტრი

პირველ რიგში უნდა განვიხილოთ კატეგორიათა ის სისტემა. რომელიც უკავშირდება და ასახავს მეტყველი სუბიექტის როლს და ადგილს საკომუნიკაციო აქტში. თანამედროვე პრაგმატიკა გამოყოფს ხუთ ასეთ კატეგორიას:

- ლოკაციის კატეგორია;
- მოდალობის კატეგორია;
- შეფასების კატეგორია;
- ემოციურობის კატეგორია;
- დისტანტურობის კატეგორია.

ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ჩვენ გვსურს კომუნიკაციური ლინგვისტიკის ფარგლებში გაფაანალიზოთ რომელიმე ენობრივი მოვლენა და გაფაანალიზოთ იგი პრაგმატულად და

პრაგმატული ანალიზის დროს აქცენტი გადაკეთოთ მეტყველ სუბიექტზე, მაშინ გასაანალიზებელ ენობრივ მოვლენას უნდა მივუყენოთ აღნიშნული კატეგორიები. რა თქმა უნდა, რა იქნება საჭირო - ხუთივე კატეგორიის გამოყენება ანალიზის დროს თუ მხოლოდ რამდენიმე მათგანის, ეს უკვე დამოკიდებულია თვით განსახილველი მომენტის რაგვარობაზე, იმაზე თუ ენობრივი სისტემის რომელ დონეს ეკუთვნის იგი. რაც უფრო მაღალია ეს დონე, მით უფრო შესაძლებელია მივუყენოთ მას ხუთივე ეს კატეგორია. თუ ჩვენ ვახდენთ ზეფრაზობრივი ერთიანობის ანალიზს (ტექსტის ანალიზს) - უნდა მივუყენოთ ყველა ეს კატეგორია. მაგრამ თუ ვახდენთ რომელიმე ლექსიკური ერთეულის, ლექსემის ან ლექსემათა ჯგუფის ანალიზს - ძნელი იქნება მივუყენოთ მას ლოკაციის ან მოდალობის კატეგორია. თანამედროვე ლინგვისტიკა, როცა ახდენს ლექსემათა პრაგმატულ ანალიზს, ძირითადად ეყრდნობა შეფასების კატეგორიას.

რაც შეეხება ამ კატეგორიათა კონკრეტულ შინაარსს. დავიწყოთ ლოკაციის კატეგორიით. გენეზისი ამ კატეგორიისა: ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ბენვენისტი იყო პირველი, რომელმაც ხაზი გაუსვა როგორც სამეტყველო აქტის ეგოცენტრულობას, ისე მის ინტერსუბიექტურობას და ზოგადად სუბიექტის ხასიათს. მანვე პირველად გაუსვა ხაზი იმ ფაქტს, რომ ყოველი გამონათქვამის შინაარსი დამოკიდებულია არა მარტო მასში უშუალოდ ასახულ რეალობაზე (რეფერენტული სიტუაცია), არამედ აგრეთვე იმაზეც, თუ როდის, სად და ვის მიერ არის პროდუცირებული ეს გამონათქვამი. ეს სამი შინაარსობრივი კოორდინატი, რომლებიც, გარდა ასახული რეფერენტული სიტუაციისა, განსაზღვრავენ გამონათქვამის შინაარსს, უკვე გვაქვს ბენვენისტის კონცეფციაში. აქედან ჩანს, რომ, როცა ვლაპარაკობთ ენობრივ ნიშანზე, როცა ვხმარობთ სიტყვა „შინაარსს“, ეს არ უნდა გავაიგივოთ ტერმინ „სემანტიკასთან“. შინაარსი მეტია, ვიდრე სემანტიკა. შინაარსი შეიძლება იყოს სემანტიკურიც და პრაგმატულიც. თუმცა ისიც უნდა ითქვას,

რომ ასეთი გამიჯნვა მუდამ არ ხდება. შეიძლება დღევანდელ ლინგვისტურ ლიტერატურაში შეგვხვდეს ტერმინი „შეფასებითი სემანტიკა“. აქ სემანტიკა იჭრება პრაგმატიკის სფეროშიც. მაგრამ ტერმინოლოგიური სიზუსტე მოითხოვს ამ ორი შინაარსის გამიჯვნას.

შემდეგ ი. სტეპანოვმა ტერმინოლოგიურად გააფორმა ბენგენისტის მიერ გამოყოფილი ეს სამი კოორდინატი: დროული, სივრცობრივი, სუბიექტური და უწოდა კოორდინატთა ამ სისტემას **ლოკაცია**.

ლოკაციის ფორმულაა: „მე, აქ, ახლა“, ე. ი. ლოკაციის კატეგორიას აქვს სამი ასპექტი: პერსონალური, საკუთრივ ლოკალური, და ტემპორალური. ლოკაციის კატეგორიის ასეთი დახასიათებიდან უკვე ჩანს, რომ პრაგმატიკას როგორც ენობრივი ნიშნის განზომილებას აქვს გამჭოლი პრინციპის სტატუსი. როცა რამეს ვამბობთ, ეს შეიძლება გამოიხატოს როგორც ლექსიკურად, ისე ზმნური კატეგორიით, რაც შეეხება ტემპორალურ ასპექტს, ისიც გამოიხატება ორივე საშუალებით და ა. შ. აქედან უკვე ჩანს, რომ ლოკაციის კატეგორიას აქვს გამონათქვამის შინაარსის მთლიანური განპირობების ენარი. ყოველი გამონათქვამის შინაარსის ანალიზისას შეიძლება გავმიჯნოთ მისი საკუთრივ სემანტიკური ასპექტი ლოკაციური ასპექტისაგან. ლოკაციის კატეგორია ახალი კატეგორიაა და მისი ჩამოყალიბება ემთხვევა პრაგმატიკის ჩამოყალიბებას. რაც შეეხება სხვა კატეგორიებს, აქ უკვე შეიძლება ვთქვათ, რომ ხდება უკვე არსებულ კატეგორიათა გადააზრება და მათთვის პრაგმატულობის სტატუსის მინიჭება. მაგ შოღალის კატეგორია დიდი ხანია ცნობილია. მუდამ ერთმანეთისაგან არჩევდნენ სუბიექტურ და ობიექტურ შოღალობას. რაც შეეხება ობიექტურ შოღალობას, ეს არის გამონათქვამში ასახული სიტუაციის დამოკიდებულება რეალობასთან, სუბიექტური შოღალობა კი ასახავს მეტყველი სუბიექტის დამოკიდებულებას გამონათქვამში ასახული სიტუაციის მიმართ.

შეფასების კატეგორია. ტრადიციულად ის, რაც აღინიშნება ამ კატეგორიით, მიჩნეული იყო ენობრივი ნიშნის, მაგ. სიტყვის, კონოტატიურ კომპონენტად. შეფასების კატეგორია ეყრდნობოდა იმას, რომ ყოველი გამონათქვამი და პირველ რიგში, გამონათქვამის ლექსიკური ელემენტები მუდამ შეიცავენ არა მარტო რეალობის უბრალო ნომინაციას, არამედ მის შეფასებასაც, ხოლო ეს შეფასება საბოლოო ანგარიშში მუდამ გულისხმობს **კარგისა** და **ცულის** ოპოზიციას. როგორც არ უნდა იყოს სიტყვის შეფასებითი შინაარსის სირთულე, იგი მუდამ დაიყვანება ამ ოპოზიციაზე. ლაპარაკობენ **შეფასებით სემაზე**. მაგრამ არსებობს აზრი, რომ ასეთ ელემენტებს ეწოდოს **პრაგმემატ**, რადგან ეს ოპოზიცია პრაგმატული ხასიათისაა და ასახავს მეტყველი სუბიექტის აქსეოლოგიურ დამოკიდებულებას რეალობისადმი. როცა ლაპარაკია შეფასების კატეგორიაზე, არის მუდამ პრობლემა მისი აღრევისა ემოციურობის კატეგორიასთან. ეს ორი კატეგორია ძალიან ახლოსაა ერთმანეთთან.

ემოციურობის კატეგორია. უნდა ითქვას, რომ შეფასების კატეგორია თანამედროვე ლინგვისტიკაში მეტად თუ ნაკლებადაა გაანალიზებული სწორედ პრაგმატული თვალთახედვით (მაგ., გოლფი, თელია, არუთინოვა) მისი შესწავლა ტრადიციულ ლინგვისტიკაში უფრო ხდებოდა, მაგრამ იმდენად, რამდენადაც ემოციები განყენებულად არ არსებობს, არამედ სუბიექტს ახლავს, ესეც პრაგმატული კატეგორიაა.

რაც შეეხება ისეთ ეგოცენტრულ კატეგორიას როგორცაა **დისტანტურობა**: იგი ასახავს მეტყველი სუბიექტის დაინტერესებულობას გამონათქვამის შინაარსით, იმას თუ რამდენად იგი პირადადაა ჩართული გამონათქვამში. რა თქმა უნდა, დისტანტურობის დონე დამოკიდებულია არა მარტო გამონათქვამის შინაარსზე, არამედ იმაზეც, თუ რომელ ფუნქციურ სტილს ეკუთვნის იგი. მაგ., მეცნიერულ

სტატიაში ეს ფაქტორი უფრო ნაკლებადაა გამოვლენილი, ვიდრე მხატვრულში.

§3. მსმენელი სუბიექტი (ადრესატი) და მასთან დაკავშირებულ პრაგმატულ კატეგორიათა ქვესისტემა

პრაგმატიკა შეისწავლის ენის იმ განზომილებას, რომელშიც ასახულია სამეტყველო აქტის სუბიექტურობა. თუ კომუნიკაციური ლინგვისტიკის საწყის მომენტში სამეტყველო აქტის სუბიექტურობა ნიშნავდა მხოლოდ მეტყველი სუბიექტისაგან (ადრესანტისაგან) მომდინარე სუბიექტურობას, კომუნიკაციური ლინგვისტიკის განვითარების დღევანდელ ეტაპზე იგი განისაზღვრება ორ კომუნიკანტს შორის (ადრესანტი - ადრესატი) მიმართებათა მთელი სისტემით.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ პრაგმატულ კატეგორიათა სისტემა შედგება შესაბამისად სამი ქვესისტემისაგან. პირველი ქვესისტემა - ესაა იმ პრაგმატულ კატეგორიათა ერთობლიობა, რომლებიც ასახავენ მეტყველი სუბიექტის პოზიციას და ამ პოზიციის გავლენას როგორც მთელ საკომუნიკაციო აქტზე, ისე ენობრივი სისტემის იმ ერთეულებზე, რომელთა აქტუალიზაცია ხდება ამ საკომუნიკაციო აქტში. როგორც ითქვა, პირველი ქვესისტემის უმნიშვნელოვანესი პრაგმატული კატეგორიაა ლოკაციის კატეგორია. იგი განისაზღვრება სამი კოორდინატით - „მე-აქ-ახლა“. ლოკაციის კატეგორიის მაგალითზე ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ, რომ პრაგმატიკის ყველა კატეგორია არა განყენებულად, არმედ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი აისახება კონკრეტულად, ყველა დონეებრივი ერთეულის შინაარსში და მის კატეგორიებში. ამდენად შეიძლება ითქვას, რომ პრაგმატული კატეგორია, ერთი მხრივ, მუდამ აღემატება პრაგმატული ხასიათის მქონე ცალკეულ დონეებრივ ერთეულს ან ამ ერთეულის კატეგორიას, ხოლო მეორე მხრივ

- მუდამ პოულობს საყრდენს დონეებრივ ერთეულებსა და მათ კატეგორიებში.

როგორც ვთქვით, ლოკაციის კატეგორიას სამი კოორდინატი აქვს - „მე-აქ-ახლა“. პირველი კოორდინატი („მე“) გვიჩვენებს, თუ ვინ ახდენს ენობრივი სისტემის აქტუალიზაციას მოცემული საკომუნიკაციო აქტის ფარგლებში, ანუ, ბენვენისტის ენით რომ ვთქვათ, „მე“ არის ის, ვინც მოცემულ მომენტში ითვისებს მთელ ენობრივ სისტემას და აქცევს მას, ასე ვთქვათ, თავის პირად საკუთრებად. ტრადიციული „მე“ აისახებოდა გრამატიკულ სისტემაში როგორც პირის ზმნური კატეგორიის ერთ-ერთი წევრი, და ნაცვალსახელთა სისტემის კომპონენტი (მე, შენ, ის). იმდენად, რამდენადაც „მე“ ასახულია ზმნურ კატეგორიათა სისტემაში, შეიძლება ვილაპარაკოთ ზმნის პრაგმატულ კატეგორიებზე. მაგრამ ამავე დროს უნდა ითქვას ისიც, რომ „მე“ კოორდინატის როგორც შინაარსი, ისე გამოხატვა აღემატება იმ გამოხატვას, რომელიც ხდება ზმნის ფარგლებში. იმას, თუ ვინ ახდენს ენობრივი სისტემის აქტუალიზაციას, ზმნის გარდა, გვიჩვენებს ნაცვალსახელად წოდებული სიტყვა „მე“, ხოლო იმ შემთხვევაში - და ეს ძალზე მნიშვნელოვანია -, როდესაც ამ კოორდინატს არ გამოხატავს ექსპლიციტიურად არც ზმნა და არც სიტყვა „მე“, მას გამოხატავს გამონათქვამის მთელი შინაარსი, მისი სუბიექტურობის მთელი ის ასპექტი, რომელიც უკავშირდება მეტყველ პირს. ასე მაგალითად, როდესაც ვამბობთ „ბიჭი თამაშობს“, ჩვენ არა გვაქვს არც სიტყვა „მე“, არც ე. წ. „პირველი პირი“, მაგრამ ეს „მე“ როგორც კოორდინატი ჩართულია მთელ ამ გამონათქვამში, ჩართულია მის დროში: როდის ხდება თამაში? - როცა მე ვმეტყველებ. (ამაზე მიუთითებს ზმნის დრო: „თამაშობდა“ - ვიდრე მე ავმეტყველებდობდი და ა. შ.) გარდა ამისა, როცა ვამბობ „ბიჭი თამაშობს“, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემი ინტენციიაა ინფორმაციის მოწოდება (ეს არის კონსტანტივი, და არა, ვთქვათ, იმპერატივი). ე. ი. მთელი გამონათქვამი „ღაღადებს“ ამ „მე“-ზე და ეყრდნობა მას.

რაც შეეხება მესამე კოორდინატს („აქ“): მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ამ გამონათქვამში არა გვაქვს ადგილის გარემოება, ეს კოორდინატი ჩაქსოვილია მასში და აგრეთვე გულისხმობს „მე“-ს როგორც მეტყველ პირს, რომელმაც ამ მომენტში მთლიანად „მითვისა“ ენობრივი სისტემა. რაში მდგომარეობს ეს ჩაქსოვილობა? თვით იმაშიც, თუ რომელ ფუნქციურ სტილს ეკუთვნის ეს გამონათქვამი: თუ ეს არის ყოველდღიური მეტყველების ფაქტი, მაშინ ამ გამონათქვამში ასახული ხდომილება თითქოსდა უახლოვდება „მე“-ს როგორც მეტყველ პირს.

ამ მაგალითიდან ჩანს პრაგმატულ კატეგორიათა მთელი სპეციფიკა - ყოველი პრაგმატული კატეგორიის შინაარსი, ასე ვთქვათ, გამონათქვამისეული ხასიათისაა, ყოველ პრაგმატულ კატეგორიას გამოხატავს გამონათქვამის შინაარსი.

„მე“ -კოორდინატის. ისევე როგორც „აქ“ და „ახლა“ კოორდინატების გამოხატვა შეუძლია ზმნას და აქედან ჩანს ჭეშმარიტი ზმნური კატეგორიების პრაგმატული ბუნება. ჭეშმარიტი ზმნური კატეგორიები გამოხატულია არა ზმნით, არამედ მთელი გამონათქვამით. მაშასადამე, პირის კატეგორიაც პრაგმატული კატეგორიაა. პრაგმატული კატეგორიაა აგრეთვე დროის კატეგორია, რამდენადაც იგი ემსახურება ლოკაციის „ახლა“ კოორდინატის გამოხატვას, თუმცა ამ კოორდინატსაც გამოხატავს არა მხოლოდ ზმნა, არამედ მთელი გამონათქვამი. პრაგმატულია განსაზღვრულობის კატეგორიაც და ა. შ.

ტრადიციული მორფოლოგიის კატეგორიები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: **კომუნიკაციური** - **პრაგმატული** და **ნომინაციური** - **სემანტიკური** კატეგორიები, ყოველი მორფოლოგიური კატეგორია არის რომელიმე პრაგმატულ - მორფოლოგიური კატეგორიის კომპონენტი. ყოველი პრაგმატულ - მორფოლოგიური კატეგორია ექვემდებარება რომელიმე

პრაგმატულ კატეგორიას, თუმცა არავითარ შემთხვევაში არ ამოწურავს მას.

ამრიგად, ჩვენ დავინახეთ პრაგმატიკის (პრაგმატული კატეგორიების) გამჭოლი სტატუსი მთელი ენობრივი სისტემის ფარგლებში - პრაგმატიკა ასახულია ყველა ენობრივი დონის ერთეულებში და ყველა ამ ერთეულის კატეგორიულ სისტემაში. ჩვენ ვთქვით აგრეთვე, რომ პრაგმატიკის სუბიექტურობა გულისხმობს არა მარტო ადრესანტის, არამედ ადრესატის სუბიექტურობასაც და ამდენად გვაქვს პრაგმატულ კატეგორიათა მეორე ქვესისტემაც - ის კატეგორიები, რომლებიც ასახავენ ადრესატს, მის პოზიციასა და გავლენას გამონათქვამზე. უნდა ითქვას ისიც, რომ პრაგმატულ კატეგორიათა პირველი ქვესისტემა ბევრად უკეთესადაა შესწავლილი, ვიდრე - მეორე, ვინაიდან პრაგმატიკა ტრადიციულად გულისხმობდა მხოლოდ სუბიექტს, ლაპარაკობდა სამეტყველო აქტის ეგოცენტრიზმზე. მაგრამ იმდენად, რამდენადაც ეს მეორე ქვესისტემაა შესწავლილი, შეიძლება დავასახელოთ მისი შემდეგი სამი პრაგმატული კატეგორია: **ინფორმაციულობა, ექსპრესიულობა, გამჭვირვალობა.** კატეგორიათა ამ ქვესისტემას საფუძვლად უდევს ადრესანტის დაინტერესება იმაში, რომ ადრესატმა მას ადეკვატურად გაუგოს. ეს კი ნიშნავს, რომ ადრესანტმა უნდა გაითვალისწინოს ადრესატი - ეს საკომუნიკაციო აქტის ეფექტურობის საფუძველია. მაგრამ ეფექტურობის მისაღწევად არ არის საკმარისი, რომ გამონათქვამი შეიცავდეს ლოკაციას, მოდალობას, შეფასებას და ა. შ. გამონათქვამი გარკვეული თვალსაზრისით უნდა იყოს **ინფორმაციული, ექსპრესიული, გამჭვირვალე.**

**§5. ტრადიციულ გრამატიკულ კატეგორიათა
„პრაგმატიზაცია“ როგორც კომუნიკაციური
ლინგვისტიკის ქმნადობის მომენტი**

პრაგმატულ კატეგორიათა სამი ქვესისტემიდან ყველაზე უკეთ დამუშავებულია პირველი და ეს საესებით გასაგებია, რადგან თვით ლინგვისტური პრაგმატიკის იდეა თავიდანვე ეყრდნობოდა არა მარტო კომუნიკაციურ პარადიგმას, როგორც იგი თავიდანვე გვექონდა ფორმულირებული, არამედ სამეტყველო აქტის ეგოცენტრისტულ კონცეფციასაც. ეს უკანასკნელი კი გულისხმობდა მეტყველი სუბიექტის წინა პლანზე წამოყენებას. ხოლო რაც შეეხება მსმენელი სუბიექტის (ადრესატის) როლს საკომუნიკაციო აქტში და შესაბამისად მის როლს ენობრივი სისტემის პრაგმატული განზომილების სტრუქტურირებაში და მითუმეტეს იმ მიმართების როლს, რომელიც ორ სუბიექტს შორის ჩნდება საკომუნიკაციო აქტში, - ამ ორი მომენტის გათვალისწინება როგორც საკომუნიკაციო აქტის, ისე ენობრივი სისტემის პრაგმატული გააზრების პროცესში, უკვე კომუნიკაციური ლინგვისტიკის განვითარების შემდგომ ეტაპზე ხდებოდა. ის ფაქტი, რომ ორი დანარჩენი ქვესისტემა უფრო ნაკლებადაა შესწავლილი, ჩანს ორი მომენტიდან:

1) **რაოდენობრივი მომენტი** - უკვე გამოყოფილ და შესწავლილ პრაგმატულ კატეგორიათა რაოდენობა აქ ბევრად უფრო ნაკლებია: პირველ ქვესისტემაში გვექონდა 5 კატეგორია, მეორეში - 3, მესამეში კი საერთოდ ძნელდება მათი რიცხვის დადგენა - შეიძლება ითქვას, რომ სახეზეა უფრო ამ ქვესისტემის კატეგორიათა არსებობის იდეა, ვიდრე თვით კატეგორიათა სისტემა.

2) **თვით კატეგორიათა შინაგანი ბუნება**. ამ ბუნების ფორმულირების ნაკლები სიზუსტე აიხსნება იმით, რომ ძნელი გასარკვევია, თუ ენობრივი

სისტემის რომელი ერთეულები ან მათი თანხმლები რომელი კატეგორიები ექვემდებარებიან ამ ქვესისტემათა პრაგმატულ კატეგორიებს. ასე, მაგალითად, როდესაც ვლაპარაკობდით პირველი ქვესისტემის ისეთ კატეგორიაზე, როგორც ლოკაციაა, ცხადი იყო, თუ რომელი ტრადიციული კატეგორიებით ხდებოდა მისი ელემენტების რეალიზაცია, იმავე ქვესისტემის მეორე კატეგორიაზე - მოდალობაზე - კი ვთქვით, რომ იგი ითვისებს მოდალობის ტრადიციულ კატეგორიას და ანიჭებს მას პრაგმატულ განზომილებას.

ამ ნაკლებ გარკვეულობას - როგორც რაოდენობრივს, ისე თვისობრივს - აქვს თავისი პოზიტიური მნიშვნელობაც კონკრეტული ლინგვისტური კვლევის თვალსაზრისით, ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ პრაგმატული განზომილება გამჭოლი სტატუსის განზომილებაა და რომ იგი ახასიათებს მთელ ენობრივ სისტემას და ამ სისტემის ყველა ელემენტს, და ამასთან ისიც, რომ იგი გულისხმობს არა მარტო ადრესანტის, არამედ ადრესატის როლსაც. ჩვენ შეგვიძლია კვლევის დროს მიზნად დავისახოთ ადრესატის როლის უფრო გაშლილი სახით გამოკვეთა. ეს შეიძლება მოხდეს სხვადასხვა ფორმით. ჩვენ შეგვიძლია ადრესატის როლის გავლენა მოვებნოთ თუნდაც იმ ეგოცენტრისტულ პრაგმატულ კატეგორიებში, რომლებიც პირველ ქვესისტემას მიეკუთვნება. ასე, მაგალითად, თვით ლოკაციის კატეგორიაში ჩვენ შეიძლება გამოვკვეთოთ არა მარტო ადრესანტის, არამედ ადრესატის როლიც. იგივე ითქმის დანარჩენ ეგოცენტრისტულ პრაგმატულ კატეგორიებზეც. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შეუძლებელია არსებობდეს წმინდა ეგოცენტრისტული პრაგმატული კატეგორია. ამას გარდა, იმ პრაგმატული კატეგორიების ფარგლებში, რომლებიც პირველ და მეორე ქვესისტემებს მიეკუთვნება, ჩვენ შეგვიძლია გამოვკვეთოთ უკვე არსებული კატეგორიების ახალი ასპექტები. ასე მაგალითად, მეორე ქვესისტემაში უკვე გამოყოფილია სამი კატეგორია - ინფორმაციულობა, ექსპრესიულობა, გამჭვირვალობა. პირველი მათგანის გამოხატვა ხდება,

როგორც წესი, ასეთი ტრადიციული სინტაქსური მოვლენის საშუალებით, როგორიცაა წინადადების აქტუალური დანაწევრება. მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ პრაგმატიკას საერთოდ, და კერძოდ მის კატეგორიებს, თვით პრაგმატიკის განსაზღვრის თანახმად, აქვთ ენობრივ სისტემაში გამჭოლი სტატუსი. ამიტომ უკვე აპრიორი ჩვენ შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ინფორმაციულობის გამოხატვა არ უნდა ხდებოდეს მხოლოდ წინადადების აქტუალური დანაწევრებით და მხოლოდ სინტაქსურ დონეზე, მის გამოხატვაში ჩართული უნდა იყოს როგორც მთელი გამონათქვამი, ისე, შეიძლება ითქვას, მთელი ენობრივი სისტემა. ამიტომ ჩვენ შეგვიძლია დაფუძავთ იროთ ინფორმაციულობის პრაგმატული კატეგორია არა მარტო ე. წ. „კომუნიკაციურ სინტაქს“, არამედ აგრეთვე ლექსიკასა და მორფოლოგიას, უფრო მეტიც, შეიძლება მათ ფარგლებს გარეთაც გავიდეთ, კვლევის ამგვარი რეზერვი აქვს დღეს ლინგვისტიკას. თვით კომუნიკაციური ლინგვისტიკის განვითარება გულისხმობს კატეგორიათა შინაგანი შინაარსის ასეთი გაფართოების პერსპექტივას.

მესამე შესაძლებლობა ამ თვალსაზრისით - ეს არის ამ ქვესისტემათა ფარგლებში ახალი პრაგმატული კატეგორიების ფორმულირება.

რაც შეეხება თვით პრაგმატულ კატეგორიებს, როგორც ისინი კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში ფიგურირებენ:

ინფორმაციულობის კატეგორიის შინაარსი კომუნიკაციური ლინგვისტიკის განვითარების დღევანდელ ეტაპზე, როგორც უკვე ვთქვით, მთლიანად იფარება, ივსება იმ ფენომენით, რომელსაც ტრადიციულად წინადადების აქტუალური დანაწევრების ფენომენი ეწოდება. მაგრამ ის, თუ როგორ ხდება ამ ტრადიციული ცნების, ასე ვთქვათ, **პრაგმატიზაცია** (მისთვის პრაგმატული კატეგორიის სტატუსის მინიჭება), ჩვენ შეიძლება გამოვვადგეს იმის ზოგად ნიმუშად, თუ როგორ ითვისებს თანამედროვე ლინგვისტური პრაგმატიკა ტრადიციულ კატეგორიებს, ანუ როგორ ხდება

ტრადიციული ცნებების ტრანსპოზიცია პრაგმატიკის სფეროში. აქ ძირითადად გასათვალისწინებელია ორი მომენტი:

1) რას ნიშნავს „წინადადების“ აქტუალური დანაწევრების“ ცნება? ჩვენ ვიცით, რომ ყოველი წინადადება ხასიათდება ბინარული - სუბიექტ - პრედიკატული - სტრუქტურით. ვიცით ისიც, თუ ტრადიციულად როგორ განისაზღვრება წინადადების ეს ორი უნივერსალურად ღირებული წევრი: სუბიექტი არის ის, რაზეც რაღაც ითქმის ან რასაც რაიმე მიეწერება, ხოლო პრედიკატი არის ის, რაც ითქმის სუბიექტზე ან მიეწერება მას. ე. ი. სუბიექტი არის ის, რაც ცნობილია. თვით სუბიექტისა და პრედიკატის ცნება თავის თავში გულისხმობს გარკვეულ ინფორმაციულობას. უფრო ზუსტად - წინადადების ბინარული სტრუქტურა გარკვეულ ფუნქციას ასრულებს და ეს ფუნქცია უკვე გულისხმობს ინფორმაციულობას. რა თქმა უნდა, წინადადების ასეთი სტრუქტურა გულისხმობს გარკვეულ დანაწევრებულობასაც. ამ დანაწევრებულობის ბუნება დღეს გარკვეულია, თავის დროზე კი იგი გერმანელი ენათმეცნიერის კარლ ბოოსტის აღმოჩენა იყო. მან დაადგინა, რომ ყოველ წინადადებას ახასიათებს არა მარტო საკუთრივ სინტაქსური (სტრუქტურული), არამედ მისგან განსხვავებული - კომუნიკაციური - დანაწევრება. მივმართოთ ისევ გამონათქვამს „ბიჭი ეზოში თამაშობს“. იმისდა მიხედვით, თუ ვინ ვის ეუბნება ამას, როდის ან სად ხდება კომუნიკაციის ეს აქტი, შეიძლება მთლიანად შეიცვალოს ამ კონკრეტული წინადადების ინფორმაციული შინაარსი. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, რა არის ახალი და რა არის ცნობილი იმისათვის, ვისაც მივმართავთ, თუ იმან, იცის, რომ ბიჭი არ არის სახლში, მისთვის ახალია ის, რომ იგი ეზოშია. ხოლო იმისათვის, ვინც იცის, რომ ეზოში ვიღაც თამაშობს, მისთვის ახალი იქნება „ბიჭი“. თუ ჩვენ თავიდანვე ჩავთვლით, რომ სუბიექტი ემთხვევა რაღაც ცნობილს და პრედიკატი კი - რაღაც ახალს, მაშინ ერთ შემთხვევაში შეიძლება სუბიექტი იყოს „ბიჭი“, მეორეში კი - „თამაშობს“; ასევე პრედიკატიც

ერთ შემთხვევაში იყოს „ბიჭი“, მეორეში კი - „თამაშობს“. ძნელია დაეთანხმო ასეთ მტკიცებას. სწორედ ამიტომ გაჩნდა ცნებები „თემა“ და „რემა“. („სუბიექტი“ და „პრედიკატი“ ლათინური წარმოშობის სიტყვებია, „თემა“ და „რემა“ - ბერძნული. „თემა“ ნიშნავს სუბიექტს, „რემა“ - პრედიკატს. თუ ჩვენ თავიდანვე ჩავთვლით, რომ სუბიექტსა და პრედიკატს არაფერი აქვს საერთო ინფორმაციულობასთან, მაშინ ეს ტერმინები შეიძლება არც დაგვჭირდეს, მაგრამ ჩვენ ხომ დავინახეთ, რომ სუბიექტისა და პრედიკატის ცნებები უკვე თავის თავში გულისხმობენ ინფორმაციულობას).

წინადადების „ბიჭი თამაშობს“ სინტაქსური სტრუქტურისათვის სულ ერთია, რა იქნება ახალი და რა - ცნობილი: ეს სტრუქტურა („ბიჭი“ - სუბიექტი, „თამაშობს“ - პრედიკატი) არ შეიცვლება. მაგრამ იმის მიხედვით, თუ ვინ, ვის, როდის, სად ეუბნება ამ წინადადებას, განსხვავებული იქნება მისი კომუნიკაციური სტრუქტურა. ამრიგად, წინადადების კომუნიკაციური სტრუქტურა იგულისხმება მისი სინტაქსური სტრუქტურის პარალელურად. კომუნიკაციური სტრუქტურაც ბინარული სტრუქტურაა: გვაქვს „თემა“ (რადაც ცნობილი) და „რემა“ (რადაც ახალი). ასეთ დანაწევრებას წინადადების აქტუალური დანაწევრება ეწოდება. ასეთ ინფორმაციულ - კომუნიკაციურ სტრუქტურაში ლინგვისტური პრაგმატიკა ხედავს დღეს **ადრესატის როლს**: ესა თუ ის ითვლება ცნობილად (თემად) და ახლად (რემად) სწორედ ადრესატის თვალსაზრისით. ესაა, როგორც ვთქვით, პირველი მომენტი - როგორ მოხდა ამ ტრადიციული ცნების ათვისება პრაგმატიკის მიერ, ასე ვთქვათ, პრაგმატიზაციის პირველი საფეხური.

2) მეორე მომენტი არანაკლებ მნიშვნელოვანია. საქმე ისაა, რომ ყოველი პრაგმატული კატეგორია მუდამ მიუთითებს სუბიექტის (ან სუბიექტთა) როლზე და ამ როლის გააღწევა არა წინადადების და მითუმეტეს არა ცალკეული სიტყვის, არამედ მთლიანი ტექსტის ფარგლებში. ე. ი. ყოველი

კატეგორია შინაგანად დაკავშირებულია ტექსტთან იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ კომუნიკაცია ხდება არა წინადადების, მითუმეტეს არა ცალკეული სიტყვის, არამედ ტექსტის საშუალებით, ტექსტის ფარგლებში. ამრიგად, როცა ლინგვისტური პრაგმატიკა რომელიმე ტრადიციულ კატეგორიას ითვისებს, ათვისებს ეს აქტი თუ პროცესი ერთდროულად ორ მომენტს გულისხმობს: ხდება ამ ცნების პრაგმატიზაცია, რაც, ერთის მხრივ, გულისხმობს მის სუბიექტივიზაციას, მასში სუბიექტის როლის დანახვას, ხოლო მეორე მხრივ, - მის **ტექსტოლოგიზაციას** (წინადადების აქტუალური დანაწევრების შემთხვევაში ტექსტოლოგიზაცია ნიშნავს, რომ თემა - რემატული სტრუქტურა ძირითადად ახასიათებს არა წინადადებას, არამედ ტექსტს).

§5. ინფორმაციულობა და გამჭვირვალობა როგორც პრაგმატული კატეგორიები - მათი მიმართება საკომუნიკაციო აქტის ზოგად სტრუქტურასთან

პრაგმატიზაცია თავის თეორიულ წინამძღვრად გულისხმობს ორი ცნების - თვით **პრაგმატიკისა** (ენობრივი ნიშნის პრაგმატული განზომილებისა) და **ტექსტის** ცნებების ორგანულ შინაგან კავშირს. ეს კი ნიშნავს, რომ შინაგან კავშირში იმყოფებიან აგრეთვე პრაგმატიკა და ტექსტის ლინგვისტიკა როგორც ლინგვისტური დისციპლინები. ამიტომ, როდესაც ჩვენ კომუნიკაციურ ლინგვისტიკის სალექციო კურსის ფარგლებში გადავალთ ტექსტის ლინგვისტიკაზე, ჩვენ ამით არ დავტოვებთ პრაგმატიკის სფეროს. პირიქით, ეს იმის მომასწავებელი იქნება, რომ პრაგმატულ კატეგორიათა განხილვიდან ჩვენ გადავალთ იმის განხილვაზე, თუ როგორ მოქმედებენ ეს კატეგორიები კომუნიკაციის კონკრეტულ

პროცესში, დაგინახავთ, თუ როგორ „გადაიზრდებიან“ პრაგმატული კატეგორიები ტექსტობრივ კატეგორიებში და როგორ შექმნიან ეს უკანასკნელი ტექსტობრივ სტრუქტურას. დაუბრუნდეთ პრაგმატულ კატეგორიათა მეორე ქვესისტემას. ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ ამ ქვესისტემის პირველ - ინფორმაციულობის - კატეგორიაზე. ახლა შევჩერდეთ მეორე კატეგორიაზე - გამჭვირვალობის კატეგორიაზე. ამ შემთხვევაშიც ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ თვით ამ კატეგორიის არსებობა და, ცხადია, შინაარსიც განპირობებულია ადრესატით (თუმცა ჩვენ ისიც ვიცით, რომ არ არსებობს პრაგმატული კატეგორია, რომელიც მხოლოდ ერთი სუბიექტით იქნება განპირობებული. დაყოფა სამ ქვესისტემად გულისხმობს აქცენტის გადატანას ერთი სუბიექტიდან მეორეზე). როგორც გამონათქვამი, ისე გამონათქვამის რომელიმე ასპექტი გამჭვირვალეა იმდენად, რამდენადაც იგი გამჭვირვალეა ადრესატისათვის. რას ნიშნავს გამჭვირვალობა? ეს ტერმინი აღებულია ყოველდღიური ცხოვრებიდან და მეტაფორული ხმარების შედეგად მას მინიჭებული აქვს მეცნიერული (ამ შემთხვევაში - ლინგვისტური) მნიშვნელობა. გამონათქვამის გამჭვირვალობა გულისხმობს იმას, რომ ჩვენი ნათქვამი გასაგებია ადრესატისათვის. თუ ეს ასეა, როდის არის გამონათქვამი გამჭვირვალე (ე. ი. გასაგები) ადრესატისათვის? რა პირობა უნდა იყოს დაცული იმისათვის, რომ გვექონდეს გამჭვირვალობა - კომუნიკაციური ეფექტურობის ერთ - ერთი წინაპირობა? გამჭვირვალობის ანტონიმი იქნება **გაუმჭვირვალობა**. გაუმჭვირვალობა მოდერნისტული დრამის, პოეზიის, პროზის, მთლიანად მოდერნისტული ესთეტიკური სფეროს (მაგალითად, აბსურდის თეატრი, ავანგარდისტული ფერწერა და ა. შ.) ერთ - ერთი ნიშანია: რაც გამჭვირვალეა, ვერ ჩაითვლება მოდერნისტული ესთეტიკის ფაქტად. გაუმჭვირვალობა **არაკომუნიკაციურობის** ნიშანია. იგი არის სამყაროს განსხვავებული ხედვის ასახვა. გაუმჭვირვალობა არის იქ,

სადაც გვაქვს სუბიექტთა მარტოსულობა. მოდერნისტული ესთეტიკის ძირი სწორედ ამაში მდგომარეობს. ახალ კატეგორიებს წარმოქმნის არა მარტო ლინგვისტიკა, არამედ ის ეპოქაც, რომელსაც თანამედროვე ლინგვისტიკა ეკუთვნის.

ახლა შევეცადოთ გამჭვირვალობის ფაქტორების ჩამოყალიბებას.

ვთქვათ ერთი ადამიანი მიმართავს მეორეს. რა ფაქტორებია საჭირო, რომ იყოს გამჭვირვალობა?

პირველი ფაქტორი არის ის, რომ გამონათქვამში ასახული რეფერენტული სიტუაცია უნდა იყოს **ერთნაირი** ორივე მონაწილესათვის. ამ პირობის გარეშე გამჭვირვალობა ვერ იქნება. საერთო უნდა იყოს აგრეთვე თვით ის საგნობრივ - სიტუაციური სფერო, რომლის მონაკვეთსაც წარმოადგენს ეს რეფერენტული სიტუაცია.

გამჭვირვალობის შემდეგი ფაქტორია **კომუნიკაციური სიტუაცია** (ვინ, ვის, როდის, სად ეუბნება): კომუნიკაციური სიტუაცია უნდა იყოს იდენტური კომუნიკაციის ორივე მონაწილესათვის.

შემდეგია კომუნიკანტთა **თეზაურუსები** - მათი ფონური ცოდნა თუ სამყაროს ხატი ან უნდა ემთხვეოდეს ერთმანეთს. ან მათ შორის არ უნდა იყოს პრინციპული განსხვავება. ადრესანტის მიერ გამონათქვამში ხმარებულ სიტყვებს და მათ შეხამებებს არ უნდა ჰქონდეთ ისეთი მნიშვნელობა, რომელიც პრინციპულად განსხვავებულია იმ მნიშვნელობებისაგან, რომელსაც მას ადრესატი ანიჭებს.

ამრიგად, გამჭვირვალობას როგორც ზოგადი, ისე სიტუაციური ფაქტორები განაპირობებენ - ფაქტორები რომლებიც კომუნიკანტთა მთელი ცხოვრებიდან და პიროვნულიდან გამომდინარეობენ, და ფაქტორები, რომლებსაც კონკრეტული სიტუაციები განსაზღვრავენ. ამასთან გამჭვირვალობა ისეთი კატეგორიაა, რომ პირობებისა და ფაქტორების ჩამოთვლას ძნელად თუ შეიძლება ჰქონდეს პრინციპული დასასრული. ასე, მაგალითად, თუ ჩვენ გავაგრძელებთ საუბარს ისეთ ფაქტორზე, როგორცაა

კომუნიკანტთა თეზაურუსების თანხვედრა/არათანხვედრა, მაშინ ისიც უნდა გაეხსენოთ, რომ ყოველი თეზაურუსი გულისხმობს არა მარტო სამყაროს შესახებ უშუალო ცოდნის ან წარმოდგენათა სისტემას, არამედ ამ ცოდნისთვის და წარმოდგენათა სისტემისათვის დამახასიათებელ პრესუპოზიციათა სისტემასაც. პრესუპოზიციებზე ჩვენ გვექონდა ლაპარაკი. ვთქვით, რომ არსებობს ლექსიკური პრესუპოზიციები, ეგზისტენციალური პრესუპოზიციები და პრესუპოზიციები, რომლებიც ემყარებიან ცხოვრებისეულ სინამდვილეს. არ არსებობს სიტყვა ან სიტყვათა შეხამება, რომელიც არ გულისხმობდეს სხვა სიტყვებს და ამ სხვა სიტყვათა მნიშვნელობას. ასე, მაგალითად, სიტყვა „ქმის“ ლექსიკური პრესუპოზიცია გულისხმობს ან მეორე ქმას, ან დას; სიტყვა „მარცხენა“ გულისხმობს „მარჯვენას“, ხოლო „გათხოვილი“ გულისხმობს, რომ ოდესღაც „არ იყო გათხოვილი“ და სხვა. კომუნიკანტთა ლექსიკური თეზაურუსი გულისხმობს ამრიგად არა მარტო იდენტურ სიტყვებს. არამედ იდენტურ პრესუპოზიციებსაც. ეგზისტენციალური პრესუპოზიციის მაგალითია ის, რომ რაც, ვთქვათ, არ გაქვს ან არ გყავს, იმას ვერ დაკარგავ. ცხოვრებისეულ სინამდვილესთანაა დაკავშირებული, მაგალითად, სიტყვა „სრულწლოვანის“ პრესუპოზიცია. არ არის საკმარისი დაფუძირისპიროთ მას სიტყვა „არასრულწლოვანი“: ის, რასაც ნიშნავს „სრულწლოვანი“, შეიძლება იცვლებოდეს ერთი საზოგადოებიდან მეორეში გადასვლისას.

ხაზი უნდა გაფუსვავთ იმას, რომ გამჭვირვალობის კატეგორია უშუალოდ მიეძარტება ისეთ ზოგადკომუნიკაციურ კატეგორიას, როგორიცაა კომუნიკაციური ეფექტურობის კატეგორია.

რა განსხვავებაა ინფორმაციულობასა და გამჭვირვალობას შორის?

ინფორმაციულობის კატეგორია
გულისხმობს, რომ გამონათქვამი უნდა შეიცავდეს

ადრესატისათვის ახალს და ეს ახალი უნდა ემყარებოდეს იმას, რაც ცნობილია. თუკი იგი არ შეიცავს ახალს, მაშინ შეიძლება ვილაპარაკოთ კომუნიკაციის არაეფექტურობაზე. ყოველი ასეთი გამონათქვამი ჩაითვლებოდა ლაყბობად, თუ მხოლოდ ინფორმაციულობა იქნება მთავარი. მაგრამ ეს ასე არ არის. (ასე, მაგალითად, დედა შეიფლს ყოველდღე ეუბნება „გენაცვალს დედა“ და ეს არ არის ლაყბობა, თუმცა არაინფორმაციულია). აქ უკვე მეტყველების ფუნქციას მივადექით. ძალიან ძნელია ამ ფუნქციის განსაზღვრა. ყველაზე მჭერმეტყველურად ამაზე მხატვრული გამონათქვამის არსებობა მეტყველებს. მაგალითად, ლექსი „მე და ღამე“. რა არის იგი? ინფორმაციის მოწოდებაა? - არა! კონტაქტის დამყარების ცდაა? - არა! რა არის მისი ფუნქცია - ამის თქმა ადვილია, მაგრამ რა ფუნქცია აქვს - ამის სრულად და ამომწურავად დადგენა შეუძლებელია. მაგრამ ვერც ერთი მხატვრული გამონათქვამი ვერ იარსებებდა, რომ გვეჩვენებს უფსკრული მხატვრულ და არამხატვრულ მეტყველებას შორის. აქედან გამომდინარე, რა შინაგანი დატვირთულობისაც არ უნდა იყოს პრაგმატული კატეგორიები, ისინი უნდა ჩავთვალოთ მხოლოდ გარკვეულ ცდად, გავიანჯროთ გამონათქვამის სუბიექტური მნიშვნელობა. რაც არ უნდა ვამრავლოთ პრაგმატული კატეგორიების რიცხვი, ვერც ერთი მათგანი და ვერც ყველა ერთად ვერ ამოწურავს მეტყველების დანიშნულებას.

§6. ექსპრესიულობა როგორც პრაგმატული კატეგორია

პრაგმატულ კატეგორიათა შორე ქვესისტემის შემდეგი კატეგორია **ექსპრესიულობის** კატეგორიაა. ტრადიციულად მთელი გამონათქვამის ან გამონათქვამის რომელიმე კომპონენტის ექსპრესიულობა ათვისებული იყო ლინგვისტიკის მიერ **კონოტაციის** ცნების საშუალებით, კონოტაციას კი მუდამ სტილისტიკა უეისწავლიდა. ისე რომ, როგორც დანარჩენ შემთხვევებში, აქაც საქმე გვაქვს პრაგმატიზაციის ფენომენტთან - ტრადიციული ლინგვისტური ცნების პრაგმატიზაციასთან, რაც, როგორც ყილაპარაკეთ, მუდამ ორ მომენტს შეიცავს: სუბიექტივიზაციისა და ტექსტოლოგიზაციის მომენტებს.

რას გულისხმობდა გამონათქვამის ან მისი რომელიმე კომპონენტის ექსპრესიულობა ტრადიციული სტილისტიკის ფარგლებში? გულისხმობდა იმას, რომ ყოველი გამონათქვამი ან მისი კომპონენტი, გარდა დენოტაციისა, მუდამ შეიცავს კონოტაციას როგორც ენობრივი ნიშნის მიერ აღნიშნული (მინიშნებული) რეალობისადმი სუბიექტის დამოკიდებულების გამოხატვას. ეს დამოკიდებულება შეიძლება იყოს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი. დადებითი და უარყოფითი კონოტაციის გვერდით, როგორც მათი ნეიტრალიზაციის შედეგი, მუდამ არსებობდა და არსებობს ნეიტრალური კონოტაციაც. კონოტაციის გარეშე გამონათქვამი არ არსებობს - ისევე, როგორც არ არსებობს იგი დენოტაციის გარეშე, ვინაიდან ნეიტრალური კონოტაციაც კონოტაციის ერთ - ერთი - არამარკირებული - სახეობაა (პოზიტიური და ნეგატიური კონოტაციისაგან განსხვავებით, რომლებიც მარკირებულ სახეობებს წარმოადგენენ).

რას ნიშნავს კონოტაციის ცნების გადატანა პრაგმატიკის სფეროში?

სუბიექტივიზაციის პლანში ექსპრესიულობის კატეგორიის პრაგმატიზაცია ნიშნავს აქცენტის გადატანას ადრესანტიდან ადრესატზე. ცხადია, ექსპრესიულობის კატეგორიის პრაგმატიზაცია არ უარყოფს იმას, რომ საქმე გვაქვს ადრესანტის მიერ სუბიექტური დამოკიდებულების გამოხატავსთან. მაგრამ ექსპრესიულობის კატეგორიის ძირითადი ფუნქციური დატვირთვა გულისხმობს ამ შემთხვევაში იმას, რომ ექსპრესიულობის მიზანია ადრესატზე ზემოქმედება. ამიტომ ექსპრესიულობა მუდამ ორი ფუნქციური მომენტის შერწყმის შედეგია; ეს მომენტებია:

1) ადრესანტის კომუნიკაციური ინტენცია (რა ზემოქმედება სურს მას მოახდინოს ადრესატზე);

2) ადრესანტის მიერ სამყაროს იმ ხატის გათვალისწინება, რომელიც დამახასიათებელია ადრესატისათვის. (ამ მომენტის გათვალისწინება პრაგმატიკის გარეშე შეუძლებელი იყო).

ამრიგად: თუ მე (მეტყველი სუბიექტი) გამოვხატავ რაიმესადმი ჩემს სუბიექტურ დამოკიდებულებას და ამ დამოკიდებულების გამოხატვა კომუნიკაციური თვალსაზრისით ეფექტურია - ხოლო ეფექტურია იგი იმ შემთხვევაში, თუ მე ჩაფიქრებულ ზეგავლენას ვახდენ - , მაშინ ეს კომუნიკაციური ეფექტურობა ემყარება არა მარტო ჩემს კომუნიკაციურ ინტენციას, არამედ ჩემს მიერ სამყაროს იმ ხატის ადეკვატურად გათვალისწინებასაც, რომელიც დამახასიათებელია ადრესატისათვის. ამ შემთხვევაში ექსპრესიულობა განიხილება როგორც ისეთი სისტემა, რომელიც თავის თავში შეიცავს სამ წევრს: მე - ის, ვის ან რის მიმართაც გამოვხატავ ექსპრესიულობას - ის, რომლისთვისაც გამოვხატავ ექსპრესიულობას. ძირითად წევრად სწორედ მესამე წევრი უნდა ჩაითვალოს.

ტექსტოლოგიის პლანში ექსპრესიულობის კატეგორიის პრაგმატიზაცია ნიშნავს შემდეგს: თუ ტრადიციული სტილისტიკა ლაპარაკობდა, როგორც წესი, სიტყვის და - ბევრად უფრო ნაკლებად - წინადადების

ექსპრესიულობაზე (კონოტაციის ეს ცნება იყო ძირითადად ლექსიკოლოგიური ცნება), თანამედროვე პრაგმატიკა ლაპარაკობს პირველ რიგში მთელი გამონათქვამის ექსპრესიულობაზე (ამით იგი უპირისპირდება ტრადიციულ სტილისტიკას). და რაკი კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში გამონათქვამი აღიქმება როგორც ტექსტი, ამდენად ლაპარაკია პირველ რიგში ტექსტის ექსპრესიულობაზე - ტექსტის იმ ნიშანზე, რომელიც სხვა პრაგმატულ ნიშნებთან ერთად შედის ტექსტის პრაგმატულ განზომილებაში. ამასთან ექსპრესიულობის კატეგორიის პრაგმატიზაცია იმ უფრო მეტისმომცველი ფენომენის კერძო შემთხვევაა, რომელსაც წარმოადგენს საერთოდ სტილისტიკის პრაგმატიზაცია, მისი პრაგმატიკის ერთ - ერთ დარგად გაფორმება: პრაგმატიკა თითქოსდა შთანთქავს სტილისტიკას, რის შედეგადაც იგი პრაგმატიკის ერთ - ერთ სფეროდ იქცევა.

თავი VI

ტექსტის ლინგვისტური თეორია და კომპერენტულობა როგორც ტექსტის ცენტრალური კატეგორია

§1. კომუნიკაციური ლინგვისტიკა და ტექსტის თეორია

კომუნიკაციური ლინგვისტიკის მონახაზი რომელსაც მიჰყვება ჩვენი ნაშრომი შექმდებანია:

კომუნიკაციური პარადიგმა → კომუნიკაციური აქტი
→ ლინგვისტური პრაგმატიკა → ტექსტის ლინგვისტიკა →
კომუნიკაციური ლინგვისტიკის დარგები (კომუნიკაციური
ლექსიკოლოგია; კომუნიკაციური მორფოლოგია; კომუნიკა-
ციური სინტაქსი).

ურთიერთმიმართება კომუნიკაციურ ლინგვისტიკასა და ლინგვისტურ პრაგმატიკას შორის იგივეა, როგორც საერთოდ მიმართება ბირთვისა და მთლიანობას შორის, რომლის ბირთვისაც იგი წარმოადგენს. რა თქმა უნდა, კომუნიკაციური ლინგვისტიკა არ უდრის პრაგმატიკას, მაგრამ ამავდროს იგი შინაგანად განპირობებულია და კონსტიტუირებულია პრაგმატიკის მიერ. კომუნიკაციური ლინგვისტიკის და პრაგმატიკის ასეთი ურთიერთმიმართება ემყარება იმ როლს, რომელსაც ასრულებს სუბიექტის ცნება და სუბიექტურობის პრინციპი როგორც კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში მთლიანად, ისე პრაგმატიკაში. პრაგმატიკის ამგვარი ბირთვული სტატუსის უშუალო გამოვლინებას და მის დადასტურებას წარმოადგენს ტექსტის ლინგვისტიკა. პრაგმატულ კატეგორიათა ის სისტემა რომელიც ჩვენ რამდენადმე მაინც განვიხილეთ, წარმოადგენს, ერთი მხრივ, კომუნიკაციის აქტის პრინციპებს (ყოველი ეფექტური კომუნიკაცია ეფუძნება ამ პრაგმატულ კატეგორიათა რეალიზაციას), ხოლო, მეორე მხრივ, ტექსტობრივ კატეგორიათა სისტემას.

დღემდე ჩვენ საქმე გვექონდა კატეგორიათა ორ სისტემასტან: კომუნიკაციური აქტისა და კომუნიკაციურ კატეგორიათა სისტემასთან და პრაგმატულ კატეგორიათა სისტემასთან. ამიერიდან ჩვენ გვექნება ლაპარაკი ტექსტობრივ კატეგორიათა სისტემაზე. ამ სამ სისტემას შორის შემდეგი მიმართებაა: პრაგმატულ კატეგორიათა სისტემა მთლიანად შედის როგორც კომუნიკაციურ კატეგორიათა სისტემაში, ისე ტექსტობრივ კატეგორიათა სისტემაში, თუმცა არ ამოწურავს არც პირველ, არც მეორე სისტემას: როგორც კომუნიკაციურ კატეგორიათა სისტემა, ისე ტექსტობრივ კატეგორიათა სისტემა უფრო ფართოა, მაგრამ ამავე დროს ისინი შეიცავენ ყველა იმ პრაგმატულ კატეგორიას, რომელიც ჩვენ აქამდე განვიხილეთ. კატეგორიალურ სისტემებს შორის ასეთი ურთიერთმიმართება გვიჩვენებს სწორედ პრაგმატიკის საერთოდ და კერძოდ პრაგმატულ კატეგორიათა ბირთვულ სტატუსს.

ჩვენი შემდგომი თემაა, ამრიგად, ტექსტის ლინგვისტიური თეორია. როგორც კომუნიკაციური ლინგვისტიკის ყველა სხვა დარგს, ისე ტექსტის ლინგვისტიკას უნდა მიეცეს როგორც ისტორიულ - გენეტიკური, ისე თეორიული დაფუძნება. ტექსტის ლინგვისტიკის დაფუძნება მდგომარეობს შემდეგში. ტერმინი „ისტორიული“ შეგვიძლია გავიგოთ როგორც ფართოდ, ისე ვიწროდ. თუ გავიგებთ ამ ტერმინს ფართოდ, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ტექსტის თეორია გარკვეული სახით არსებობდა უკვე ანტიკურობაში - იმდენად, რამდენადაც ანტიკურობაში არსებობდა რიტორიკა როგორც ფილოლოგიურ - ესთეტიკური დარგი. ამ მნიშვნელობას ჩვენ არ შეგვსებით. შეგვსებით ამ ტერმინის ვიწრო მნიშვნელობას, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: ტექსტის ლინგვისტიკა წარმოიშვა იმიტომ, რომ ფუნქციური მიდგომა ენობრივ მოვლენათა მიმართ ბოლომდე ვერ ხერხდებოდა ისეთი კომუნიკაციური ერთეულის ფარგლებში, როგორიცაა წინადადება. რას ნიშნავს ფუნქციური მიდგომა

ლინგვისტიკაში? ეს მიდგომა ნიშნავს იმას, რომ ფორმას ჩვენ გუქვემდებარებთ მნიშვნელობას, ხოლო მნიშვნელობას - ფუნქციას (ფუნქციურ დანიშნულებას). ამრიგად ფუნქციური მიდგომა ნიშნავს გავიგოთ ენობრივი დანიშნულება (უფრო ზუსტად, ფორმისა და მნიშვნელობის ერთიანობა) იმ ფუნქციის მიხედვით, რომელსაც ეს მოვლენა ასრულებს სამეტყველო აქტში. მაგრამ დიდი ხნის განმავლობაში სამეტყველო აქტის რეალურ წარმომადგენელად ითვლებოდა წინადადება. სწორედ წინადადებას, სიტყვისაგან განსხვავებით, მიეწერებოდა კომუნიკაციური ფუნქცია. საბოლოო ანგარიშით ფუნქციური მიდგომა ნიშნავდა ენობრივი მოვლენის ახსნას იმ როლის მიხედვით, რომელსაც ეს ენობრივი მოვლენა ასრულებდა წინადადების ფარგლებში, ე. ი. კომუნიკაციურ ფუნქციას ასრულებდა წინადადება, ხოლო ენობრივი მოვლენა გაგებული და ახსნილი იყო იმდენად, რამდენადაც გაგებული და ახსნილი იყო ის, თუ როგორ ემსახურებოდა ეს ენობრივი მოვლენა წინადადებას მის მიერ კომუნიკაციური ფუნქციის შესრულებაში. რა თქმა უნდა, ენობრივ მოვლენათა გარკვეული კატეგორია პოულობდა ასეთი - ფუნქციური - ახსნის შესაძლებლობას წინადადების დონეზე, მაგრამ ამავე დროს იზრდებოდა ისეთ ენობრივ მოვლენათა რიცხვი, რომელთა ფუნქციური ინტერპრეტაცია ვერ ხერხდებოდა წინადადების ფარგლებში და წინადადების დონეზე. ამგვარ მოვლენად შეიძლება დაფასახელოთ თუნდაც არტიკლი. გავიხსენოთ, თუ როგორია არტიკლის ტრადიციული გაგება. არტიკლი როგორც მოვლენა, როგორც ენობრივი ფაქტი გულისხმობს, პირველ რიგში, განუსაზღვრელ და განსაზღვრულ არტიკლთა დაპირისპირებას, იმ დაპირისპირებას, რომელიც საფუძვლად უდევს ისეთ მორფოლოგიურ კატეგორიას, როგორიცაა არსებითი სახელის განსაზღვრულობის კატეგორია. მაგრამ გავიხსენოთ, თუ როგორია ან როგორი იყო ამ ოპოზიციის ტრადიციული ინტერპრეტაცია - განუსაზღვრელი არტიკლი იხმარება, როცა საგანს პირველად ვახსენებთ, ხოლო განსაზღვრული -

განმეორებით დასახელებისას. აქ ჩვენთვის მთავარია ის, რომ არტიკლთა დაპირისპირების თუნდაც ასეთი ფუნქციური ახსნაც კი შეუძლებელია რეალიზებულ იქნას წინადადების ფარგლებში და წინადადების დონეზე, და მართლაც, თუკი ჩვენ ასე ავხსნით არტიკლთა თბოზიციას, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ერთი და იგივე საგანი ვერ დასახელებს პირველადაც და მეორედაც ერთი წინადადების ფარგლებში. არტიკლთა თბოზიციის ტრადიციული გაგება აუსცილებლად გულისხმობს ამრიგად ისეთ სამეტყველო - ენობრივ რეალობას, რომელიც წინადადებაზე მეტია და რომელიც ისევე შეიცავს წინადადებას როგორც თავის ელემენტს, როგორც თვით წინადადება შეიცავს სიტყვას. ე. ი. თუ ჩვენ შევეცდებით ამ კერძო ფაქტის განზოგადებას, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ თანამიმდევრულად განხორციელებული ფუნქციური მიდგომა სულ უფრო და უფრო მოითხოვდა ისეთი კომუნიკაციური ერთეულის წინა პლანზე წამოწევას, რომელიც თავისი მოცულობით აღემატებოდა წინადადებას. ეს კი გულისხმობდა იმის თეორიულ აღიარებასაც, რომ ძირითად კომუნიკაციურ ერთეულად, მიუხედავად ტრადიციისა, უნდა ჩათვლილიყო არა წინადადება, არამედ სხვა უფრო ტევადი ერთეული. ამდენად წინადადების ფარგლებს გარეთ ფუნქციური გასვლა ანუ ტექსტის ლინგვისტიკის წარმოშობა განპირობებული იყო ფუნქციური ლინგვისტიკის განვითარებით. მაგრამ ის თეორიული შედეგი, რომელსაც ეს განვითარება გულისხმობდა, ნიშნავდა თვით ფუნქციური ლინგვისტიკის შინაგან გარდაქმნას, მის კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში გადაზრდას. თუ ჩვენ ყურადღებით შევხედავთ თანამედროვე ლინგვისტიკის განვითარებას ბოლო ორი - სამი ათეული წლის განმავლობაში, დავინახავთ, რომ ორი ტერმინი - **ფუნქციური ლინგვისტიკა** და **კომუნიკაციური ლინგვისტიკა** - ერთმანეთთან საკმაოდ რთულ მიმართებაში არიან. რა თქმა უნდა, ფუნქციური ლინგვისტიკა (ანუ ლინგვისტიკა, რომელიც ფუნქციურ მიდგომას ეყრდნობა) უფრო მეტი ხნისაა, იგი როგორც

მიმდინარეობა გაფორმდა პრადის ლინგვისტურ წრეში და შემდეგ დაუპირისპირდა ორთოდოქსულ სტრუქტურალიზმს. შემდეგ კი მან განაგრძო არსებობა კომუნიკაციური ლინგვისტიკის პარალელურად.

თუ მოცემული პარაგრაფის მთელ კონტექსტს დავეყრდნობით, მაშინ ურთიერთმიმართება ამ ორ ტერმინს შორის შეიძლება განისაზღვროს შემდეგნაირად: კომუნიკაციური ლინგვისტიკა - ეს არის ფუნქციური ლინგვისტიკა ლინგვისტური აზროვნების განვითარების იმ ეტაპზე, როცა რადიკალურად იცვლება თვით კომუნიკაციის ცნება და მოდელი და როცა კომუნიკაციის განახლებული ცნებისა და მოდელის შესაბამისად ძირითად კომუნიკაციურ ერთეულად ჩათვლილია უკვე არა წინადადება, არამედ წინადადების აღმატებული ენობრივ - სამეტყველო ერთეული.

§2. ტექსტის ცნების გააზრების ორი პერსპექტივა - ფუნქციური და სტრუქტურული

ჩვენი ნაშრომის ის მონაკვეთი, რომელიც მიეძღვნება ტექსტის ლინგვისტიკას, წარმართება შემდეგი გეგმით:

- 1) ტექსტის როგორც ლინგვისტური კატეგორიის ზოგადთეორიული დაფუძნება;
- 2) ტექსტის ცნების მიმართება ნიშნის ცნებასთან;
- 3) ტექსტობრივ კატეგორიათა სისტემა;
- 4) ტექსტის ლინგვისტური ტიპოლოგიის პრობლემა;

პირველი საკითხის განხილვისას არ უნდა დავივიწყოთ შემდეგი გარემოება: როგორც არ უნდა იყოს ტექსტის ლინგვისტიკის მასშტაბურობა (მასშტაბურობაში ვგულისხმობთ როგორც ტექსტის მთელ თეორიას მისი განშტოებებით, ისე ლინგვისტურ შრომათა რაოდენობას, რომელიც ტექსტის ლინგვისტიკას ეძღვნება). ჩვენ მაინც არ უნდა გვქონდეს იმის ცდუნება, რომ ამ ლინგვისტურ თეორიას

მივაწეროთ ბოლომდე ავტონომიური სტატუსი. ტექსტის ლინგვისტიკა როგორც გენეზისის, ისე მისი დაფუძნებისა და შემდგომი განვითარების თვალსაზრისით, არის კომუნიკაციური ლინგვისტიკის ერთ-ერთი დარგი და მის ზოგად ჩარჩოებს გარეშე იგი კარგავს მთელ თავის მნიშვნელობას და, რაც მთავარია, შინაგან დაფუძნებულობას. როდესაც ლაპარაკი გვექონდა ტექსტის გენეზისზე, ვთქვი, რომ ფუნქციური თვალსაზრისის გადაზრდა კომუნიკაციურ თვალსაზრისში (ანუ ფუნქციური ლინგვისტიკის გადაზრდა კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში) - ეს სწორედ ის, შეიძლება ითქვას, ისტორიული ფაქტია, რომელმაც წარმოშვა ტექსტის ლინგვისტური თეორია: როცა ცხადი გახდა, რომ ენობრივ მოვლენათა მთელი ჯგუფი ვერ პოულობდა ფუნქციურ ინტერპრეტაციას წინადადებების ფარგლებში, აუცილებელი შეიქმნა კვლევის პრაქტიკაში ისეთი ერთეულის შემოტანა, რომელიც ამ ფუნქციურ დატვირთვას იკისრებდა. სხვანაირად რომ ვთქვათ, ტექსტი როგორც ფუნქციურ-კომუნიკაციური ერთეული იძლევა ენობრივ მოვლენათა მეტი რაოდენობის ინტერპრეტაციის საშუალებას, უფრო მეტია, როგორც იტყვიან, მისი ექსპლიკაციური და ევრისტიკული ძალა. ეს რაც შეეხება ტექსტის თეორიის გენეტურ ასპექტს. იმისათვის, რომ ტექსტის ლინგვისტიკა გადაქცეულიყო კომუნიკაციური ლინგვისტიკის ჭეშმარიტ დარგად, რა თქმა უნდა, არ კმაროდა გენეტური ასპექტი. რაც შეეხება ტექსტის ლინგვისტური ცნების უკვე არა გენეტურ, არამედ საკუთრივ თეორიულ - დაფუძნებას, იგი მდგომარეობს შემდეგში.

ჩვენ უკვე ვიცნობთ კომუნიკაციური ცნების იმ განახლებულ შინაარსს, რომელიც საფუძვლად უდევს ლინგვისტური აზროვნების კომუნიკაციურ პარადოგმას და შესაბამისად კომუნიკაციურ ლინგვისტიკას. წინადადება როგორც კომუნიკაციური ერთეული ვეღარ შეესაბამება კომუნიკაციის ამ განახლებულ გაგებას - იგი თითქოსდა ვერ იტევს თავის თავში კომუნიკაციის ამ გაგებას. კომუნიკაციური ქმედება - ეს არის პირველ რიგში ტექსტობრივი ქმედება

(ТЕКСТОВАЯ ДЕЯТЕЛЬНОСТЬ). როგორც გენეტური, ისე ზოგადთეორიული ასპექტიებიდან გამომდინარე უნდა ითქვას, რომ თანამედროვე ლინგვისტიკაში გვაქვს ტექსტის როგორც ლინგვისტური ცნების ორი ძირითადი გაგება. ეს ორი გაგება არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს, მაგრამ მათ განსხვავებაში აისახა სწორედ ის განსხვავება გენეტურ და თეორიულ ასპექტებს შორის, რომელთა შესახებ ზემოთ ვილაპარაკეთ.

პირველია ტექსტის ფუნქციური გაგება ანუ ტექსტის აღქმის, განსაზღვრისა და აღწერის ფუნქციური ვარიანტი. მეორეა ტექსტის სტრუქტურული გაგება, ფუნქციური გაგება უფრო სრულად და უფრო უშუალოდ ასახავს ტექსტის ცნების თეორიულ ასპექტს, ვიდრე სტრუქტურული. ფუნქციური თვალსაზრისით არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რა სტრუქტურული შემადგენლობისაა ის ენობრივი წარმონაქმნი, რომელსაც ჩვენ ლინგვისტური გაგებით ტექსტს ვუწოდებთ, ეს წარმონაქმნი თავისი მოცულობით (სტრუქტურული შემადგენლობით) შეიძლება უდრიდეს ერთ სიტყვას, შეიძლება შედგებოდეს წინადადებათა მთელი თანამიმდევრობისაგან - ამ მხარეს მნიშვნელობა არა აქვს: თუ ენობრივი წარმონაქმნი ასრულებს კომუნიკაციის ფუნქციას და ასრულებს ისე, რომ პასუხობს კომუნიკაციის ცნების იმ შინაარსს, რომელიც საფუძვლად უდევს კომუნიკაციურ ლინგვისტიკას, მაშინ ეს ენობრივი წარმონაქმნი წარმოადგენს ტექსტს. ტექსტი შეიძლება პოულობდეს რეალიზაციას თუნდაც ერთი წინადადების სახით - თუნდაც ამ ერთ წინადადებას ჰქონდეს მინიმალური - ერთი სიტყვის - მოცულობა.

ტექსტის ფუნქციური გაგება თითქოსდა ეწინააღმდეგება ტექსტის ლინგვისტური ცნების გენეზისის იმ მექანიზმს, რომელზედაც გვექონდა ლაპარაკი (მხედველობაში გვაქვს ის ფაქტი, რომ ისტორიული თვალსაზრისით წინადადების ფარგლებში ვერ ხდებოდა მთელ რიგ ენობრივ მოვლენათა აღწერა და ახსნა). მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს მოჩვენებითი წინააღმდეგობაა. მთავარია არა

ენობრივი წარმონაქმნის მოცულობა წმინდა რაოდენობრივი თვალსაზრისით, არამედ მისი ფუნქციური გაგება. არ უნდა დაგვაფიქვადეს, რომ არაკომუნიკაციურ ლინგვისტიკაშიც წინადადება შეიძლება წარმოდგენილი ყოფილიყო სიტყვით და ეს არ გვიშლიდა ხელს იმაში, რომ ეს სიტყვა აღგვექვა და გაგვეგო როგორც წინადადება. ზუსტად ასევე, ტექსტიც შეიძლება წარმოდგენილი იყოს წინადადებით, წინადადება კი შედგებოდეს ერთი სიტყვისაგან. თუ ამ მსჯელობას ლოგიკურ ბოლომდე მივიყვანოთ, მაშინ არამცთუ სიტყვა, არამედ ისეთი სამეტყველო მოვლენა როგორცაა პაუზა და ისეთი სემიოტიკური ფენომენიც კი როგორცაა ფესტი, შეიძლება მივიჩნიოთ ტექსტად, თუკი ისინი კომუნიკაციურ ფუნქციას ასრულებენ, თუ საქმე გვაქვს ჭეშმარიტად კომუნიკაციურ ქმედებასთან. ეს განსხვავება ტექსტის ფუნქციურ და სტრუქტურულ გაგებას შორის უაღრესად მნიშვნელოვანია და კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ როცა საქმე გვაქვს ჭეშმარიტად ადამიანურ ცნებებთან, რაოდენობრივ ასპექტს არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. და მართლაც, თუკი ჩვენ ვთვლით, რომ ტექსტის ლინგვისტიკა - ეს არის კომუნიკაციური ლინგვისტიკის დარგი, თუკი კომუნიკაციური ქმედება - ეს არის ტექსტობრივი ქმედება ანუ ისეთი ქმედება, რომელიც ტექსტს ან ტექსტებს წარმოშობს, მაშინ რაოდენობრივ - სტრუქტურულ ასპექტს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ამგვარ - ფუნქციურ - თვალსაზრისს უბირისპირდება სტრუქტურული თვალსაზრისი. უნდა ითქვას, რომ ტექსტის ფუნქციური გაგება მოგვიანებით გაფორმდა - მაშინ, როცა შინაგანი გაფორმება „დაიწყო“ იმან, რასაც ჩვენ კომუნიკაციური პარადიგმა ვუწოდეთ. ბევრად უფრო ადრე წარმოიშვა და ლინგვისტურ კვლევაში მეტი ხვედრითი წონა მოიპოვა ტექსტის სტრუქტურულმა გაგებამ. ეს გაგება, ასე ვთქვათ, უფრო რეალისტურია. მართალია ტექსტი შეიძლება შედგებოდეს ერთი წინადადებისაგან, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში იგი შედგება ერთზე მეტი წინადადებისაგან. ამ შემთხვევაში ტექსტის ლინგვისტური ცნების გენეტიკური

ასპექტი თავის გამართლებას პოულობს. მაგრამ როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ ტექსტზე როგორც წინადადებათა თანამიმდევრობაზე, ამით ფაქტობრივად გარკვეულ განუსაზღვრელობას ვანიჭებთ ტექტის ლინგვისტურ ცნებას. თეორიული თვალსაზრისით ლინგვისტური კვლევის საგნად ისევე შეიძლება იყოს „ომი და მშვიდობა“, როგორც, ვთქვათ ენობრივი წარმონაქმნი „შემოიარე, ძალიან მომენატრე“, იმიტომ რომ ორივე შემთხვევაში გვაქვს რეალიზებული ორი პირობა: 1) წინადადებათა თანამიმდევრობა ასრულებს კომუნიკაციური ერთეულის ფუნქციას. (ის, რომ პირველ შემთხვევაში ძნელია განსაზღვრო, თუ რაში მდგომარეობს კომუნიკაციურობა, ხოლო მეორეში - გაცილებით იოლია, საქმეს არ ცვლის); 2) ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს წინადადებათა ისეთ თანამიმდევრობასთან, რომელიც პასუხობს ტექსტის ლინგვისტური განსაზღვრის მთავარ, სემანტიკურ ასპექტს. ტექსტად ლინგვისტური თვალსაზრისით უნდა ჩაითვალოს **თემატურად ურთიერთდაკავშირებულ წინადადებათა თანამიმდევრობა**: ის, რაც წინადადებათა თანამიმდევრობას აქცევს ტექსტად, ეს არის სწორედ თემატური ურთიერთკავშირი ანუ ტექსტის წინადადებებში ასახული თემის ერთიანობა. აი სწორედ ამგვარი რაოდენობრივი სიძნელეების გადალახვის მიზნით თანამედროვე ტექსტის ლინგვისტიკა ახდენს ტექსტის ცნების თავდაპირველ, ასე ვთქვათ, ამოსავალ დიქტომიზაციას; გამიჯნავს რა ერთმანეთისაგან ტექსტის ორ ძირითად სახეობას - მაკროტექსტსა და მიკროტექსტს. მაკროტექსტი არის თემატურად ურთიერთდაკავშირებულ წინადადებათა ყოველი თანამიმდევრობას, თუნდაც „დათა თუთაშხია“, რაც შეეხება მიკროტექსტს, - ეს არის წინადადებათა ისეთი თანამიმდევრობა, რომელიც ეფუძნება რომელიმე ერთი შემაკავშირებელი თემის არსებობას. მიკროტექსტი გვაქვს მაშინ, როცა საქმე გვაქვს ერთ თემასთან და ამ ერთი თემის ამსახველ წინადადებათა თანამიმდევრობასთან. რა თქმა

უნდა, როგორც ყოველი კლასიფიკაცია, ისე ეს კლასიფიკაციაც პირობითია, იმიტომ რომ:

- 1) როგორიც არ უნდა გვექონდეს თემათა თანმიმდევრობა, მუდამ შეიძლება ეს თანმიმდევრობა გავიგოთ როგორც ერთი თემა;
- 2) რომელი ერთი თემაც არ უნდა ავიღოთ, მუდამ შეიძლება მისი დაშლა ქვეთემებად.

მიკროტექსტი ლინგვისტური გაგებით არის სწორედ ის, რასაც ტექსტის ლინგვისტიკაში ტექსტის ცნების შემდგომი დაზუსტების შედეგად ეწოდება ზეფრაზობრივი (ზეფრაზული) ერთიანობა - ლაპარაკია ისეთ ენობრივ წარმონაქმნზე, რომელიც აღემატება წინადადებას და ამავე დროს შეიცავს მას როგორც თავის ფუნქციურ ელემენტს.

§3. ენის სემიოტიკურ-დონეებრივი კონცეფცია და ტექსტის თეორია

წინა პარაგრაფში ჩვენ ვთქვით, რომ თუ ამოვალთ ტექსტის სტრუქტურული გაგებიდან და განეასხვავებთ მაკრო - და მიკროტექსტს, მაშინ ტექსტად ლინგვისტური თვალსაზრისით უნდა ჩავთვალოთ პირველ რიგში ის ენობრივი წარმონაქმნი, რომელსაც თანამედროვე ლინგვისტიკაში უწოდებენ ზეფრაზულ ერთიანობას ანუ რთულ სინტაქსურ მთლიანობას. რაკი ამ შემთხვევაში ტექსტობრიობის განმსაზღვრელი კრიტერიუმია სტრუქტურული ხასიათისაა, ამიტომ, ვიდრე ჩვენ შევეცდებით ტექსტის უფრო ზუსტ განსაზღვრას, უნდა გავმიჯნოთ ზეფრაზული ერთიანობის ცნება სხვა მონათესავე ცნებებისაგან. როგორც თვით ტერმინიდან ჩანს, ზეფრაზული (ზეფრაზობრივი) ერთიანობა წარმოადგენს წინადადებათა ისეთ თანამიმდევრობას, რომლისათვისაც დამახასიათებელია შინაარსეული თვალსაზრისით

წინადადებათა გამაერთიანებელი ერთი თემის არსებობა. მაგრამ წინადადებათა თანამიმდევრობა გვაქვს აგრეთვე ისეთ ტრადიციულ ენობრივ წარმონაქმნებში, როგორიცაა რთული წინადადება, პერიოდი, აბზაცი. ე .ი. ზეფრაზული ერთიანობის ტექსტად აღქმა და ძირითად ტექსტობრივ ერთეულად გამოცხადება გულისხმობს, რომ იგი უნდა გაიმიჯნოს ხსენებული ცნებებისაგან, რადგან როგორც რთული წინადადება, ისე პერიოდი და აბზაცი წარმოადგენენ წინადადებათა თანამიმდევრობას. რაც შეეხება რთულ წინადადებას, მისი მიმართება ზეფრაზულ ერთიანობასთან ფრიად ორაზროვანია. იგივე ითქმის პერიოდზეც. სინტაქსში პერიოდად იწოდება წინადადებათა ისეთი გაბმული თანამიმდევრობა, რომელიც სცილდება რთულ თანწყობილ წინადადებას და განსხვავდება მისგან არა მარტო მოცულობით, არამედ იმითაც, რომ პერიოდში წინადადებები ერთმანეთს მისდევენ მათი ერთმანეთისაგან მკვეთრი გამოყოფის გარეშე - კავშირი ამ წინადადებებს შორის სასვენო ნიშნებით უფროა გამოყოფილი, ვიდრე კავშირებით. როგორც ნათქვამიდან ჩანს, პრინციპში მუდამ შეიძლება წმინდა სემანტიკური (თემატური) გაგებით რთული წინადადება და პერიოდი დაემთხვენ ზეფრაზულ ერთიანობას, მაგრამ დეფინიციის მიხედვით ისინი ერთმანეთს არ უდრიან. აბზაცის შემთხვევაში კი შეიძლება გვექონდეს სამი ძირითადი მიმართება:

- 1) აბზაცი შეიძლება დაემთხვეს მოცულობით ზეფრაზულ ერთიანობას;
- 2) აბზაცი შეიძლება შეიცავდეს ორ ან მეტ ზეფრაზულ ერთიანობას;
- 3) ზეფრაზული ერთიანობა შეიძლება შედგებოდეს ორი ან მეტი აბზაცისაგან. ეს შესაძლებელია განსაკუთრებით დრამატულ ტექსტში - დიალოგურ ტექსტში, სადაც რეპლიკები განსხვავებული აბზაცით არის მოცემული.

ზოგადად კი უნდა ითქვას, რომ აბზაცი, ზეფრაზული ერთიანობისაგან განსხვავებით, ტექსტის წმინდა

კომპოზიციური ერთეულია - მისთვის ფუძემდებელია კომპოზიციური და არა თემატური პრინციპი.

ტექსტის შემდგომი განხილვის აუცილებელ წინაპირობას უნდა წარმოადგენდეს ტექსტის ცნების ნიშნის ცნებასთან მიმართების განხილვა. თეორიული თვალსაზრისით ეს მიმართება ტექსტის თეორიის ერთ-ერთი საკვანძო საკითხია. და სწორედ ამ საკითხში აღინიშნება არა მარტო აზრთა სხვადასხვაობა, არამედ პრინციპული ორაზროვნებაც, რაში მდგომარეობს ეს ორაზროვნება? უნდა ითქვას, რომ იგი არსებობს უკვე ისეთ ცნებებს შორის, როგორიცაა წინადადებებისა და ნიშნის ცნება. ტექსტის დონეზე კი ეს პრობლემა კიდევ უფრო მწვეავდება, იმიტომ რომ აქ საკითხი დგება საერთოდ ენის შინაგან ბუნებაზე. თუ ამ პრობლემას განვსაზღვრავთ, იგი შემდეგ სახეს მიიღებს.

როგორც ვიცით, თანამედროვე ლინგვისტიკის ერთ-ერთ აქსიომატურ დებულებას წარმოადგენს დებულება იმის შესახებ, რომ ენა არის ნიშანთა სისტემა, როცა ლაპარაკია ენის ისეთ ელემენტზე, როგორიცაა სიტყვა, ეს დებულება არავითარ მნიშვნელოვან წინააღმდეგობას არ ხვდება. (ამასთან არ უნდა დაგვაფიქვდეს ისიც, რომ თუმცა ენის სემიოტიკური კონცეფცია თანამედროვე ლინგვისტიკის წამყვან კონცეფციას წარმოადგენს, ისეთი მოაზროვნისათვის, როგორიცაა ჰუმბოლდტი, ენა პირველ რიგში სრულებითაც არ არის ნიშანთა სისტემა და სიტყვა სრულებითაც არ არის პირველ რიგში ნიშანი. რატომ ვახსენეთ მაინცდამაინც ჰუმბოლდტი? იმიტომ რომ თანამედროვე ლინგვისტიკა თავისი განვითარების ყველა ეტაპზე ცდილობს დაეფუძნოს ჰუმბოლდტის ნააზრევს, მაგრამ ეწინააღმდეგება მას ძირითადი დებულებით: „ენა არის ნიშანთა სისტემა“!). ტექსტისა და ნიშნის ურთიერთმიმართების პრობლემა უნდა დაგინახოთ პერსპექტივაში: თუ ენა ნიშანთა სისტემაა, მაშინ ნიშნად უნდა მივიჩნიოთ ენის ძირითადი (უმაღლესი) დონის ერთეული. - ეს ლოგიკურია. და მართლაც, თანამედროვე ლინგვისტიკა ნიშნად მიიჩნევს არა მარტო სიტყვას, არამედ

წინადადებასაც. ამასთან წინადადება ითვლება პირველად, სრულ ნიშნად, ხოლო სიტყვა - არასრულ „ნაწილობრივ“ ნიშნად. მაგრამ არსებობს აზრი (ე. ბენვენისტი), რომ წინადადება (ბენვენისტისათვის ენის უმაღლესი ერთეული) შედგება ნიშნებისაგან, მაგრამ თავად ნიშანი არ არის(8; 139). ამდენად ენა მიიჩნევა ნიშანთა სისტემად, ხოლო ენის ძირითადი ერთეულის - წინადადების - ნიშნობრივი სტატუსი ეჭვს იწვევს. იგივე ორაზროვნება მეორდება ტექსტის დონეზეც, იმ განსხვავებით, რომ იმ მკვლევართა რიცხვი, რომელთათვის ტექსტი არ წარმოადგენს ნიშანს, ბევრად უფრო მეტია. ამ შემთხვევაშიც გამოითქმის აზრი, რომ ტექსტი (მაკროტექსტი, მიკროტექსტი ზეფრაზობრივი ერთიანობა) შედგება ნიშნებისაგან (იმიტომ რომ ყველა წინადადება ნიშანია), მაგრამ თვითონ არ წარმოადგენს ნიშანს. ამგვარად, მეორდება ის თეზისი, რომელიც ბენვენისტმა წამოაყენა: უმაღლესი დონის ერთეული შედგება ნიშნებისაგან, მაგრამ თვითონ ნიშანს არ წარმოადგენს.

ამ პრობლემის მეორე და შეიძლება ითქვას ფუძემდებელი ასპექტია კითხვა: რომელ ენობრივ რეალობას უნდა მივაკუთვნოთ ტექსტი - ენას თუ მეტყველებას? თუ ტექსტს მივაკუთვნებთ ენობრივ სისტემას, მაშინ უფრო ადვილი იქნება, მივანიჭოთ მას ნიშნობრივი სტატუსი. აქაც ორი ძირითადი აზრი არსებობს:

1) ტექსტი, ისევე როგორც წინადადება, არსებობს როგორც ენის, ისე მეტყველების დონეზე, როგორც ვიცით, წინადადება ენის დონეზე არსებობს წინადადების მოდელის სახით, ხოლო მეტყველებაში ჩვენ გვაქვს ამ მოდელთა რეალიზაცია. შესაბამისად, ენაში უნდა გვექნოდეს ტექსტობრივი მოდელები, მეტყველებაში კი უნდა ხდებოდეს მათი რეალიზაცია და შევსება;

2) წინადადებისაგან განსხვავებით, ტექსტობრივი მოდელირების დადგენა ძალზე ძნელია, თითქმის შეუძლებელიც კია. ტექსტი ეკუთვნის ამდენად მხოლოდ და მხოლოდ მეტყველებას. იგი უფრო თავისუფალი წარმონაქმს

წარმოადგენს და თავის სტრუქტურაში არ ექვემდებარება წინასწარ არსებულ მოდელებს.

როგორც ვხედავთ, ეს ორი კითხვა - ჩავთვალოთ თუ არა ტექსტი ნიშნად და ჩავთვალოთ თუ არა ტექსტი სამეტყველო ერთეულად - ერთმანეთთან დაკავშირებულია. დღეისათვის ძალიან ძნელია და იქნებ შეუძლებელიცაა ამ პრობლემის გადაჭრა. ერთი მხრივ, თავისუფლების, შემოქმედებითობის ელემენტი ტექსტის აგების შემთხვევაში მართლაც უფრო მეტია, ვიდრე წინადადების შემთხვევაში და ტექსტის მოდელირებაც ბევრად უფრო ძნელია, ვიდრე წინადადებისა. ეს გარემოება, ცხადია, ხელს უშლის ტექსტის ენობრივ ერთეულად მიჩნევას. მაგრამ, მეორე მხრივ, უნდა ითქვას, რომ ტექსტის ლინგვისტური კვლევა როგორც ზოგად ასპექტში (ტექსტთა ტიპების განურჩევლად), ისე ტექსტის განსხვავებული ტიპების კვლევაც წარმოებს ისე, რომ ტექსტის ნიშნობრიობა წარმოგვიდგება თითქოსდა მუდმივმოქმედ პოსტულატად (დაშვებად). სიტუაცია დაახლოებით ასეთია: არსებობს აზრთა უმრავლესობა, რომ ტექსტი ნიშნად ვერ ჩაითვლება, იგი ეკუთვნის არა ენას არამედ მეტყველებას, მაგრამ ტექსტის რეალური კვლევა მიმდინარეობს ისე, რომ კვლევის დროს გამოიყენება არსებული სემიოტიკური აპარატი (ე. ი. ტექსტი გამოიკვლევა როგორც ნიშანი). ხოლო, მეორე მხრივ, როცა ხდება ტექსტთა ტიპების კვლევა, ამ ტიპების განსაზღვრისას გამოიყენება ე. წ. კომპოზიციურ ფორმათა ანუ სამეტყველო ფორმათა თეორია - რომელი ზეფრაზული ერთიანობაც არ უნდა ავიღოთ, იგი იქნება ან თხრობა, ან აღწერა, ან მსჯელობა. მაგრამ სწორედ ეს ფორმები წარმოადგენენ მოდელებს, ხოლო თუ ისინი წარმოადგენენ მოდელებს, მაშინ ისინი ეკუთვნიან ენას, მეტყველებისას კი ხდება მათი რეალიზაცია, შინაარსობრივი შევსება.

როგორც ჩანს, თუ კი ჩვენ განვაგრძობთ ენის სემიოტიკურ კონცეფციაზე დაყრდნობას, მაშინ უნდა ჩავთვალოთ, რომ ტექსტი ნიშანია და უფრო მეტიც, რომ

სწორედ ტექსტი და არა წინადადება უნდა ჩაითვალოს ჭეშმარიტად სრულ ნიშნად. მაგრამ სწორედ ეს მისი სისრულე ბადებს მის სირთულეს, სირთულე კი მდგომარეობს იმაში, რომ ძნელდება ამ ჭეშმარიტად სრული ნიშნის სტრუქტურის დადგენა. ზუსტად ასევე უნდა ჩავთვალოთ, რომ ტექსტი, ალბათ, ენობრივი ერთეულია, მაგრამ მისი მოდელირება ბევრად უთრო ძნელია, ვიდრე წინადადებისა.

§4. პრაგმატიკა, ტექსტის თეორია და კომუნიკაციური ლინგვისტიკა

1. კომუნიკაციური ლინგვისტიკა არ არის ზოგადი ენათმეცნიერების ნაწილი თუ დარგი. იგი არის თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების ყველაზე უფრო აქტუალური და პერსპექტიული მიმდინარეობა. როგორც შინაარსით, ისე სტრუქტურით იგი მიისწრაფვის იმისკენ, რომ გახდეს ენის თანამედროვე თეორია. თუ კომუნიკაციური ლინგვისტიკის ეს მისწრაფება შესრულდება, მაშინ ძალიან ძალზე შეიძლება დადგეს დრო, როცა ორი გამოთქმა: „ენის თეორია“ და „ენის კომუნიკაციური თეორია“ ერთმანეთს დაემთხვევა.

იმდენად, რამდენადაც ჩვენ ვითვისებთ ან ვაღრმავებთ კომუნიკაციურ ლინგვისტიკას, იმდენად ჩვენ ვიმყოფებით თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების ყველაზე მოწინავე ხაზზე. კომუნიკაციური ლინგვისტიკა – ეს არის ახალი ან უახლესი ლინგვისტური აზროვნება მის ქმნადობაში.

ჩვენ ჩამოგაყალიბეთ კომუნიკაციური ლინგვისტიკის შემდეგი სტრუქტურა:

1) შესავალი, რომელიც შეიცავდა ჩვენს საუბარს ისეთ ცნებაზე, როგორიცაა „კომუნიკაციური პარადიგმა“. რეგოლაციური ძვრა მეცნიერებაში ნიშნავს სააზროვნო პარადიგმის შეცვლას. თუკი კომუნიკაციური ლინგვისტიკა – ეს არის ახალი მიმდინარეობა, ეს ნიშნავს, რომ მკვიდრდება

ახალი - კომუნიკაციური - პარადიგმა. ეს დამკვიდრება ნიშნავს ამავე დროს, რომ იცვლება ტერმინ „კომუნიკაციის“ ცნება, ხდება მისი განახლება, რასაც მოსდევს კომუნიკაციური აქტის, მისი სტრუქტურის (მოდელის) განახლება

- 2) ლინგვისტური პრაგმატიკა (კომუნიკაციური პრაგმატიკის ბირთვი);
- 3) ტექსტის თეორია (პრაგმატიკის უშუალო რეალიზაცია).

თუ ამოვალთ ენათმეცნიერების ისტორიიდან, ჩვენ პირველს დაეინახავთ პრაგმატიკას. იგი იქნება კომუნიკაციური ლინგვისტიკის კონცეპტუალური ბირთვი. მაგრამ მას ვერ დავაცდებთ ტექსტის თეორიას. პრაგმატიკა და ტექსტის თეორია კომუნიკაციური ლინგვისტიკის ბირთვის ორი მხარეა - ეს ორივე ერთადაა ბირთვი. თუ კომუნიკაციური ლინგვისტიკა თვით ენათმეცნიერებაა თავის ქმნადობასა და განახლებაში, მაშინ ამ ბირთვს უნდა მოსდევდეს კომუნიკაციური მორფოლოგია, კომუნიკაციური ლექსიკოლოგია, კომუნიკაციური სინტაქსი. თუ კომუნიკაციური ლინგვისტიკა ყველაზე პერსპექტიული ტენდენციაა, იგი უნდა ვლინდებოდეს როგორც მთლიანი ენის, ისე მისი ასპექტების კვლევაში. თუმცა დღეს კომუნიკაციურ ლინგვისტიკას ამ სახით ვერ ნახავთ: საქმე ის არის, რომ ჩვენ ვცდილობთ ამოვიდეთ იდეიდან და ჩამოვაცალებოთ ჯერ არარსებული სისტემის კონტურები.

რა გვაძლევს საფუძველს ვთქვათ, რომ კომუნიკაციური ლინგვისტიკა არის ენის მთელი თეორიის ყველაზე აქტუალური და პერსპექტიული ტენდენცია? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შესაძლებელია ორი განსხვავებული კრიტერიუმიდან გამომდინარე:

პირველ რიგში უნდა დავასახელოთ წმინდა ფაქტობრივი კრიტერიუმი, რომელიც გულისხმობს, რომ დღევანდელი ლინგვისტური ლიტერატურის ნაკადი დაფუძნებულია სწორედ კომუნიკაციურ - ლინგვისტური თვალსაზრისით და ამგვარი ლიტერატურის ხვედრითი წონა

სულ უფრო იზრდება, თუმცა, ეს, ცხადია, არ ნიშნავს, რომ ყველა ნაშრომი ამ ტენდენციას მისდევს;

მეორეც - კომუნიკაციური ლინგვისტიკა ახდენს ან ცდილობს მოახდინოს თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების სინთეზი. (ყოველი სინთეზი გულისხმობს არა მექანიკურ გაერთიანებას, არამედ რაღაც ახლის შექმნას). მაგრამ გვაქვს კი საშუალება, თეორიულად დავასაბუთოთ მტკიცება, რომ კომუნიკაციური ლინგვისტიკა არის თანამედროვე აზროვნების მთელი დინამიკის სინთეზი? - გვაქვს. საქმე ის არის, რომ თანამედროვე ლინგვისტურ აზროვნებას საფუძვლად უდევს სამი ძირითადი ცნება:

1) **კომუნიკაციის ცნება**. კომუნიკაციური პარადიგმა ახალია, იგი გულისხმობს კომუნიკაციური ცნებების განახლებას, მაგრამ კომუნიკაციური ფუნქცია არსებობდა კომუნიკაციურ ლინგვისტიკამდე.

2) **ნიშნის ცნება**;

3) **ენის დონეებრივი ორგანიზაციის ცნება**.


სანამ საქმე გვაქვს ამ სამი ცნების ერთობლიობასთან, საქმე გვაქვს თანამედროვე ლინგვისტიკასთან. ამ ნიშნით შეიძლება გავმიჯნოთ თანამედროვე ლინგვისტიკა მე-19 საუკუნის ლინგვისტიკისაგან. კომუნიკაციური ლინგვისტიკა ცდილობს ამ სამივე ცნების სინთეზირებას.

ნიშნის მოდელის განვითარება ნათლად ასახავს თანამედროვე ლინგვისტიკის განვითარების გზას.

თავდაპირველად გვექონდა ლინგვისტური სტრუქტურალიზმი, იგი ნიშნავდა, რომ ხდებოდა ენის როგორც ნიშანთა სისტემის კვლევა. აქ მთავარი იყო ნიშანთა ურთიერთმიმართების კვლევა; მნიშვნელობის კვლევა არ ითვლებოდა ლინგვისტიკის პრობლემად. შემდეგ ყურადღების ცენტრმა გადაინაცვლა სინტაქსიდან სემანტიკაზე, შემდეგ სემანტიკიდან პრაგმატიკაზე. აქცენტის გადატანის შორივი პერსპექტივა აღარ არსებობს - ნიშანს მეოთხე განზომილება არა აქვს.

რაკი ვიძყოფებით ლინგვისტური აზროვნების იმ ეტაპზე, რომლის ყურადღების ცენტრშია პრაგმატიკა, ხოლო პრაგმატიკა არის ნიშნის „საბოლოო“ განზომილება, კომუნიკაციური ლინგვისტიკა თავის თავში ახდენს მთელი ლინგვისტური აზროვნების სინთეზს.

ნიშანთა სისტემა გულისხმობს დონებრივ ორგანიზაციას: ერთი დონის ერთეული არის მეორე დონის ინტეგრანტი. თუკი ამ თვალსაზრისით შევხედავთ ენას როგორც ნიშანთა სისტემას, მაშინ რა სახე ჰქონდა თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების დინამიკას?:



თანამედროვე ლინგვისტური მოძრაობის რომელი მხარეც არ უნდა ავიღოთ, ორივე შემთხვევაში მივდივართ კომუნიკაციურ ლინგვისტიკამდე - ერთ შემთხვევაში ტექსტამდე, ხოლო მეორე შემთხვევაში - პრაგმატიკამდე. იგი არის სინთეზური ეტაპი როგორც ვერტიკალური, ისე ჰორიზონტალური თვალსაზრისით. ორივე შემთხვევაში გვაქვს ის, რასაც ვუწოდებთ კომუნიკაციური ლინგვისტიკის დამკვიდრებას.

2. შემდეგ ჩვენ გამოვყავით პრაგმატულ კატეგორიათა სამი ქვესისტემა:

1) კატეგორიები, რომლებიც ასახავენ ადრესანტს და მის გავლენას სამეტყველო აქტსა და გამონათქვამზე. ეს კატეგორიები ეგოცენტრისტული ხასიათისაა (ადრესანტი თავის თავზე ამბობს „მე“-ს [ego]). იგი კომუნიკაციის

მომენტში თავის საკუთრებად აქცევს მთელ ენობრივ სისტემას (ბენვენისტი). ჩვენ ვთქვით, რომ ლინგვისტური პრაგმატიკის ეს მოსაზრება დღეს უკვე მიუღებლად უნდა ჩაითვალოს იმიტომ, რომ ადრესანტის გარდა არის ადრესატი და მისი როლი გამონათქვამის სტრუქტურაში არანაკლებ მნიშვნელოვანია. როგორი იქნება გამონათქვამი როგორც შინაარსობრივი, - ისე ფორმალური თვალსაზრისით, დამოკიდებულია არა მარტო მეტყველ სუბიექტზე, არამედ სუბიექტ-მსმენელზეც: მოსმენა არანაკლებ აქტიურია, ვიდრე ინფორმაციის მიწოდება. მაშინ, როდესაც ჩვენ გამოვყოფთ ეგოცენტრისტულ კატეგორიათა ქვესისტემას, უნდა ვთქვათ ისიც, რომ შეუძლებელია არსებობდეს ისეთი პრაგმატული კატეგორია, რომელიც ასახავს მხოლოდ სუბიექტის ზეგავლენას გამონათქვამზე.

- 2) ქვესისტემა, რომელიც პირველ რიგში ასახავს ადრესატს და მის იმ ზეგავლენას, რომელსაც იგი ახდენს გამონათქვამის შინაარსობრივ და კომუნიკაციურ სტრუქტურაზე,
- 3) პრაგმატული კატეგორიები, რომლებიც ატარებენ სინთეზურ ხასიათს.

ამ სამი ქვესისტემიდან ყველაზე უკეთ შესწავლილია პირველი - საქმე ის არის, რომ პრაგმატიკა იწყებოდა გამონათქვამის ეგოცენტრისტული ხასიათის ხაზგასმით, ამიტომ ამ ქვესისტემის შესწავლას ხანგრძლივი ისტორია აქვს.

3. ლინგვისტური პრაგმატიკა თეორიული ლინგვისტიკის ის სფეროა, რომელიც ექსპანსიას ახდენს მთელ ენობრივ სისტემაზე. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ის ენობრივი ერთეულები და კატეგორიები, რომლებიც ტრადიციულად შეისწავლებოდნენ პრაგმატიკასთან ყოველგვარი კავშირის გარეშე, იღებენ პრაგმატულ განზომილებას, ხდებიან პრაგმატიკის როგორც ლინგვისტური დისციპლინის შესწავლის საგანი. ხდება, როგორც უკვე ვთქვით,

ტრადიციულ ერთეულთა და კატეგორიათა
პრაგმატიზაცია.

პრაგმატიკა ტექსტის ლინგვისტიკასთან ერთად უნდა მივიჩნიოთ კომუნიკაციური ლინგვისტიკის კონცეპტუალურ ბირთვად. თუ კომუნიკაციურ ლინგვისტიკას, ისე როგორც ყველა მეცნიერებას აქვს კონცეპტუალური ბირთვი - ის, რაც გამოხატავს ამ მეცნიერების ძირითად შინაარსს -, მაშინ ეს ბირთვი ორასპექტიანია: მას პრაგმატიკა და ტექსტის ლინგვისტიკა შეადგენს. პრაგმატიკისა და ტექსტის ლინგვისტიკის ამგვარი შერწყმის (შერწყმულობის) უშუალო შედეგს წარმოადგენს ის, რომ ყოველი ენობრივი ერთეულის ან კატეგორიის პრაგმატიზაცია ნიშნავს ამავე დროს მის ტექსტოლოგიზაციას. ტექსტოლოგიზაცია კი გულისხმობს, რომ ყოველი კატეგორია, რომელიც შეისწავლებოდა ტექსტის გარეშე, ახლა აღიქმება ტექსტის ფარგლებში.

მოვიყვანოთ მაგალითს:

ავიღოთ არტიკლი და ის კატეგორიები, რომლებსაც არტიკლი გამოხატავს. არტიკლი ტრადიციულად განისაზღვრებოდა როგორც ისეთი მორფემა, რომელიც ახლავს არსებით სახელს და გამოხატავს მის კატეგორიებს (რიცხვს, სქესს, განსაზღვრულობას). კომუნიკაციური ლინგვისტიკის ფარგლებში ხდება როგორც არტიკლის, ისე მის მიერ გამოხატული კატეგორიების პრაგმატიზაცია და ტექსტოლოგიზაცია. ძირითადი კატეგორია, რომელსაც არტიკლი გამოხატავს, განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის კატეგორიაა. რას ნიშნავს ამ კატეგორიის პრაგმატიზაცია? რას ეყრდნობა ადრესანტი, როდესაც იგი ხმარობს არსებით სახელს განსაზღვრული და განუსაზღვრელი არტიკლით? იგი ეყრდნობა ადრესატის „ცხოვრებისეული გამოცდილების“ ცოდნას, რომელიც მას აქვს. „ცხოვრებისეული გამოცდილება“ კი კომუნიკაციური ლინგვისტიკის ენით ორ სფეროდ იყოფა: ერთი მხრივ, ეს არის ცხოვრებისეული გამოცდილების მეტად თუ ნაკლებად

სტაბილური სფერო: მსმენელ სუბიექტს აქვს ის, რაც აქვს ყველა სუბიექტს - თეზაურუსი (სამყაროზე წარმოდგენათა სისტემა). მეორე მხრივ, ყოველი კომუნიკაციური სიტუაცია არის უფრო ფართო ქმედების (ქმედებითი სიუჟეტის) ნაწილი. ესეც ცხოვრებისეული გამოცდილებაა, მაგრამ იგი უფრო ნაკლებად სტაბილურია.

როდესაც სუბიექტი	«give me a book»	give me the book
ამბობს ან:	«Gib mir ein Buch»	Gib mir das buch
	«Donne moi un livre»	Donne moi le livre
	ან:	

იგი ამოდის, ერთი მხრივ, მსმენელის თეზაურუსიდან, ხოლო მეორე მხრივ, კონკრეტული სიტუაციიდან. ე. ი. არტიკლის ხმარება მუდამ დამოკიდებულია იმაზე, რაც, კომუნიკაციური ლინგვისტიკის ენით რომ ვთქვათ, წარმოადგენს ადრესანტის მიერ ადრესატის ხატის ცოდნას. თუ ასე განვიხილავთ არტიკლს და განსაზღვრულობის კატეგორიას, მაშინ ისინი მთლიანად მოექცევა პრაგმატიკის ფარგლებში, ხოლო არტიკლის ფუნქცია განისაზღვრება როგორც ერთ-ერთი სინთეზურ-პრაგმატული კატეგორიის გამოხატვა. მაგრამ ეს პრაგმატიზაცია გულისხმობს ამავე დროს ტექსტოლოგიზაციას - ტექსტის ლინგვისტური თეორიისათვის არტიკლი წარმოადგენს ტექსტის სინტაქსის ინვენტარის ერთ-ერთ საშუალებას: მას აქვს ტექსტში სინტაქსური (მაკროსინტაქსური) ფუნქცია. არტიკლი ის ენობრივი ერთეულია, რომელიც ერთმანეთს უკავშირებს ტექსტის სხვადასხვა კომპონენტს. როცა ვხმარობთ განუსაზღვრელ არტიკლს, იგულისხმება, რომ შემდეგ იმავე არსებით სახელს განსაზღვრული არტიკლით ვიხმართ. ამით ტექსტის წინა ნაწილი უკავშირდება მომდევნო ნაწილს. ამდენად არტიკლი ასრულებს ტექსტში სინტაქსური საშუალების ფუნქციას. მაგრამ არტიკლის ტექსტოლოგიური ფუნქცია შეუძლებელი იქნებოდა პრაგმატიზაციის ფუნქციის გარეშე, ფაქტობრივად ეს არის ერთი და იგივე ფუნქცია, დანახული ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული, მაგრამ შინაგანად

დაკავშირებული თვალსაზრისით: ერთი მხრივ, კომუნიკანტთა ურთიერთმიმართების, ხოლო მეორე მხრივ, - წინადადებათა ურთიერთდაკავშირების თვალსაზრისით. ამიტომ შესაძლებელია უშუალო გადასვლა პრაგმატიკიდან ტექსტის ლინგვისტიკაში. პირველი კითხვა, რომელიც ამ შემთხვევაში ჩნდება, არის: რა არის ტექსტი? სიტყვა „ტექსტი“ ჩვენთვის ცნობილია ყოველგვარი ლინგვისტიკის გარეშეც. კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში კი ხდება სიტყვა „ტექსტის“ ტერმინოლოგიზაცია. რით განსხვავდება ტერმინი ყველა სხვა სიტყვისაგან? სიტყვა-არატერმინი ენობრივი კოლექტივის საკუთრებაა, ტერმინი კი ეკუთვნის ერთ ფუნქციურ სტილს. შემდეგ: თუ არატერმინი - საყოველთაო სალაპარაკო ენის სიტყვა - პოლისემიურია, ტერმინი კი ერთმნიშვნელოვანია (მონოსემიური) ან, ყოველ შემთხვევაში, მიიღტვის იქით, რომ იყოს მონოსემიური. სიტყვის გადაქცევა ტერმინად გულისხმობს მის მონოსემიზაციას. თუ ეს ასეა, რა მნიშვნელობა აქვს ტერმინ „ტექსტს“ კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში? რა მიმართებით ხდება მისი მონოსემიზაცია? იმისათვის, რომ ამ კითხვას ამომწურავად ვუპასუხოთ, უნდა გავიხსენოთ ის, რასაც ვუწოდებთ პრაგმატიკისა და ტექსტის ლინგვისტიკის კორელატურობა. ტექსტი არის ცნება, რომელიც საფუძვლად უდევს ტექსტის ლინგვისტიკას, შეუძლებელია მას არ პქონდეს პრაგმატული მნიშვნელობა და იგი არ განისაზღვრებოდეს პრაგმატულად - და იქნებ პირველ რიგში სწორედ პრაგმატულად. პრაგმატიკა და ტექსტის ლინგვისტიკა ერთმანეთს გულისხმობენ, მაგრამ პრაგმატიკა, კომუნიკაციური ლინგვისტიკის არსიდან გამომდინარე, წამყვან ფუნქციას ასრულებს. ამიტომ, როცა გვსურს განვსაზღვროთ ტერმინი „ტექსტი“, უნდა გავმიჯნოთ ერთმანეთისაგან მისი პრაგმატული და საკუთრივ ტექსტოლოგიური განსაზღვრა. პირველ განსაზღვრას ექნება უპირატესად ფუნქციური, მეორეს - უპირატესად სტრუქტურული მნიშვნელობა.

რას ნიშნავს „ტექსტი“ წმინდა ფუნქციური თვალსაზრისით? წმინდა ფუნქციური თვალსაზრისით ტექსტი

უნდა გავიგოთ როგორც ისეთი ადამიანური ქმედების შედეგად წარმოშობილი ნიშნობრივი წარმონაქმნი, რომელსაც კომუნიკაციური დანიშნულება აქვს. ამ შემთხვევაში გვექნება ტექსტის მაქსიმალურად გაგება. ამ სიფართოვის დიაპაზონი ადვილად შეიძლება ცხადდეს შემდეგი მაგალითით: გვექნება თუ არა ტექსტი, თუ დავუქნიეთ ვინმეს ხელი მისი მოახლოების მიზნით? წმინდა ფუნქციური მიდგომით საქმე გვაქვს სწორედ ტექსტთან. ფუნქციური გაგებით ტექსტია აგრეთვე მხატვრული ტილო, ქანდაკება თუ კინოფილმი. ტექსტის ამგვარ - წმინდა ფუნქციურ და მაქსიმალურად ფართო - გაგებას ეფუძნება მთელი თანამედროვე სემიოტიკური ესთეტიკა. სემიოტიკურ ესთეტიკას ყოველი მხატვრული ნაწარმოები ესმის როგორც ტექსტი. მაგრამ სემიოტიკურ ესთეტიკაში ფუნქციური თვალსაზრისი მხოლოდ ამოსავალი წერტილია: მხატვრული ნაწარმოების ანალიზისას სემიოტიკური ესთეტიკა იყენებს იმ ცნებებსა და მეთოდებს, რომლებიც დამახასიათებელია ტექსტის სტრუქტურული კონცეფციისათვის.

ამრიგად ჩვენ ვნახეთ, თუ რა სიფართოვისაა ტექსტის ფუნქციური გაგების დიაპაზონი - ყესტიდან მხატვრულ ნაწარმოებამდე. რა ადგილი აქვს ამ დიაპაზონის ფარგლებში საკუთრივ ენობრივ ტექსტს ანუ ისეთ ტექსტს, რომელიც წარმოქმნილია ამა თუ იმ ეროვნული ენის საფუძველზე? ამ კითხვას უნდა გავცეთ პასუხი **ორი მომენტის** ხაზგასმით:

1) საკუთრივ ენობრივ ტექსტს ამ დიაპაზონში უკავია ცენტრალური ადგილი - ცენტრალური იმ გაგებით, რომ მთელი ხსენებული დიაპაზონი ეყრდნობა, ეფუძნება ენობრივ ტექსტს, როგორც გენეტური, ისე სისტემატური თვალსაზრისით. ეს ნიშნავს იმას, რომ ყოველი ნებისმიერი კომუნიკაციური ქმედების პირველწყაროს წარმოადგენს ენობრივი კომუნიკაცია ანუ ენა. ისეთი ელემენტარული კომუნიკაციური ქმედება, როგორიც ყესტია და ურთულესი ხელოვნების ნაწარმოებიც შეორადია ენასთან შედარებით და

არსებობს მის საფუძველზე. ნებისმიერი არაენობრივი ტექსტის ანალიზი შესაძლებელია იმ ცნებითი აპარატის საშუალებით, რომელი გამოიშუშავა ენობრივი ტექსტის თეორიამ.

2) იმისათვის, რომ ენობრივ - ნიშნობრივი წარმონაქმნი ჩავთვალოთ ტექსტად, არა აქვს მნიშვნელობა მის სტრუქტურულ ხასიათს (სტრუქტურულ სიმარტივეს თუ სირთულეს). მთავარი და გადამწყვეტია მხოლოდ შემდეგი თვალსაზრისი: ასრულებს თუ არა მოცემული ენობრივი წარმონაქმნი კომუნიკაციურ ფუნქციას? ასეთი მიდგომის შექმნევაში ერთნაირად გამართლებულია ტექსტად ჩაითვალოს ერთი სიტყვისაგან შემდგარი ტექსტიცა და მთელი რომანიც. ამ შექმნევაში ადგილი აქვს იმას, რასაც შეიძლება ვუწოდოთ ტექსტის ცნების უკუექსპანსია ენობრივ ერთეულთა სისტემაში. მაგრამ ფუნქციური თვალსაზრისისაგან უნდა გავმიჯნოთ სტრუქტურული თვალსაზრისი, რომელიც ისტორიულად წინ უსწრებდა ფუნქციურს. დაახლოებით ნი-იან წლებში წმინდა სტრუქტურულ საფუძველზე ლინგვისტიკაში გამოჩნდა ტერმინი „ტექსტი“ და დაიწყო განვითარება ტექსტის ლინგვისტიკამ. ფუნქციური თვალსაზრისი დაკავშირებულია პრაგმატიკასთან. ტექსტის ლინგვისტიკა როგორც მიმდინარეობა წარმოიშვა წმინდა სტრუქტურულ ნიადაგზე ბევრად უფრო ადრე, ხოლო მისი გააზრება პრაგმატულ-ფუნქციური თვალსაზრისით მოხდა ბევრად უფრო გვიან, როცა განვითარება დაიწყო კომუნიკაციურმა ლინგვისტიკამ. ტექსტის ლინგვისტიკის ემპირიულ საფუძველს წარმოადგენდა ფაქტთა ისეთი ერთობლიობა, რომელიც შეტყველებს იმაზე, რომ წინადადების ამომწურავი ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზი ვერ ხერხდება, თუ ჩვენ არ გავაღოთ წინადადების ფარგლებს გარეთ. ტერმინ „ტექსტის“ გაჩენამდე გაჩნდა „ზეფრაზობრივი ერთიანობის“ ცნება. ტექსტის ლინგვისტიკა იწყება სწორედ „ზეფრაზობრივი ერთიანობის“ შემოტანით ლინგვისტურ კვლევაში. აქ წმინდა სტრუქტურული თვალსაზრისი გვაქვს, თუმცა, რა თქმა უნდა, კვლევის

ქვეტექსტში ფარულად მოქმედებს ფუნქციური თვალსაზრისი. ფუნქციური მიდგომა კი არ საჭიროებს, თუნდაც ქვეტექსტში, სტრუქტურულ თვალსაზრისს. მაშასადამე, გადამწყვეტია ფუნქციური თვალსაზრისი.

§5. ტექსტთა ტიპოლოგია და ტექსტობრივ კატეგორიათა სისტემის აგების პრობლემა

ტექსტის ლინგვისტიკის ექსპლიციტურ საფუძველს წარმოადგენს ტექსტის ცნება, იმპლიციტურს - პრაგმატიკა.

უკვე ითქვა, რომ თანამედროვე კომუნიკაციური ლინგვისტიკის ფარგლებში გვაქვს ტექსტის განსაზღვრისა და შესაბამისად მისი გაგების ორი ვარიანტი: ფუნქციური და სტრუქტურული. ჩვენ ვთქვით აგრეთვე, რომ ლინგვისტიკის ფარგლებში ტექსტის ცნება დაუკავშირდა იმ ენობრივ ფაქტებს, რომელთა ფუნქციური გაგება ვერ ხერხდებოდა წინადადების ფარგლებს გარეთ გასვლის გარეშე. ტექსტის ცნების ასეთმა გენეზისმა მიგვიყვანა ისეთი ენების აღმოცენებამდე, როგორიცაა ზეფრაზული (ზეფრაზობრივი) ერთიანობის (ერთეულის) ცნება. თუმცა წმინდა ნომინალური თვალსაზრისით ზეფრაზული ერთეული და ტექსტი ერთმანეთს არ ემთხვევა, ზეფრაზული ერთეული ისტორიულად წარმოადგენდა ტექსტის პირველ ლინგვისტურ ცნებას. შემდეგ მოხდა ტექსტის ლინგვისტური ცნების ექსპანსია სტრუქტურული თვალსაზრისით: წინადადებათა თანმიმდევრობა, რომელიც ხასიათდება თემატური ერთიანობით და რომელიც საერთოდ საფუძველად უდევს ტექსტის ცნებას, შეიძლება გავიგოთ როგორც **მინიმალურად** (სახეზე უნდა გვქონდეს მინიმუმ ორი წინადადება), ისე **მაქსიმალურად**: ასეთ შემთხვევაში გვაქვს ტექსტის ქვედა ზღურბლი, მაგრამ არა გვაქვს ზედა ზღურბლი.

ტექსტის სტრუქტურული გაგების ამგვარი ექსპანსიის შედეგად მივიღეთ ტექსტთა დაახლოებით შემდეგი იერარქიული სისტემა: ზეფრაზობრივი ერთიანობა იწოდება **მიკროტექსტად**, ხოლო ტექსტი, რომლის სტრუქტურულ ელემენტებსაც ოგი წარმოადგენს, იწოდება **მაკროტექსტად**. ამდენად, მიკრო- და მაკროტექსტი კორელატური ცნებებია. მაგრამ მაკროტექსტი არ წარმოადგენს ტექსტთა ამგვარი სისტემის ზღვარს: ლინგვისტურ კვლევაში შემოვიდა ისეთი ცნებებიც, როგორცაა **მეზატექსტი** და **ჰიპერტექსტი**. ამ ტიპის ტექსტებსაც საფუძვლად კვლავ წინადადებათა თემატურად გაერთიანებული თანამიმდევრობა უდევს, მაგრამ აქ გამაერთიანებელი თემის დიაპაზონი უფრო ფართოა (მაგალითად, მოთხრობათა ან ლექსთა ციკლი ან კიდევ უფრო ფართოდ - ერთი და იმავე პოეტის სხვადასხვა ციკლები). ყველაზე უფრო ფართოა **ტექსტთა კოსმოსის** ცნება. ტექსტთა კოსმოსის ფარგლებში შეგვიძლია კიდევ უფრო გავაფართოვოთ შემოსხნებული დიაპაზონი.

უნდა თავიდანვე ითქვას, რომ ტექსტის ლინგვისტიკა, როგორც სისტემა და მისი ძირითადი კონცეპტუალური აპარატი ჩამოყალიბდა პირველ რიგში ზეფრაზობრივი ერთიანობის ანუ მიკროტექსტის ბაზაზე. ამასთან ის, რაც პირველადი იყო გენეტიკური თვალსაზრისით, დღემდე ინარჩუნებს პირველობას პროპედევტიკული თვალსაზრისითაც. ამიტომ ტექსტის ლინგვისტიკის კონცეპტუალურ (ცნებით) აპარატს ჩამოვყალიბებთ ზეფრაზობრივი ერთიანობის ბაზაზე, თუმცა იმასაც დავინახავთ, რომ შეუძლებელი იქნება ბოლომდე და თანამიმდევრულად ამ ზეფრაზობრივი ერთიანობის ფარგლებში დარჩენა.

ტექსტის ლინგვისტიკის სისტემატური განხილვა ჩვენი ნაშრომის ფარგლებში მიიღებს შემდეგ სახეს:

1. შევცხებით ტექსტის ძირითად ნიშნებს და წარმოვადგენთ ტექსტის ელემენტარულ ფენომენოლოგიას;

2. ჩამოვყალიბებთ ტექსტობრივ კატეგორიათა სისტემას;

3. ვილაპარაკებთ ტექსტის ტიპოლოგიაზე.

პირველი მომენტია ტექსტის ძირითად ნიშანთა დასახელება. ტერმინ „ნიშანს“ შეიძლება მიეცეს ძალიან ფართო მნიშვნელობა. ამიტომ „ნიშანი“ ამ შემთხვევაში უნდა გავოგოთ როგორც ყველაფერი ის, რაც შეიძლება გამოვყადგეს ტექსტის როგორც ფენომენის გამოსაყოფად და დასახასიათებლად ტექსტურ კატეგორიათა სისტემის ჩამოყალიბების გარეშე. ასეთი ნიშნებია:

1. **რეკურენტულობა.** იგი ნიშნავს განმეორებადობას, დაბრუნებას, ტექსტის ის განსაზღვრვა, რომელიც ჩვენ გვქონდა, გულისხმობდა ამ ნიშანს, ვინაიდან მასში ლაპარაკი იყო წინადადებათა თანამიმდევრობის თემატურ ერთიანობასთან. ამგვარი თემატური ერთიანობა აუცილებლად იწვევს გარკვეულ სემანტიკურ მომენტთა განმეორებადობას. იმაზე, თუ რა სახის იქნება ეს განმეორება – წმინდა ლექსიკური, გრამატიკული თუ ლექსიკურ-გრამატიკული – ამას უფრო გაშლილად შევდგომი მსჯელობისას შევვებით. აქ ჩვენ ხაზს ვუსვამთ რეკურენტულობას როგორც ტექსტის ისეთ ფენომენოლოგიურ ნიშანს, ურომლისოდაც ტექსტი ვერ იარსებებს.

2. **ინფორმატიულობა.** ამ ნიშნის დასახელება მეტყველებს იმაზე, რომ არც ისე ადვილია პრაგმატულ და ტექსტობრივ კატეგორიათა ბოლომდე გამოიჯნვა. რადგან ინფორმატიულობა უკვე გულისხმობს გარკვეულ ურთიერთდამოკიდებულებას კომუნიკანტებს შორის, იგი, პირველი ნიშნისაგან განსხვავებით, ტექსტის მიმართ იმანენტურიცაა და ტრანსცენდენტურიც. ინფორმატიულობა ნიშნავს, რომ ტექსტი არ გვექნება, თუ იგი არ იძლევა გარკვეულ ინფორმაციას;

3. **თემატური ბირთვის არსებობა.** ამ ნიშნის აუცილებლობა და მნიშვნელობა უშუალოდ გამომდინარეობს ტექსტის განსაზღვრიდან.

წმ. კოპერენტულობა როგორც ტექსტის ცენტრალური კატეგორია

უკვე აღინიშნა, თუ რა და რა მეთოდოლოგიურ მიდგომათა საფუძველზე შეიძლება აიგოს ტექსტობრივ კატეგორიათა სისტემა. ძირითადად მეთოდოლოგიურ საფუძველად ამ სისტემის აგებას დავედეთ ნიშნის ცნება და ნიშნის მოდელი.

ნიშნის იმ სამ ძირითად მოდელს, რომლებიც მოქმედებდნენ XX საუკუნის ლინგვისტიკაში, აქვს როგორც ქრონოლოგიური, ისე ლოგიკური განზომილებანი. ამასთან ეს სამი მოდელი ასახავს ნიშანზე ჩვენი წარმოდგენის განსხვავებულ მოდუსებს, თუ რამდენად ნიუანსირებული იქნება ნიშანზე ჩვენი წარმოდგენა, ნიშნის რომელ მოდელს მივმართავთ, რომელ მოდელს მივუყენებთ ამა თუ იმ ლინგვისტურ ობიექტს - მუდამ დამოკიდებულია კვლევის კონტექსტზე. მაგრამ ჩვენ რამდენადმე გაავაწვრცეთ ჩვენი წარმოდგენა ნიშნის მოდელთა სისტემაზე და მივიყვანეთ ეს სისტემა გარკვეულ (ლოგიკურ) დასრულებამდე:

პირველადი - ორგანზომილებიანი მოდელი;

მეორე - სამკუთხედოვანი მოდელი;

მესამე - სამგანზომილებიანი მოდელი.

ამასთან შეიძლება ვილაპარაკოთ ნიშნის მოდელის შინაგანი დიფერენციაციის ორ ეტაპზე:

პირველი ეტაპი: ნიშანს ვიღებთ, როგორც არადიფერენცირებულ მთლიანობას;

მეორე ეტაპი: გამოვყოფთ აღმნიშვნელსა და აღსანიშნს, შემდეგ სამ კომპონენტს (სამკუთხედოვანი მოდელი), შემდეგ სამ განზომილებას (სამგანზომილებიანი მოდელი).

ტექსტის თეორიამ გვიბიძგა გავცდენოდით იმ მოდელს, რომელიც შემუშავდა სოსიურიდან მოყოლებული. იმპულსს ამ შემთხვევაში წარმოადგენდა ის, რომ ცენტრალური ტექსტობრივი კატეგორია - კოპერენტულობა -

სწორედ ისეთი კატეგორიაა, რომელიც ეფუძნება ტექსტის ნიშნობრივ გაგებას, მაგრამ ამავე დროს ეფუძნება სწორედ ნიშნის მთლიანურ (არადიფერენცირებულ) წარმოდგენას - ე.ი. იგი ეკუთვნის არა ტექსტის ფორმას და არა მის შინაარსს, არამედ ორივეს ერთად. ჩვენ ვთქვით, რომ არსებობს ამ კატეგორიის გაგების მეორე ცდაც - კოპერენტულობა ამ შემთხვევაში უკავშირდება ტექსტის შინაარსს, ხოლო **კოჰეზია** - მის ფორმას, მაგრამ უპირატესობა პირველ თვალსაზრისს ენიჭება, რომლის თანახმადაც კოპერენტულობა არის სინთეზური კატეგორია. ამასთან დაკავშირებით ხაზი უნდა გაესვას თანამედროვე ლინგვოსემიოტიკურ აზროვნების შემდეგ მომენტს: რომ ავიღოთ ნიშნის ყველა მოდელი, ლოგიკურად ყველა მათგანს წინ უსწრებს ნიშნის წარმოდგენა არადიფერენციალურად (ყოველგვარ დიფერენციაციას წინ უსწრებს არადიფერენცირებულობა). ქრონოლოგიურად კი პირიქით, ნიშნის ყველა დიფერენცირებული მოდელური წარმოდგენა წინ უსწრებდა არადიფერენცირებულს. ამრიგად ლოგიკურად ეს მოდელი წინ უსწრებს ყველა დანარჩენს, ქრონოლოგიურად კი მოსდევს მათ. ამ შემთხვევაში გვაქვს გარკვეული წინააღმდეგობა ნიშნის მოდელთა სისტემის ლოგიკურ და ქრონოლოგიურ ასპექტებს შორის - ისეთი წინააღმდეგობა, რომელიც საერთოდ მეცნიერული აზროვნების განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მომენტია. ეს წინააღმდეგობა წარმოშვა ტექსტის თეორიამ. კოპერენტულობის როგორც ცენტრალური კატეგორიის წამოყენებით მან აქტუალური გახადა სწორედ ნიშნის არადიფერენცირებული წარმოდგენა. რაც შეეხება თვით ტექსტობრივ კატეგორიათა სისტემას, როგორც ვთქვით, ცენტრალურ კატეგორიად უნდა მივიჩნიოთ კოპერენტულობის კატეგორია. ცენტრალურობა ამ შემთხვევაში ნიშნავს არა მარტო იმას, რომ ეს კატეგორია სინთეზური ხასიათისაა და მოიცავს როგორც ფორმას, ასე შინაარსს, არამედ იმასაც, რომ იგი შეიცავს თავის

სტრუქტურაში ყველა დანარჩენ ტექსტობრივ კატეგორიას. რომელი ტექსტობრივი კატეგორიაც არ უნდა ავიღოთ, აუცილებლად დავინახავთ, რომ იგი არის კოჰერენტულობის რომელიმე მომენტი თუ ასპექტი. კოჰერენტულობა ახდენს ყველა დანარჩენი კატეგორიის ინტეგრირებას - იგი ყველა შესაძლო კატეგორიათა ინტეგრალია. ცალკეული კატეგორიები კი კოჰერენტულობის დიფერენციალია. კოჰერენტულობა ითარგმნება, როგორც ვთქვით, როგორც შეკავშირებულობა. თვით ტერმინის სემანტიკა გვიჩვენებს, რომ ეს კატეგორია არ შეიძლება არ იყოს ცენტრალური. ჩვენ ვიცით, რომ ტექსტის (ტექსტობრიობის) რომელი იერარქიული დონეც არ უნდა ავიღოთ, ტექსტი მუდამ წარმოადგენს ისეთი წინადადებების თანამიმდევრობას, რომლებიც ერთიანდებიან ერთი თემით: ტექსტს ქმნის თემატური ერთიანობა, ტექსტში მთავარია შინაგანი შეკავშირებულობა - მთავარია შინაგანი კავშირი წინადადებათა შორის. კოჰერენტულობა არის ცენტრალური კატეგორია იმიტომ, რომ იგი ასახავს ტექსტის ძირითად მაკონსტიტუირებელ ნიშანს.

დავასახელებთ კოჰერენტულობის სამ ძირითად ფუნქციას:

1. კოჰერენტულობა ერთმანეთთან აკავშირებს ტექსტის ნებისმიერ ნაწილს (ასპექტს). ასეთი კავშირის გარეშე არ არსებობს ტექსტის არც ერთი ნაწილი;

2. მეორე ფუნქცია გვიჩვენებს ტექსტის ლინგვისტიკისა და პრაგმატიკის ღრმა კავშირს: კოჰერენტულობა ამზადებს ადრესატს ტექსტის ჯერ არარეალიზებული სემენტების აღქმა-გაგებისათვის. ტექსტის რომელი მონაკვეთიც არ უნდა ავიღოთ, იგი თავის თავში შეიცავს არა მარტო ინფორმაციას თავის თავზე, არამედ გარკვეული სახის ინფორმაციას იმაზე, რაც ჯერ არ თქმულა, ანუ ტექსტის ჯერ არარეალიზებულ სემენტზე. აქ საქმე გვაქვს ინფორმაციის ანტიციპაციასთან (გარკვეული სახით უკვე მოცემულობა იმისა, რაც ჯერ არ გვაქვს).

3. კოპერენტულობა უკავშირებს ტექსტს ამ მომენტში რეალიზებულ სემანტის უკვე რეალიზებულ სემანტებს (ადრესატი თითქოს „უკან“ იყურება).

როგორც ვხედავთ, კოპერენტულობა არის არა სტატიკური, არამედ დინამიურ-ტემპორალური კატეგორია. იგი რეალიზებულია მუდამ მოძრაობასა და დროში. იგი მიუთითებს იმაზე, რომ თვით ტექსტი წარმოადგენს დინამიურ, პროცესუალურ, დროში მოცემულ ენობრივ წარმონაქმნს. ტექსტი მუდამ არის პროცესი. სწორედ ამიტომია, რომ მისი ცენტრალური კატეგორია - კოპერენტულობა - არის დინამიურ-პროცესუალური ბუნების.

მაგრამ ჩვენ ვხედავთ იმასაც, რომ შეუძლებელია ვილაპარაკოთ ტექსტობრივ კატეგორიაზე და ხაზი არ გავუსვათ მის პრაგმატულ არსს: ტექსტის პრაგმატული არსი მდგომარეობს იმაში, რომ იგი მუდამ არსებობს არა განყენებულად, არა თავისთვის და თავის თავში, არამედ მინიმუმ ორ სუბიექტს შორის. როდესაც ვლაპარაკობდით ტექსტის განსაზღვრის პრობლემაზე ჩვენ ვთქვით, რომ არსებობს ტექსტის განსაზღვრის ორი პოლარულად ურთიერთდაპირისპირებული შესაძლებლობა - ფუნქციური და სტრუქტურული. კოპერენტულობა, განსაზღვრის მიხედვით, სტრუქტურული კატეგორიაა, მაგრამ მისი ფუნქციების მითითებისას, როგორც ვნახეთ, შეუძლებელია გვერდი ავუაროთ ადრესანტ-ადრესატის ურთიერთმიმართებას, ანუ გვერდი ავუაროთ პრაგმატიკას, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს ტექსტის ფუნქციური გაგების პრიმატზე. აქედან გამომდინარე, ტექსტის ლინგვისტიკისა და პრაგმატიკის ურთიერთდაკავშირებულობაც არ უნდა გავიგოთ როგორც თეორიული პარიტეტულობა - წამყვან დისციპლინას წარმოადგენს პრაგმატიკა. საბოლოო ანგარიშში ტექსტის ყოველი განსაზღვრა, ყოველი აღწერა, კლასიფიკაცია ატარებს პრაგმატულ ხასიათს. ტექსტის ლინგვისტიკა უნდა გავიგოთ, როგორც პრაგმატიკის თეორიული გაშლა, მისი შინაარსეული ექსპლიკაციის ერთ-ერთი მომენტი. ტექსტის

ლინგვისტიკა არის საბოლოო ანგარიშში პრაგმატიკის ერთ-ერთი მომენტი. ტექსტის ცენტრალური კატეგორიის განზილვისას დასტურდება ის, რაც ვთქვით ტექსტის განსაზღვრისას: მართალია, ტექსტის ლინგვისტიკა და პრაგმატიკა - კომუნიკაციური ლინგვისტიკის კონცეპტუალური ბირთვის ორი მხარეა, პრიმატი პრაგმატიკას უნდა მივაკუთვნოთ, ვინაიდან ტექსტის განსაზღვრისას, აღწერისას და კლასიფიკაციისას მუდამ საქმე გვაქვს პრაგმატიკასთან.

თავი VII

ტექსტის კოჰერენტულობა და ტექსტობრივ კატეგორიათა სისტემა

§1. ტექსტის ფორიკა და ტრადიციულ გრამატიკულ კატეგორიათა ტექსტოლოგიური გააზრება

უკვე აღინიშნა, რომ **კოჰერენტულობა** ისეთი სინთეზური კატეგორიაა, რომელიც აერთიანებს თავის თავში როგორც შინაარსეულ, ისე ფორმალურ მომენტებს. დაფუძნებით, რომ ტექსტის ყველა დანარჩენი კატეგორია არა მარტო მეორადია კოჰერენტულობასთან შედარებით, არამედ, შეიძლება ითქვას, ნაწარმოებია მისგან და გულისხმობს მას როგორც თავის საფუძველსა და საყრდენს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ტექსტის ყველა დანარჩენი კატეგორია - ეს არის იგივე კოჰერენტულობა, დაკონკრეტებული გარკვეული ასპექტით.

იმის შემდეგ, რაც ჩვენ ვილაპარაკეთ კოჰერენტულობის ტექსტობრივი ფუნქციის არსზე, ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ მის სტრუქტურაზეც, რაც აუცილებლად გულისხმობს შემდეგი მომენტების გათვალისწინებას:

1. რადგან კოჰერენტულობა სინთეზური კატეგორიაა, მის სტრუქტურაზე ლაპარაკი უდრის იმ საშუალებათა სისტემაზე ლაპარაკს, რომელთა მეშვეობითაც ხდება კოჰერენტულობის რეალიზაცია. ჩვენ ვნახავთ, თუ რა ენობრივი საშუალებები ახდენენ კოჰერენტულობის რეალიზაციას ანუ როგორია კოჰერენტულობის სტრუქტურა. მაგრამ ვიდრე შევუდგებით ამ საშუალებათა დასახელებასა და დახასიათებას, უნდა მივუთითოთ კოჰერენტულობის ცენტრალურობისა და სინთეზურობის მეორე თეორიულ ასპექტზეც (პირველი ასპექტი იყო ტექსტის როგორც ნიშნის

მთლიანური (ფორმალურ-შინაარსეული) განხილვა. მან გვიჩვენა, თუ რაში მდგომარეობს კოპერენტულობის არსი და ფუნქცია);

2. მეორე თეორიული საფუძველი განსაზღვრავს და, თუ შეიძლება ასე ითქვას, უზრუნველყოფს კოპერენტულობის სტრუქტურას, ანუ იმ ენობრივ საშუალებათა სტრუქტურას, რომლებიც ახდენენ კოპერენტულობის რეალიზაციას. ე.ი. კოპერენტულობის სტრუქტურა ეყრდნობა - როგორც თავის ზოგადენობრივ საფუძველს - ისეთ ენობრივ კატეგორიას, როგორცაა ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია (ანუ, რაც იგივეა თეორიულად, ლექსიკურ-გრამატიკული კატეგორია) - ანუ ველის პრინციპს. ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია - ეს არის ის უზოგადესი და უნივერსალის სტატუსის მქონე კატეგორია, რომელიც შეიძლება რეალიზებულ იქნეს როგორც ლექსიკური, ისე გრამატიკული საშუალებებით. ესაა ამრიგად ლექსიკურ-გრამატიკულ საშუალებათა ერთობლიობა. ფუნქციურ-სემანტიკურ კატეგორიას შეესაბამება ლექსიკურ-გრამატიკული კატეგორია, რომელიც განისაზღვრება შემდგენაირად: ეს არის ენის იმ განსხვავებულ დონეებრივ ერთეულთა ერთობლიობა, რომლებიც გამოხატავენ ერთსა და იმავე ფუნქციურ-სემანტიკურ კატეგორიას. შევადართო გამონათქვამები: „თბილისში წაფალ“ და „ხვალ თბილისში მივდივარ“. პირველ შემთხვევაში დრო მითითებულია გრამატიკული საშუალებებით, მეორეში - ლექსიკურით („ხვალ“). ამდენად დრო როგორც ენობრივი ფენომენი მეტია, ვიდრე ლექსიკური ან გრამატიკული საშუალება. დრო, აღებული მის უზოგადეს ასპექტში, როცა იგი არც გრამატიკას ეკუთვნის და არც ლექსიკას, არის უკვე ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია. ყოველი ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია მოცემულ ენაში გამოიხატება ლექსიკურ-გრამატიკული ველით. როგორც ყველა ველს, ლექსიკურ-გრამატიკულ ველსაც აქვს ცენტრი და პერიფერია. როცა რომელიმე ფუნქციურ-სემანტიკური

კატეგორიის გამოსახატავად ენაში გვაქვს მორფოლოგიური კატეგორია, ოგი მიიღება ხოლმე ამ ველის ცენტრად.

რატომ დავიწყეთ ლაპარაკი ფუნქციურ-სემანტიკურ კატეგორიაზე ისეთ ტექსტობრივ კატეგორიასთან დაკავშირებით, როგორიცაა კოჰერენტულობა? იმიტომ, რომ ტექსტი, მისი კოჰერენტულობა, წარმოადგენს იმ სამეტყველო-სინტაგმატურ რეალობას, სადაც ხდება ლექსიკურ-გრამატიკული ველის რეალიზაცია. ლექსიკურ-გრამატიკული ველი თავისთავად არსებობს ენაში, მის პარადიგმატიკაში. ამ ველის ერთეულებს შორის პარადიგმატული მიმართებაა, მაგრამ ყოველი პარადიგმატული სტრუქტურა რეალიზებულია მეტყველებაში და, უფრო ზუსტად, სინტაგმატიკაში. ე.ი. ტექსტის ცნება საერთოდ და კოჰერენტულობის კატეგორია კონკრეტულად, აშუქებს ლექსიკურ-გრამატიკული ველის ფუნქციურ არსს. რისთვის არსებობს ენაში ლექსიკურ-გრამატიკული ველი? - იმისათვის, რომ მეტყველებაში განხორციელდეს ტექსტის შეკავშირება ანუ კოჰერენტულობა. ეს ერთის მხრივ, ხოლო მეორეს მხრივ - კოჰერენტულობა შეუძლებელი იქნებოდა ლექსიკურ-გრამატიკული ველის გარეშე. ამდენად კოჰერენტულობის როგორც ტექსტობრივი კატეგორიის მეორე თეორიულ საფუძველს წარმოადგენს ფუნქციურ-სემანტიკურ კატეგორიათა სისტემა ანუ ლექსიკურ-გრამატიკულ ველთა სისტემა. ეს ის ენობრივი საშუალებებია, რომლებიც კონკრეტულად ახორციელებენ კოჰერენტულობას.

იმის შემდეგ, რაც ჩვენ დავახასიათეთ კოჰერენტულობის სტრუქტურა ზოგადთეორიულ პლანში, შეიძლება გადავიდეთ უკვე იმ ენობრივ საშუალებათა კონკრეტულ დასახელებასა და დახასიათებაზე, რომლებიც ახდენენ კოჰერენტულობის რეალიზაციას. ამ საშუალებათა დახასიათება თავის თეორიულ წინაპირობად აუცილებლად გულისხმობს იმას, რაც უკვე ითქვა. პირველი - ეს არის გრამატიკულ-მორფოლოგიურ საშუალებათა სისტემა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ თითქმის ყველა

ტრადიციულად ცნობილი მორფოლოგიური კატეგორია გამოიყენება ტექსტობრივი ფუნქციით ანუ კომპერენტულობის რეალიზაციის ფუნქციით. ზოგჯერ ტრადიციულ მორფოლოგიურ კატეგორიათა ეს ფუნქცია თვალშისაცემია, ასე ვთქვათ, ხელის გულზეა, ზოგჯერ კი - არა. მაგრამ ჩვენ უკვე ვიცით, რომ კომუნიკაციური ლინგვისტიკის ერთ-ერთ ფუნქციურ პოსტულატსა და პრინციპს წარმოადგენს ტრადიციულად ცნობილ ენობრივ ერთეულთა, სტრუქტურათა და კატეგორიათა გადააზრება მათი პრაგმატიზაციისა და ტექსტოლოგიზაციის მიზნით, რაც იძლევა მათი სრულიად ახლებურად გაშუქების საშუალებას. პრაგმატიკა და ტექსტი ერთი რეალობის ორი მხარეა. ასევე პრაგმატიზაცია და ტექსტოლოგიზაცია ერთი და იმავე ფენომენის ორი მხარე იქნება. თუ რომელიმე ტრადიციული მორფოლოგიური კატეგორიის ფუნქცია ჯერ არ არის ამ თვალსაზრისით გარკვეული, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი გამოსაყენებია. თუ ავიღებთ ისეთ კატეგორიას, როგორცაა განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის კატეგორია, შეიძლება ითქვას, რომ მისი პრაგმატულ-ტექსტობრივი ფუნქცია კომუნიკაციური ლინგვისტიკისათვის საესებით ნათელია. ამ კატეგორიის ტექსტოლოგიზაცია მოხდა ტექსტის თეორიის ჩამოყალიბების პირველსავე ეტაპზე. განუსაზღვრელი არტიკლი ტექსტში წინ გვახედებს, განსაზღვრული კი უკან: პირველი ასრულებს კატაფორულ (წინხედვის), ხოლო მეორე - ანაფორულ (უკანხედვის) ფუნქციას. ამრიგად საქმე გვაქვს ტექსტის ფორიკასთან ანუ სახეზეა ტრადიციული მორფოლოგიური კატეგორიის სრული ფუნქციური გადააზრება.

სემიოტიკური ესთეტიკისათვის ყოველი ნაწარმოები (დროულიც და სივრცობრივიც) წარმოადგენს ნიშანს ანუ ტექსტს. ის, რაც ითქმის ტექსტზე, შეიძლება ითქვას მთელი ადამიანური სინამდვილის ფარგლებშიც. ე.ი. არტიკლის მიერ გამოხატული კატეგორიის ფუნქციური გადააზრება შეიძლება

ჩაითვალოს ტრადიციულ კატეგორიათა ტექსტოლოგიზაციის ნიმუშად (პარადიგმად).

რა თქმა უნდა, ყველა ტრადიციული კატეგორიის ასეთი ფუნქციური გადააზრება არ მომხდარა თავიდანვე, მაგრამ თვით კომუნიკაციური ლინგვისტიკის განვითარება ნიშნავს ამგვარ გადააზრებათა პროცესს. ყველაზე ადრე, განუსაზღვრელობა-განსაზღვრულობის კატეგორიის შემდეგ, მოხდა ისეთ ზმნურ კატეგორიათა ტექსტოლოგიური გადააზრება, როგორიცაა დრო, გეარნი და კილო.

§2. კოჰერენტულობა და ტექსტის იზოტოპია

თანამედროვე კომუნიკაციურ ლინგვისტიკას შემუშავებული აქვს ცენტრალური კატეგორია – კოჰერენტულობის კატეგორია. იგი ცენტრალურია იმიტომ, რომ გამოხატავს ტექსტის შემქმნელ თემატურობას, წარმოადგენს ტექსტის შეკავშირებულობას თემატური თვალსაზრისით. მეორეც – ყველა დანარჩენი ტექსტობრივი კატეგორია დამოკიდებულია კოჰერენტულობაზე და წარმოაჩენს მის რომელიმე ასპექტს. ე.ი. იგი გარკვეული გაგებით არის ყოვლისმომცველი უნივერსალური, ყველა დანარჩენი კატეგორიის წარმომშობი კატეგორია.

კოჰერენტულობაზე მსჯელობას ორი თვალსაზრისით განვაგრძობთ:

1. დავასახელებთ იმ ენობრივ საშუალებებს, რომლებიც ახდენენ კოჰერენტულობის რეალიზაციას;

2. შემოვიტანთ კოჰერენტულობასთან დაკავშირებულ ისეთ ტექსტობრივ ცნებას როგორიცაა **იზოტოპიის** ცნება.

პირველი კითხვა, რომელსაც უნდა ვუპასუხოთ, არის: როგორია იმ საშუალებათა ზოგადი ტიპოლოგია, რომლებითაც ხდება კოჰერენტულობის ზოგადი ტიპოლოგია,

რომლებითაც ხდება კომპერენტულობის რეალიზაცია? ეს ტიპოლოგია ემთხვევა ენის ლექსიკურ-გრამატიკული სისტემის ერთეულთა და კატეგორიათა ტიპოლოგიას: არ არსებობს ენის რომელიმე დონის, რომელიმე ქვესისტემის ერთეული, რომელიც არ მონაწილეობდეს კომპერენტულობის რეალიზაციაში. ამ თვალსაზრისით ყველაზე უფრო შესწავლილ საშუალებათა რიცხვს მიეკუთვნება შემდეგა:

1. ენის მორფოლოგიური კატეგორიები, როგორც სახელისა, ისე ზმნისა. ჩვენ უკვე ვიცით, თუ როგორ ხდება თანამედროვე კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში ისეთი სახელადი მორფოლოგიური კატეგორიების ფუნქციური გადააზრება, როგორიცაა არსებითი სახელის განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის კატეგორია. (კატეგორია, რომელსაც რომანულ და გერმანიკულ ენებში გამოხატავს არტიკლი). არტიკლის მიერ შესრულებული ანაფორული და კატაფორული ფუნქციები მთლიანობაში წარმოადგენს სწორედ კომპერენტულობის რეალიზაციის ფუნქციას. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ზუსტად იმავე ფუნქციას ასრულებენ ზმნური კატეგორიები, თუმცა ისინი ამ თვალსაზრისით ნაკლებადაა შესწავლილი. საერთოდ უნდა ითქვას, რომ კომუნიკაციური ლინგვისტიკა და ტექსტის ლინგვისტიკა კერძოდ, ახდენენ მორფოლოგიურ კატეგორიათა სრულ ფუნქციურ გადააზრებას და ამ კატეგორიათა ის გაგება და ის განსაზღვრა, რომელიც პქონდა ტრადიციულ გრამატიკას, დღეს უკვე ვეღარ ჩაითვლება ფუნქციური თვალსაზრისით ადეკვატურად.

2. ენობრივი კომპერენტულობის მარეალიზებელ შემდეგ ენობრივ საშუალებად უნდა დავასახელოთ ლექსიკურ-გრამატიკული საშუალებები, სახელდობრ პირის ნაცვალსახელთა მთელი სისტემა. აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ პირის ჭეშმარიტ ნაცვალსახელად თანამედროვე კომუნიკაციურ ლინგვისტიკას მიაჩნია მხოლოდ ის ლექსიკურ-გრამატიკული ერთეულები, რომელსაც ტრადიციული

გრამატიკა მე-3 პირის ნაცვალსახელად თვლიდა და ამავე ფუნქციას ასრულებს სუბსტიტუტთა მთელი სისტემა.

3. შემდეგი საშუალება - ეს არის ლექსიკური საშუალებები და პირველ რიგში არსებითი სახელი. არსებით სახელთან არის დაკავშირებული კოპერენტულობის გამომხატველი ისეთი ცნება, როგორცაა ნომინაციური, ტოპიკალური ანუ იზოტოპიური ჯაჭვის ცნება. ეს ცნებები გამოხატავს კოპერენტული შეკავშირების იმ ასპექტს, რომლის რეალიზაცია ეკისრება ძირითადად სახელს.

ნომინაციური, ტოპიკალური თუ იზოტოპიური ჯაჭვი არ ნიშნავს ტექსტში ერთი და იმავე არსებითი სახელის გამეორებას, თუცა ასეთი შედარებით მარტივი სტრუქტურის ჯაჭვში ესეც შესაძლებელია - ერთი და იგივე არსებითი სახელი მეორდება იმიტომ, რომ ვითარდება ერთი და იგივე თემა. უფრო რთული ჯაჭვი იქმნება ერთი და იმავე პირის არსებით სახელთა გამეორება (ომი, მეომარი, საომარი ...). სწორედ ასეთი ჯაჭვი წარმოადგენს კოპერენტულობის რეალიზაციას ტექსტის ვერტიკალურ სტრუქტურაში ანუ იმ სტრუქტურაში, რომელიც ტექსტს განვითარებაში წარმოგვიდგენს.

კოპერენტულობის მარეალიზებელი სხვადასხვა ენობრივი საშუალებები რეალურ ტექსტში, როგორც წესი, ერთდროულად მოქმედებენ - ისინი წარმოადგენენ ერთი და იმავე თემის განვითარებას და ამ განვითარების საფუძველზე ტექსტის შინაგანი შეკავშირების საშუალებებს. იმდენად, რამდენადაც ყველა ეს საშუალება ერთი და იმავე ტექსტის ერთსა და იმავე თემას ანვითარებს, ისინი ერთობლივად ქმნიან ტექსტის იზოტოპიას და უნდა ითქვას, რომ ტექსტის ამ იზოტოპიურ სტრუქტურაში ცენტრალურ როლს არსებითი სახელი ასრულებს. არსებითი სახელის როლი კოპერენტულობის რეალიზაციასა და ტექსტის იზოტოპიის შექმნაში იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ეს როლი იძლევა არსებითი სახელის როგორც მეტყველების ნაწილის მთლიანი

ფუნქციური გადააზრების საშუალებას. მაგრამ რადგანაც არსებითი სახელი მეტყველების ნაწილთა სისტემის ორგანული კომპონენტია, მისი ასეთი როლი იძლევა საერთოდ მეტყველების ნაწილთა სისტემის სრულიად ახალი - ტექსტოლოგიურ-პრაგმატული - გაგების საშუალებას. თუ ტრადიციულად (და არა მართო ტრადიციულად, არამედ თანამედროვე ლინგვისტიკის მიხედვითაც) არსებითი სახელი განისაზღვრება მისი სემასიოლოგიური საფუძველის მიხედვით (გარკვეული სუბსტანციის დასახელების ფუნქცია), კომუნიკაციური ლინგვისტიკისა და კერძოდ ტექსტის ლინგვისტიკის მიხედვით არსებითი სახელი შეიძლება განისაზღვროს როგორც ტექსტის იზოტოპიის ძირითადი შემქმნელი მეტყველების ნაწილი. საკმარისია ასე გავიგოთ არსებითი სახელი და მაშინ მოგვეცემა საშუალება ამაზე დაყრდნობით განვსაზღვროთ მეტყველების სხვა ნაწილებიც. მაშინ დადგება კითხვა: რა მიმართებაშია ერთმანეთთან არსებითი სახელის ტრადიციული სემასიოლოგიური განსაზღვრა და მისი კომუნიკაციურ-ტექსტოლოგიური გაგება?

§3. კომუნიკაციური ლინგვისტიკა და მეტყველების ნაწილთა ფუნქციურ-სემანტიკური გააზრების პრობლემა

ისეთ ტექსტურ კატეგორიაზე მსჯელობისას, როგორცაა *კოჰერენტულობა*, ჩვენ დავინახეთ, რომ არ არსებობს (ყოველ შემთხვევაში თეორიული თვალსაზრისით არ უნდა არსებობდეს) არც ერთი ენობრივი ერთეული (გრამატიკული, ლექსიკური თუ ლექსიკურ-გრამატიკული), რომელიც არ გამოიყენება კოჰერენტულობის რეალიზაციის მიზნით, ანუ რომელსაც არა აქვს ტექსტის

კონსტიტუირების ფუნქცია. ეს კი გულისხმობს სრულიად სხვაგვარ მიდგომას ენის ერთეულთა მიმართ.

როდესაც ენობრივ ერთეულებზე ვლაპარაკობთ, არ უნდა დაგვაფიწყდეს, რომ ისინი ენობრივ სისტემაში სინთეზური სახითაა წარმოდგენილი - როგორც მეტყველების ნაწილთა სისტემა. თანამედროვე ტრადიციულ, მაგრამ არაკომუნიკაციურ ლინგვისტიკაში, მეტყველების ნაწილები განისაზღვრება მათ სემასიოლოგიურ საფუძველზე დაყრდნობით. სემასიოლოგიური საფუძველი ვარაუდობს შემდეგს: მეტყველების ნაწილთა სისტემა ასახავს სამყაროს, სამყარო კი გვევლინება როგორც სუბსტანციათა და ხდომილებათა ერთობლიობა. არსებითი სახელი მეტყველების ის ნაწილია, რომელიც ახდენს **სუბსტანციის** ნომინაციას, ხოლო ზმნა - **ხდომილებისას**. ამასთან განასხვავებენ რეფერენტულ და არარეფერენტულ მეტყველების ნაწილებს: რეფერენტულებს სამყაროში შეესაბამება რაიმე სეგმენტი, ხოლო არარეფერენტულებს რეალურად ამგვარი სეგმენტი არ შეესაბამება.

ამ დეფინიციებში, რომლებიც ეყრდნობა სემასიოლოგიურ საფუძველს, როგორც კრიტერიუმს, ცხადია, არ არის ასახული კომუნიკაციური თვალსაზრისით (ანუ ის, რომ ენა თავის სტრუქტურაში განისაზღვრება კომუნიკაციის აქტით). მეტყველების ნაწილთა არსებული თეორია, შეიძლება ითქვას, მთლიანად კომუნიკაციური (პრაგმატულ-ტექსტოლოგიური) გააზრების გარეშეა - იგი არ არის კომუნიკაციურად გააზრებული უკვე საწყის, ფუძემდებელ-დეფინაციურ-ასპექტში, რომელიც ნომინაციურია. რას ნიშნავს გაფიასროთ მეტყველების ნაწილები კომუნიკაციურად, თუნდაც პირველ რიგში დეფინიციურ ასპექტში?

კომუნიკაციური ლინგვისტიკის კონცეპტუალური ბირთვია პრაგმატიკა და ტექსტის ლინგვისტიკა. თუ განვსაზღვრავთ, მაგალითად, არსებით სახელს კომუნიკაციური თვალსაზრისით, მაშინ უნდა განვსაზღვროთ იგი კომუნიკაციურ პარადიგმაზე დაყრდნობით. ჩვენ განვიხილეთ

ტოპიკალური (ნომინაციური) ჯაჭვები - ეს ის ტექსტობრივი ფენომენია, რომელიც სხვა ენობრივ საშუალებებთან ერთად ახდენს კოპერენტულობის რეალიზაციას. ტექსტს ქმნის ტექსტში შემაგალ წინადადებათა მთლიანობა, საერთო თემა - რემატული ერთიანობა. მიკროტექსტის მთლიანობა რეალიზებულია ტოპიკალურ ჯაჭვში. ტოპიკალური ჯაჭვები ლექსებითა უშუალო ან მოდიფიცირებული გამეორებით იქმნება. ასევე ხდება კოპერენტულობის რეალიზაციაც. ეს ჯაჭვი კი იქმნება უმთავრესად არსებითი სახელით. თუ ეს ასეა (კოპერენტულობა კი ტექსტის ცენტრალური კატეგორიაა), მაშინ როგორ უნდა განვსაზღვროთ არსებითი სახელი? თუ სემასიოლოგიური საფუძველის კრიტერიუმისას მთავარი იყო, რას ახახელებს არსებითი სახელი სამყაროში, აქ მთავარი იქნება, თუ რა როლს ასრულებს იგი საკომუნიკაციო აქტში (ტექსტის წარმოშობის ანუ კოპერენტულობის რეალიზაციის ასპექტში), ის, რომ არსებითი სახელი აღნიშნავს სუბსტანციას, ეს ფაქტია. ყოველ ფაქტს კი სჭირდება ფუნქციური გააზრება. რისთვის სჭირდება ენას, რომ არსებითმა სახელმა დაასახელოს სუბსტანცია? - იმისთვის, რომ ტოპიკალური ჯაჭვი შექმნას და დააკონსტიტუიროს ტექსტი. მეტყველების ის ნაწილი, რომელიც ტოპიკალურ ჯაჭვს ქმნის, ახდენს ტექსტის კოპერენტულობის რეალიზაციას.

თუ კომუნიკაციური მიდგომა წამყვანია, მაშინ არსებითი სახელის ნომინაციური განსაზღვრა უნდა დაგუქვემდებაროთ კომუნიკაციურს.

§4. ტექსტის ფორიკა და კორექტირება როგორც სინტაქტიკური და სემანტიკური კატეგორიები

კოპერენტულობის ტექსტობრივ კატეგორიაზე მსჯელობისას ხაზი გაესვა იმას, რომ იგი ტექსტის ცენტრალური კატეგორიაა და რომ ყველა დანარჩენი კატეგორია ექვემდებარება კოპერენტულობას და საბოლოო ანგარიშში მის ვარიანტს, მისი ამა თუ იმ სახით დაკონკრეტების შედეგს წარმოადგენს. ჩვენ ლოგიკურ ბოლომდე მივიყვანეთ კოპერენტულობის განხილვა იმ გაგებით, რომ მისი რეალიზაციის ენობრივ საშუალებათა განხილვისას დავსვით საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ ფუნქციურ გარდაქმნას განიცდის მეტყველების ნაწილთა სისტემა, თუ მეტყველების ნაწილებს აღვიქვამთ როგორც კოპერენტულობის რეალიზაციის საშუალებას. ამ აზრობრივი სვლის საილუსტრაციოდ განვიხილეთ არსებითი სახელი და ვნახეთ, თუ როგორ შეიძლება შეიცვალოს მისი განსაზღვრა იმ როლის გათვალისწინებით, რომელსაც იგი ასრულებს კოპერენტულობის რეალიზაციაში. ამით ჩვენ რამდენადმე გადავედით კომუნიკაციური მორფოლოგიის სფეროში. ახლა კი დავუბრუნდეთ ტექსტობრივ კატეგორიათა თემას.

კოპერენტულობა არ არის ტექსტის მხოლოდ ცენტრალური კატეგორია. იგი ერთადერთი ტექსტ-ლინგვისტური ცნებაცაა, რომელმაც საყოველთაოდ და თანამიმდევრულად მიიღო კატეგორიის სტატუსი. საერთოდ კი ტექსტის ლინგვისტიკაში არ არის შემუშავებული ტექსტის კატეგორიათა მწყობრივი სისტემა, თუმცა არის ცნებები, რომლებსაც შეიძლება მიენიჭოს კატეგორიათა სტატუსი. ამ შემთხვევაში, როგორც ბევრ მსგავს შემთხვევაში, ჩვენ საქმე გვაქვს არა მზა სახით არსებულ კატეგორიათა სისტემასთან, არამედ მოძრაობაში და ქმედებაში მყოფ რეალობასთან. მთავარია, გავცეს პასუხი შემდეგ კითხვას: რა კრიტერიუმებს

უნდა დავეყრდნოთ, რათა აიგოს ტექსტის კატეგორიათა სისტემა, ანუ ტექსტის ლინგვისტიკის ფარგლებში მოქმედ ცნებებს მიენიჭოს კატეგორიათა სტატუსი? ასეთ შემთხვევაში უნდა გამოვყოთ კრიტერიუმთა სამი ტიპი.

თავიდანვე ითქვამს, რომ შესაძლებელი და აუცილებელიცაა ტექსტის როგორც ენობრივი ფენომენის ორნაირი განსაზღვრა - განხილვა: სტრუქტურული და ფუნქციური. ტექსტის ფუნქციური განსაზღვრისას მთავარი იყო კომუნიკაციური თვალსაზრისი: თუ გამონათქვამი (ერთი სიტყვისგან შედგება იგი თუ წინადადებათა სიმრავლისაგან) ასრულებს კომუნიკაციის ფუნქციას, იგი წარმოადგენს ტექსტს. თუ ტექსტს მხოლოდ ფუნქციური თვალსაზრისით მივუდგებით, მის ცენტრალურ კატეგორიად უნდა ჩაითვალოს კომუნიკაციურობა, ხოლო ტექსტობრივ კატეგორიათა სისტემა წარმოდგენილ უნდა იქნეს იმ პრაგმატული კატეგორიებით, რომლებიც უკვე განვიხილეთ. მაგრამ თუ ტექსტს სტრუქტურული თვალსაზრისით განვიხილავთ, თუ აღვიქვამთ მას თემატურად დაკავშირებულ წინადადებათა თანმიმდევრობად, მაშინ ცენტრალურ კატეგორიად მოგვეფიქრება კოჰერენტულობა. როგორ უნდა აიგოს ამ შემთხვევაში ტექსტის კატეგორიათა სისტემა? ვინაიდან ტექსტს, როგორც ყოველ ნიშანს, სამი განზომილება აქვს, კატეგორიათა სისტემაც უნდა აიგოს ამ განზომილებებზე დაყრდნობით. პრაგმატულ კატეგორიებებზე უკვე ვილაპარაკეთ. ახლა მთავარია გამოვყოთ ისეთი ტექსტობრივი კატეგორიები, რომლებიც იქნება სინტაქტიკური და სემანტიკური შინაარსის და რომლებიც ამავე დროს იქნება კოჰერენტულობის დაკონკრეტების შედეგი. ტექსტის სინტაქტიკის ასპექტში ასეთ კატეგორიად უნდა ჩაითვალოს ტექსტის ფორიკა, ხოლო ტექსტის სემანტიკის ასპექტში - კორეფერენცია - ანუ ის ორი ცნება, რომლებსაც არა აქვთ მინიჭებული კატეგორიათა სტატუსი კატეგორიათა სისტემაში, მიუხედავად იმ როლისა, რომელსაც ისინი ტექსტის ლინგვისტიკაში ასრულებენ.

შემდეგი ორი ტრადიციული ცნება, რომელთა საშუალებითაც, ასევე კომპერენტულობის კატეგორიაზე დაყრდნობით, შეგვიძლია გავაძლიეროთ და გავაღრმავოთ ტექსტობრივ კატეგორიათა სისტემა, ესაა კონტექსტისა და ქვეტექსტის ცნებები. ამისთვის საჭიროა მათი „ტექსტოლოგიზაცია“ და ტექსტის თეორიასთან უშუალო და ორგანული დაკავშირება.

§5. ანაფორიკა, კატაფორიკა და განმეორებითი ნომინაცია ტექსტის სინტაქტიკურ სტრუქტურაში

როგორ კონკრეტდება კომპერენტულობის ზოგადტექსტობრივი კატეგორია სინტაქტიკის პლანში? ამისთვის, რომ ამ კითხვას ვუპასუხოთ, საჭიროა გავიხსენოთ ტექსტთა ის იერარქიული ვერტიკალური ტიპოლოგია, რომელზეც ტექსტის ცნების განსაზღვრისას და განზიღვისას ვილაპარაკეთ. ჩვენ გამოვყავით ტექსტის შემდეგი ტიპები: მიკროტექსტი (რომელიც, როგორც წესი, ემთხვევა ზეფრაზულ ერთიანობას), მაკროტექსტი (რომლის შემადგენელ ნაწილსაც მიკროტექსტი წარმოადგენს), ტექსტთა ციკლი (რომელიც შეიძლება შეგხვდეს ენის სხვადასხვა სტილში), ტექსტთა კოსმოსი (უმაღლესი იერარქიული დონე; იგი შედგება ტექსტთა სიმრავლისაგან, რომლებიც მიეკუთვნებიან მოცემული კულტურის ან მისი რომელიმე განზომილების მთლიანობას).

ტექსტობრივ კატეგორიებს ზოგადად და კერძოდ სინტაქტიკის პლანში აქვთ იერარქიული ხასიათი ანუ ეს სინტაქტიკური კატეგორიები ფუნქციონირებენ ტექსტის როგორც ერთიან ფენომენის სხვადასხვა დონეზე. მიკროტექსტის ფარგლებში ამგვარ სინტაქტურ კატეგორიას წარმოადგენს ტექსტის ფორიკა. ფორიკას ჩვენ რამდენადმე

მანც გაგეცანით, როცა ვლაპარაკობდით ტრადიციულ მორფოლოგიურ კატეგორიათა ტექსტობრივ ფუნქციაზე ანუ მათ ტექტოლოგიზაციაზე.

ტექსტს, როგორც ვიცით, აქვს ლინეარული ხასიათი - მისი კომპონენტები ერთმანეთს მოსდევენ, ტექსტი მოცემულია დროში. ტექსტის ფუნქციონირება დროში, მისი ლინეარული ხასიათი ქმნის იმის წინაპირობას, რომ კოპერენტულობა განხორციელდეს ლინეარული თვალსაზრისით - წინა და შემდგომ კომპონენტებს შორის, ე.ი. იმ წინადადებათა შორის, რომლებიც უკვე რეალიზებული არიან, და იმ წინადადებათა შორის, რომლებიც უნდა იქნან რეალიზებული. ეს კავშირი არ არის ცალმხრივი (უნილატერალური): შეგვიძლია ვთქვათ, რომ წინამდებარე, უკვე რეალიზებული წინადადება შეიცავს ისეთ ენობრივ საშუალებებს, რომლებიც გულისხმობენ შემდგომ წინადადებებს ან მიუთითებენ მათზე. ასე, მაგალითად, განუსაზღვრელი არტიკლი, თუ იგი იხმარება ტექსტის პირველსავე წინადადებაში, გულისხმობს, რომ რომელიმე შემდგომ წინადადებაში იგივე ლექსემა შეიძლება ვისმართო განსაზღვრული არტიკლით (აქ გვაქვს მითითება აწმყოდან (რაც უკვე არის) მომავლისაკენ (რაც იქნება)). მაგრამ ტექსტში რომ გვექონდეს ასეთი სინტაქტური კავშირი, მაშინ საქმე გვექნებოდა ამ მითითების ცალმხრივობასთან. მაგრამ კავშირი მიდის არა მარტო აწმყოდან წარსულისკენ. ორი არტიკლი - განსაზღვრული და განუსაზღვრელი - არის ასეთი ორმხრივ მიმართული ბილატარული ურთიერთ გადაჯვარედინებული კავშირის კლასიკური მაგალითი. თუ ამ სახის კავშირს ვუწოდებთ ტექსტის ფორიკას, მაშინ ურთიერთ გადაჯვარედინებულ ორი ტიპის კავშირს უნდა ვუწოდოთ ანაფორიკა და კატაფორიკა. ფორიკა მუდამ არის კატაფორიკისა და ანაფორიკის ურთიერთ გადაჯვარედინება. რაკი ფორიკა არის ტექსტის ზოგადი სინტაქტური ფენომენი (ტექსტი არ არსებობს ფორიკის გარეშე, იგი ნაგულისხმევია ტექსტის ლინეარული ბუნებით), იგი უნდა ჩაითვალოს ტექსტის სინტაქტურ კატეგორიად. ამავე დროს იგი არის

კომპერენტულობის ზოგადი კატეგორიის რეალიზაცია სინტაქტურ პლანში. როგორც ტექსტის ყველა კატეგორია (როგორც კატეგორია საერთოდ), ფორიკაც საჭიროებს მისი რეალიზაციისათვის საშუალებათა მთელ სისტემას - ანაფორულ და კატაფორულ ტექსტობრივ საშუალებათა სისტემას, რაც იძლევა მრავალი ენობრივი ერთეულის ფუნქციური „ტექსტოლოგიზაციის“ საშუალებას. ენის რომელი ერთეულიც არ უნდა ავიდოთ - გრამატიკული (მორფოლოგიური თუ სინტაქსური) თუ ლექსიკური იგი შეიძლება გამოვიდეს ფორიკული ფუნქციით. ჩვენ შეგვიძლია გამოვყოთ ის ერთეულები, ის სამეტყველო ფენომენები, რომელთა ფუნქცია პირველადფორიკულია - ე.ი. რომელთა ფუნქციაც შეიძლება ასეთად ჩაითვალოს უკვე ენის სისტემაში (პარადიგმატიკაში). ესაა: არტიკლის სისტემა, ნაცვალსახელთა სისტემა, დროისა და ადგილის ზმნიზედები. ფორიკულ ფუნქციას ასრულებენ აგრეთვე სამეტყველო ფენომენები, რომლებიც ენის სისტემაში შედიან. ასეთია, მაგალითად, ყოველი ლექსიკური გამეორება. კავშირი იქმნება არა მარტო განმეორებულ ლექსემათა შორის, არამედ იმ წინადადებათა შორის, სადაც ეს ლექსემები გვხვდება. ტექსტის ლინგვისტიკამ გამოავლინა ისეთი ლექსიკური კლასების ფორიკული ბუნება, როგორიცაა სინონიმები და ანტონიმები. როდესაც ჩვენ ტექსტში ერთი და იმავე ობიექტის დასასახელებლად ვხმარობთ სინონიმური ხასიათის ლექსემებს, ჩვენ საქმე გვაქვს ფორიკის ფენომენტთან: ობიექტის ახალი-სინონიმური-საშუალებით დასახელება თუ დახასიათება უკავშირდება ობიექტის უკვე რეალიზებულ დასახელებასა თუ დახასიათებას. ეს შეიძლება ითქვას ანტონიმებზეც: თუ ტექსტში გვხვდება ანტონიმური წყვილის ორივე წევრი, ისინი ერთმანეთზე მიუთითებენ და ერთმანეთს უკავშირებენ წინადადებებს. ყველა ამ შემთხვევას შეიძლება გუწოდოთ **განმეორებული ნომინაცია**. ტექსტის ფორიკა ყველაზე უფრო ნათელი, ექსპლიციტური სახით ვლინდება მიკროტექსტში (ზეფრაზულ ერთიანობაში).

სწორედ მის ფარგლებში მოხდა მისი დადგენა და დახასიათება. მაგრამ იგი როგორც სინტაქსური კატეგორია, როგორც ტექსტობრივი ფენომენი, ხორციელდება ტექსტთა ურთიერთკავშირის ყველა იერარქიულ დონეზე.

§6. ტექსტი როგორც სემიოტიკური ფენომენი და ტექსტობრივ კატეგორიათა სრული სისტემის აგების პერსპექტივები

ერთადერთ ჭეშმარიტ ტექსტობრივ კატეგორიას, რომელიც დამუშავებულია სწორედ ტექსტობრივი კატეგორიის სტატუსით, წარმოადგენს კომპერენტულობის კატეგორია. ყველა დანარჩენი კატეგორია კი ვითარდებოდა ძირითადად პრაგმატიკასთან კავშირში და როგორც ენახეთ, დაემთხვა პრაგმატულ კატეგორიებს, ანდა გამოყოფის, დადგენის, ქმნადობის პროცესშია. ეს ის ცნებებია, რომლებიც ვითარდებოდნენ ტექსტის თეორიის ფარგლებში და შედგან ამ თეორიის ცნებით აპარატში, მაგრამ ჯერ არ მიუღიათ ტექსტის კატეგორიის სტატუსი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. აქ ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ:

1. მორფოლოგიური კატეგორია, რომელიც ასრულებს ტექსტის მაწარმოებელ (ამბებ) ფუნქციას და საბოლოო ანგარიშში ემსახურება კომპერენტულობის რეალიზაციას. მაგრამ არ არსებობს ენის რომელიმე დონის ელემენტად ან ფუნქციას რომ არ ასრულებდეს. ამიტომაც თანამედროვე ლინგვისტიკა ტრადიციულ ერთეულებსა და კატეგორიებს კომუნიკაციურ (პრაგმატულ-ტექსტობრივ) აპარატში განიხილავს და ახდენს მათ პრაგმატიკასთან (ტექსტოლოგიზაციას). მაგრამ ენის სისტემაში მათი აღფასების მიხედვით ისინი არ წარმოადგენენ ტექსტობრივ კატეგორიებს ამ სიტყვის სრული თეორიული მნიშვნელობით.

2. ტექსტობრივი კატეგორიები არსებობენ მხოლოდ ტექსტში (ტექსტის დონეზე). სწორედ ამიტომ შეუძლებელია

გუწოდოთ მათ ტექსტობრივი კატეგორიები ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ისინი არა უბრალოდ და არა მარტო ემსახურებიან კოპერენტულობის რეალიზაციას, არამედ წარმოადგენენ კოპერენტულობის გაშლას, მის კატეგორიალურ განშტოებებს. მაგრამ თუკი ჩვენ პრობლემას მივუდგებით ამგვარად, მაშინ უნდა ითქვას, რომ ტექსტობრივ კატეგორიათა სისტემა სრული სახით ჯერ კიდევ არ არის აგებული. სწორედ ამიტომ ჩვენ ვირჩევთ არა მზა სახით არსებულ ტექსტობრივ კატეგორიათა სისტემის გადმოცემის გზას, არამედ ტექსტის თეორიის ცნებითი აპარატიდან იმ ცნებათა გამოყოფისა და მათთვის კატეგორიათა სტატუსის მინიჭების გზას, რომლებიც თავისი ფუნქციით ამართლებენ ასეთ პროცედურას. ასეთ შემთხვევაში ბუნებრივი უნდა იყოს ტექსტის ნიშნობრივ კონცეფციაზე დაყრდნობა და ტექსტის პრაგმატულ, სინტაქტურ და სემანტიკურ კატეგორიებზე ლაპარაკი.

ტექსტის სინტაქტური კატეგორიებია ის კატეგორიები, რომლებიც ტექსტის სხვადასხვა მონაკვეთს ერთმანეთს უკავშირებენ. მათ შორის ცენტრალურია **კოჰერენტულობის** კატეგორია, ყველა დანარჩენი მის გამომხატულებას წარმოადგენს.

ჩვენ ვილაპარაკეთ **ფორიკაზე** (ტერმინს საფუძვლად უდევს ბერძნული ზმნა *fero* - „ტარება“). ტექსტის შექმნა ლინეარული პროცესია. მისი ფორმირება ხდება დროში. ტექსტის წინა ელემენტები უნდა მიუთითებდნენ იმაზე, რაც უკვე იყო, და პირიქით, (ანაფორიკა-კატაფორიკა). ყოველივე ეს სრულად ჩანს **მიკროტექსტში**. მაგრამ **მიკროტექსტის** გარდა გვაქვს **მაკროტექსტი**, შემდეგ - **ტექსტთა ციკლები**, ხოლო ბოლოს-ტექსტურობის ყველაზე მაღალი ტიპი - **ტექსტთა კოსმოსი** (სამყარო): აქ შეუძლებელია რაოდენობრივად დაგადგინოთ, თუ რამდენი ტექსტი ეკუთვნის ამა თუ იმ ენას მოცემულ ეპოქაში. აქ მუდამ დგება იმის პრობლემა, თუ

როგორ დამყარდეს სინტაქსური კავშირი მაკროტექსტს, ტექსტების ციკლსა და კოსმოსს შორის. ამიტომ სინტაქტურ საშუალებებს, რომლებზეც გვექონდა ლაპარაკი, უნდა დავუმატოთ კიდევ ორი საშუალება:

1. ისინი, რომლებიც აკავშირებენ მიკროტექსტებს მაკროტექსტების ფარგლებში. ყოველი მაკროტექსტი ესაა ყოველ ცალკეულ მონაკვეთში ორ ან მეტ ზეფრაზულ ერთეულთა თანამიმდევრობა, რომელიც მყარდება მათ შორის. რა საშუალებებით ხდება მაკროტექსტის ფარგლებში მიკროტექსტების დაკავშირება, ამის წინასწარ თქმა და ამგვარ ენობრივ საშუალებათა ჩამოთვლა-დახასიათება ჯერჯერობით შეუძლებელია. ამ შემთხვევაში მთავარია მიფუთითოთ ისეთ ენობრივ საშუალებებზე, რომლებიც ახდენენ მაკროტექსტის დანაწევრებას და უკავშირებენ ერთმანეთს უშუალოდ ზეფრაზულ ერთიანობებს. რატომ წარმოადგენს ამგვარ ენობრივ საშუალებათა აღმოჩენა და სისტემატიზაცია მნიშვნელოვან პრობლემას? იმიტომ რომ ერთი ზეფრაზული ერთობლიობის მეორეში გადასვლა არ ნიშნავს მხოლოდ ერთი ქვეთემიდან მეორეზე გადასვლას - ყოველი ზეფრაზული ერთეული წარმოადგენს აგრეთვე რომელიმე კომპოზიციურ სამეტყველო ფორმას (თხრობა, აღწერა, მსჯელობა). ამიტომ ზეფრაზული ერთობლიობა შეიძლება განვსაზღვროთ ან თემატურად (ერთიანი ქვეთემა), ან კომპოზიციური ფორმებით თეორიის თვალსაზრისით (თხრობა, აღწერა, მსჯელობა). ამიტომ ერთი ქვეთემიდან გადასვლა მეორეზე შეიძლება შეიძლება ნიშნავდეს ერთი კომპოზიციური ფორმიდან მეორეზე გადასვლას.

საშუალებები, რომლებიც ახდენენ მაკროტექსტის დანაწევრებას, უნდა გამოცალკევდნენ სხვადასხვა ენაში ცალ-ცალკე.

ტექსტობრივი კატეგორიის აგებისას ჩვენთვის იყო ამოსავალი:

1. ეს სისტემა დღემდე არ არის აგებული: არის ცენტრალური კატეგორია - კოჰერენტულობისა - და ყველა

დანარჩენი ამ კატეგორიის დაკონკრეტებას უნდა წარმოადგენდეს;

2. რამდენადაც ჩვენ განვიხილავთ ტექსტს როგორც სრულ ნიშანს, შეგვიძლია დავეყრდნოთ ამ სისტემის აგებისას ნიშნის სამგანზომილებიან მოდელს. ამიტომ ჩვენ ვილაპარაკებთ ტექსტის პრაგმატულ და სინტაქტიკურ კატეგორიებზე; რაც შეეხება ტექსტის სემანტიკურ კატეგორიებს, შეიძლება ითქვას, რომ ტექსტის თანამედროვე ლინგვისტურ თეორიაში შეუძლებელია მიეთითოს ტექსტობრივ კატეგორიაზე, რომელსაც ცალსახად და გამოკვეთილად შეიძლება ეწოდოს ტექსტის სემანტიკური კატეგორია: მათი გამოყოფა მთლიანად დამოკიდებულია ტექსტის ლინგვისტიკის შემდგომ განვითარებაზე. მაგრამ ჩვენ მაინც შეგვიძლია მივუთითოთ ტექსტის სემანტიკურ კატეგორიათა აგების წინაპირობებზე.

1. ერთადერთი კატეგორია, რომელიც გამოიყოფა ტექსტის ლინგვისტიკის ფარგლებში და რომელსაც შეიძლება მიეცეს სემანტიკური კატეგორიის სტატუსი, ეს არის კორეფერენციის კატეგორია. კორეფერენციაზე როგორც კატეგორიაზე ტექსტის ლინგვისტიკაში ჯერჯერობით არ ლაპარაკობენ - არსებობს მხოლოდ კორეფერენციის ცნება.

იმისათვის, რომ გამოიყოს საკუთრივ ტექსტობრივი კატეგორია, აუცილებელია შესრულდეს შემდეგი პირობა: ცნება, რომელსაც ტექსტის კატეგორიის სტატუსს ვანიჭებთ, უნდა ეკუთვნოდეს ტექსტს როგორც ერთეულს და მის ფარგლებს გარეთ იგი არ უნდა ფუნქციონირებდეს. ამიტომაცაა რომ, ჩვენ შეიძლება ვილაპარაკოთ ტრადიციული კატეგორიების ტექსტის შემქმნელ ფუნქციაზე, მაგრამ მათ ტექსტობრივ კატეგორიას ვერ ვუწოდებთ, ვინაიდან ისინი წარმოიშვნენ ისე, რომ ტექსტის ცნებასაც არ საჭიროებდნენ. კომპერენტულობა, ფორიკა კი ტექსტის ცნების გარეშე არ არსებობენ. ამიტომ კორეფერენციას შეიძლება ვუწოდოთ სემანტიკური კატეგორია - იგი მთლიანად ეკუთვნის ტექსტს.

2. საქმე ისაა, რომ რეფერენცია როგორც ცნება განეკუთვნება სემანტიკას. როგორც ცნობილია, რეფერენტი არის ის ექსტრალინგვისტური რეალობა, რომელზეც მიუთითებს ენობრივი ნიშანი, რომელი დონისაც არ უნდა იყოს იგი (სიტყვა, წინადადება, ტექსტი). ამდენად რეფერენცია როგორც სემიოტიკურ-სემანტიკური ფენომენი შესაძლებელია ტექსტის გარეშე და მუდამ გვაქვს ნიშნის ფუნქციონირებისას როგორც სემიოზისის მომენტი. ხოლო კორეფერენცია - ერთი და იმავე ექსტრალინგვისტური რეალობის სხვადასხვა ნიშნობრივი ერთეულებით აღნიშვნა ხდება უკვე მხოლოდ ტექსტის ფარგლებში და როგორც ფენომენი მთლიანად განეკუთვნება ტექსტს. კორეფერენცია, როგორც ცნობილია, წარმოადგენს ტექსტის კოპერენტულობის რეალიზაციის ერთ-ერთ საშუალებას და ამდენად შესრულებულია ტექსტის კატეგორიის გამოყოფის ეს პირობაც.

რა არის კორეფერენცია? - ესაა ერთი და იმავე რეალობის სხვადასხვა საშუალებით აღნიშვნა. კორეფერენციის შესაძლებლობა მთლიანად ეფუძნება ტექსტის ხაზობრივ ბუნებას: თუ ტექსტის წინა წინადადებაში მოხდა რომელიმე საგნის ან მოვლენის დასახელება-აღნიშვნა, ხოლო მომდევნო წინადადებაში იგივე საგნის ან მოვლენის ხელშეორედ დასახელება-აღნიშვნა, საქმე გვექნება კორეფერენციასთან. კორეფერენციას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა ფორმა: შეიძლება გაფიქორით წინა წინადადების ელემენტი, მაშინ კორეფერენცია მოხდება განმეორებითი ნომინაციის მეშვეობით. მაგრამ შეიძლება მოხდეს კორეფერირება სუბსტიტუციის მეშვეობითაც. ე.ი. კორეფერენცია შეიძლება ჩაითვალოს ერთადერთ ტექსტოლოგიურ ცნებად, რომელსაც ხსენებულ წინაპირობებზე დაყრდნობით შეიძლება მიეცეს ტექსტის სემანტიკური კატეგორიის სტატუსი.

რაც შეეხება ტექსტის სემანტიკურ კატეგორიათა სისტემის აგების პერსპექტივას, უნდა ითქვას შემდეგი: არ უნდა დაგვაფიწყდეს, რომ ტექსტის სემანტიკა განსხვავდება როგორც სიტყვის, ისე წინადადების სემანტიკისაგან. თუ

სიტყვის სემანტიკა წარმოადგენს სინამდვილის ცალკეული სემანტემების ასახვას, თუ წინადადების სემანტიკა ასახავს სიტუაციათა სტრუქტურას, ტექსტი როგორც მაქსიმალურად სრული ნიშანი თავისი სემანტიკით ასახავს უკვე არა ცალკე სიტუაციას, არამედ სიტუაციათა კომპლექსს, სიტუაციათა ერთობლიობას ანუ მისი რეფერენცია არა სიტუაცია, არამედ **რეფერენტული სივრცე** (18; 8). ყოველი ტექსტობრივ-სემანტიკური კატეგორია უნდა იყოს დაკავშირებული სიტუაციით ამ ერთობლიობასთან, ამ რეფერენტულ სივრცესთან. კორეფერენციის კატეგორია, თუ მას კატეგორიის სტატუსს მივანიჭებთ, უკავშირდება სწორედ სიტუაციათა ასეთ ერთობლიობას. თუ რომელიმე საგანს ან მოვლენას განმეორებით ვასახელებთ (ანუ ვახდენთ კორეფერირებას) ეს მუდამ დაკავშირებულია ან სხვა სიტუაციის ნომინაციასთან, ან უკვე დასახელებული სიტუაციის გარკვეულ მოდიფიკაციასთან.

ლიტერატურა

1. ენუქიძე რ. - ლინგვისტური პრაგმატიკა და მხატვრული ტექსტის პროცესუალობა, თბილისი, 1990
2. კასირერი ე. - რა არის ადამიანი?, თბილისი, 1983
3. რამიშვილი გ. - ენათა შინაარსობრივი სხვაობა ენათმეცნიერებისა და კულტურის თეორიის თვალსაზრისით, თბილისი, 1995
4. სერგია გ. - ტექსტის ლინგვისტიკა, თბილისი, 1989
5. Арутюнова Н.Д. - Предложение и его смысл, М, 1976
6. Арутюнова Н.Д. - Номинация и текст, сб. "Языковая номинация", М, 1977
7. Бенвенист Э. - Уровни лингвистического анализа. Новое в лингвистике, выпуск 6, М, 1968
8. Бенвенист Э. - Общая лингвистика, М, 1974
9. Богин Г.И. - Модель языковой личности и ее отношение к разновидностям текстов. Л-д, 1984
10. Богин Г.И. - Уровни и компоненты речевой способности человека. Калинин, 1975
11. Гак В.Г. - Прагматика, узус и грамматика речи "Иностранные языки в школе", №5 Москва, 1982
12. Гальперин И. Р. - Текст как объект лингвистического исследования, М, 1981
13. Гвенцадзе М.П. - Коммуникативная лингвистика и типология текста, Тбилиси, 1986
14. Гумбольдт В. - Избранные труды по языкознанию, М, 1984
15. Горелов И.Н. - Вопросы теории речевой деятельности, Таллин, 1987
16. Демьянов В.З. - Морфологическая интерпретация текста и ее моделирование, М, 1992

17. Дейк Ван Т.А. – Язык, познание, коммуникация, М, 1989
18. Долинин К.А. – Интерпретация текста, М, 1985
19. Дридзе Г.М. – Текстовая деятельность в структуре сознательной коммуникации, М, 1984
20. Каган М.С. – Человеческая деятельность, М, 1974
21. Караулов Ю.Н. – Русский язык и языковая личность, М, 1987
22. Кон И.С. – Социология личности, М, 1967
23. Кубрякова Е.С. – О номинативном компоненте речевой деятельности, ВЯ, 1984
24. Кубрякова Е.С. и др. – Краткий словарь когнативных терминов, М, 1996
25. Леонтьев А.А. – Психолингвистика, М, 1967
26. Звегинцев В.А. – Язык и лингвистическая теория, М, 1973
27. Мириманова М.С. – Проблемы тезауруса в психологии, М., 1984
28. Москальская О.И. – Грамматика текста, М, 1981
29. Новое в зарубежной лингвистике, Выпуск VIII, Лингвистика текста, М, 1978
30. Новое в зарубежной лингвистике. Лингвистическая прагматика, М, 1985
31. Новое в зарубежной лингвистике. Выпуск XVII. Теория речевых актов. М, 1986
32. Общее языкознание. Внутренняя структура языка. М, 1972
33. Платонов К.К. – Структура и развитие личности, М, 1984
34. Постовалова В.И. – Язык как деятельность, М, 1982
35. Роль человеческого фактора в языке, М, 1988
36. Солганик Г.Я. – Синтаксическая стилистика, М, 1973
37. Соссюр Ф-де – Труды по языкознанию, М, 1977

38. Степанов Ю.С. – Семиотика, М, 1971
39. Степанов Ю.С. – Трехмерное пространство языка, М, 1985
40. Тураева З.Я. – Лингвистика текста, М, 1986
41. Язык как коммуникативная деятельность человека. Сборник научных трудов, М, 1987
42. Andresen, H. - Textlinguistik. München, 1980
43. Breuer D. - Einführung in die pragmatische Texttheorie. München, 1984
44. Brinker, K. – Aufgaben und Methoden der Textlinguistik. In: Wirkendes Wort, 1971, N21
45. Brinker, K. – Zum Textbegriff in der heutigen Linguistik. In: Litta, 1973
46. Brinker, K. – Aufgaben der Textlinguistik. Zürich, 1991
47. Brinker, K. – Linguistische Textanalyse. Berlin, 1985
48. Bühler, K. – Sprachtheorie. Iena, 1934
49. Coseriu, U. – Textlinguistik. Eine Einführung. Tübingen, 1980
50. Grobe, E. – Text und Kommunikation. Stuttgart, 1976
51. Gülich, E./Raible, W. – Linguistische Textmodelle. München, 1977
52. Eco, U. – Einführung in die Semiotik. München, 1972
53. Haferkamp, H. – Soziologie als Handlungstheorie. Düsseldorf, 1972
54. Hagege, Cl. – L'homme de paroles. Paris, 1985
55. Harweg, K. – Pronomina und Textkonstitution. München, 1968
56. Hartmann, P. – Text als Linguistisches Objekt. In: Beiträge zur Textlinguistik. München, 1971
57. Henne, H. – Sprachpragmatik. Tübingen, 1975
58. Kuhn, Th. – Die Struktur Wissenschaftlicher Revolutionen, Frankfurt/M., 1973
59. Mars, U./Wunderlich, D. – Pragmatik und sprachliches Handeln. Frankfurt/M., 1972

60. Morris, Ch. – Writings on the General Theory of Signs. The Hague – Paris, 1971
61. Pitcher, G. – The Philosophy of Wittgenstein. N5., 1964
62. Schmidt, S.(Hrsg.) – Text, Bedeutung, Ästhetik. München, 1970
63. Schmidt, S. – Bedeutung und Begriff. Branschweig, 1969
64. Searle, J. – Speech Acts. Cambridge, 1969
65. Specht, E. – Die sprachphilosophischen und ontologischen Grundlagen im Spätwerk Ludwig Wittgensteins. Köln, 1963
66. Steinvorth, U. – Ludwig Wittgenstein: Sprache und Denken. In: Grendprobleme der großen Philosophen. Gettingen, 1972
67. Ungeheuer, G. – Sprache und Kommunikation. Hamburg, 1972
68. Walther, E. – Allgemeine Zeichentheorie. Stuttgart, 1971
69. Wittgenstein, L. – Tractatus ligico-philosophicus. In: Ludwig Wittgenstein. Schriften. Frankfurt/M, 1969
70. Wittgenstein, L. – Philosophische Untersuchnagen. In: Ludwig Wittgenstein. Schriften. Frankfurt/M.,1969

სარჩევი

თავი I

ანთროპოცენტრიზმი და კომუნიკაციური პარადიგმის
ლინგვისტიკაში
დამკვიდრების ძირითადი ეტაპები

ბ1. ენობრივი ნიშნის სამგანზომილებიანი მოდელი და XX საუკუნის ლინგვისტური აზროვნების დინამიკის თეორიული რეკონსტრუქცია	5
ბ2. თანამედროვე თეორიული ლინგვისტიკის ძირითადი ანტინომიები და ანთროპოცენტრიზმი როგორც მათი გადალახვის თეორიულ-მეთოდოლოგიური საშუალება	9
ბ3. პარადიგმული სიტუაცია თანამედროვე ლინგვისტიკაში და ანთროპოცენტრიზმის როგორც პრინციპის გადააზრების აუცილებლობა	13
ბ4. ნომინოცენტრიზმი, ვერბოცენტრიზმი და ანთროპო-ცენტრიზმი თანამედროვე ლინგვისტიკაში	17

თავი II

ლ. ვიტგენშტაინის ფილოსოფია და ლინგვისტური
ტრანსცენდენტალიზმი

ბ1. ლ. ვიტგენშტაინის ფილოსოფია როგორც თანამედროვე ლინგვისტიკის მსოფლმხედველური საფუძველი და ანთროპოცენტრიზმი	22
ბ2. თანამედროვე ლინგვისტიკის „ვეოცენტრისტული“ ორიენტაცია და ანთროპოცენტრიზმი	25
ბ3. თანამედროვე ლინგვისტური აზროვნება როგორც ლინგვისტური ტრანსცენდენტალიზმი	28
ბ4. ლინგვისტური ტრანსცენდენტალიზმი და პროპოზიციის ცნება თანამედროვე ლინგვისტიკაში	31
ბ5. თანამედროვე ლინგვისტური აზროვნება და სამყაროს სინთეზურ-ხდომილებრივი ხედვის ამოცანა	34

მნ. ანთროპოცენტრიზმი და კომუნიკაციური ლინგვისტიკის არაფსიქოლოგისტური გააზრების ამოცანა	38
--	----

თავი III

ლინგვისტიკის კომუნიკაციური პარადიგმა და საკომუნიკაციო აქტის სტრუქტურა

მ1. კომუნიკაციური პარადიგმა და კომუნიკაციის ცნების განახლების აუცილებლობა	42
მ2. აქტუალიზაციის ტრადიციული ცნება და მისი მიმართება კომუნიკაციის განახლებულ კონცეფციასთან	47
მ3. სიტყვის პრობლემა და კომუნიკაციური ლინგვისტიკა	53
მ4. პრაგმატიკა და კომუნიკაციური ლინგვისტიკა. ინტერსუბიექტურობის კონცეფცია როგორც ლინგვისტური პრაგმატიკის ერთ-ერთი თეორიული წყარო	56
მ5. ექსტრალინგვისტური სიტუაცია და მისი სტრუქტურა	61

თავი IV

კომუნიკაცია როგორც ადამიანური ქმედების სახეობა და გამონათქვამის პრაგმატული სტრუქტურა

მ1. საკომუნიკაციო აქტი და გამონათქვამის ნომინაციური და კომუნიკაციური ასპექტები. გამონათქვამი და ქვეტექსტი	68
მ2. გამონათქვამის პრაგმატული სტრუქტურა	73
მ3. გამონათქვამი როგორც კომუნიკაციური ქმედება. ილო-კუციური ძალა და ზმნის პერფორმატული გამოყენება	81
მ4. კომუნიკაციური ქმედების ოპერაციული სტრუქტურა	83

თავი V

ლინგვისტური პრაგმატიკა და პრაგმატულ კატეგორიათა სისტემა კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში

მ1. კომუნიკაციის ინტერსუბიექტურობა და პრაგმატულ კატეგორიათა კლასიფიკაციის პრობლემა	88
--	----

ბ2. მეტყველი სუბიექტი (ადრესანტი) და მასთან დაკავშირებულ პრაგმატულ კატეგორიათა ქვესისტემა კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში. ლოკაცია როგორც ამ ქვესისტემის სტრუქტურული ცენტრი	93
ბ3. მსმენელი სუბიექტი (ადრესატი) და მასთან დაკავშირებულ პრაგმატულ კატეგორიათა ქვესისტემა	97
ბ4. ტრადიციულ გრამატიკულ კატეგორიათა „პრაგმატიზაცია“ როგორც კომუნიკაციური ლინგვისტიკის ქინაღობის მომენტი	101
ბ5. ინფორმაციულობა და გამჭვირვალობა როგორც პრაგმატული კატეგორიები - მათი მიმართება საკომუნიკაციო აქტის ზოგად სტრუქტურასთან	106
ბ6. ექსპრესიულობა როგორც პრაგმატული კატეგორია	111

თავი VI

ტექსტის ლინგვისტური თეორია და კოპერენტულობა როგორც ტექსტის ცენტრალური კატეგორია

ბ1. კომუნიკაციური ლინგვისტიკა და ტექსტის თეორია	114
ბ2. ტექსტის ცნების გააზრების ორი პერსპექტივა - ფუნქციური და სტრუქტურული	118
ბ3. ენის სემიოტიკურ-დონეებრივი კონცეფცია და ტექსტის თეორია	123
ბ4. პრაგმატიკა, ტექსტის თეორია და კომუნიკაციური ლინგვისტიკა	128
ბ5. ტექსტთა ტიპოლოგია და ტექსტობრივ კატეგორიათა სისტემის აგების პრობლემა	138
ბ6. კოპერენტულობა როგორც ტექსტის ცენტრალური კატეგორია	141

თავი VII

ტექსტის კომპერენტულობა და ტექსტობრივ კატეგორიათა სისტემა

შ1. ტექსტის ფორიკა და ტრადიციულ გრამატიკულ კატეგორიათა ტექსტოლოგიური გააზრება	146
შ2. კომპერენტულობა და ტექსტის იზოტოპია	150
შ3. კომუნიკაციური ლინგვისტიკა და მეტყველების ნაწილთა ფუნქციურ-სემანტიკური გააზრების პრობლემა	153
შ4. ტექსტის ფორიკა და კორეფერენცია როგორც სინტაქტიკური და სემანტიკური კატეგორიები	156
შ5. ანაფორიკა, კატაფორიკა და განმეორებითი ნომინაცია ტექსტის სინტაქტიკურ სტრუქტურაში	158
შ6. ტექსტი როგორც სემიოტიკური ფენომენი და ტექსტობრივ კატეგორიათა სრული სისტემის აგების პერსპექტივები	161

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის დასავლურ ენათა და
კულტურათა სახელმწიფო ინსტიტუტის გამომცემლობა „ენა
და კულტურა“
(რეგისტრაციის ნომერი 3/4-1349)

ტირაჟი 100 ეგზ.

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის დასავლურ ენათა და
კულტურათა სახელმწიფო ინსტიტუტის სტამბა.
თბილისი, 380062, ილია ჭავჭავაძის გამზირი, 45